ვაჟა პაპიძე

ლეროს ენერგია

IV

ვაჟა პაპიძე

დროის ენერგია IV

დაუჯერებელი იდუმალების

შესაძლო სინამდვილე

ფანტაზია

თბილისი
2021

© ვაჟა პაპიძე, 2021
© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2021

ISBN 978-9941-498-15-2

დაბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში 0102,
ქ.თბილისი, კიევის ქ. 10

როდესაც ბედი შენი მოკავშირე ხდება, როცა გახარებს ყოველი დღის დასაწყისი, უდავოდ თავს წარმატებულად თვლი.

ვფიქრობ, და სასურველი განწყობა, თვითნებურად, გარეგანი გავლენის გარეშე, მოკრძალებული განცდით მიმანიშნებს, რაღაც არაჩვეულებრივის ჩანაცვლებაზე.

მიუხედავად მინიშნებისა, მაინც ჩვეულებრივი ფორმატით ვაგრძელებდი ჩემს საყოველდღიურო განაწესსა თუ არსებობისთვის აუცილებელ ნორმების შესრულებას.

კეთილდღეობის განმტკიცებას ასევე მხარს უჭერდა, გრძნობის ერთ-ერთი წარმატებული გამოძახილი, რომლის გავლენითაც იმ დღიდან უსიამოვნოდ აღარ განვიცდიდი წინააღმდეგობრივ რეალობას. სწორედ ამ დაფასებული გრძნობის მეჩირაღდნედ ხვედრმა ტურიზმის ნაკრებში ახლახანს ჩარიცხული წევრი, საგანგებოდ, გოგონათაშორის არჩეული მზარდი სპორტსმენი მოავლინა. მთავარმა მწვრთნელმა, როგორც ნაკრების გამოცდილ წევრს, მე დამავალა მომავალი საერთაშორისო ტურნირისთვის მისი ეტაპობრივი მომზადება, განსაკუთრებით ორიენტირების კუთხით. მეც მისი ეშხით, როცა ორიენტაციის სასწავლო-საწვრთნო მეცადინეობების ჯერი დგებოდა, საგულდაგულოდ ვატარებდი დავალებულის შესრულებას.

წვრთნის საწყის ეტაპზე, მან კარგ სპორტულ მონაცემებთან ერთად, გამჭრიახი გონება და ალღოს შესანიშნავი უნარი გამოავლინა, მიუხედავად სპორტულობისა, საუცხოოდ შეენარჩუნებინა მოკრძალებული სილამაზე, კლდემამოსილი სინატიფე და რაც მასში მომწონდა მისი განუმეორებელი შინაგანი ხიბლი.

მომხიბლავი ბევრია ჩემს ირგვლივ, მაგრამ, როცა ერთი ნახვით მიზიდულობას ვგრძნობ ეს უკვე ქვეცნობიერების დონეზე გათვლილი გენოტიპია. ვიდრე გონება გამოთვლიდა მის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს, ქვეცნობიერმა დროის უმოკლეს ვადაში განმიზოგადა შესაძლო თავსებადობა და უფრო ეფექტურად განსაზღვრა ჩემი გადაწყვეტილების არჩევანი.

თაყვანისმცემლები, ჩემდა სამწუხაროდ, არცთუ ცოტა აწუხებდა. საწვრთნელ მეცადინეობებზეც ხშირად აკითხავდნენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ძლივს იგერიებდა მათ დაუპატიჟებელ სტუმრობას. თავისთავად მეც მალი-მალ მიწევდა მათი იერიშების შეჩერება.

რაკი არავის იკარებდა, შესაბამისად მეც იგივეს ველოდი მისგან. როცა საუბარს მთავარი თემის გარდა სხვა საკითხზე გადავიტანდი, უმალ კითხვებს ძირითადი თემის გარშემო დამისვამდა. არა ერთგზის მითხოვია თავისუფალი დროის გამონახვა, უფრო ახლოს გაცნობის მიზნით. ერთხელ კაფე-ბარში ფინჯან ყავაზე დავპატიჟე, იქნებ როგორმე შემექმნა ურთიერთ-შორის შინაურული ატმოსფერო, მაგრამ, უარი მივიღე. ასეთივე უარყოფითი პასუხი გამცა მეორე შეთავაზების დროსაც, როდესაც რაიმეს ვთხოვდი, მიზეზად სახელმწიფო გამოცდის ბოლო საგნის მომზადების სამზადისს ასახელებდა. ასე რომ, სასურველი დიალოგი მასთან ვერა და ვერ ავაწყვე. ერთხელ ისეთი კითხვა შევარჩიე თავის პროფესიას რომ შეეფერებოდა, როგორც იქნა გამიმართლა, გარკვეული ცოდნა ბიოქიმიასა და მედიცინაში მეც გამაჩნდა და თამამად ვეკამათებოდი ამა თუ იმ ბიოლოგიურ და საპრობლემოდ გადაქცეულ სამკურნალო მეთოდების ირგვლივ. რაკი ამ ხერხმა გაამართლა, იმ დღიდან საგანგებოდ მიხდებოდა საუბრის შინაარსის შერჩევა, რათა როგორმე მომეხერხებინა მისი განწყობის რითმებთან ჩემი წადილის აქტივობის შეთანაწყობა.

შაბათ-კვირა მოუსვენრად გავატარე. ადგილს ვერ ვპოუ-ლობდი. მეგობრებთან ერთად მოწყობილ პიკნიკზეც ვცადე განმუხტვა,მაგრამ უშედეგოდ.

ორშაბათ დღეს ჩვეულებისამებრ, სპორტული სამოსი ჩანთაში ჩავალაგე, ხელში ბუტერბროდი დავიჭირე და გარეთ გამოვედი. მიმეჩქარებოდა, არა უფრო საწვრთნელ მეცადინეობის მისაღებად, არამედ ჩემი რჩეულის შესახვედრად. ის გახდა ერთადერთი წამხალისებელი რომლის ხიბლითაც სავარჯიშო კომპლექსაც აღმატებულ ხარისხში ვატარებდი.

ერთ დღეს გადავწყვიტე შემოვლითი ხერხით მაინც ამეხსნა გაგულისებული გრძნობის მოთხოვნის მოუსვენარი გამოძახილი. ვფიქრობდი, საუბრის დროს როგორმე მიმეწოდებინა ისეთი სახის

საამებელი ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობდა მისი ემოციური მდგომარეობის მკვეთრ შეცვლას, სასიამოვნო შეგრძნების გამოსაწვევად.

თუ ამ სახით მიდგომა არ გაამართლებდა, მაშინ უნდა მომეძებნა შედარებით შესაფერისი საშუალება და არც გამოვრიცხავდი უკეთესი შესაძლებლობის არსებობასაც, რომლის ეფექტს შეეძლებოდა უკიდურესად გაეძლიერებინა მისი ემოციური ფონი, აზრი და ინტერესი ჩემს მიმართ.

* * *

გაზაფხულის სეზონის მიწურულს, საქართველოს სპორტული კომიტეტის ტურიზმის განყოფილებაში დებულება მივიდა. საერთაშორისო ტურისტული ცენტრი ატყობინებდა, ტურნირში მონაწილეობას მკათათვის 17-დან 25 რიცხვის ჩათვლით. პროგრამა ითვალისწინებდა: დაბრკოლებების გადალახვას, ლაბირინთებიდან გაგნებას, სამაშველო ოპერაციებს და ორიენტირებას. ფინალისტებისთვის ახლახანს დამატებული იქნა საიდუმლოდ გადანახული „საგანძური“-ს მოკვლევა.

სათანადოდ მომზადებული ჩვენი ქვეყნის ნაკრების სრული შემადგენლობა, დებულებით გათვალისწინებულ დროით, დანიშნულ ადგილზე, ჩავედით და მთის ძირში სხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან ერთად ორ რიგად საპირისპიროდ გაშლილ კარვებში დავბანაკდით.

პირველ დღეს ღონისძიებების ორგანიზატორებმა წესისამებრ ტურნირის მონაწილეები ერთმანეთს გაგვაცნეს. შემდეგ ლექციის მოკლე კურსი წაგვიკითხეს, სათითაოდ გადმოგვცეს საჭირო წესების კრებული და წარმატება გვისურვეს.

მომდევნო დღეს ზოგადად გაგვაცნეს საშეჯიბროდ განკუთვნილი მნიშვნელოვანი წერტილები, სავარაუდო უბნები და ყოველ მონაწილე ნაკრებ გუნდზე მომაგრებული ინსტრუქტორები, რომლებსაც სატურნირო მარათონის პერიოდში მეთვალყურის ფუნქცია ევალებოდათ.

ასპარეზობა საწყის ეტაპზე რასაც არ მოველოდით ჭირვეულად დაიწყო, თითქმის ყველა მოასპარეზე გუნდს გაუჭირდა სტარტის აღება, განსაკუთრებით დაბრკოლებების გადალახვის დროს, მერე და მერე კი პაექრობა შედარებით აქტიური და საინტერესო გახდა.

ყოველდღიურ ოთხ-ოთხ გუნდს გვიწევდა გამოსვლა. იმის გამო, რომ თითოეულ ნაკრების მონაწილეებს შესაფერისი მომზადება აღმოაჩნდათ, პაექრობაც ძალთა თანასწორობით მიმდინარეობდა, თუმცა ნახევარ ფინალში ვითარება ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა, ჩვენი ნაკრების მომზადების ტექნიკის მაღალი კვალიფიკაცია უფრო იმით გახდა შესამჩნევი, რომ დებულებით გათვალისწინებული ყოველი შენასრულები ნორმატივი ტაქტიკურად იყო გამორჩეული.

ფინალში ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად ოთხი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას, მათ შორის ჩვენც.

საფინალო დღეს, სანამ ფინალისტებს მთავარი მსაჯი მორიგი ეტაპის დაწყების ნიშანს მოგვცემდა, მანამდე ყველა ქვეყნის ნაკრების წევრებმა, საკუთარი, წინასწარშემუშავებული რიტუალი კვლავ წარმოვადგინეთ და უკვე სტარტზე გასულები, ნიშანზე სხვადასხვა მიმართულებით გავედით.

ბოლოსწინა ეტაპის შესასრულებელი პროგრამული ნაწილი „ორიენტირი“ გვქონდა. მოცემულ მონაკვეთზე ადგილმდებარეობის გარკვევა დროის უმოკლეს ვადაში.

მე და ჩემი ახალი მეწყვილე ტყის პირიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გავედით და მთის ფერდობს ავყევით. დაახლოებით ორასი მეტრი მანძილის გავლის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს გადავედით. თითქმის გაუვალ ადგილებში გვიხდებოდა გზის გაგნება. ასე გავიარეთ ასი მეტრი. ხევს რომ მივუახლოვდით, უეცრად ფეხქვეშ მიწა ჩაგვექცა და ორივე მის სიღრმეში ჩავეშვით. თავგზააბნეულები, სად მივსრიალებდით რას წარმოვიდგენდით, თრთოლით და შიშით ვიყავით შეპყრობილნი. უცებ სრიალი შეწყდა, ძირი გამოგვეცალა, ჯერ მე ჩავვარდი, მერე წივილ-კივილით ჩემი მეწყვილე, გულშეწუხებული ყვიროდა და

საშველად მიხმობდა. აკანკალებულ ხმაზე აშკარად ეტყობოდა ვარდნით მიყენებული ვნება რომ ძლიერ აწუხებდა.

მისმა შემზარავმა ყვირილმა უმალ დაარღვია ირგვლივ საშინელი სიბნელისა და ქვეშეთის მდუმარება. იდუმალებით მოცულ გარემოში მისი ხმა საკმაოდ შორს ვრცელდებოდა. მაშასადამე, ჩვენ არა ორმოში არამედ ვრცელი სივრცის გარემოცვის ტყვეობაში აღმოვჩნდით.

-აგერ ვარ,- გავძახე მეწყვილეს, - შენს გვერდით,ნუ გეშინია. ახლავე მოგძებნი.

მხარმტკივანი ფეხზე წამოვდექი. ხელის ცეცებით მინდოდა მივსულიყავი, მაგრამ ისევ ჩავჯექი და მიცოცება ვამჯობინე.

- ტკივილისგან ოთხად ვარ მოკეცილი, - კვნესით შემომჩივლა მან და ატირდა.

-კარგი, დაწყნარდი, მითხარი რას იტკიებ.

-მარცხენა ფეხის ტერფს.

-ახლავე პირველად დახმარებას აღმოგიჩენ, მთავარია შენი დაწყნარება- ვამშვიდებდი უცნაური შემთხვევით და ტკივილით შეწუხებულ მეწყვილეს.

-ამ სიბნელეში რა დახმარებაზე მელაპარაკები-შემომტირა სლუკუნ-სლუკუნით.

–ერთი წუთით, ჩემ ზურგჩანთას მოვძებნი. იქ მეგულება დამხმარე საშუალებები.

ხელისცეცებით, როგორც იქნა ჩანთა ვიპოვე. იქიდან საგანგებო ტექნოლოგიით შემუშავებული და დამზადებული მიკრომინიატურული ხელსაწყო, ანუ კომპას-აპარატი ამოვიღე. ჩანთის პატარა ჯიბეში ყოველ შემთხვევისთვის გადანახული, უახლესი ტექნიკური პროგრამით დამზადებული ხელოვნური ინტელექტი მოვძებნე, აპარატს შევუერთე და თავდაპირველად მიწის ქვეშეთი გავანათე.

ეს იყო მთის სიღრმის შუაგულში უდიდესი მღვიმე: წყლის აუზით, სტალაქტიდებით და სტალაგმიტებით, სტალაგნატებით და სტალაქტონებით...

ჩემმა გაშუქებამ მისი ქვითინი ჩააწყნარა. გაკვირვებული მიყურებდა და ვერ გაეგო საიდან ასეთი პატარა ხელსაწყოდან გამომავალი კაშკაშა სინათლე.

-ჩვენ ხომ მობილურები კარვებში დაგვატოვებინეს, ეგ რა არის?- მეკითხება გაოცებული, თან ცრემლის ლულს თვალიდან იშორებს.

-ჯერ პირველად დახმარებას ჩაგიტარებ, მერე კი აგიხსნი- დავპირდი და მაშინვე ჩანთის უბიდან ბალზამი ამოვიღე, რომელიც ყოველთვის თან დამქონდა. დაზიანებული სახსარი ზომიერად დავამუშავე. სახვევით ძლიერად შევკარი და წამოვაჯინე. მერე ჩემი მტკივანი მხარის დამუშავება დავიწყე.

-ჩემკენ მოიწი, რომ დაგეხმარო, -შემომღიმა და ხელით მანიშ-ნა მიახლოება.

-გმადლობ, თავად გავართმევ თავს, არაა მოუხერხებელი. შენ შემდეგ შემიმოწმე.

მხრის დამუშავება მალე დავამთავრე, სანამ მე სულს მოვითქვამდი ის ისევ მოიცრემლა.

-ახლა გვრინვა და გოდება გასასვლელს ვერ გვაპოვნინებს. დამშვიდდი და მოვიფიქროთ რა ვიღონოთ.

-იქნებ,საიდანაც ჩამოვვარდით მისი გახსნა შევძლოთ.

-ის ისეა ჩახერგილი გასათავისუფლებლად რომც მივწვდეთ ვერაფერს მოვუხერხებთ. ამაოა მასთან ჭიდილი. უმჯობესია სხვა ალტერნატივა მოვძებნოთ.

-შენ რას ფიქრობ?

-კომპას-აპარატს დავიხმართ,ეგებ გასასვლელი მიგვანიშნოს.

-იზოლირებულ სივრცეში ეგ რას გაარკვევს, -ირონიულად გამიღიმა და ალმაცერად ამომხედა,უკვე ფეხზე დამდგარს.

-ცდა ხომ შეიძლება გენაცვალე.

-ცადე, ნება შენია, -დაეთანხმა საცდელ თხოვნას.

ხელსაწყო მოვიმარჯვე, გაძლიერებულ რეჟიმზე გადავრთე, მოვძებნე დახურულ სივრცეში გამკვალავი განყოფილების საინფორმაციო განაყოფი. მისი მინიშნებით მხარეთა გასარკვევ უბანში გადავედი, რომლის მაჩვენებელმა ხაზმა, ჩრდილო-

აღმოსავლეთი მხარე მაჩვენა. უმალ მივახარე, გვერდზე მივუჯექი და ეკრანზე გამოსახულ მიმართულებაზე მივუთითე.

-იმედი კი არა მაქვს, -მეუბნება გულაჩუყებული- მაგრამ მაინც ვცადოთ, მეც წამოვალ.

-ფეხმტკივანი როგორ ივლი,მარტოც ვერ დარჩები.

-ეგებ ვიარო, აბა მომეცი ხელი, -წინ წამოიწია და მარჯვენა გამომიწოდა.

-კარგი, ოღონდ ნელ-ნელა წამოდექი. ცოტა სპორტულად, კარგია რომ ინდომებ, ყოჩარ, ხელი მეორე მხარზე ჩამჭიდე. მარცხენა ფეხს ძალას ნუ დაატან, -მივუთითე თან ფეხი წინ გადავდგი.

წვალებ-წვალებით მივიწევდით წინ. ხელსაწყო მწვანე ნიშანს გვაძლევდა, ესეიგი ადგილს ვუახლოვდებოდით.ათიოდე ნაბიჯის შემდეგ, როცა ვიწრო გასასვლელით მღვიმიდან მღვიმეში გადავედით. უეცრად ჩვენს პირდაპირ და მარჯვნივ მოციმციმე წერტილი შევნიშნეთ.

-ათინათი-შეჰყვირა სიხარულით და მისკენ გაიწია-ჩქარა მინდა ვნახო.

-სირბილით ვერ გაიქცევი, არც ის გაქრება ასე მალე, საღამომდე საკმარისი დრო გვაქვს.

იმ წერტილამდე მისვლას დაახლოებით ოთხი წუთი მოვუნდით. ეს იყო გარედან შემოსული მზის სხივის გამონაშუქი.

გახარებულმა ერთმანეთს გადავეხვიეთ. მე მას ვულოცავდი იმედის ნათელ წერტილს ის მე.

-მიდი ეგებ გააფართოო, დღის სინათლე მინდა დავინახო-სიხარულისგან ძლივს უყრიდა სიტყვებს თავს.

-რა თქმა უნდა, მასაც ვცდი.-ვთქვი და მის დასანახად ხელით კლდის ფენის მოცლას შევეცადე. მოვსინჯე მეორედ, მესამედ, შედეგი ნულის ტოლი იყო.

შეხედა რა შიშველი ხელებით ვერაფერს ვხდებოდი, თავისი ჩანთიდან ჯიბით სატარებელი პატარა დასაკეცი დანა ამოაცურა და მომაწოდა.

-სინჯე, შეიძლება გამოგადგეს.

უარის თქმას აზრი არ ჰქონდა, მეც გამოვართვი, ხელში მოვიმარჯვე და საქმეს შევუდექი.ვატრიალებდი დანის წვერს ვიწრო ნაპრალში, მაგრამ ამაოდ მხოლოდ ცოტაოდენი ფქვილის სახით იყრებოდა, ეს იყო და ეს.ძალის გამოყენებით კი დანის წვერს გავუტეხავდი.

ცოტა ხანს მიყურა, მერე გულშეწუხებულმა შემომჩივლა.

-რაღაც უნდა ვიღონოთ, ასე ჩვენ ფონს ვერ გავალთ. ამ საქმეში ალბათ მამაკაცური ფიქრია საჭირო, მე ვერაფერი მოვიფიქრე, იქნებ შენ გაქვს რაიმე იდეა?

-მე მხოლოდ, ჩემი კომპას-აპარატის იმედიღა მრჩება. -მშვიდი ტონით ვუპასუხე და აპარატი, რომლითაც მუშაობის დროს კლდის ფარღიატს ვანათებდი, შემოვატრიალე და მის ტირილით დაღუდუდებულ თვალებს მივანათე.

-ხუმრობ ალბათ, ჯერ ეგ გასწიე, თორემ ვერაფერს ვხედავ, მაგის იმედზე როგორ ხარ.

-ეს არის ჩემო კარგო, ასე ვთქვათ ხელოვნურად შექმნილი ტექნიკური ეროდიტი, მას შესწევს უნარი მოლეკულურ დონეზე შეცვალოს საგნების ფორმა-წყობა ანუ მის მიერ გადაცემულ ნებისმიერ ინფორმაციას აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მიმღები. ესაა სულ.

-მე ჯერ ერთი, -დაიწყო ირონიული ტონალობით-რა თქმა უნდა არ მჯერა შენი ახსნილის, მეორე თუ ასეთი ძლიერია აბა მაჩვენე მისი ჯადოსნური ძალა.

-რატომ არ გჯერა, ხომ შეხედე, როგორ ადვილად გვაპოვნინა გასასვლელი.

-მაშინ მისი გაფართოებაც შეეძლება, -ჩამიჭრა სიტყვა თითი ათინათს გააყოლა და იქ შეაჩერა საიდანაც შემოდიოდა.

-კარგი,ვეცდები, ვიმედოვნებ აქაც თავს არ შეირცხვენს.

-მაშ, დაიწყე სანამ მზე არ ჩასულა.ნათქვამი სინამდვილედ აქციე,თან თუ შეიძლება მეც მაჩვენო შენი მაქინაციები.

-კეთილი, -დავეთანხმე მას და გვერდით დავუდექი.

ხელსაწყო ისევ გაძლიერებულ რეჟიმში გადავრთე, შემდეგ გარკვეული სახის მოქმედებები შევასრულე. დასასრულს რიგ

გამოსახულებების ნიმუშებიდან, ჩემთვის გამოსაყენებელი ხელსაწყოები მოვძებნე და სანამ ავირჩევდი მას ვეკითხები.

-ამ იარაღებიდან ჩვენ დაგვჭირდება შეკუმშული ჰაერის მოქმედი მექანიკური სამტვრევი. აი ხომ ხედავ-ვაჩვენებ მეწყვილე ნიმუშს. - აგერ მისი კონსტრუქციაც, ესეც დავაფიქსიროთ. მონაცემების გაგზავნამდე ჩავრთოთ ლაზერული სხივის სექცია და მივმართოთ კლდოვან ნაწილს. ახლა ჩვენს მიერ შემუშავებული ინფორმაცია გავაგზავნოთ არა ეთერში, არამედ იქ სადაც ლაზერული სხივი გადმოესხივება. რაც შეეხება ოპერაციის მსვლელობას, კონკრეტულად რომ იცოდე ლაზსხივიდან დენადი ინფორმაციის დაბალი სიხშირის რხევები ეცდებიან მოახერხონ, კლდოვან ფენაში არსებული ქიმიური ელემენტების ენერგო ვიბრაციულ აქტივობასთან შეთანაწყობა, შემდეგ კი დაიწყებენ მასში არსებული ნივთიერებების გარდაქმნას მიწოდებული პროგრამის სიხშირის მიხედვით. ახლა შესრულების წყაროს ჩავრთავ და დააკვირდი დასხივებულ ფენას.

კლდის ზედაპირზე თავდაპირველად კონტურები გამოისახა, შემდეგ გამოიკვეთა მექანიზმის ნაწილების თითოეული დეტალი. მეორე ნაწილის შუაგულში ჰაერი ჩატუმბა, მერე ორივე ნაწილი ერთმანეთს სპეციალური ხრახნით დაუკავშირა და ფენის ზედაპირზე ამოაცურა, შემდგომ ენერგიის წარმომშობი ხელსაწყო შევუკვეთე, რაზეც მექანიკურ იარაღს უნდა ემუშავა. ისიც სახელდახელოდ დაამზადა და სამოქმედოდ მოვამზადე.

ჩემი მეწყვილე ამ ხნის განმავლობაში, გაოგნებული მისჩერებოდა და დუმდა.

-როგორა ხარ? -ჩავეკითხე უცნაური პროცედურებით მონუსხულს-რატომ დადუმდი?

-არ მჯერა რასაც მივჩერებივარ-მიპასუხა შეცბუნებულმა და თვალი ნახელავს გაუშტერა.

-როცა ფაქტი შენ წინაა, არც მაშინ? კარგი, მე ახლა საქმიანობას დავიწყებ, შენ კი მიყურე.

მომხდარით თავბრუდახვეულს სიტყვაც აღარ დაუმატებია, შეიშმუშნა და ჩემი მოქმედებების ცქერა განაახლა.

მექანიკური სამტვრევი მშვენივრად ასრულებდა თავის სამუშაოს.ერთსაათიანი მუშაობის შემდეგ ორმაცდაათ სანტიმეტრამდე დიამეტრის მქონე ხვრელი გაამტვრია.

-აი დაინახე შედეგი. შენ კიდევ არ გჯეროდა. - ვეუბნები გონებამძიმედ მყოფ მეწყვილეს.

-ვხედავ, ვხედავ, თუმცა ისევ გაოგნებული ვრჩები, რატომ გაჩერდი,აღარ აფართოებ?

-არა, და არც გახედვას გირჩევ.

-რა ხდება? -თქვა და ფეხზე წამოდგა, მაგრამ დაშავებული ფეხის გამო ორი ნაბიჯიც ვერ გადადგა. ხელი, რომ არ მიმეშველა კლდის ნამტვრევებში აღმოჩნდებოდა და მეორე თვსატკივარი გამორიცხულიც არ ექნებოდა.

-მე გეტყვი რაც არის.

-თქვი,თქვი გელოდები-სიტყვები ერთმანეთს სწრაფად მიაყოლა და სულმოუთქმელად დაელოდა ჩემს პასუხს.

-ჩვენ ქვემოთ, სამწუხაროდ ღრმა ხევია. გარშემო კლდოვანი მასივით და მჩქეფარე მდინარით. -სხაპასხუპით მივუგე მეც.

-რას ამბობ, ნამდვილად? -დასტურად თავი დავუქნიე-ვაიმე, შესძახა გულშემოყრილმა-ეს მინდოდა მე კიდევ.როგორ მოვიქცეთ ან რა უნდა ვიღონოთ-ნაღვლიანად შემომჩივლა სასოწარკვეთილამდე მისულმა და კვლავ მოიცრემლა.

-ეხლა შეჩერდი, გთხოვ თავიდან ნუღარ დაიწყებ ქვითქვითს, თუ არ დაწყნარდები ვერაფერსაც ვერ მოვიფიქრებ.

-კარგი, უბრალოდ მეტირება.ოღონდ რამე მოიფიქრე და სუნთქვასაც შევკრავ.

-თავი გაწირე ის კი არ მითქვამს.განა არ იცი დარდი და წუხილი თავდაღწევის ცუდი მეგზურები რომ არიან? ნუ აყვები უშედეგო ემოციებს და შენც ჩემთან ერთად იფიქრე.

-განცდისგან აზროვნება ჩამეკეტა.

-არაუშავს დროებითია, თუ დამშვიდდები გაგივლის. -რჩევა მივაწოდე და ჩემს გაფართოებულ ხვრელს გავხედე. ხვრელიდან შემოსულ სინათლის სიძლიერეს დაეკლო, საღამო ახლოვდებოდა.

-რას მისჩერებიხარ ასე დაჟინებით? -უმალ შეაწუხა გაგების სურვილმა.

-შენც გაიხედე და გაიგებ.

-მერე,რა უნდა გამეგო.

-ამჩნევ ბინდი როგორ გვეპარება?

-კი,ვხედავ. -გამცა სწრაფად პასუხი.

-თუკი შეამჩნიე მაშინ იზრუნე ღამე როგორ გავათიოთ. მე კი ვეცდები საეთერო წყარო აღვადგინო.

-რით,მობილურები ხომ იქ დავტოვეთ-ხელმეორედ დასმული კითხვა უნებურად გამიმეორა.

-ამ ტექნიკის საშუალებით-მივანიშნე ჯიბიდან ამოღებულ ხელსაწყოზე.

-ეგ რა უნივერსალურია? -კიდევ ერთხელ დაინტერესდა მისი მრავალმხრივი ფუნქციით.

-არა, მაგრამ კონკურენციას კარგად უწევს.

-აბა მოსინჯე, ეგებ გვიშველოს-მთხოვა და მტკივან ფეხზე ხელი მოიკიდა.

„მანიპულატორის“ ჩართვისას დახურული ადგილმდებარეობის გამო, გარკვეული პროცედურების შესრულება მოითხოვა. უჭირდა სიგნალის გადაცემა,შეფერხება ორი ცდის შემდეგ მოეხსნა და მეც უმალ გავუგზავნე სავარაუდო კოორდინატები საერთაშორისო სამაშველო სააგენტოს.

-სიგნალი გასულია-ვახარე მას.

-კარგი ბიჭი ხარ -როგორც იქნა გაიმეტა პირველი შექება.

-გმადლობ, სანამ ჩვენ დასახმარებლად მოფრინდებიან, მანამდე ცოტა წავიხემსოთ, თითქმის მთელი დღე მშივრები ვართ.

-მე რით დაგეხმარო?

-შენ მანდ იჯექი და ყურადღებით მიცქირე, ვახშამს როგორ მოვამზადებ.

ზურგჩანთიდან, მინი გაზქურა, მოშუშული ხორცის კონსერვი, სამგზავრო ფიალჯამები, ერთჯერადი დანა-ჩანგლები, დასუხარებული პურის ნაჭრები ამოვალაგე, მის წინ დავალაგე და მომზადებას შევუდექი.

-გაზს როგორ უკიდებ?

-ასანთები თანვე აქვს.

-გაუმჯობესებულა მინი გაზქურებიც.

-კი, ნელ-ნელა წინ მივიწევთ, აგერ მათარაში წყალია, შეგიძლია დალიო-გავუწოდე რაც მასში იყო დარჩენილი.

-რატომ ღვინოს არ მთავაზობ?

-ღვინო მერმისში, ხვალის რიცხვი ამ თვისაა.

-რას ნიშნავს ეგ ქარაგმა?

-ის,რომ ნაღრძობ ფეხზე ჯერ არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება.

-კარგია, რომ მზრუნველი ხასიათი გაგაჩნია, თუ თანდაყოლილია უფრო უკეთესი.

-შეძენილს ვერ იტან? ან რა დაგიშავა?

-არაფერი, სწავლა ყველაფრის შეიძლება, მისი უნარი თუ გაქვს.

ასე, საუბარ-საუბარში ვახშამიც მოვამზადე,როგორც პირობებს შეეფერებოდა და კარგადაც გეახელით.

-მოგეწონა? -ვეკითხები ჩვენი მწირი პურის-ჭამის დასასრულს.

-ნამდვილად კარგი იყო, ხელმარჯვე ყოფილხარ, მე კი არ ვიცოდი.

-უნდა მოინდომო, რომ მოსაწონი და რიგიანი გახდეს ის,რასაც ხელს მოჰკიდებ.

-გეთანხმები, საინტერესო ბიჭი ყოფილხარ, ადრე არც ვაქცევდი ყურადღებას შენს თვისებებს. აქ კი ერთბაშად თვალში მომხვდა. იქ ჩემს მიმართ გულისყურს ისე გითვლიდი, როგორც სხვებისას.

-ეგ შენი სილამაზისა და მკაცრი გონების გამო, თუ აღზრდის მინაღწევია?

-ვერ გეტყვი, შესაძლოა ერთად აღებულმა, ოღონდ გენეტიკა არ გამორიცხო.

-უსათუოდ, მან საფუძველი მოგცა,ხოლო გარემოება კი დაგეხმარა მის ფორმირებაში.

-მართალი ხარ, გარემოსაც მნიშვნელობა აქვს. შენ როგორ აღიქვამდი ჩემს უხიაკ ქცევებს, გამანდობ?

-თავიდან მოველოდი, მერე კი ზედმეტად ჩავთვალე.

-თუ ჩათვალე, რატომ აგრძელებდი სარომანო სიუჟეტებს?

-ეხ, ჩემო კარგო, გრძნობა აზრს აღარ ეკითხებოდა, თვითონ განაგრძობდა ბატონობას.

ფრაზა დავამთავრე თუ არა, მღვიმეში ერთბაშად ჩამობნელდა.

-რა მოხდა?

-დაღამდა. ასე იცის მთაში, თანაც მღვიმეში ხარ, ახლავე გაგინათებ.ერთი წამით აპარატს ამოვიღებ.

სიბნელემ საამო საუბარი მყისვე შემაწყვეტინა. აჩქარებით ხელოვნური შუქი ჩავრთე და ის-ის იყო საუბარი უნდა განმეახლებინა,რომ მან უმალ მაშველები შემახსენა, ამდენ ხანს რატომ არ ჩანანო. რაც უფრო ღამდებოდა მით მეტად იხსენებდა სამაშველო რაზმს. მე სხვა გზა არ მქონდა, ყოველ შეკითხვისას ვაიმედებდი, სადაცაა მოვლენ მეთქი. ბოლოს, რომ აღარ გამოჩნდნენ მოიღუშა.

-სწორედ რომ არ გიხდება ღუში იერი და არც პირქუში გამოხედვა.მოვლენ ნუ განიცდი, დღეს თუ არა, განთიადისას აქ იქნებიან.შენი მტკივანი ფეხი თავს როგორ გრძნობს.-შევცვალე სწრაფად სასაუბრო თემის შინაარსი.

-მიხურს,თან შიგადაშიგ მწიწკნის.

-ეს იმას ნიშნავს,რომ პირველმა სიანსმა შედეგი გამოიღო, ახლა მეორეს ჩაგიტარებ და ხვალ შეღავათს იგრძნობ, ზეგ კი ფეხზე გაივლი. დავპირდი ჩემს „პაციენტს“. ბალზამი მოვიმარჯვე და მეორე სამკურნალო სიანსს შევუდექი.

დაშავებულ ფეხს პირველთან შედარებით მეტი დრო დავუთმე, ვრცლად შევაზილე,კარგად დავამუშავე და საგულის-გულოდ შევახვიე.

პროცედურის შემდეგ მღვიმეში გამოკვეთილ სარკმლის ახლოს ღამის გასათევად მოხერხებული გასათევი მოვძებნეთ, კლდის კედელზე ზურგჩანთები მივდევით და მივეზურგეთ.

დაღლილ-დაქანცულებს მალე ჩაგვეძინა.

ადრიან დილით უცნაურმა სიზმარმა გამომაღვიძა. აისი ეს-ეს იყო იწყებოდა. ჩემს მეწყვილეს ისევ ეძინა. ვიანიდან მისი ნანატრი დამხმარე ძალები ჯერ კიდევ არ გამოჩენილან, გადავწყვიტე მისთვის ახალი სამაშველო გეგმა შემემუშავებინა.ამ ხერხით უდავოთ ავცდებოდი მის ხელახალ გვრინვასა და გოდებას. მაშ ასე, ან ქვემოთ უნდა დავშვებულიყავით ან ზემოთ, სადაც შედარებით მოკლე მანძილი გვექნებოდა ასავლელი, მაგრამ მეტად ძნელი და სახიფათო. ამ ფიქრში ვიყავი როცა მასაც გაეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და სარკმელში შემომავალ სინათლეს გახედა.

-დილა მშვიდობისა, -დავასწარი მისალმება, -როგორ გამოიძინე?

-ამ პირობების თანახმად კარგად, შენ?

-ანგელოზივით, ოღონდ დილით უცნაური სიზმარი ვნახე, გაურკვეველი, არც ჩავძიებულვარ, მერე ფიქრი, ვინაიდან დამხმარე ძალა არ გამოჩნდა, ასასვლელი მარწუხების შექმნაზე დავიწყე. ჩვენი თავი ახლა ჩვენ გვეკუთვნის. აქედან, რომ გავახწიოთ, უნდა ვიმოქმედოთ. ამიტომ გადავწყვიტე კლდის ჩასაჭიდი მარწუხების შექმნა, ორ წყვილად ხელ-ფეხისთვის, შეკვეთა მიცემული მაქვს,ხუთ წუთში მზად იქნებიან. თანახმა ხარ?

-მე უკვე შენს განკარგულებას ვემორჩილები.

-მაშ ასე, მე ყოველ მეტრანხევარში კლდეში კაუჭით საბელებს მივამაგრებ, საფეხურებს გაგიმზადებ და როცა მე სამ მეტრ სიმაღლეს გადავცდები, შენ მაშინ დაიწყებ მაღლა ამოსვლას. ძირითადად ჩემზე იქნები დამოკიდებული, მენდობი?

-რა თქმა უნდა, სიცოცხლეც შენთვის მომინდვია, -გამცა გულსადაგი პასუხი.

-თუ ერთ საათში ცნობა არ მივიღეთ და შენ სიარული შეძელი, მოქმედებას ვიწყებთ. მისაღებია?

-გეთანხმები.

-აბა, ახლა დაუხმარებლად წამოდექი, გაიარე, შევხედო ჩემს მკურნალობის ნაყოფს.

მან ღრმად შეისუნთქა. ჩოქბჯენში გადავიდა და წამოდგომა დაიწყო. ადგა, თავი მაღლა ასწია, ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა, ცოტა წამოიკვნესა, სცადა მეორედაც, მესამედაც ასე კვანჭალ-კვანჭალით სარკმელთან მივიდა. შემობრუნდა და გახარებული მეუბნება.

-შენმა თერაპიამ შედეგი გამოიღო. ორთოპედიული ნიჭი გქონია.

-ბალზამს უნდა ვუმადლოდეთ და არა მე.ერთი კურსი კიდევ გავიაროთ დილა-საღამოს. ვიმედოვნოთ, რომ მეტი აღარ დაგვჭირდეს. უკან ნელი ნაბიჯებით დაბრუნდი და დილის სიანსს ახლავე ჩაგიტარებ-მივუგე და ბალზამი ჩანთის უბიდან ამოვიღე.

მისი სახსარი და ჩემი მხარი ჯეროვნად დავამუშავე, შემდგომ ჩანთიდან ცოტაოდენი საგზალი ამოვიღე და საუზმეს შევუდექით. ამასობაში ერთ საათზე მეტი გავიდა, მაშველები არ ჩანდნენ, ჩემს მეწყვილეს გადავხედე, იჯდა და ჩემს მითითებას ელოდა.

-თუ შეძლებ, დროა სამზადისი დავიწყოთ.

-კი, უფრო უკეთესად ვარ.

-მაშინ მოვემზადოთ.

საბელები შევამოწმეთ. ჩვენ ჩვენი ტვირთი კარგად შევკარით და როცა ფეხსაცმელებზე მექანიკურ მაშველებს ვიმაგრებდით, უეცრად ცა მოიღრუბლა, მღვიმეში სიბნელე ჩამოწვა, სანამ შუქს ავანთებდი წამიერ გაელვებას ძლიერი გრუხუნი მოჰყვა, კიდევ ორჯერ საშინლად დაიგრუხუნა და წვიმა თქეშა-თქეშით წამოვიდა.

-ეს გვინდოდა ახლა ჩვენ? ჩაგვეშალა ლაშქრობა-ღრმად ამოიოხრა-ალბათ რომც გადიკაროს სველ კლდეზე ასვლა ორმაგად სახიფათო იქნება. ხოლო აქ ჩარჩენა ტრაგედიის ტოლფასი.

-მთის ამინდია ჩემო კარგო უცებ იცის დარიც და ავდარიც. რაიმეს ვიღონებ, ოღონდ შენ დამშვიდდი. რატომ მოიბუზე, შეგცივდა?

-ცოტა.

-აგერ ჩემი სპორტული, მოიხურე, ჩემზე ნუ იჯავრებ, არ შევიცივნებ.

-ეგ როგორ?

-ამჟამად ჩემი შინაგანი აპარატის, ბრჭყალებში, იმედი მაქვს.

-ვერ გავიგე, შეიძლება გამარკვიო?

-როგორ არა, ასახსნელი დრო კვლავ მოგვეცა. ჩემი ახსნილი, რომ გაიგო თავდაპირველად ცოტაოდენ ცოდნას მაინც უნდა ფლობდე ფარული უნარების ირგვლივ, რომ დაგეხმაროს და გაგარკვიოს ესა თუ ის უნარის გამოვლენა თურმე შესაძლებელი ყოფილა,რაც შეეხება თვითონ მეთოდს, შენი ნებართვით ახსნას ლექციის სახეს მივცემ. მაშ ასე, ის ითვალისწინებს თვითშთაგონებით ორგანიზმის მომზადებას სურვილის მიღწევის მიზნით, ხოლო მასში ჩართული კონცენტრაციული სავარჯიშოების კომპლექტი ხელს უწყობს ყურადღების გამახვილებას ერთ მიზანზე, ანუ მთელი ფიქრი არის ერთი მიმართულებით მიმართული საუკეთესო შედეგის მისაღებად. კარგი იქნება, თუ სავარჯიშოების შესრულებისას თვით მასზე მოვახდენთ კონკრეტულ ზემოქმედებას. მაგალითისთვის ავიღოთ ჩვენი მდგომარეობა. სიცივეა, ცხადია გვცივა. პირველ რიგში ჩვენს ძალისხმევას ვაკონცენტრირებთ სითბოს მგრძნობელობაზე, ამის შემდეგ წარმოვიდგენთ თავს აგუზგუზებული ბუხრის წინ, მეორე, წინასწარ რომ იცოდე შედეგი დამოკიდებულია თქმის სიმძაფრეზე; ჩავუღრმავდებით საკუთარ თავს და ვიმეორებთ მე არ მცივა. ჩემიდან გამქრალია სიცივის შეგრძნება, ახლა მე სითბოს ვგრძნობ, რამდენიმეჯერ. მესამე, თბორეგულატორს ვთხოვთ დაკარგული ბალანსის აღდგენას და არ დაგვავიწყდეს რაც საჭირო აუცლებლობაა შინაგანი დისციპლინა, თუ ეს გამოიმუშავე წარმატება შენი მეგობარი ხდება.

-როგორც ჩანს შენ საკუთარი სხეულის ფლობის უნარი გამომუშავბული გქონია, იყენებ კიდევაც.

-რბილად რომ ვთქვა, მაშინ, როცა მდგომარეობა მკარნახობს.

-შეიძლება სანამ აქ ვართ მაჩვენო შენი ხელოვნების ცოტა რთული მხარე?

-რატომ, ის არ იყო საკმარისი.

-რა მოხდება, ადრე მეც მაინტერესებდა ავტოტრენინგი, მაგრამ თავი ვერ მოვაბი. მინდა გნახო თუ დავრწმუნდი შენს სიძლიერეში მეც შემოგიერთდები.

-დიდი პატივია, რაკი მთხოვ ერთ უჩვეულო დემონსტრირებას გაჩვენებ სხეულის გარეშე, ოღონდ ინსტრუქცია უნდა დაიცვა, კარგი?

-აუცილებლად.

-მაშ ასე, მე გავალ მღვიმიდან არასხეულებრივად, დავათალიერებ და გავზომავ ჩვენს დასალაშქრ მანძილს, დაბრუნებისას კი აღგიწერ მის გეოგრაფიულ მდგომარეობას. შენ მანდ იჯდები. არ გაინძრევი, სანამ მე არ შეგეხმიანები. იცოდე ერთი სიტყვა ჩემს მიმართ პროცესს ჩაშლის, შევთანხმდით?

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და პირობების დასაცავად მოემზადა.

ერთიოდე წუთი დამჭირდა იმისთვის, რომ თავისუფლად გავსულიყავი იმატერიალურ სივრცეში. ჯერ ჩვენი ასავლელი მანძილი შევათვალიერე, რომლის სიმაღლე დაახლოებით 16-17 მეტრს არ აღემატებოდა, მერე ადგილმდებარეობა დავათვალიერე, გარშემო მშვენიერი ხედის მომსწრე გავხდი. ზემოთ მთის ზეგანის დასაწყისში ბუჩქნარი ჭარბობდა, უფრო იქით კი ტყის მასივი. რატომღაც ეს ლამაზი მხარე ღონისძიების სამარშრუტო გეგმაში არ ისვა.

უკან რომ ვბრუნდებოდი, ანაზდად ისეთი მთის ფერდობი შევამჩნიე, საიდანაც შედარებით ადვილი იქნებოდა თავის დაღწევა.

მღვიმის შესასვლელში შევჩერდი, მეწყვილეს გავხედე, გულშემოყრილი იჯდა და ჩემი თვალების ახელას ელოდებოდა.

მე აუჩქარებლად დავბრუნდი საკუთარ სხეულში, ღრმად, ნარნარად შევისუნთქე და მშვიდად ამოვისუნთქე. ის-ის იყო სიტყვის თქმას ვაპირებდი, რომ მან დამასწრო და შემომწუხრა.

-როგორც იქნა ჯანმრთელი ფერი აღიდგინე, იცი რას დაემსგავსე, როცა გიყურებდი ფერი საერთოდ დაკარგე; ვფიქრობდი ცუდად ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე,

ინსტრუქციის გამო. გიყურებდი და თვითონ მე შეუძლოდ ვგრძნობდი თავს, წყლის დალევაც ვერ მოვახერხე.

-სწორად მოქცეულხარ, პირველი გამოცდა ჩაბარებული გაქვს.

-გმადლობ,ახლა მიამბე,სად იყავი-თქვა და მოსასმენად მოხერხებული მდგომარეობა შეირჩია.

მეც დაწვრილებით ვუამბე,სად გავედი და რომელი მხარე მოვინახულე.ჩემი მეწყვილე ამჯერად წყნარად იჯდა და სულგანაბული მისმენდა მანამდე,სანამ მე თვითონ არ დავუსვი კითხვა ნაამბობის შთაბეჭდილების ირგვლივ.

-კი მაგრამ,როგორ დავიჯერო,რომ შენ ნამდვილად იქ იმოგზაურე-შემეკითხა ჩემი მონათხრობით დაეჭვებულმა.

-კარგი,მაშინ მე შენ გეტყვი სხვადასხვა მცენარეების დასახელებას,რომლებიც ფერდობზე ვნახე,მათ ზუსტ სიმეტრიულ განლაგებას და ზემოთ რომ ავალთ შეამოწმე-მივუგე და თან დავიწყე მცენარეთა ადგილმდებარეობის დასურათხატება.

აღწერა,რომ დავამთავრე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მონაყოლი დაუჯერებლად მიაჩნდა მე მაინც ამოვიკითხე მასში ცნობის წადილი და მისი ცოდნის დაუფლების სურვილი.

-ძნელად დასაჯერებელია,-მეუბნება ჩემი საუბრის შემდეგ.-თუმცა მე რატომღაც გამიჩნდა მისი სწავლის სურვილი. ძირითადად იმიტომ,რომ დავრწმუნდე მის სინამდვილეში და თავისთავად შენში.შეძლებ?

-რასაკვირველია, შენ როგორც თანამეწყვილეს, ადვილად დასაუფლებელ მეთოდს გასწავლი.მთავარია ყოველთვის გულისყურით მომისმინო და პარალელურად შეასრულო ჩემი მითითებანი. თანახმა ხარ?

-რაღა თქმა უნდა.

-კეთილი, რას დაველოდოთ, სჯობია ახლავე დავიწყოთ, რომ შენმა გაძლიერებულმა ინტერესმა ხელი შეუწყოს მის სწრაფ ათვისებას.უპირველესად განეწყვე სწავლისადმი და როგორმე შეძელი შენი შესაძლებლობების მობილიზება. აზრის კონცენტრაციაში დაგეხმარება მყუდრო გარემო,სადაც ჩვენ

ვიმყოფებით. ახლა დახუჭე თვალები, მოდუნდი, ყურადღება გაამახვილე შენს მიზანზე და თქვი შენში, მე ეს შემიძლია, სამჯერ გაიმეორე,ყოველ ჯერზე ჩაუღრმავდი. წარმოთქვი ისე როგორც საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული. გელოდები.

...სავარჯიშო რომ დაასრულა, მორიგის დაწყებამდე შენიშვნის სახით ვეუბნები.

-მისმინე, იცოდე რომ მეცადინეობების პერიოდში არ დაუშვა ეჭვი შეგეპაროს შენს წარმატებაში და რომ ნადვილად შეგიძლია შინაგანი ძალების პოვნა, ცხადია ყველა დაბრკოლებების დასაძლევად, ეს აზრი კარგად გაითავისე და თან გულში სამჯერ გაიმეორე,მე ოპტიმსტი ვარ და თავდაჯერებული ჩემს ძალებში.

...გამეორების შემდეგ კვლავ გავუგრძელე სასწავლო-საწვრთო მარათონი.

-მნიშვნელოვანია შენში, -ვაწვდი მომდევნო მითითებას.-ირწმუნე,რომ ყველა სურვილის შესრულებას შეძლებ, თუნდაც ის არარეალური ჩანდეს, სწორედ ამ რწმენის გამომუშავებაა საჭირო,რომ უმოკლეს დროში მიაღწიო საწადელს.ახლა კი წარმოთქვი, ჩემს მიერ არჩეულ სურვილს მე განვეწყობი რწმენით, დაე ასრულდეს ის, რასაც მე მოვისურვებ. გაიმეორე იმდენჯერ,რამდენჯერაც წინა ორი.

ახლად მიცემული დავალებაც უშფოთველად დაიწყო და დამაჯერებლად დაასრულა.

ამ სავარჯიშოს შემდგომ ავარჩიე და გადავიყვანე კონკრეტული დავალებების შესრულებაზე.

ვინაიდან ჩვენ უამინდობის გამო ისევ მღვიმეში ჩავრჩით, საგანგებო რეჟიმზე გადავედით. რაც შეეხება მის მეცადინეობებს, დღეში სამჯერ უწევდა ნასწავლის გამეორება და ახალი მასალის დამატება.პარარელურად მის გასამტკიცებლად სპეციფიური ფიზიკური სავარჯიშოები შევარჩიე და ხელდახელ შედგენილ პროგრამაში ჩავრთე.

დღეს, როცა საღამო ჟამს მეცადინეობა დავამთავრეთ,ყოველ შემთხვევისათვის მეწყვილეს მაინც ვაფრთხილებ.

-ხვალ,თუ ვინიცობაა გამოიდარა, გავდივართ. გარკვეულ წილად მომზადებული ვართ, ამ მანძილის დაძლევა არ უნდა გაგვიჭირდეს და თუ კვლავ დავრჩით,თავისთავად მეცადინეობები გავაგრძელოთ. ხომ არ დაიღალე ან არ მოგშივდა?

-არა,არც მომდომებია. ვფიქრობ ფსიქო ტესტების დამსახურებად უნდა ჩავთვალო, თავს უფრო მსუბუქად და მხნედ ვგრძნობ.

-აგერ ეს კაფსულა გამომართვი, გადაყლაპე, საკვები ნივთიერებების შემცვლელია, სულ უჭმელობა ძალას გამოგაცლის. დალიე და დავიძინოთ. უკვე ძალზედ გვიანია.

-კარგი, როგორც შენ იტყვი, ძილი ნებისა.- გვერდი იცვალა და თავი ძილს მისცა.

დილით გაღვიძებისთანავე სარკმელთან მივედი და ცას ავხედე,თითქოს ისე ჩანდა დასავლეთიდან ქუფრ ღრუბლებს პირი შეეკრათ და ჩვენკენ მოიჩქარიანო. რაღას ვიზამდით, კიდევ ერთხელ მოგვიწევდა მღვიმიდან გასვლის გადადება.

მეწყვილეს გავხედე, თვალებნაფშვნეტი უხმოდ მომჩერებოდა.

-დილა მშვიდობისა მოწაფევ, -შევეხმიანე ახლად გამოღვიძებულს -როგორ გამოიძინე?

-გმადლობთ ოსტატო, კარგად,რა ადრე გაგღვიძებია.მოხდა რამე?

-მოხდა ის, რაც ჩვენ არ გვაწყობდა. ცა საწვიმარი ღრუბლებით ივსება.

-მერე რა გაჯავრებს, ხედავ აქ იმდენად ვართ დაცული, არც წვიმის წყალი ჩამოგვდის არც გვცივა და გვშივა.

-თუ არ ხუმრობ, როგორც მე გამჩნევ უკვე საკმაოდ კომფორტულად გრძობ თავს.გეტყობა იმუნიტეტი სწრაფად გამოგიმუშავდა. არ არის ცუდი შედეგი. მოდი ახლა შევიმუშავოთ ჩვენთვის შესაფერისი გრაფიკი, რომ გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა ერთმანეთს შევანაცვლოთ.ასევე ვიზრუნოთ ჩვენი სულიერების განვითარებაზეც, ამისათვის საწყის ეტაპზე მოგიწევს

დადებითი აზროვნების გამომუშავების სწავლება.ეს კი,რომ იცოდე სრულყოფილი წარმატებების საფუძველია. მზად ხარ?

-მე რომ ყოველთვის მზად უნდა ვიყო, ამას უკვე ჩემი მდგომარეობა მკარნახობს.

-მაშინ მოემზადე, ვიწყებთ ფაზა ალეფს. წარმოიდგინე თანმიმდევრობით: ონკანთან ხარ და ხელ-პირს იბან, კბილებს იხეხავ,პირსახოცით სახეს იმშრალებ, გადიხარ სპორტულ ოთახში და ასრულებ შენთვის შერჩეულ ვარჯიშთა კომპლექსს. ბოლოს შხაპს ღებულობ და სასაუზმედ მაგიდასთან ჯდები. უკვე დანაყრებული კი უნივერსიტეტისთვის წასასვლელ სამზადისს იწყებ. ეს არის ერთგვარი მოთელვითი სეანსი. ახლა გადავიდეთ ფაზა ბეტზე.მოგზაურობა სხეულის შიგნით. წარმოიდგინე თავი ძალიან პატარა მინიატურულ ადამიანად, მუცლის შუა ფოსოდან გადაინაცვლე შენი ორგანიზმის წიაღში სამოგზაუროდ, როდესაც დათვალიერებას დაამთავრებ დაბრუნდი და შეჩერდი ხერხემლის ცენტრალურ აპარატში. მოძებნე სარეზერვო შესაძლებლობების განყოფილება, მასში კი ფარული კოდი და თხოვე ურთიერთ-თანამშრომლობა, რომ შენს მიერ მიცემულ ნიშანზე შეძლოს საჭირო დახმარების გაწევა, იქვე მიაწოდე შერჩეული ნიშანი ორი თითის ან ორი სიტყვის შენაერთი. მომდევნო ფაზა გიმელი. სხეულის ფლობა. ყოველ უჯრედში თითქოსდა ქაოსურად მოძრავ მოლეკულათა მაკავშირებელ და მარეგულირებელ ცენტრიდანულ ძალას მიმართავ თხოვნით, მოლეკულების სასურველი მიმართულებით სვლას. ჩააღრმავებ ფიქრს და განეწყობი რწმენით. გადავედით ფაზა დალედზე. სამივე ფაზის დაუფლება გაძლევს ისეთ უნარს, რომელსაც შესწევს ძალა სხეული შენს სურვილს დაემორჩილოს, ასევე შეგეძლება წინააღმდეგობის გარეშე სივრცეში თავისუფლად გადაადგილებაც.

ძირითადი სამი ფაზის განმტკიცების მიზნით, დამატებით დავუნიშნე აზროვნების გამახვილებისა და ყურადღების კონ-ცენტრაციის შემცვლელი სავარჯიშოები. შემდეგ კი ფიზიკურად მსუბუქად დასატვირთი ტრენინგები. საათი წავივარჯიშეთ და დასასვენებლად რომ ჩამოვჯექით, შევატყვე რაღაც უნდოდა ეთქვა,

მაგრამ თავს იკავებდა. ცოტახანს უხმოდ ვიჯექით, მერე უცებ ჩემკენ შემობრუნდა, თვალები გამისწორა და მეკითხება.

-თუ საიდუმლო არ არის, შეგიძლია რომ მითხრა, საიდან ეს უჩვეულო ცოდნა?

-ინტერესის გამო ჩემო კარგო, ასე გზადაგზა მიწევდა აკრეფა წლების განმავლობაში და ბოლოს კი დაგროვდა ცოდნა და გამოცდილება.

-კარგი, შენს ეგრედწოდებულ კომპას-აპარატზე რას იტყვი.

-ოო,გეტყვი, ოღონდ უნდა იცოდე საიდუმლო უნდა შეინახო. აუცილებელი მოთხოვნილებაა, რატომ ამას ახლავე გაიგებ.

თავიდან ჯერ ზოგადად ავუხსენი მის შესახებ. მერე საგნობრივად განვუსაზღვრე ხელსაწყოს რთული ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა და შემძლეობა.

თეორიულ განმარტებას რომ მოვრჩი, შემდეგ პრაქტიკულად ვაჩვენე მისი ტექნიკური მოქმედების უნიკალურობა. მოკლედ ნანახმა ისე განაცვიფრა, ზეზეულად გაშეშებული, გაკვირვებული შემომცქეროდა და ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

-აკუპუნქტურა ხომ არ ჩაგიტარო. - მივაწოდე მდგომარეობიდან გამოსვლის კარგი საშუალება.

მან უსიტყვოდ გამომხედა, თავი გამიქნია და მღვიმის გამობურცულ კედელს მიეყრდნო.

-მაშინ აგერ კლდიდან გამონაჟონი წყალი, იქნებ ეს გესიამოვნოს.

-გმადლობ, არ მინდა-როგორც იქნა ამოილუღლუღა. -შენ მხოლოდ ის მითხარი, რატომ აქამდე არ ამჟღავნებდი თუ ასეთი უნიკუმი იყო, ან საერთოდ რისთვის არ გსურდა იქ მისი გამოჩენა.

-მსოფლიო ქაოსს ვერიდებოდი. -მოკლედ გავეცი პასუხი.

-რა ქაოსზეა ლაპარაკი?

-ტექნიკა ბოროტად რომ არ გამოეყენებინათ.

-კარგი, ეგ გასაგებია, მაგრამ, ამ მღვიმიდან ხომ შეგეძლო თავის ადვილად დაღწევა?

-მართალი ხარ-დასტური მივეცი მის ნათქვამს.

-მერე, რატომ არ იმოქმედე, ან რა ინტერესი გქონდა?-შემომკითხა, კედელს მოსცილდა და ჩემს წინ დადგა.

-ბოლოს და ბოლოს მის შესახებ ვინმესთვის ხომ უნდა მეთქვა, მე კი შენ აგირჩიე.

-ერთი წუთით-შემაჩერა და თვალი გამისწორა.

-გისმენ.

-გამოდის რომ აქ შემთხვევით არ მოვხვედრილვართ და არც ეს უამინდობაა დამთხვევითი. რა ხდება აბა სწრაფად გამარკვიე.

-კარგი, გაგარკვევ, ოღონდ გთხოვ ნუ აღელდები, ყველაფერი როგორც შენ გინდა ისე იქნება, ახლა კი მისმინე.

-გელოდები,ვერ ხედავ რომ ვეღარ ვითმენ? -აუწია ხმას.

-გთხოვ,ემოციებს არ აჰყვე, თუ არ მადროვე როგორ აგიხსნა?

-სანამ არ გავიგებ ვერ მოვისვენებ.-მოუსვენრობამ სწრაფი გარკვევის სურვილი აღუძრა.

-მესმის შენი, უკვე დავიწყე, დიდი სიამოვნებით გაგცემ პასუხს, რატომ მაინც და მაინც შენ. ლამაზი გოგონები ბევრი დადიოდა ჩემს ირგვლივ, მაგრამ შენმა სილამაზემ იმიტომ მომხიბლა, რომ ხიბლის გარდა, როცა ყოველთვის ერთმანეთს საწვრთნელ მეცადინეობებზე ვხვდებოდით, კიდევ რაღაც მიზიდავდა შენკენ, როგორც გვიან მივხვდი ეს მიზიდულობა ქვეცნობიერის დონეზე გამოთვლილი გადაწყვეტილება იყო, ანუ ჩემი გვარისა და შთამომავლობის წარმატების გამგრძელებელი, გუმანით ნაგრძნობი გენოტიპი. თუ შენი უწინდელი მოკრძალებული ლიბერალური შეხედულებები და დღევანდელი გულისთქმა დაემთხვევა ჩემს გულის წადილს, მაშინ ინტუიციურად მიღებულ შეთანხმებად ჩავთვლი. ალბათ ვხვდები ჩემს ზრახვებს და არა მარტო ნაკრებში მსურდა ჩემი მეწყვილე ყოფილიყავი, არამედ მის გარეთაც. მე ეს დიდი ხანია რაც გადაწყვეტილი მქონდა, ახლა შენი ჯერია.

მან თვალები დაბლა დახარა და გაირინდა. დუმდა, მერე კლდის ხვიბერზე ჩამოჯდა, თავი მუხლებში ჩარგო და ფიქრს მიეცა.

დრო გადიოდა, მე კი პასუხს ველოდი. ის იჯდა თავჩაღუნული, ფეხით ანატკეჩს აწვალებდა, თან აზრის თავმოყრას ცდილობდა.

აღარ დავლოდებივარ ისედაც დაგვიანებულ პასუხს. მივუახლოვდი, მის წინ ჩავიმუხლე და ჩავჩურჩულე:

-ფიქრში დაგეხმარები ჩემო კარგო,თუ ნებას დამრთავ.

ის ისევ თავაუწევლად იჯდა და დუმილს განაგრძობდა.

-გინდა გაორებული ფიქრი ერთ აზრად გადავაქციო?-კვლავ შევთავაზე დახმარება.

მან როგორც იქნა თავი მაღლა ასწია, შემომხედა, მერე კლდეში გამოკვეთილ სარკმელს გახედა და სათქმელად მოემზადა:

-შენ რა იცი, გულში რა აზრი მიდევს?

-ვიცი,მე მინდა რომ შენ მითხრა, მხოლოდ ერთი სიტყვა, დანარჩენს მე გავაგრძელებ.

-ვთქვათ უარი ვთქვი, მაშინ?

-უარი, ძალიან ცუდი, ტრაგედიის ტოლფასი პასუხია. ერთს ფიქრობდი და სულ სხვა რამ თქვი.

-ან შენ, ჩემი ფიქრი საიდან იცი?

-გუმანით გენაცვალე.

-კარგი,თანხმობის შემთხვევაში რა იქნებოდა?

-თანხმობა კარგი პირობაა.

-რა პირობაზეა საუბარი, ვერ გავიგე.

-შეიძლება თავიდან უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ როცა აგიხსნი სულ სხვა თვალით შეხედავ ჩემს გეგმას. თუ გსურს, რომ ჩვენი მემკვიდრეები ეკოლოგიურად სუფთა გარემოში აღიზარდონ აქ უნდა დავრჩეთ.

-რაა? ხუმრობ?

-არ მაცლი ძვირფასო ახსნას, რამდენიმე წუთი შეგიძლია, რომ მომისმინო?

-ჰო,გისმენ-მომიგო უნდილად და უხალისოდ.

-ჩვენ აქ დაცული ვიქნებით ყოველგვარი ბოროტული თვალისა და სიტყვისგან. აქ არ შეგაწუხებს ელექტრომაგნიტური, რადიოაქტიური თუ რადიაციული დასხივებები. შენ კარგად იცი

ისინი როგორ ცუდად ზემოქმედებენ ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკურ აპარატზე, რაც დნმ-ს არაბუნებრივ პროგრამის გამომუშავებას იწვევს. სამწუხაროთ დღესდღეობით თითქმის ყოველ მეოთხეს სხვადასხვა თანდაყოლილ დეფექტს უდგენენ. ამიტომ ამგვარი რამ რომ არ განმეორდეს, საჭიროა, მშობიარობამდე სათანადო გარემოების შექმნა. აქ კი მისი პირობები ნამდვილად არსებობს, ხომ ხედავ?

-მე ნამდვილად მიკვირს შენი არაორდინალური საუბარი.

-ჩემო კარგო, თუ გადაწყვიტავ მოსაწყენი და გულსაწყვეტი არაფერი გექნება.

-საინტერესოა,ისიც აქ, ამ მღვიმეში, როგორ უნდა იცხოვრო?

-უფრო უკეთესად,ვიდრე გარეთ. რაც შეეხება გაორებულ ფიქრს, გადაწყვეტილების მისაღებად, გეთქვა ჩემთვის კი, ან არა, გაგესაზღვრა ერთის ან მეორის უპირატესობა, თავად ეს ვერ შეძელი და ეულად მყოფი დასახმარებლად შინაგან ხმას აყურადებდი, მაგრამ ამ დროს მე მოგიახლოვდი და საბოლოო დასკვნის გამოტანა შეგიფერხე. გარდა ამისა შენ ხომ მე ასე ახლოს არ მიცნობდი,ეს კი ყოვლად მოულოდნელ, ეიფორულ განწყობად მოგევლინა და ლოგიკური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა დაგიყოვნა, ამიტომ მოვინდომე შენი დახმარება, არა ძალდატანებით, არამედ გადაგეწყვიტა სასურველი არჩევანი თავისუფალი სურვილის მიხედვით, და კიდევ ერთს დავამატებ ჩემს სარომანო პერიოდში შენ ჩემთან ხალისი არასდროს დაგიკარგავს და არც მომავალში გექნება უინტერესო, სწორედ აქ ამ სიმყუდროვეში.

-კი მაგრამ ამ იდუმალებით მოცულ გარემოში, სადაც ჩვენ და უზარმაზარი სიცარიელეა, ეკოლოგიურ პირობების გარდა თანაცხოვრებისთვის სხვა რა პირობებს ხედავ.

-ჯერ ერთი,აქ არამარტო ბუნების პირობებს ვგულისხმობ, არამედ სულიერი და გონებრივი შემოქმედების შესაფერ, შეუბღალავ, არა ეგოისტურ, წმინდა, შენებრ სპეტაკ და ხალას გარემოს და მეორე, ორი დღის შემდეგ ამ ადგილს საერთოდ ვერ იცნობ...

უეცრად ახსნა მისმა ცრემლით ავსილმა თვალებმა შემაწყვეტინა. აღარ გამიგრძელებია, მასთან ახლოს მივიმუხლე, წინ ჩამოშლილი თმები მხრებს უკან დავუფინე, მეორე ხელით ღაწვებზე მოგორიალე ცრემლად შეფერილი მარგალიტები ავკრიფე ჩემკენ მოვიზიდე და გულზე მივიკარი.

ცოტა ხანს ასე გარინდებული ვიყავით. გაირინდა მღვიმის დარბაზებიც. თითქოს ჩვენი გულთა ცემის აჩქარებულ რითმს აყურადებენო.

ჩამოწოლილი მყუდროება ისევ მე დავარღვიე.

-კეთილი იყოს ჩვენი დარჩენა მღვიმის ჭერქვეშ, ჩემო დედოფალავ.

აღტაცებული მივესალმე მის გადაწყვეტილებას. თმებში შეცურებული თითები მხრებს შუა ჩამოვაცურე და მორცხვად დახრილი თავი მაღლა ავწიე, ნაცრემლ წამწამებს სისველე ჯერ არ შეშრობოდა. მან უთქმელად შემომცინა, მერე თვალი ვრცელ სივრცეს მოავლო და ჩურჩულით მეუბნება.

-და ეს ყველაფერი საკუთარ სახლად უნდა გავიხადოთ?

-რატომაც არა.

-მე შენ მაოცებ, შენი უჩვეულო გადაწყვეტილებებით. -კვლავ გაიკვირვა ჩემი განუსჯელი პასუხი.

-არაუშავს ნელ-ნელა შეგაჩვევ,რაც მთავარია არ მოიწყენ.

-უცნაურია,ჩვენ არც სამოსი გაგვაჩნია, არც სკამი, მაგიდა, ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო საშუალებები.

-კარგი, გენაცვალე, მაშინ უპირველესად რაც გაღელვებს მათი შექმნიდან დავიწყოთ.

-რით აპირებ, რომელი მასალა გიწყვია მღვიმის კუთხეში ან ხელსაწყოები თაროზე.

-აი მასალა -მივანიშნე კლდოვან კედლისკენ, -რაც შეეხება ხელსაწყოს, იქნებ სამიჯნურო საუბარმა დაგავიწყა ჩემი კომპას-აპარატი.

-შეიძლება ასეც იყოს. ნუთუ შეძლებს ამ ყველაფრის შესრულებას.

-შეძლებს ძვირფასო, კარგად რომ დარწმუნდე თანდათან გაგაცნობ მის საიდუმლო ფუნქციებს, როგორ ხერხდება პროგრამირება და სხვადასხვა ნივთის შეკვეთა, -ვუხსნიდი თან ხელსაწყოს ვამზადებდი საოპერაციოდ. -აბა თქვი საიდან დავიწყოთ, ალბათ დიასახლისებისთვის ყველაზე საქმიან და შრომატევად ადგილსამყოფელიდან, არა?

-სამზარეულო გაქვს მხედველობაში?

-დიახ, სწორედ რომ ეგ არის, დავიწყოთ მაგიდა-სკამე-ბითურთ, აგერ მისთვის განკუთვნილი პარაგრაფი, -ვანიშნებ აღმნიშვნელ ნიშანზე. -დავაფიქსიროთ, მისი კონსტრუქცია გადავიტანოთ საინფორმაციო განყოფილებაში თავად ინფორმაცია ლაზერული სხივის გამშვებ პუნქტში, ვრთავ ნებართვას და ოპერაციას ვიწყებთ. მრავალ და დიდ მოცულობის საგნებს ცოტა მეტი დრო დასჭირდებათ.

-ჩვენც დაველოდოთ უკვე არსად გვეჩქარება, -გაიღიმა და კლდოვან ნაწილს გახედა.

-მართალი ხარ, თან ვიოცნებოთ, რას შეიძლება რომ მივაღწიოთ, ესეც საქმეა.

-კერძოდ რის, ოცნებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

-თუკი გონებას შეუძლია იოცნებოს, ესეიგი პრაქტიკულად შესაძლებელი ყოფილა.

-როგორ გიყვარს აბსტრაქტულად მსჯელობა.

-სწორი ხარ, აბსტრაქტულია მანამდე, სანამ თვალით არ დაინახავ. ახლა მათარიდან წყალი მოვსვათ და ჩვენი შეკვეთილი მაგიდაც შესაფერისი სკამებით მზად იქნება.

სამიოდე წუთში უკვე გამზადებული შენაკვეთი კედელს მოვაცილეთ. სარკმლის წინ დავდგით და შემოვუსხედით.

-ახლა ჩემო დიასახლისო მოვიფიქროთ რა აჯობებს,ისევ სამზარეულოს მოსაწყობად რომ დავამზადოთ, რით დავიწყოთ, შემდეგ კი გადავწყვიტოთ სად რომელი ოთახი განვათავსოთ. მე თუ შემეკითხები სარკმლის პირდაპირ სადაც მომავალში კარები ჩაისმევა, ცხადია, მისაღები, მარცხნივ სამზარეულო, მარჯვნივ საძინებელი, პირდაპირ საწვრთნელ-სამეცადინო დარბაზი, ცალ-

ცალკე საშხაპით და საპირფარეშო განყოფილებით. ეზოში კი ხედავ ბუნებრივ წყალსაცავს. მის სანაპირო ზოლზე გავაშენოთ ისეთი მცენარეები, რომლებიც მზის ბატარეიის მიერ განათებულ შუქის ფონზე თავს კარგად იგრძნობენ.

-ოო, შენ კარგი გეგმა გქონია შემუშავებული, თუ ფანტაზიად არ დარჩა.

- ერთად ვნახავთ ძვირფასო ამ პროექტის რეალურ და არარეალურ მხარესაც.

-კარგი, გასაჯავრებლად არ მითქვამს, შენ ის მითხარი წყალსაცავში თევზების გაშვება თუ შეიძლება?

-არც ეგ არის გადაულახავი ბარიერი, ახლა ჩვენთვის შესაფერის საძილე ტახტს უფრო სწორად ტახტრევანს შევუკვეთავ, თორემ სადაცაა შემოგვიღამდება.

-ვახშმისთვის რომ არაფერი დაგვრჩა? -წარმოთქვა შეწუხებულმა და ნაღვლიანი თვალებით შემომხედა.

-დღეს კაფსულებს დავჯერდეთ, ხვალ ვეცდები ხვავიანად გაგიმასპინძლდე.

...ჩემი ხელსაწყო მიცემულ დავალებას სრულყოფილად ასრულებდა. შვიდიოდე წუთში ორიგინალური დიზაინით დამზადებული ტახტრევანი, თავისი ტურბინებით უკვე მზად გვქონდა.

-იცი რა მაინტერესებს? -მეკითხება თან მის ზედა ნაწილის შემოწმება დაიწყო-აი ასე რბილი მასალის შემუშავება რისგან მოახერხა?

-მარტივად,გადმოაფხვიერა ქანი, განაფინა ზედაპირზე, განაცხელა და რეზინის მსგავს მასად გადააქცია, შემდეგ ორთოპედიულ ჭრილში დაკვალა და ბოლოს ამგვარი სახით მოგვაწოდა. გადასაფარებლებსაც იგივე პროცედურა დასჭირდება. მე პროგრამას მივცემ ჩვენ კი ცოტა წავიმეცადინოთ.

-ასეთი აპარატის მქონეებს კიდევ სჭირდებათ სპეციალური ტრენინგები? -გამომაჯავრა ორაზროვანი იუმორით.

-ეს ტექნიკაა ჩემო კარგო, ჩვენ ადამიანები.შენი შინაგანი ძალის გამოყენების ხერხი ხომ უნდა იცოდე. ჩვენ შემთხვევაში

საკუთარი სხეულის ფლობა აუცილებელი წინაპირობაა, თუნდაც იმიტომ, რომ საჭიროების დროს თავისუფლად შეძლო სხეულიდან გასვლა, ხოლო, რაც შეეხება განსხეულებას, ეს უკვე უმაღლესი რანგია და როცა დრო მოვა მაგ თემასაც შევეხმიანებით. ახლა მორიგ ჩასატარებელ დავალებას გაგაცნობ, მე კი წამოწყებულ საქმეს გავაგრძელებ.

როცა მასალა გადავეცი, მე „დურგლობა“ გავაგრძელე, ის კი სამეცადინოდ სწორპირ კედელთან განმარტოვდა.

ოცდაათი წუთის შემდეგ, ჩემი რჩეული მაგიდასთან მივიწვიე, სანამ ის მოვიდოდა, მანამდე პატარა ფერადი კოლოფი მოვიტანე, რომელშიც ამპულები და კაფსულები მეწყო, მაგიდის შუაგულში მოვათავსე და მის ახლოს მოსვლას დაველოდე, თანვე მივანიშნე, რომელ სკამთან მისულიყო, მეც მივუახლოვდი და ერთად გვერდი-გვერდ დავსხედით.

-ამ ყუთში -ვუხსნი მიმდევრობით -ჩაწყობილ თეთრ ამპულებში ალკოჰოლური ხსნარია. ყვითელ კაფსულებში ციტრუსების შენაკრები ექსტრატი.მწვანეში მწვანე ხილის, ცალკეა ყურძნის და თაფლის, ბაცი ფერის კაფსულები სახამებლის შემცველი მცენარეების, ხოლო ღია მოყავისფროში კი პროტეინების შემცველი საკვების ექსტრატი. ყველა პროდუქცია, რომლისგანაც ესენია დამზადებული რომ გაშალო, ორ ასეთ მაგიდაზე არ მოთავსდება, ახლა კი მსურს ყველაზე აღმატებული სადღეგრძელო შემოგთავაზო.

ერთი ალკოჰოლიანი ამპულა მას გავუწოდე, ერთი მე ავიღე და ფეხზე წამოვდექი.

-ეს ბედნიერი დღე მინდა მოგილოცო და დაგილოცო უცილობელი და მოულოდნელი, მაგრამ ჭეშმარიტი გაბედნიე-რება. დღეიდან შენი სიხარული ჩემში გაორმაგებულ სიხარულად შემოვა და ჩემი მამოძრავებელი ძალა გახდება.ამიტომ ვეცდები, რომ ყოველთვის მხიარულ ხასიათზე გამყოფო. შენ უკვე კარგად იცი, რომ ჩემი გრძნობა უზადოდ და ხალასად დაიწყო და კვლავაც ასე გაგრძელდება, აგრეთვე ვიცი ასეთივე თავანკარაა შენი

გულიდან ამოსული სიყვარული, დაე სიყვარული იყოს, ჩემთან ერთად თანამგზავრი და მრავალჟამიერი.

სადღეგრძელოს დასასრულს ფეხზე წამოვაყენე და შუადღისას საიდუმლოდ დამზადებული ბეჭდები ერთი შეუმჩნევლად მის ჯიბეში ჩავაცურე, მეორე მარჯვენა ხელზე გავუკეთე.

-მე რომ არა მაქვს? -შემომჩივლა შეწუხებულმა და გაიბუსა.

-აბა ამ დროს ხასიათის შეცვლა შეიძლება?-დაუწუნე უადგილო წაჩივლება.

-რა ვქნა მეც ხომ უნდა გაგიკეთო?

-მერე აგერ ჩემი თითიც, ამოიღე ჯიბიდან და გამიკეთე.

მან მექანიკურად ჯიბეზე ხელი მოიფათურა და უცებ შეკრთა. ამოიღო. ნანახით განცვიფრებული ბეჭედს ხან აქეთ ატრიალებდა, ხან იქით, ნამდვილი არის თუ არაო.

-აი შენც აღმოგაჩნდა, ხედავ? -მივეხალისე უცნაური განცდით შეთრთვინულს.

-ეს როგორ, აქ საიდან გაჩნდა. -უჭირდა ბეჭდის არსებობის დაჯერება.

-ბეჭედი ნამდვილია ჩემო კარგო, სანიშნოდ ურიგო არ არის, მერე კი გავარკვიოთ საიდან.

მან ხელის გულიდან ბეჭედი აიღო, სამ თითს შუა დაიჭირა და როცა დაიწყო ბეჭდის თითზე მორგება, ამ დროს კომპას-აპარატიდან ჩემს მიერ შეკვეთილი საზეიმო მუსიკის ხმა გაისმა, მუსიკის ფონზე პირველი ამბორი, ყველა ამბორზე მოკრძალებული და სამახსოვრო.

-დალოცვის შენი ჯერია ძვირფასო. -შევახსენე ჩემს წინ გაუნძრევლად მდგომარე, რიდიან ფიქრებით თავშებურვილ დედოფალს.

-მიუხედავად იმისა, -დაიწყო ათრთოლებული ხმით, მაგრამ საამო ტონით, -რომ ჩვენ არატრადიციულ გარემოში ვიმყოფებით, ირგვლივ ყველაფერი რასაც ვუყურებ ლამაზი და მშვენიერია, რომლის ავტორი და შემსრულებული თავად შენ ხარ.ჩემს გრძნობას წლების წინაც ვერ ვხსნიდი, მიჭირდა ახლაც, თუმცა დღეს ამ

წუთებში გამოუთქმელი აღტაცება მეუფლება. სიყვარულით გიმზერ და ვერ წარმომედგინა ეს უბრალო მომხიბლავი ჭაბუკი ჩემს წინ გენიად მომევლინებოდა.

-კარგი, რა დავიმსახურე ისეთი, რომ ასე დიდად მაქებ.შენ თუ მხედველობაში ჩემს მიერ შექმნილი აპარატი გაქვს, იქ არაფერი რთული ოპერაციები არ ხდება.ელემენტარული, მხოლოდ კონკრეტული, შესაბამისი კომბინაცია სჭირდება, ესაა და ეს.

-შენთვის ელემენტარულია, ჩემთვის განსაცვიფრებელი.

-თანდათან შეგაჩვევ, აი ეს კაფსულა გამომართვი,როცა დალევ მიაყოლე.მე კი კიდევ ერთ სადღეგრძელოს შემოგთავაზებ.

კოლოფიდან მორიგი ამპულა ავიღე და მის მოსმენას დაველოდე.

-მზად ვარ, შეგიძლია თქვა- მითხრა და ჩემკენ შემობრუნდა.

-არ გეგონოს ჩემო კარგო, ჩვენი ბედნიერების შესახებ არავინ შეიტყო. ენ-ინფო-ქსელი, ტერმინს მოგვიანებით აგიხსნი.ყველას აცნობს, განსაკუთრებით ჩვენს ახლობლებს, მინიშნების სახით.

-იქნებ, ბოდიში,რომ გაწყვეტინებ, გამაგებინე თუ შეიძლება, ვინ შუამავლობს.

-ეს ის ენერგო ინფორმაციული ქსელია, მთელ სამყაროს რომ მოიცავს.ახლა ჩვენ ზემოთ სივრცეს შეხედე და თვალი არ მოაშორო.

ხელსაწყოდან გამომავალი სხივები იმ წერტილისკენ მივმართე, სადაც მივანიშნე.სხივფიქსმა სივრცის მოცემულ წერტილზე ეკრანი გამოსახა.

ჯერ დედამიწის პარონამა ვაჩვენე, შემდეგ უფრო ზემოთ ავინაცვლე.

-ესენი -თან ვუჩვენებ -გალაქტიკის დიდრონი წევრებია, საკუთარი თანამგზავრებით. მომდევნო კადრში მეზობელი გალაქტიკები ანუ სამყაროს საერთო ხედი ჩანს.

-ამ სიუჟეტს რატომ მაჩვენებ?

-ეს იმიტომ, რომ ჩვენი ბედნიერება მთელი სამყაროსთვის უკვე ცნობილია და გვეხმაურება.

-ნუ დამაბნევ,ამ საღამოს მაინც.

-მართალი ხარ, უწინარეს ყოვლისა უნდა ამეხსნა. არც ახლაა გვიან. თანამედროვე მეცნიერების კვლევის შედეგების მიხედვით ყოველი ადამიანი ასხივებს ინდივიდუალურ კოდს, ალბათ იცი.

-კი მსმენია.

-მის მოძრაობის სიჩქარეზე თუ რამე გაგიგონია.

არა.

-უსაზღვროა,ამიტომ იცის სამყარომ ჩვენი ინდივიდის შესახებ,რომ ეს კოდი არა, შეგვეძლო დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ერთდროულად სამყაროს ორ-სამ ადგილას გვეგრძნო თავი,ასეთია მათი აზრი.

-და თუ ამგვარად არის, მაშინ თავდაპირველად იცის ყოვლის შემოქმედება.

-რასაკვირველია, ჩვენ ისღა დაგვრჩენია მადლიერება გამოვხატოთ მათი მოლოცვების გამო.

-ასეთი უჩვეულო და ამავე დროს საინტერესო სადღეგრძელო არასდროს მომისმენია. ადამიანს ეჭვიც კი შეეპარება შენს დედამიწისეულობაში.რა გაეწყობა, სუფრის ხელმძღვანელმა რაც ბრძანა მასვე უნდა დავემორჩილო,მეც ლოცვით ვუერთდები შენს წარმოთქმულ სიტყვებს და მადლობას ვუხდი ყოველთა მათგანს. ღირსნი გავმხდარიყავით ღვთიური მადლის გადმოვლინების.

-ამინ, მიირთვი გენაცვალე.

-გმადლობ,ვახშამიც ასეთი უნდა, სრულიად განსხვავებული მაგიდა, სასმელები, სასმისებით, კერძებით, ფართოეკრანიანი ტელეცენტრით, თან ხელი მისკენ გაიშვირა სადაც ეგულებოდა, რომ ვერ შეამჩნია, შემომხედა-ის სად გაქრა?

-თუ რაიმე გსურს თქვი და ეკრანიც გამოჩნდება სხვადასხვა მაუწყებლობით.

-ფილმი თუ შეიძლება.

-რომელი გსურს?

-რობიზონ კრუზო.

-მინიშნება გასაგებია, ჩვენ თანამედროვე რობიზონები ვართ არა?თუ არ ხუმრობ ახლავე გაჩვენებ.

-არა,შემდეგისთვის, უკვე ძლიერ გვიანაა.

-სწორი შენიშვნაა, სჯობს დავისვენოთ. ჩვენს მოპირდაპირე მხარეს მეფე-დედოფლის ავანზალს ხედავ?

-ვერა.

კითხვა მაშინ გავუმეორე, როცა აპარატს მალულად ჩემთვის საჭირო მოქმედება შევასრულებინე.

-ახლა?

-ვაუ, -წამოიძახა გაოცებულმა-ეს რა არის?

-მოგწონს?

-უკომენტაროდ.

-შენ რომ მეცადინეობდი მაშინ გავალამაზე. ჩვენ წინ ენერგეტიკული კედელია. შესასვლელი მარჯვენა მხარესაა. კედლის იერს ვცვლი და ნარინჯისფერში გადამყავს, შესასვლელი ღია ლაქის ელფერს შევუხამე, რადგან გაარკვიო სადაა ნამდვილად კედლის ზონა. ასეთივე იქნება დანარჩენი ავანზალებიც.

-წავიდეთ რა,დავათვალიერო მინდა-სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა რომ მოულოდნელად ხელი ჩამჭიდა და ფეხზე წამომაყენა.

მაგიდას მარჯვენა მხრიდან შემოვუარეთ, არ მისული ავანზალამდე შესასვლელში კარის სივრცემ ფერი იცვალა.

-დაიმახსოვრე, -თან ვუხსნი-ეს იმის ნიშანია, რომ შესვლა შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში,დაგსეტყვავს, ბრჭყალებში გენაცვალე.

-ესე იგი საშიშია

-შენთვის არა,უკვე საშვი გაქვს მიღებული.მღვიმის ბინადრებს კი ნებას არ მისცემს.აბა,ერთად გადავაბიჯოთ ზღურბლს უსათუოდ მარჯვენა ფეხით.

ზღურბლს გადავედით თუ არა საკარე სივრცე ისევ ღია ლაქისფერად შეივსო.

-რა ხდება, კარი მოგვიხურეს?

-კი,მყუდროდ რომ ვიგრძნოთ თავი, ხომ ხედავ,როგორ ზრუნავენ, აი ეს კი ჩვენი საძილე გარემოა.

-შემოქმედების ნიჭი ნამდვილად გქონია,სადა და მშვიდ ფერებში გადაგიწყვეტია, მკრთალი შუქი ლამაზ დიზაინს უფრო ამშვენებს. ძალიან მომეწონა-სასიამოვნო განცდამ სახე გაუნათა.

-ასე იცის ძვირფასო სიყვარულის ძალამ. -მივეტრფიალე ჩემს რჩეულს, მხარზე მკლავი შემოვხვიე, ხელში ავიტაცე და ნებაწართმეული ტახტრევანზე დავსვი...

თაფლობის პირველი დილა სრულიად განსხვავებულ განწყობაზე გათენდა.

-დილა მშვიდობისა, -მივესალმე ახლახანს შეღვიძებულ უკვე მეუღლეს-როგორ მოისვენა ჩემმა დედოფალმა.

-გმადლობ,ჩემო მბრძანებელო-მშვიდად მომიგო და თავი მხარს მოაყრდნო.

-შენთვის დილაადრიან პატარა საჩუქარი მაქვს.

-რა არის,დილას საჩუქრით იწყებ?

-რასაკვირველია ძვირფასო, ადრიანად უნდა შეიქმნა კარგი განწყობა, რომ მთელი დღე საკვებად იკმარო-მივეხალისე მეუღლეს და თან თვალებზე ჩამოშლილი თმები გადავუწიე.

-ასეთი განსაკუთრებული რა არის ალიონზე რომ მჩუქნი-შემომცინა და თავი წამოსწია.

-ახლავე მოგართმევ ბაქშიშს გენაცვალე.

-ეგ სიტყვა საიდან მოიძიე.

-უბის წიგნაკში მქონდა ჩემო კარგო ჩაწერილი და ახლა გამახსენდა.

ტუმბის უჯრა გამოვაღე,იქიდან ბრწყინავი რუმბი ამოვიღე და გავუწოდე.

-ოო, რა ლამაზად ბრწყინავს, ამგვარ ძვირფას მინერალს პირველად ვხედავ უღრმესი მადლობა, ასეთი ძვირფასი საჩუქრისთვის. -ორივე ხელი კისერზე მომხვია,ნატიფრად მეამბორა და საჩუქარი გულში ჩაიკრა.

-ეგ საჩუქარი ჯერ არ დასრულებულა ძვირფასო.

-რას ნიშნავს არ დასრულებულა-შემომხედა გაკვირვებულმა.

-აბა გახსენი.

-ეს კიდევაც იხსნება?გასახსნელი რომ არ ჩანს?

-შენკენ მოატრიალე და გაიხსნება. -მან ზედა ნაწილი თავისკენ შემოატრიალა, ნელ-ნელა ფრთხილად ასწია, შიგ ჩახედვა და შეყვირება ერთი იყო.

-დედა ამას რას ვხედავ.

-დედა აქ არ არის, ეგ კი ბუნებრივი ალმასია, მეორე ნაწილი უკვე დამუშავებული ანუ ბრილიანტი.

-აქ საიდან გააჩინე, რა მშვენივრად ელვარებენ.აი სიურპრიზიც ამას ჰქვია.ჯერ საწოლიდან არ ავმდგარვარ, უკვე დღე სასწაულით იწყება. არ ვიცი რა სიტყვები მოვძებნო ამ სიხარულის სამადლობლად.

-არ შეწუხდე გენაცვალე,შენი სიხარული ჩემთვის სამად-ლობელია.

-რა მშვენიერია და სასიამოვნოა მათი ცქერა.

-სანამ არ მოგწყინდება უცქირე, თანვე დატკბი

-მე რო ვერაფერს გჩუქნი?

-შენცა გაქვს, თუ მოისურვებ მომიძღვნი ალბათ.

-რას გულისხმობ?

-შენი ტუმბის ზედა უჯრა გამოსწიე და დაინახავ.

მის თვალებში ცნობის წადილი აენთო,გვერდი იცვალა, სწრაფად უჯრა გამოაღო და შეჩერდა. ფოლგის მსგავს ოქროსფერ ფურცლებში შეფუთულ ნივთს დააცქერდა. გაეღიმა ჩემს ოინზე, იღიმოდა,თან ფიქრობდა, გაეხსნა თუ გაუხსნელი გადმოეცა.

მის ორჭოფობის მიზეზს მყისვე მივხვდი, უხერხულობა რომ განმემუხტა ვურჩიე.

-ძვირფასო, საჩუქარს მეც გახსნილს მივიღებ.

-არა, ერთად გავხსნით, გარეთა ნაწილს მე შემოვხსნი, შიგნითა შენ-განმიცხადა კატეგორიულად.

-მეორე ნაწილიც შენთვის მომინდვია,ჩემო კარგო, ასე აჯობებს-გადაწყვეტილად მივუგე მეც.

პატარა ბავშვივით გაუხარდა მაშინვე მიუბრუნდა თავის დაწყებულ ხელსაქმეს, შეფუთულ ნივთს მეორე ფენაც სასწრაფოდ

შემოაცალა და სახეც გაებადრა. ხელში შემოდგომის მრავალ-ფეროვნებით შემოსილი, მინიატურული მთა შერჩა.

-ძალიან ლამაზია-გამიღიმა და გამომიწოდა.

-გმადლობ ძვირფასო, არაჩვეულებრივი პალიტრაა.

-მეც აღტაცეული დავრჩი, ნამდვილი ბუნებრივი შეფერებაა.

-ნეტავ მის წიაღში რა იქნება-ვთქვი ჩემთვის სხვათაშორის.

-საინტერესოა, თუმცა ეგ შენ უფრო კარგად გეცოდინება.

-მე რატომ?

-იმიტომ.

-კარგი, კამათს ნულარ დავიწყებთ. აგერ ხედავ-მივუთითე ფოთლით შენიღბულ რაფაზე.

-ვხედავ.

-აი ეს უნდა გამოვაღოთ, ახლავე გაჩვენებ-ზედ მიმაგრებუ-ლი ფერადი ფოთოლი ჩემკენ შემოვაღე და შიგნით შევიხედე-ოო,აი ეს მესმის.

-რა იქნება მეც რომ მაჩვენო-მთხოვა და სულმოუთქმელად შიგ შეიჭვრიტა. პირი სიტყვის სათქმელად გააღო, მაგრამ ვერ მოახერხა.

-რა მოხდა, თქმასაც რომ ვერ ახერხებ?

-ჩვენი მღვიმე-როგორც იქნა ამოთქვა-ოქროს სტალაქ-ტიდებით, მოწყობილი ავანზალებით, ალმასებით დამზადებული ავეჯით,ნუთუ ესენი ყველა ნამდვილია?!

მან ჯერ არ იცოდა,რაც უნდა სცოდნოდა,როცა მთის კლდოვან ნაწილს ვამუშავებდი მის ზედა ქანებში შემთხვევით აღმოვაჩინე სხვადასხვა სახის მინერალი, უფრო ღრმად შედარებით ძვირფასი წარმოშობის კრისტალები და სპეკალი ქვების ფენები.სწორედ ესენი ფიგურირებენ ბევრ ჩემს მიერ დამზადებულ ავეჯის შემადგენლობაში. ამიტომ ბრწყინავს ყოველი მისი ნაწილი. ამ ძვირფასი ქვებისგანაა ასევე კეთებული ბევრი ჩემი საჩუქარი, ხოლო რაც შეეხება გამხელას,იმ მიზნით არ ვუმხელ, რომ მინდა როგორმე გამოვზოგო მისი მოულოდნელი აღმაფრენები და დროში გავწელო ჩემი სასურველი განწყობის მოლოდინი.

-ჩემო კარგო, -ვპასუხობ მის დაეჭვებულ შეკითხვას-უნდა შეამოწმო თუ იცი მათი შემოწმების ხერხი.

-თვალით ბუნებრივს ჰგავს, სპეციალური ნივთიერება კი მე არა მაქვს, რომ დავამტკიცო.

-ბუნებრივია ძვირფასო, ბუნებრივი. კარგად მაქვს შემოწმებული.

-კარგი, დაგიჯერებ, არ ავდგეთ, სანამ არ გავოგნებულვარ?

-მართალი ხარ, საქმეს ვეწიოთ-ვთქვი და ფეხზე წამოვდექი.

დილის პროცედურების შესრულებას მე მალე მოვრჩი, ის კი ახლად მიცემული დავალების შესრულებით იყო დაკავებული. სანამ მეცადინეობას აგრძელებდა, მანამდე წინა დღით დაწყებული ავანზელების მოწესრიგება გავაგრძელე. სამზარეულოს დარჩენილი ავეჯის ნაწილიც შევუკვეთე, ასე, ერთსაათიანი წასაქმებისა და მეცადინეობის დასრულების შემდეგ მაგიდას მივუსხედით.

-ამჯერად ისევ კაფსულებით მოგვიწევს გამოკვება, მერე რამეს მოვიფიქრებ.

-მაინც რას?

-ამ დილით ვაპირებ მოძრავი კაბინის დამზადებას, რომელიც იმოძრავებს, როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურ და დიაგონალურ ხაზებზე.

-მერე რაზე ამოძრავებ?

-შეიქმნება მაგნიტური სალიანდაგო სისტემა. ახლა შემეკითხები მაგნიტურ ველს საიდან მივიღებ,მეც გიპასუხებ,მზის აკუმილირებული ენერგიისგან, იგივე ველისგან შეიქმნება დამცავი ენერგო ფარი,უცხო თვალისგან,რომ ვიყოთ დაცული ,აგრეთვე, სპეციალური მოსასხამი, რომელსაც შეეძლება ჩვენი გაუჩინარება. შემდგომ კი მდინარიდან ცოცხალ თევზებს ამოგიყვან,მთის კალთაზე სოკოებს მოგიძებნი და სხვა თავ ტყის ნობათს მოგართმევ.

-მაშ დღეს საინტერესო გეგმა გვქონია, მეც რომ დამიხმარო რა მოხდება.

-მორიგ მეცადინეობამდე გაქვს დრო, აბა, რაღას ველოდებით, შევუდგეთ ჩვენი პროექტის დაწყებას.

თითქმის ნახევარი დღე დაგვჭირდა,მოცემული გეგმა, რომ სისტემაში მოგვეყვანა.დასასრულს,სანამ მომდევნო საქმის წარმოებას დავგეგმავდით, ჯერ დასვენება გადავწყვიტეთ,მე მისაღებში ჩამოვჯექი, მან კი პირდაპირ სამზარეულოს მიაკითხა.

ეს-ეს იყო დაღლის განსამუხტად სავარჯიშოს შესრულებას ვიწყებდი,რომ მისი ხმა შემომესმა.

-შეგიძლია ერთი წუთით მოხვიდე?

-ახლავე,უკვე მანდ ვარ-გავძახე მეუღლეს და ფეხზე წამოვდექი.

სამზარეულოში რომ შევედი, ის ქურასთან იდგა და თავზე დასჩერებოდა.

-ვერ გავარკვიე თუ როგორ მესარგებლა.

-კარგია,რომ დამიძახე, თორემ მარცხს ვერ აცდებოდი.

-მართალს ამბობ?- შემომხედა და უკან დაიხია.

-არ ვხუმრობ,სახიფათო ნამდვილად არის,მაგრამ ორმაგად დაზღვეულია. ეს პატარა დანადგარი არის მზის სითბური ენერგიის გამაძლიერებელი. კარგად მომისმინე, ზემოთ ხედავ ფრიალა ზედაპირს?

-კი.

-ამ წითელ ნიშანს თითს მიადებ ჩაირთვება.თეთრით გაითიშება.რაც შეეხება მესამის ფუნქციას,ციფრი ერთი ნიშნავს საშუალო სიძლიერის სიმხურვალეს ციფრი ორი ძლიერს,ესაა სულ.სხვა შეკითხვა ხომ არა გაქვს.

-არა.

-შენ არა გაქვს,მე მაქვს.

-ისეთი დამისვი რომ ვუპასუხო.

-მე ვიცი,რომ შენ ჩაის დალევა მოგენატრა.

-საიდან გამოიცანი?

-გუმანი დამეხმარა. ზურგჩანთაში მეგულება მწვანე ჩაი. მოვძებნი. მანამდე წყალი აადუღე. პირველ თაროზე თიხდაგვარი

ჭურჭლები აწყვია. დაათვალიერე და რომელიც მოგეწონება გამოიყენე.

ჩანთა მისაღებში მქონდა დატოვებული, იქ გასულმა შიგ რაც კი რაიმე მქონდა დარჩენილი ამოვიღე და სამზარეულოში გამოვიტანე.

-ადუღდა ჩვენი წყალი?

-ცოტაც და ადუღებას დაასრულებს.

-როგორ მოგწონს ადგილობრივი მასალისგან დამზადებული ჭურჭლები.

-კომფორტული მოსახმარია, თან სარგებლიანი.

-რა გზა მაქვს, რომ არ დაგეთანხმო. აი ჩაის პაკეტებიც. დავასხათ ადუღებული წყალი და ოც წამში მზად იქნება,თუ უფრო მაგარი გვსურს ცოტაც დააცადე ოღონდ ქაფქაფას ნუ მიასკდები.

-მე რომ სწორედ ასეთი მიყვარს?

-მე არ გირჩევ.

-მეც შევანელებ და ისე დავლევ, კიდევ რაღაც მინდოდა მეთხოვა.

-რა არის იმგვარი, რისი შესრულებაც არ შემეძლება.

-თავად შენზეა დამოკიდებული.

-მაშინ რას ელოდები, მთხოვე.

-ხვალ დილით რა მოხდება მეც რომ წამიყვანო.თევზებს თუ ვერ დავიჭერ სოკოებს მაინც მოვძებნი.

-თანახმა ვარ, მაგრამ ტრენირებას არ გამოტოვებ.

-რაღა თქმა უნდა, კარგი ბიჭი ხარ. -შემომცინა. ხელი-ხელს შემოკრა და გადამეხვია.

-მოგზაურობა ყველას უხარია, შენ კი მათ შორის გამორჩეული ხარ.

-მართალს ამბობ, თავისებურად მეც მიხარია, მიყვარს ბუნების პეიზაჟების დათვალიერება. რაც აქ ვარ მზე არ მინახავს.

-ჩემო მზეთუნახავო, მზესაც ნახავ და ვარსკვლავებსაც. ახლა მე წავალ და რაც გავაკეთე შევამოწმებ. ჩაი უკვე დავლიე, შენც რომ დაასრულებ შეგიძლია მერე მსუბუქად წაივარჯიშო, არ დაგავიწყდეს სავარჯიშოები აფფირმაციებით რომ დაიწყო.

-კარგი,ეგრეც იქნება, - დაეთანხმა მიცემულ რჩევას.

სამზარეულოდან მისაღებ ოთახში გავედი საჭირო ხელსაწყო ავიღე, კაბინაში შევედი და მის შემოწმებას შევუდექი. ხელთავიდან გადავამოწმე მისი ყველა რგოლი,განსაკუთრებით მართვის სისტემა.

კაბინის პირი ხევისკენ მივმართე, მარიაგირებელ ტვიფრს მივანიშნე და რამდენიმე წამში მთის ძირში ვიყავი. კაბინიდან გადმოვედი თუ არა უმალ თვალი მოვავლე ხეობას, როგორც ჩანს ამ მხარეს მიუვალობის გამო, ადამიანს თავი აღარ შეუწუხებია. სამაგიეროდ მტაცებელი მხეცების სიჭარბე იგრძნობოდა. ამიტომ ყოველი ჩამოსვლის დროს საჭირო იქნებოდა უსაფრთხოებისათვის სათანადო ზომების მიღება. მერე მდინარის ნაპირს მივუახლოვდი. ღრმა არ იყო, სადაც ფონი ჩანდა იქ უამრავი თევზი ირეოდა. მის პირზე გარდი-გარდმო მოსიარულე ცხრაფეხიანებიც შევნიშნე, ორი ცალი, რამდენიმე ფართო ფოთლებში გავახვიე და უკან დავბრუნდი.

ჩემი დიასახლისი მისაღებ ოთახში გამოსულიყო და სულმოუთქმელად მელოდებოდა.

-ვინერვიულე ცოტა რომ შეგაგვიანდა.

-შენი ნერვიულობა რომ არ შეიძლება?

-ყოველთვის ვერ ვითვალისწინებ, თანდათან ვისწავლი. შენ ის მითხარი, გამოცდამ როგორ ჩაიარა?

-უნაკლოდ. დილას შეგვიძლია უხიფათოდ ვიმგზავროთ.

-მიხარია, ხვალ რომ კარგი დღე გველის.

-უეჭველად, თუმცა ერთი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

-რას ვითვალისწინებთ?

-რადგან ქვემოთ ველური ბუნებაა, უიარაღოდ იქ წასვლა შეუძლებელია, ამაზე ახლავე უნდა ვიზრუნო. აი ეს კი შენ საჩუქრად.-გავუწოდე ფოთლებში შეხვეული ცხრაფეხები.

-ეს რაღა არის?

-გახსენი და გაიგებ.

მან ფრთხილად გამომართვა ფოთლებით შეფუთული ფუთა და ნელ-ნელა დაიწყო ჯერ ერთი ფოთლის შემოცლა, მერე მეორის, მესამე ბოლომდე არ გაუხსნია, რომ შეჰყვირა და უცებ ხელიდან გააგდო.

-რამ შეგაშინა, პირველად ხედავ?

-არა, უბრალოდ არ ველოდი.

-მოდი მღვიმის წყალსაცავში გავუშვათ, ხვალ თევზებიც მივუმატოთ, მაგრამ ვინაიდან მდინარის თევზები დამდგარ წყალს ვერ ეგუებიან, სპეციალურად მათთვის წყლის მოძრაობის იმიტაციას მოვაწყობ, რომ თავი შინაურ გარემოში იგრძნონ. ესენი კი ისევ ფოთლებზე დავსვათ და წყალში გავუშვათ.

-შენ მოკიდე ხელი მე ვერ მივეკარები.

-ჰო, კარგი შენ სეირს უყურე-ვურჩიე მოშიშარ დიასახლისს. ცხრაფეხები ფოთლებზე გადავიყვანე და წავედით.

იქ რომ მივედით წყალსაცავის ნაპირზე გავუშვით,ჩვენ კი იქვე დაბალ გრძელ მერხზე ჩამოვსხედით. დასმისთანავე ორივე სანაპირო ზოლს გაუყვნენ, მერე წყალთან ახლოს შეჩერდნენ, ფეხების ფხაკურით ჩამალვას ცდილობდნენ, მაგრამ სამწუხაროდ მდინარის სილის ნაცვლად, ქვეშ სალ კლდეს წააწყდნენ. რაღა უნდა ექნათ, მიტრიალდნენ და წყლისკენ გასწიეს.

-იმ კრიალა წყალში საკვებს რომ ვერ ნახავენ, უკმაყოფილონი ისევ უკან დაბრუნდებიან.

-მაშინ თევზებსაც იგივე პრობლემა გაუჩნდებათ, ჩვენ კი მათ საკვების შოვნაზეც მოგვიწევს ფიქრი.

- არც ეგ გახდება გადაულახავი ბარიერი. ახლა ავდგეთ ძვირფასო და სასადილო ოთახში გავიდეთ. ცოტაოდენი კალორია მივიღოთ და დავისვენოთ, ხომ იცი ხვალ შრომატევადი დღე გველის, ამიტომაც ადრიანად მოვისვენოთ, აბა ხელკავი მაჩვენე როგორ გეხერხება.

-ძალიანაც კარგად, -მარჯვენა ხელი მკლავს შემოხვია, თან აღტაცებით შემომხედა.

-ყოჩაღ, მაშ წავედით, ფეხი ავაწყვეთ და ფეხაწყობილები სამზარეულოში შევედით.

ცოტა რომ დავნაყრდით, აღარ გავჩერებულვართ, წამოვდექით და საძინებელს მივაშურეთ.

ეს ღამეც ტკბილად დაიწყო.

მკრთალი შუქი მყუდრი გარემოს საამური ელფერით ანებივრებდა, სასიყვარულო განწყობას თავბრუდამსხმელი გრძნობით აღაგზნებდა და მაამებელი ემოციებით აღტაცებულებს სატრფიალო განცდის მესაიდუმლედ გვხდიდა...

ეს-ეს იყო, ტრფობის ალით გაჯერებულებმა, ახლად წამოწყებულ მშვიდი მასლაათით განწყობას ვიხანგრძლივებდით, რომ უცებ ნათების ძლიერმა შუქმა წამიერად მღვიმე გაანათა.

ორივემ ერთდროულად თავი მაღლა ავსწიეთ.

-შეშინდი ძვირფასო- ხელი მოვხვიე და მის ფერმკრთალ ღაწვებს მივუალერსე.

-ჩვენთან მოხდა თუ... -ფრაზა არ ჰქონდა დაბოლოებული რომ ხელმეორედ გაიელვა.

-არა ჩემო კარგო, შიგნით თითოეული ავანზალი გაორ-მაგებულ დაცვის სისტემაზეა აყვანილი, გარეთ კი ყოველ ოც მეტრზე მეხამრიდები მაქვს დამონტაჟებული.

ჩემი სიტყვის დასრულება და კიდევ ერთხელ გაიელვა და თან ძლიერი გრუხუნიც მოჰყვა.

-ხვალ ალბათ ჩაგვეშალა გასვლა.-ჩაიდუდუნა თავისთვის და წყლიანი თვალებით შემომხედა.

-წვიმის დროს რა ხეირია ძვირფასო, თუმცა გული მკარნახობს რომ დღის მეორე ნახევარში აუცილებლად გამოიდარებს.

-მეც მინდა ეგრე ვიფიქრო, მაგრამ ეგ ხომ ვარაუდია.

-არა გენაცვალე, მე თადარიგი დავიცავი, თორემ ადვილი შესაძლებელია აისი დარით დაიწყოს. კარგი ნუღა განიცდი, სჯობს დავიძინოთ, ყველაფერი კარგად იქნება.

მომდევნო დღეს, როცა დილის პროცედურებს მოვრჩით, როგორც ვივარაუდე უღრუბლო და მზიანი დარი დადგა, ისე გაუხარდა გამოდარება, რომ ყოველ წუთს გასვლის დროს მეკითხებოდა.

-ათ წუთში გავალთ - ბოლოსდაბოლოს ამოვუთქვი გადაწყვეტილი პასუხი-მანამდე მოვემზადოთ.

ჩემთვის საჭირო ნივთები ზურგჩანთაში ჩავალაგე, მისაღებში ჩამოვჯექი და მის გამოსვლას დაველოდე. მალე ისიც გამოჩნდა.

-მზად ხარ მზეთუნახავო?- ვეკითხები ჯერ ჩემამდე არ მოსულს.

-მზად ვარ ჩემო რაინდო-გამექათინაურდა პასუხად.

-მღვიმიდან რომ გავალთ, იცოდე, აივანი ბუნების ფერებითაა შენიღბული, ასევეა კაბინაც, მაგრამ ის იერს იცვლის მოძრაობაში და უჩინარი ხდება. ერთი მოსასხამიც წავიღოთ, ყოველშემთხვევისათვის.

-რატომ, იწვიმებს?

-ეს არ არის საწვიმარი მოსასხამი, კიდევ ერთხელ აგიხსნი. მას ორი ფუნქცია გააჩნია. პირველი ღებულობს ბუნების იმ შეფერილობას რა ადგილზეც დაგვჭირდება, მეორე, მას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში უჩინარი გაგვხადოს. თუმცა მოსასხამის როლსაც შეითავსებს.

-მაშინ აუცილებელი ყოფილა.

-მაშ წავედით.

კაბინაში რომ შევედით, თავდაპირველად მისი მართვის პრინციპი გავაცანი, შემდეგ კი მარეაგირებელ ტვიფარზე სტარტის ნიშანს მივანიშნებინე.

-რამდენიმე წამი და ქვემოთ ვიქნებით.

-რა რეაქტიულია?

-დაახლოებით, უკვე მოვედით, შეგიძლია გადახვიდე და დატკბე ბუნების პეიზაჟებით.

კაბინიდან გადმოვიდა თუ არა, მონატრებულმა გულმოჯერებით დაიწყო ყოველ მხარის ათვალიერ-ჩათვალიერება.

-რა მშვენიერია. -სიამოვნებით აღმოთქვა მკლავები გაშალა და მზეს ახედა-ლამაზია ეს თვალაუწვდენელი კლდოვანი მასივებიც კი.მოდი ცოტა გავიაროთ თუ წინააღმდეგი არ იქნები.

-პირიქით, მაგრამ გაფრთხილებ, კი არ გაშინებ, თუ რომელიმე ნადირი გამოჩნდება არ დაფრთხე, მე მომენდე. გასაგებია არა?

-კარგი უმალ შენთან გავჩნდები.

-როგორც ვხედავ ძალიან მოგეწონა ველური ბუნება.

-კი, ძალიან. აქ უსიამოვნო ის არის, რომ მდინარის ხმაური ყველა დანარჩენ ხმებს, რომ ფარავს. ალბათ ფრინველები ქვემოთ წყლის დასალევად ან საჭყუმპალაოდ თუ ჩამოფრინდებიან.

-რატომ, ამ გარემოსაც ჰყავს საკუთარი ფრინველები და ცხოველებიც.

ასიოდე მეტრი მანძილი,რომ გავიარეთ, შემოვბრუნდით და ხეობას დაღმა დავუყევით. რაც უფრო ქვემოთ მივდიოდით მცენარეთა საფარი შედარებით უფრო ჭარბობდა.

-აბა, გაიხედე მდინარის გაღმა-ვაჩვენებ ჩემს მიერ შეთვალიერებულ ადგილს- ხედავ, დაახლოებით ორმოცდაათ კვადრატულ მეტრის ფართობს, მზის გულზეა გაშლილი.

-ვხედავ, ამით რისი თქმა გინდა?

-იქ შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის მოყვანა, თავისთავად თესლეულიც სუფთა უნდა იყოს.

-მერე საიდან?

-მაგ საქმეს მე მოვაგვარებ, ისეთ ადამიანს ვიცნობ ოდიდგანვე თვითონ,რომ გამოჰყავს თავისი მოწეული ბოსტნეულიდან თესლები.ზოგს თავად იყენებს, ნაწილს კი ყიდის.

-კარგი იდეაა, მაგრამ იქ როგორ წახვალ,ჩვენ ხომ სხვა სახელმწიფოში ვართ.

-ამ პრობლემასაც მე მოვაგვარებ.

-მე მარტო მტოვებ? -შემომჩივლა, თავი ჩაღუნა და მყისვე მოიღუშა.

-მხოლოდ რამდენიმე საათი.

-ეგ შეიძლება მთელი ათი საათი იყოს.

-არა გენაცვალე, მარტოოდენ ორი საათი.

-ცრუობ, ორი მხოლოდ აეროდრომამდე დაგჭირდება, ისიც საეჭვოა.

- როდის მოისმინე ჩემი სიცრუე.

- დღეს, კერძოდ ეხლა.

- ჯერ ხომ არ მომხდარა, ორ დღეში დარწმუნდები ჩემს სიმართლეში, ცოტა წინ წავიწიოთ, ადგილზე ნუ გავჩერდებით, ისე აჯობებდა სოკოების მოსაძებნად ავსულიყავით.

-სხვა დაგვასწრებს თუ რა.

-ადრიან დილით, ნაწვიმარზე უფრო უკეთესია, არა უშავს, მერე ავალთ, ცოტაც გავიაროთ, შევხედოთ, უფრო წინ რა ხდება.ფრთხილად უნდა ვიყოთ წყლის პირას შეიძლება რომელიმე მხეცი იყოს ჩამოსული. ამიტომ ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ მესამე თვალის გახსნაზე ტრენინგებს ხომ ასრულებ?

-კი

-გარკვეული დოზით გრძნობელობა უკვე გამომუშავებული გექნება. ახლა ეს შენთვის ერთგვარი პრაქტიკული მეცადინეობაა.

-აი იქით გაიხედე. -მიმახედა ხეობის მარჯვენა მხარეს-ხედავ ლამაზ ჩიორებს როგორც იქნა გამოჩნდნენ, მათი ფრთები უჩვეულო ფერებით შეუმკია ბუნებას.

-დავინახე, ნამდვილად მშვენიერები არიან, რაკი ფრინველები გამოჩნდნენ, სხვა ბინადარნიც ახლოს იქნებიან. დააკვირდი ამ სანაპირო ზოლს, შედარებით სილა ჭარბობს, მდინარეც მდორედ მიედინებოდა, თავისთავად ხმაურიც ნაკლებია.

-ნიშნავს რამეს?

-უბრალოდ შეგვიძლია მივაყურადოთ ბუნების იდუმალ ხმებს. ერთი წუთით ხელი მოვკიდე და შევაჩერე.

-რა მოხდა?

-ველურ ბუნებაში ყურადღების მოდუნება გიმეორებ, დაუშვებელია. აბა მითხარი, განსაკუთრებულს რას ხედავ ჩვენს გარშემო, სადაც თვალი გადაგიწვდება.

- საგანგებოს ვერაფერს.

-მაშინ გაიხედე აი იქ,-მივუთითე კლდიდან მოწყვეტილ ხვიბერზე, ჩვენგან ას მეტრ მანძილზე-სტუმრები კატისებრთა

ოჯახიდან. ან ჩვენსავით ჩამოისეირნეს ან ახლომახლოს ბუნაგი ექნებათ გაკეთებული.

-დავინახე. ფოცხვრებს უფრო გვანან.

-ხომ არ შეშინდი?

-შენს გვერდით რა შემაშინებს, ახლა როგორ მოვიქცეთ.

-მთავარია ყურადღების კონცენტრაცია არ მოადუნო, ბუნების წიაღში ეს შენი პირველი დავალება იქნება. მე კი თევზების დაჭერას შევუდგები, მერე ზემოთ ავიდეთ.

-რით აპირებ, რომ არაფერი გაქვს?

-ეს ჩემს აპარატსაც შეუძლია, უბრალოდ არ მინდა რომ გადავტვირთო. ახლა გაჩვენებ გუშინდელი დამზადებული იარაღით როგორ შეიძლება თევზების დაჭერა.

იარაღის სამიზნე,შედარებით მოზრდილ თევზს გავუსწორე, რომელიც ნაპირთან ახლოს წყლის ზედაპირზე საკვებს დაეძებდა და თითი ღილაკს მივაჭირე. ლულიდან გამომავალმა სხივმა თევზი უმალ გათიშა, ასე მეორე,მესამე, მეოთხე. ოთხივე ნაპირზე გადმოვყარე, მისთვის წამოღებული ჭურჭელი ნახევრამდე მდინარის წყლით ავავსე, შიგ თევზები ჩავაწყვე და მთის მწვერვალზე ასასვლელად კაბინას მივაშურეთ.

ხუთიოდე წუთი მოვუნდით მდინარის ნაპირიდან მწვერვალამდე ასვლას. თევზებიანი ჭურჭელი კაბინაში დავტოვეთ და დაღმართს დავყევით.

-ცოტა ქვემოთ ჩავინაცვლოთ და მერე ამოვყვეთ.

-რა ადგილებში ვეძიოთ?

-ყველგან, საკვებად ვარგისი სოკოები ხეებზეც კი შეიძლება შეგვხვდეს, თუ ვერ ცნობ ნამდვილსა და შხამიანს დაგაკვირვებ.

- მითხარი.

- აგერ დაუკვირდი, -ვაჩვენებ ახლად აყვანილ სოკოს-ქოლგის შიგნით სიმეტრიულად დატოტვილი ძაფები გააჩნია, შხამიანის განსხვავებულია, ისინი გამოყოფენ ძლიერ ტოქსინებს. სხვათა შორის არის ისეთი უმდაბლესი სოკოებიც, რომლებიც ანტიბიოტიკებს შეიცავენ.

-მაინც რომელს?

-მაგალითად პენიცილინის გვაროვნობის.

-აბა სამკურნალო ყოფილა. მოვაგროვოთ, ზოგიც გამოვახმოთ. ზამთარში რა იცი როგორ დაგვჭირდება.

-არ უნდა დავიჭირვოთ. ჩვენ ისეთ წვრთნის რეჟიმში ვართ გრიპი და სხვა დაავადებები გვერდს აგვივლის.

- მაშინ საკვებად გამოვიყენოთ.

-ყაბულსა ვარ, ერთ წამს შეჩერდი, უცნაური შრიალი შემომესმა, საუბარი საჭიროა ჩემო კარგო, უიმისობა გამორიცხულია, მაგრამ გულისყური უსაფრთხოებისთვის არ უნდა შევანელოთ. იმ მხარეს გადვიდეთ სადაც ტყე შედარებით მეჩხერია და აღმა ავუყვეთ.

ერთი საათის განმავლობაში საკმარისზე მეტი სოკო მოვაგროვეთ. ცოტა კიდევაც შევიღალეთ. შინ წასვლამდე ხის ძირში ვამჯობინეთ დასვენება. მის ამოშვერილ ფესვებთან სოკოებით სავსე კალათას მოხერხებული ადგილი მოვუნახეთ. ჩვენ იქვე ჩამოვჯექით და ხის დახეთქილ ქერქს მივეზურგეთ.

-კარგიც არის და სასურველიც დაღლის შემდეგ ჩრდილში წამოწოლა. შენ რას იტყვი ძვირფასო?

-გეთანხმები, ისიც მსმენია, რომ ზოგიერთ ხეს სამკურნალო ენერგო თვისებები გააჩნიაო.

-მართალია ჩვენ ახლა ერთდროულად ხის, მიწის და კოსმიურ ენერგიებს ვღებულობთ, თუ გალობას საგულდაგულოდ მოვუსმენთ კიდევ დამატებით დადებითი ენერგიის გამომუშავებასაც შევუწყობთ ხელს.

-შეხედე,შეხედე-მიმითითა ქორაფის ხის ტოტისკენ-ხედავ? ფაფუკ კუდიანს.

-სინჯაფზე მეუბნები?

-ჰო, ჰო დაინახე, როგორ კეკლუცობს ტოტებს შორის.

-რა ვქნა ხომ არ დაგიჭირო.

-ხუმრობ არა?

-რატომ? თუ ჩემს დედოფალს სურს მეც მზად ვარ.

-კარგი მაშინ დაიჭირე,ვნახოთ როგორ რაინდობას გამოიჩენ.

-მაშინ დახუჭე თვალები და ათიდან უკუთვლით დაითვალე, აბა გელოდები.

მისი თვალების დახუჭვა და ჩემი სხივოსანი იარაღის ამოღება ერთი იყო. მიუხედავად იმისა რომ სინჯაფი უკვე ქორაფის წვერზე მოქცეულიყო, მაინც მოვახერხე მისი მიზანში ამოყვანა. ღილაკზე თითის დაჭერა და გაბრუსიალებული უკვე ტოტებ-ტოტებ მოგორავდა. მე უმალ წამოვხტი და სანამ მიწაზე დავარდებოდა ორივე ხელი შევაშველე, სალტესავით შემოვახვიე, გაქცევის შესაძლებლობა რომ არ მიმეცა და უკან გამოვბრუნდი. ჩემს დედოფალს თვალები უკვე აეხილა და თვალგაფართოეუბული ხან მე მიყურებდა, ხან სინჯაფს.

-შენ წარმოიდგინე-მეუბნება განცვიფრებული-გონს ვერ მოვსულვარ, ასე სწრაფად როგორ მოახერხე?

-პირობა შეგისრულე ეს იყო და ეს.

-ეგ როგორ ის ხომ ხიდან ხეზე თავისუფლად დახტის?

- მეც თავისუფლად დავხტოდი და აგერ ნადავლიც.

-ვერაფერიც ვერ გავიგე.თვალები რატომ დამახუჭინე, შენი ნავარდობა რომ არ შემემჩნია?

-მორიგში თვალახელილზე ვიმოქმედებ. ეს გავუშვა თუ მოეფერები?

-ცოტას, ოღონდ მე არ მომცე, შენ გეკავოს და ისე მოვესიყვარულები. მე შეიძლება გამექცეს ხელიდან. ნახე რა ხავერდოვანი ბეწვი აქვს. ეს ისე ცქმუტავს, უთუოდ გამექცეოდა, რა იქნება რომ მოვიშინაუროთ?

-ამას ვერა, პატარა კიდევ შეიძლება, ამის შვილი ან შვილიშვილი.

-რატომ სხვა არ დაგვემორჩილება?კარგი, კიდევ ერთხელ მოვეფერები მერე მომეცი და მე გავუშვებ.

- აბა შენ იცი.

მან კიდევ ერთი-ორჯერ გადაუსვა თავისი სალუქი თითები ფაფუკ ბეწვზე, მერე ძლივს ვაივაგლახით გამომართვა, ქორაფთან მიიყვანა, სადაც პირველად შენიშნა, ხის ძირში დასვა თუ არა მისი კენწეროსკენ გაქროლვა ერთი იყო. მეშვიდე ტოტთან შეჩერდა,

გადმოხედა, თითქოს განთავისუფლებისთვის მადლობას უხდისო, მერე ისევ შეტრიალდა და კვლავ კენწეროს მიაშურა.

-ხედავ რა ყოფილა მისთვის თავისუფლება?

-თავისუფლება ძვირფასი ყველასთვის სასურველი ღირებულებაა.

-მაინც რა არის?

-უპირველეს ყოვლისა ჩემო კარგო შესაძლებლობათა შეუბოჭველობა, შეგეძლოს მისი განვითარება და გამოყენება, არა მხოლოდ შენთვის, ეს უნდა გახსოვდეს.

-ჩვენს შემთხვევაში.

-შორეული შეკითხვაა.

-რას ნიშნავს?

-ერთი და იმავე დროს ვართ და არა ვართ თავისუფალნი, ჩვენი მისიის გამო.

-მხედველობაში ჩვენი განაწესი გაქვს? -ჩაეძია ჩემს მოსაზრებას.

-თუკი დადგენილ წესებს შეუძლია შეაფერხოს და შეზღუდოს მისწრაფებებისა და მოთხოვნილების მიერ გაჩენილი სურვილები, ანუ გამოვხატავთ უკმაყოფილებას, მაშინ კის ვიტყვი, და თუ თვლით მოცემული რეჟიმი გჭირდება ჩვენი მიზნის შესასრულებლად მაშინ არას.

-ესე იგი თავისუფლებაც ექვემდებარება გარკვეულ სისტემას.

-რატომ, ვათავსებთ ერთმანეთს: შრომის, დასვენების და კვების რეჟიმს, ვინ დაადგინა ეს სისტემა, რა თქმა უნდა არსებობისთვის საჭირო პირობებმა, არა?

-მეც გეთანხმები, მაშასადამე, უნდა მივყვეთ საჭირო წესთა დაცვას.

-რასაკვირველია, ჩვენ გაგვიგრძელდა საუბარი დრო კი მიდის, სოკოებით სავსე კალათას ხელი მოვკიდოთ თან ერთი იღლია ფიჩხიც გავიყოლოთ და წავიდეთ.

-რაა? ფიჩხი?

-უკაცრავად, ფიჩხები უნდა მეთქვა.

-კიდევ რაღაც მოიფიქრე, ყოველ წუთს გამოცანებით მელაპარაკები, ზოგს ვხსნი, ზოგს კი ვერა

გამოიცან, ზოგადად რისთვისაა საჭირო ფიჩხი?

-ღუმელში შესანთებად.

-სწორია, კიდევ?

-თავად ახსენი.

-ბუხრისთვის.

-კი მაგრამ, ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

-მართალი ხარ, შენ თუ შეამჩნიე შესასვლელთან აღმოსავლეთ კუთხეში ქოთანი და კეცები.

-შევანჩნიე, მე მეგონა ქურაზე გამოსაყენებლად.

-შეიძლება, მაგრამ ძირითადად ბუხრისთვისაა დამზადე-ბული. მოკლედ ჩავიდეთ და იქ დაგაკვირვებ.

მღვიმეს, რომ დავუბრუნდით, ფიჩხები შესასვლელშივე დავაწყვეთ, ხოლო ბუნების ნობათი სამზარეულოში გავიტანეთ და მაგიდაზე ამოვაწყვეთ.

-ასე ჩემო დიასახლისო-ვაწვდი მორიგ აზრს-მე გავალ და ჩემს ჩანაფიქრს სისრულეში მოვიყვან, შენ კი სოკოებისა და თევზების ნახევარ-ნახევარი დაამზადე, დანარჩენ ნახევრებს ნაკვერჩხლებზე შევწვავთ.

-დავალება მიღებულია.

-კეთილი, მაშ მე წავედი.

სამზარეულოდან რომ გამოვედი პირდაპირ ჩემს სამუშაო კუთხესთან მივედი, აპარატი მოვიმარჯვე და დავალება მივაწოდე.

ოცდაათ წუთში უკვე მზად მქონდა ბუხრისთვის საჭირო ასაწყობი ნაწილები.მისაღებში გავიტანე და მათ თანმიმდევრულ აწყობას შევუდექი.

ძირითადი მონაკვეთის შესრულება რომ დავამთავრე, კვამლსადენისთვის დამზადებული სპეციალური საფილტრე მექანიზმი გამოვიტანე და საკვამურსა და მილსადენის შუაში ჩავამონტაჟე, იმ მიზნით, რომ გარეთ გასული კვამლი გზააბნეული მონადირისთვის შეუმჩნეველი ყოფილიყო.

ფიჩხები ბუხარში შევაწყვე, მე კი ზემოთ ავედი უფრო მსხვილი ტოტების ჩამოსატანად.

ორ გზად ჩამოტანილი შეშა ნაწილი ბუხარში, ნაწილი კი საფიჩხეში ჩავალაგე.ანთებულ ცეცხლზე ზემოდან კეცები დავაწყვე, მის წინ ჩამოვჯექი და თვალი ცეცხლს გავუსწორე.

არ გასულა ორი წუთი, სამზარეულოდან რომ დიასახლისმა შემომძახა

-რამდენი ხანია გელოდები, შენ კი არ ჩანხარ.

-მოვდივარ, ახლავე მანდ გავჩნდები.

სამზარეულოს არომატულმა სურნელმა დაღლილობა ერთბაშად მომიხსნა.

-აი ყოჩაღ, ყველაფერიც გაგიმზადებია და მაგიდაც გაგიწყვია, ცეცხლიც მალე ჩანაკვერჩხლდება.

-შეიძლება ვნახო შენი შემოქმედება?

-რასაკვირველია, ქურაზე თუ არაფრის მომზადებას აპირებ გამოვრთოთ და გავიდეთ, თან თევზი და სოკო გავიტანოთ.

მისაღებში რომ გავედით,ჩამწვარი შეშა უკვე მუგუზლებად ლამობდა გადაქცევას.

-ოო,არ შეიძლება შენი გემოვნება არ შევაქო, დიზაინი მართლაც მშვენიერი შეგირჩევია.ტაბლაც კოხტა დაგიმზადებია, თავისი სამფეხა ტაბურეტებით.მეც მიყვარს ცეცხლის წინ ჯდომა და ცქერა.

-რაკი შენ მოგეწონა, ეს ჩემი უდიდესი შეფასებაა.

ლანგარი ტაბლაზე დავდგი, საკეცეს დავწვდი და მეუღლეს გავუწოდე.

-აგერ სამფეხი, ჩამოჯექი და კეცები შეამოწმე მზად არის თუ არა, ხომ იცი ქვემოდან თეთრი ფერი უნდა იყოს, ამასობაში მე ავალ და რომელიმე მცენარის სურნელოვან ფოთლებს ავარჩევ და ჩამოვიტან.თქმა და მღვიმიდან გასვლა ერთი იყო.

უკან მალე დავბრუნდი. ერთი თევზი ფოთლებში გავახვიე, მეორე გახურებულ კეცებს შუა მოვათავსე, მესამეზე სოკოები გულაღმა დავაწყვეთ და სამივე ნაკვერჩხლებზე განვალაგეთ.

-სოკოები უფრო მალე იქნება გენაცვალე, ხედავ უკვე დაიწყეს შიშინი.

-რა მაგის პასუხია. ერთი აზრი დამებადა. ოღონდ არ გამიბრაზდე-თან იღიმება.

-ეგ აზრი მეც დამებადა.

-აბა მითხარი.

-თუ არ ვცდები თონეს იდეა გაქვს მხედველობაში.

-გამოიცან, მე მგონი კარგი აზრია.

-აი იქ შემოსასვლელთან, -მიმანიშნა სადაც მას სურდა. -თავზე თავისი გამწოვით, რაც შეეხება ფქვილს და ასაფუებელს ესენი შენზეა.

-მე საიდან გავაჩენ?-ავიჩეჩე მხრები-ჯადოსნური ჯოხი მაქვს თუ სხვა რაიმე საშუალება?

-შენ ხომ ყველაფრის მოხერხება შეგიძლია. ჰოდა,ესეც მოიფიქრე, გთხოვ, ნუთუ არ გიყვარს თონეში ამოკრული პურები?

-უდავოდ. მაშინ ასე მოვიქცეთ, შენ მათ მიხედე არ დაგეწვას, სოკოები უკვე მზად არის, შეგიძლია გადმოიღო. მე ზემოთ ავალ, იმ მცენარეებს მოვძებნი, საიდანაც შეიძლება ასაფუებელი მასა დავამზადოთ. პრინციპში აპარატის საშუალებითაცაა შესაძლებელი, მაგრამ ბუნებრივი უკეთესია, ფქვილს კი ამჯერად აქ დავამზადებ, ჩემს ჩამოსვლამდე თევზები მოითავებენ შეწვას, მაშ წავედი, მალე მოვალ.

დიდხანს არ დავყონებულვარ, სწრაფად მოვძებნე საჭირო ინგრედიენტები, ორი მუჭი კენკრა,ერთი იღლია ფიჩხიც გამოვაყოლე და საქმეს შევუდექი.

ჩემი ტექნოლოგიით ორი კილო ფქვილი დავამზადე. შევზილე, ბუხრის ახლოს სითბოში დავდგი. ნაკვერჩხლებზე ხმელი ტოტები დავაწყვე და ცეცხლი ხელმეორედ ავაგუზგუზე.

-დღეს კეცებში გამომცხვარი პური მივირთვათ, ხვალ თონეში ამოვაკრათ, მეთანხმები?

-რა თქმა უნდა, შევხედოთ როგორ პურს მივიღებთ.

-თუ არ მოგეწონება, ქალაქიდან საუკეთესო ხორბლის ჯიშისაგან დამზადებულ ფქვილს ამოგიტან და იმით გამოვაცხოთ. თანახმა თუ ხარ?

-წინააღმდეგი არ ვარ, მხოლოდ გამაგებინე ქალაქიდან რა საშუალებით აპირებ ამოტანას.

-ნუ ჩქარობ, მასაც მოესწრები. ახლა ამოვაგუნდავოთ ცომი და ცხობის პროცესი დავიწყოთ. შენ დაიწყე, მე სამზარეულოდან პურის დასალაგებელ ლანგარს და დასალევ წყალს გამოგიტან.

სამზარეულოში შესვლისთანავე ტყეში მოკრეფილი ნაჩუმათევი კენკრა გავთქვიფე, წყალი და ცოტაოდენი ალკოჰოლი დავამატე, ხელადაში ჩავასხი.ორ სირჩასთან ერთად ლანგარზე დავდგი და მისაღებში გამოვედი.

-ცომის დაჯენაც მოგისწრია, ყოჩაღ, არომატული სასმელი დამსახურებულად გეკუთვნის. გადაიბანე ხელები და სუფრაც აქვე გავშალოთ, რომ დაბრუნდები ოთხი თეფშიც გამოაყოლე.

მისაღებში ისეთი მადის მომგვრელი სურნელი ტრიალებდა, დანაყრებული რომც ვყოფილიყავი მადის გრძნობას მაინც გააღიზიანებდა.

ბუხრის მაგიდას მივუბრუნდი, ზედმეტი ჭურჭლისაგან გავათავისუფლე და ზედ თითო-თითო კერძის დალაგება დავიწყე. ამასობაში დიასახლისიც გამოჩნდა, სანამ ჩვენ სუფრას ვაწყობდით, კეცზე დაკრული პურებიც ცხობას ამთავრებდნენ. გაწყობის დასასრულს თევზი დანაცრული ფოთლებისგან გავწმინდე, ხელადა მაგიდაზე დავდგი და სუფრას მივუსხედით.

თავიდან ცოტა-ცოტა ყველა კერძის ულუფის გასინჯვა დავიწყეთ, მათგან, რომელიც მოგვეწონებოდა მარტოდენ მას უნდა შევქცეოდით. ასე გვქონდა მოლაპარაკებული. ვინაიდან არცერთ შეჭამანდს წუნი არ ჰქონდა, პურსაც კი, რომელიც არატრადი-ციული ტექნოლოგიით იყო დამზადებული. რა გაეწყობოდა, ფართო თეფშზე თითოეული კერძიდან პატარ-პატარა ულუფები გადმოვიღეთ და ქეიფი გავაგრძელეთ. ცოტა წალუკმულმა სასმისები ხელადიდან შევავსე და მის რეაქციას დაველოდე.

ცოტა მოსვა და მყისვე უცნაურად შეიშმუშნა.

-ეს რა არის, სრულიად სხვა რამ მეგონა, რა დამალევინე კიდევ რა მოიგონე ასეთი.

-თუ არ მოგეწონა, უკან დამიბრუნე.

-რას ამბობ, შენიც მე მომეცი.პირველი ყლუპის გადაყლაპვამ სასიამოვნო შეგრძნება დატოვა ,მეორე რას იზამს.

-გააგრძელე, ვნახოთ შენს გემოვნებას როგორ მოერგება.

-რა არის, შემაბრუსიალა კიდეც,უჰ, დამიმატე ცოტაც.

-ჰანგები ხომ არ შემოგაწვა ძვირფასო?

-არაა, ისე მშვიდ მელოდიას სიამოვნებით მოვისმენ.

-კერძოდ, რომელს ისურვებს ჩემი დედოფალა.

-რას ჩართავ, რომელ მუსიკალურ ცენტრს, მაჩვენე სად დგას-გამექილიკა იონქრად შებრუჟებული მეუღლე და შემომცინა.

-კეთილი, დახუჭე თვალები და დაითვალე.

-ისევ უკუღმა თუ წაღმა?

-ამჟამად წაღმა.

სანამ ის ითვლიდა აპარატში რიგ გამოსახულებებს მუსიკალური ნიშანი მივანიშნე. მოვნახე მელოდია, რომელსაც ის ადრე უსმენდა. ეკრანი მის უკან დავაფიქსირე, ოთხივე მხარეს, ხმის გამაძლიერებლები მოქმედებაში მოვიყვანე, ჩავრთე და თვალიც გაახილა.

-მე თვლა დავამთავრე, სადაა-ვეღარ მოასწრო შენიშვნის მოცემა, რომ საყვარელმა მელოდიამ მომდევნო სიტყვის გაგრძელება გააწყვეტინა. აქეთ-იქით იხედებოდა.ვერ გაეგო საიდან მოდიოდა თავისი საყვარელი მუსიკის ჰანგები. სათქმელად გამზადებული ბაგეები უთრთოდა.

-მოცარტი-თქვა გაოცებულმა და წამოდგა. მომიახლოვდა. მუხლზე ჩამომიჯდა, თავისი ამოსხარტული მკლავები შემომხვია და ჩამჩურჩულა, შენ ხარ ჩემი განუმეორებელი სიყვარული, სად მოძებნე ეს მუსიკალური ნომერი?

-არა მარტო ნომერი, არამედ ვიდეოც.

-ვიდეო? -გაუკვირდა-სად ხედავ, მაჩვენე.

-შებრუნდი მარცხნივ და დაინახავ.

-ვაუ, მაესტრო, თავიდან რატომ არ მითხარი?

-ეფექტისთვის ჩემო კარგო.

-ოხ, შენ რა ხარ და რა იქნები, ჯერ კიდევ ჩემთვის გამოუცნობი.

-რა გამოცნობა ამას უნდა.

-მაშინ მითხარი, მე გულისყურით მოგისმენ.

-უფრო უკეთესი.

-დიდება უფალს, თუ უკეთესი, ეს იმას ნიშნავს რომ შენ გახდები ყოველი წუთის სანატრელი ადამიანი.

-ვეცდები გაგიმართლო, ახლა შენ მითხარი, მოგეწონა კეცებით გამზადებული კერძები?

-არაჩვეულებრივი, ნეტავი დიდხანს დამამახსოვრებინა მათი გემოს შეგრძნება. შევძლებთ კი მეორედ ასე გემრიელად დამზადებას?

-ერთი და იგივე მდინარეში ორჯერ ვერ შევალთ-გახსოვს ეს მოარული ნათქვამი?

-მახსოვს და თან ვწუხვარ მეორე ცდაზე, რომ ვერ მოვახერხოთ.

-მეც გავითვალისწინე და დავიმახსოვრე.

-მაინც რომ მოგენატროს?

-როცა მომენატრება, სასწრაფოდ გავააქტიურებ გრძნობის ორგანოს იმ ნაწილს, რომელიც პასუხს აგებს მახსოვრობაზე.

-სულ ეგაა?

-დანარჩენს შემდეგისთვის.

-არა, არა და არა. ახლა მინდა ამ ხასიათზე.

-ჰო, კარგი, გეტყვი.

მაგიდიდან ავიღე ჩემი კომპას-აპარატი, მისკენ შევატრიალე და ვაჩვენე მის გვერდზე ჩაყენებული მინიატურული უჯრა.

-ამ უჯრაში ჩალაგებულია ხავერდოვანი ფირფიტები, მოცემული პროგრამის მიხედვით ფირფიტები იმახსოვრებენ კერძის მიმზიდველ გემოსა და სურნელს ანუ ბუკეტს.აი ესაა სულ, ხომ მარტივია?

-კი, როცა იცი.

-მანამდეც ადვილია, უკეთუ სწორად გათვლი.

-ლაზერული სხივი გათვლადია? რაღაცას მალავ.

-არაფერსაც არ ვმალავ, სხივი ჩემო კარგო საკუთარი კანონზომიერებით ფუნქციონირებს მანამდე, სანამ შენთვის საჭირო ინფორმაციას არ მიაწვდი.

-უფრო გასაგებად.

-მაგალითად, თუ დახმარებისთვის ვინმეს უჟმურად მიმართავ, ცხადია თავს არ შეიწუხებს, თუ თხოვ, მაშინ გულიანად დაგეხმარება. დაახლოებით ამგვარი პრინციპი მოქმედებს სრულიად მატერიაშიც. მათი გარდაქმნაც შესაძლებელია შესაფერისი კომბინაციის მეშვეობით მაშინ, როცა შენთვის სასურველ პროგრამას მიაწვდი. ასე რომ, სხივში მოძრავ ელექტრონებს, რა ხარისხის ინფორმაციას მიაწვდი, სწორედ მასზე იქნება დამოკიდებული შედეგის ვარგისიანობა ანუ მათი მოქმედების მიზანმიმართულებას მიწოდებული ინფორმაციის კატეგორია განსაზღვრავს.

-მე მაინტერესებს არა შედეგი, არამედ პროცესი.

-მესმის შენი, მაგრამ მე როგორ დაგაკვირვო ამ კლდის ქანის მინერალების ქიმიური სტრუქტურის ცვლილებების პროცესში, ან როგორ გაჩვენო, როდესაც პროგრამა ელექტრომაგნიტური რხევების მეშვეობით ჩადის თითოეული მოლეკულის სიღრმეში, პროტეინების და ნეიტრონების ბირთვამდე და შეხედო რა ხერხით ხდება მათი გადაჯერება მიწოდებული ინფორმაციის დონეზე.

-შენი გამჭრიახი გონება ამასაც მოიფიქრებს, გთხოვ.

-კარგი, შევეცდები დაგიმზადო ისეთი მიკროსკოპი, რომლის საშუალებითაც შეგეძლება თვალი ადევნო ქიმიურ რეაქციებს.

-როდის მექნება ეს ბედნიერება?

-ხვალ, დილის პროცედურების შემდეგ. ახლა გავიდეთ სპორტდარბაზში და ცოტა გავერთოდ. თან შეგამოწმებ, რა დონეზე ფლობ საკუთარ სხეულს.

სპორტდარბაზში გასულებმა შვიდწუთიანი მოთელვითი ვარჯიშების შემდეგ, ჯერ ერთმანეთი მშვილდისრის სიზუსტით სროლაში გამოვცადეთ, მერე ბურთის ტყორცნაში, ცოტა დრო

ნასწავლ სავარჯიშოებს დავუთმეთ, ასევე ჩავრთეთ ფიზიოთე-რაპია და გარსისგან სხეულის განთავისუფლებაც.

დასკვნით ნაწილში მისი გამოცდის ჯერიც დადგა.

-აბა ჩემო მოწაფევ, ვნახოთ რას მიაღწიე დღევანდელ დღემდე.

-გამომცადე, ჩემთვისაც უკეთესია-მომიგო რიხიანად.

-მაშ, მოემზადე, ვამოწმებ შენი აზრის კონცენტრაციის ძალას ,რამდენად შეუძლია მიზნის მიღწევა. ვნახოთ რომელ საფეხურს ფლობ. სანამ დავიწყებდე, ჯერ მე გაჩვენებ მაგალითს, მერე შენ გაიმეორე რაში მდგომარეობს ეს მაგალითი, მე აზრით დავიწყებ უცნობი ინფორმაციის გადმოცემას, შენამდე მოვა თუ არა ამას შემდეგ გავარკვევთ. დავსხდეთ და შევუდგეთ.

ნახევარი წუთის განმავლობაში შთაგონებით გადავცემდი შესასრულებელ მასალას ,რაზეც მას რეაგირება უნდა მოეხდინა.ეს იყო დგომი, მეორე, მისულიყო დარბაზის მოპირდაპირე მხარეს და უკან დაბრუნებისას ისევ დგომში დარჩენილიყო.

როდესაც მან ყველა მოქმედებები დაამთავრა, ვეკითხები:

-რა მოძრაობები შეასრულე?

-წამოვდექი, გავიარე და ისევ უკან დავბრუნდი.მე ისინი უნებურ მოძრაობებად ჩავთვალე.

-ფეხზე რატომ დგახარ, შენ ხომ იჯექი.

-არ ვიცი.

-არ იცი იმიტომ, რომ ჩემს მითითებებს ასრულებდი.ახლა შევცვალოთ როლები.შენ სულ სხვა დავალება აირჩიე, მოიფიქრე და დაწყების ნიშანი მანიშნე.

-მე მზად ვარ, რა მოფიქრება მას უნდოდა, ვიწყებ.

მან მონდომებით დაიწყო თავისი პირველი სიანსის ჩატარება. მე ვგრძნობდი მისგან ენერგეტიკული იმპულსების შემოსვლას, ცოტა მოგვიანებით ბრძანებას, დავმორჩილდებოდი მის მოთხოვნას, მაგრამ ვერ მაიძულა მოქმედების შესრულება. ვისხედით დაახლოებით ორი წუთი, წვალობდა, ბოლოს რომ ვერ შეძლო, მითხრა:

-დავიღალე, ალბათ უფრო აქტიური მეცადინეობის ჩატარება დამჭირდება.

-დასკვნა სწორია, ახლა ჩემს მითითებებს მოუსმინე. სანამ ყურადღების კონცენტრაციისათვის სპეციალური სავარჯიშოების შესრულებას შეუდგებოდე, მანამდე უარყოფითი ემოციები დადებითად შეცვალე. აუცილებლად უნდა შეძლო მათი დარეგულირება და ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნება. არ დაივიწყო თვითკონტროლი, რაც დახმარებას გაგიწევს კონტროლი დაუწესო აზრის წარმართვას.გახსოვდეს თუ ტრენირების დროს ყურადღება ერთი წამითაც გაფანტე, შედეგს ძალზე უხარისხოს მიიღებ. უფრო გულმოდგინედ.

-გმადლობ ოსტატო.

-არაფრის მოწაფევ. ამჯერად ცოტა დავისვენოთ, მერე მწვანე ჩაი დავლიოთ და დავიძინოთ, ხვალაც შრომატევადი დღე გველის.

-მართლაც, დანაპირები ხომ უნდა აასრულო.

-უეჭველად, მე გავალ წყალს ავადუღებ.

-მეც შენთან ერთად წამოვალ.-ბავშვივით ხელი ჩამჭიდა და წამომყვა.

წყალი სწრაფად ადუღდა, ჩაი მსუბუქად დავაყენე... დასალევად კი ბუხრის წინ გავიტანეთ.

-მე ძალიან მომწონს, კარგი არომატი აქვს, რომ გამოგველევა მერე რა უნდა ვქნათ?

-ახალს მოვიტან.

-საიდან?

-სახელდობრ, ამ ჩაის ქალაქიდან, ხოლო რაც შეეხება ანალოგს,ადგილზეც შეიძლება დავამზადოთ.

-ჩვენც მოვსინჯოთ, ქალაქში როდის ჩახვალ და ჩამოხვალ.

-გარჩევით მართლაც ვერ გაარჩევ, რომელი იქნება მათ შორის ბუნებრივი და რომელი ტექნიკურად დამზადებული.

-მაშ რა განსხვავებაა?

-არაფერი, გარდა ერთისა.

-რა არის ის ერთი?

-მზის სხივის ცხოველმყოფელობა, რომელსაც მცენარე წლის განმავლობაში ღებულობს.

-მერე რა მოვიფიქროთ?

-ის რომ ბუნებასთან კონტაქტი ყოველთვის უნდა გვქონდეს. აქ ყველაფრის დამზადებაა შესაძლებელი, მაგრამ, განსხვავება ზემოთ აღვნიშნე, კარგია ისიც, რომ შემოსასვლელში მზის სხივები აისიდან დაისამდე მუდამ შემოდის, ამიტომ გვსიამოვნებს მისაღებში ყოფნა და ფუსფუსი.

-გასაგებია, როდისთვის აპირებ გამგზავრებას?

-პირველ ყოვლისა, რა გვჭირდება, მისი ნუსხა შევადგინოთ. გამგზავრების დრო მერე დავადგინოთ, ხვალ დავიწყოთ, ახლა დავისვენოთ.

ლოცვებისთვის განკუთვნილ ადგილზე საღამოს ლოცვები აღვავლინეთ და დასაძინებლად გავედით.

ძილი ღრმა და მშვიდი გვქონდა. არც ელვას შევუწუხებივართ, არც გრუხუნს.

დილას, ტრადიციისამებრ დაწესებული წეს-ჩვეულებების თანმიმდევრული შესრულება რომ დავასრულეთ, მან დამატებითი მეცადინეობის გაგრძელება მოინდომა და ისევ სასპორტო დარბაზს მიაშურა. მე ჯერ მიკროსქემის შესაქმნელად განკუთვნილი დეტალური ანალიზის აღბეჭდისათვის კომპას-აპარატი დავაპროგრამე, რომელიც მიკროსკოპში უნდა ჩამესვა, შემდეგ თავად დანადგარიანი მიკროსკოპი შევუკვეთე, შემდგომ ამისა დავიწყე იმ მასალის მოკვლევა, რაც თორნის დამზადებას წაადგებოდა. ბევრი დრო არ დამჭირვებია. ლაზერულ განყოფილებას სათანადო ინფორმაცია მივაწოდე და კლდის ფენისკენ მივმართე. შემდეგ რეაქციული ძრავის მთავარი მექანიზმის შექმნა დავიწყე. ცოტა მოგვიანებით კი გაძლიერებული სითბური ენერგიის აკუმულირებისა და ქიმიო-აქტიური ნივთიერებების დამზადება, ელექტრომაგნიტური და სარეაქტიურო უნარის გასაძლიერებლად. ვინაიდან ზემოთჩამოთვლილი პროცედურები შედარებით რთული პროგრამული სამუშაო იყო, შესაბამისად, მათმა დამზადებამ მეტი დრო მოითხოვა.

ამასობაში ჩემი რჩეულიც გამოჩნდა ავანზალის ჰორიზონტზე.

-როგორ მიდის შენი შრომა-საქმიანობა?-მეკითხება და თან ჩემს ნახელავს ათვალიერებს.-მე, ჩემო ოსტატო, მეცადინეობა რომ დავამთავრე, ყველა კუთხე-კუნჭული მივალაგ-მოვალაგე, მერე დასუფთავებულ-დალაგებულში სადილისთვის კერძის კეთებას შევუდექი. ეს ესაა, რომ, მოვრჩი და პირდაპირ შენკენ გამოვემართე. აქ რა ხდება?

-ბაბუაჩემი მეტყოდა ხოლმე, როცა დავალებულ საქმეს კარგად შევასრულებდი, ჭოშნიერად გაგიკეთებიაო.

-მართალია, სწორად უთქვამს, აი ეს რა არის?

-ეს დანადგარი მიკროსკოპია, ხომ გსურდა შიდა პროცესების ნახვა.

-მსურდა.

-შენც მოგეცა ამის საშუალება, ჩაუჯექი და უყურე რამდენიც მოგესურვება.

-კარგი ბიჭი ხარ. თონეც მშვენივრად გაგიკეთებია ყოჩაღ, ნამდვილად გეკუთვნის საუკეთესო სადილი. დღეს რაც დავამზადე, ამით დავკმაყოფილდეთ, ხვალისათვის კი უკეთესს მოვიფიქრებ, ისევ ბუხრის წინ გავშალოთ?

-რა თქმა უნდა, წინ გამიძეხი.

დამზადებული კერძები, ცოტ- ცოტა თავი, ყველა გამოვიტანეთ. დაჭრილი პურის ნაჭრები კეცებზე დავალაგეთ და მალიად აგუზგუზებულ ცეცხლს მივაფიცხეთ. ხელადა ტაბლის ფეხთან ახლოს დავდგი და სუფრას მივუსხედით.

როცა კარგად გავქეიფიანდით, მეუღლეს ვეუბნები:

-პარალერულად შეგვიძლია ვიფიქროთ და თან ჩამოვწეროთ ქალაქიდან მოსატანი სურსათის სია.

-შენ მაინც არ ამბობ რა საშუალებით აპირებ გამგზავრებას. ბოლოს და ბოლოს როდის გამანდობ შენს საიდუმლოს?

-გეტყვი, ოღონდ არ გაგიკვირდეს.

-რა არის ასეთი საკვირველი. იქნებ მაღირსო როგორმე თქმა.

-საფრენი აპარატის ნაწილებს ვამზადებ და ვაწყობ, რაც მთავარია, რეაქტიული ძრავა დამზადებულია.

-ნამდვილად? რას არ მოიფიქრებ, მერე?

-რამდენიმე სპეციფიური დეტალია შესაქმნელი და პატარა წინააღმდეგობაა გადასალახავი.

-რა არის ასეთი?

-ოვალური გარსის გამზადებისა და აპარატის აწყობის შემდეგ მისთვის ნიშანდებული კოდის მოხსნა.

-შენც ნუ დაადებ და აღარც მოხსნა დაგჭირდება.

-პრობლემაც ეგ არის, ბუნებაში ყველა საგანი, შექმნილიც კი, სამყაროს კანონზომიერების მიხედვით, საკუთარ კოდს ღებულობს, სწორედ ეს არის უსაზღვრო სიჩქარის დამამუხრუჭებელი. ამიტომ საფრენი აპარატი სივრცეში დაბრკოლებების გარეშე რომ გადაადგილდეს, საჭიროა ამ ნიშანდებული შიფრის ინფორმაციის გავრცელების სიხშირის მოშინაურება,რომ თავისუფლად და სწრაფად იმოძრაოს.

-რას ნიშნავს გავრცელებული სიხშირის მოშინაურება, ეგებ ამიხსნა.

-ენერგოინფორმაციული ქსელის მეშვეობით, ჩემო კარგო, ვაგზავნი მიმართვას ენერგეტიკული სამყაროს სივრცეში, რომ მე კეთილგანზრახული მიზნით ვაპირებ ზემოაღნიშნული აპარატის შექმნას. აი დაახლოებითი ფორმა განცხადების.

-ეს განცხადება რას მოგიტანს?

-რომ მე მალულად არ ვაპირებ მის გამოყენებას, ამით საქმის კურსში ვაყენებ სამყაროს უზენაესობას. ეს კი ერთგვარი დაზღვევაა უხიფათო და საიმედო ფრენისათვის.

-შენ ნამდვილად აღარ ხუმრობ, გინდა თვალის დახამხამებაში აღმოჩნდე იქ, სადაც მოისურვებ?

-დაახლოებით ეგრე იქნება.

-ესეიგი შენ არა მარტო დედამიწის, არამედ სრულიად გალაქტიკის სტუმარი გახდები. ეს ხომ დაუჯერებელი ოცნებაა.

-რატომ, უფრო სწორად, შეგეძლო გეთქვა, დაუჯერებელი ოცნების შესაძლო სინამდვილე.

-მიხარია, დაუჯერებელს რომ დავიჯერებ, ერთი სული მაქვს როდის ვიხილავ.

-ხვალ სრულ მზადყოფნაში იქნება. კარგი, დავამთავროთ დროებით ამ თემაზე საუბარი, მოვემზადოთ და ზემოთ ავიდეთ.

-რა ჩაიფიქრე?

-ნანადირევი ფრინველი თუ გიყვარს?

-რა თქმა უნდა.

-მაშინ წავინადიროთ, ცოტა გვიან კი არის, მაგრამ არა უშავს.მაგიდა, რომ ჩამოვალთ, მერე ავალაგოთ. ავდგეთ, ჩვენ-ჩვენი ზურგჩანთები მოვძებნოთ და გავიდეთ...

მთის კალთაზე ფეხი რომ დავდგით კურსი ზემო მიმართულებით ავიღეთ, რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო კარგად გამოხატავდა ველური ბუნება თავის პირველყოფილებას. ჩვენ სიარული იმიტომ არ გვიჭირდა, რომ აქ ბინადარ ნადირთა მიერ გაკვალულ ბილიკს მივუყვებოდით. ჯერჯერობით პატარა ჩიტების გარდა არაფერი შეგვიმჩნევია. სამაგიეროდ კენკროვან მცენარეებს წავაწყდით. გემო გავუსინჯეთ. მიუხედავად უმწიფობისა უფრო სწორედ ჯერ არ ჰქონდათ დასრულებული, მაინც გემრიელად შევექცეოდით, ცოტა წავკრიფეთ და აღმართს ავუყევით. უცებ წინ შავშურა მელამ გადაგვირბინა. ალბათ ფრინველს იყო ჩასაფრებული. ჩვენ რომ დაგვინახა შეშინდა და გაიქცა. ბუჩქნარის პირს გავყევით. იარაღი მზადყოფნაში მქონდა. ხუთიოდე მეტრი არც კი მქონდა გავლილი, რომ გავჩერდი, გულმა რაღაც მაგრძნობინა. ნაბიჯი აღარ გადამიდგამს. ერთი წუთით, უხმოდ მივანიშნე მეუღლეს, თან ყურზე ხელი მოვიკიდე, ცოტაც და ფრთქიალ-ფრთხიალით ფრინველი ბუჩქებიდან ამოფრინდა. მეც არ დამიყოვნებია. მიზანში ამოღება და სროლა ერთი იყო. ჰაერს მოწყდა, დატრიალდა და ბუჩქზე დაეცა. მიუვალობის გამო, ძლივს ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა ნანადირევამდე მივაღწიე, უკან დაბრუნებას ვაპირებდი, რომ უკნიდან ჩამიჩუმი შემომესმა, სწრაფად იარაღი მოვიმარჯვე და ჩავიმუხლე, ჩამუხვლა და ისიც გაშარიშურდა. თვალი ვეღარ მოვკარი, შეიძლება ზღარბი ან

რომელიმე მღრღნელი შეექცეოდა კენკროვანი ბუჩქის ნაყოფს. აღარ დავყონებულვარ, შემოვბრუნდი და უკან წამოვედი.

-როგორ მოგწონს ჩემი ნადავლი?-მიახლოებისას ვეკითხები, თან ნანადირევს მაღლა ვწევ.

-ყოჩაღ, მიზანში სწრაფად ამოყვამა გცოდნია.

-გმადლობ.

-საღამოს აბა კარგად გვიქეიფია.

-რასაკვირველია.

-ტყის ნობათიდან, რაიმე ხომ არ მიგვემატებინა.

-სახელდობრ, რომელი?

-ქვემოთ, წაბლის ხეები შევნიშნე, იქნებ მოსულია კიდეც.

-წავიდეთ, ავკრიფოთ, თუ იქნა ჩამოყრილი.

აღარ გავჩერებულვართ,ნანადირევი გვერდზე ჩამოვკიდე და დაბლა დავეშვით.

ქვემოთ რომ ჩამოვედით შერეულ ტყეში მოგვიწია შესვლა, სადაც წაბლთან ერთად, მაჟალო, ჯირა, ქორაფი ხარობდა, ჩრდილოეთის მხარეს უფრო წიწვოვანი მცენარეები ჭარბობდნენ. წაბლი ჯერ არ იყო ხიდან ჩამოცვენილი, თითო-ოროლას, აქა-იქ თუ წავაწყდებოდით.ყველა, რაც კი მოიძებნა ავკრიფეთ,მერე იქაური მუხის ხეს ქერქის ნაჭრები ავახლიჩე, რამდენიმე ცალ რკოსთან ზურგჩანთის უბეში ჩავაწყვე და შინისაკენ წამოვედით.

შერეულ ტყეს გამოვცდით თუ არა, უცებ შემომკივლა და სხეულზე შემომეკრა, კივილის მიზეზს სწრაფად მივხვდი, იარაღი უკვე ხელთ მქონდა მომარჯვებული, უმალ შემოვბრუნდი და თვალი ორ ტოტს შუა მჯდარ ფოცხვერს მოვკარი, თავკისერი ისე ჰქონდა დაძაბული, ნახტომისთვის რომ ემზადება ხოლმე, მიზანში ამოღებულმა მხეცმა ნახტომის სურვილი მყისვე დაკარგა, ტოტიდან მოსწყდა და ხის ძირას ამოშვერილ ფესვებზე დაენარცხა.

-აი, ყოჩაღ -ამჯერად მე დავასწარი შექება-მეცადინეობებმა ყურადღების გამახვილების უნარი გამოგიმუშავა. შედეგი სახეზეა, ხიფათს გადავრჩით.

-შენ წინასწარ რატომ არ იმოქმედე, თუ ჩემს რეაგირებას ელოდებოდი.

-უთუოდ, ძალიან ხომ არ შეგაშინა ჩემო ფერია,-მივუალერსე მის ნაზ თმებს.

-შიშით იმდენად არა უფრო თავდაცვის ინსტიქტის გამო ვიკივლე.

-კარგი, მაშინ ნუღარ გავჩერდებით, ერთად ვიაროთ და ყურადღებას ნუ მოადუნებ, მე კი დაგაზღვევ.

ჩვენს ჩასასვლელს რომ მივუახლოვდით, ხმელი ხის ტოტები მოვძებნე, მოკლე-მოკლებად დავტეხე და ხელს გამოვაყოლეთ. შემოსასვლელის მარცხენა მხარეს, მისთვის განკუთვნილი შეშის საცავში ჩავაწყვეთ და დასასვენებლად ბუხრის წინ ჩამოვჯექით.

-ცოტა დავისვენოთ მერე კი საქმეს მივხედოთ.

უსიტყვოდ დამეთანხმა, ჩემს გვერდზე მდგომ სავარძელში ჩაჯდა და კერიას გააცქერდა.

-ხომ მშვიდობაა შენს თავს-ჩავეკითხე ფიქრებში გასულს.

-ჩემები გამახსენდა, განსაკუთრებით დედა. ვინ იცის ჩემს გამო როგორ ნერვიულობენ, არც შენები იქნებიან კარგ დღეში.

-ნუ წუხარ,ეგ პრობლემა მე ამას წინათ მოვაგვარე.

-როგორ მოახერხე?-მეკითხება სახეგანათებული.

-ჩვენებს გზავნილები დავუგზავნე, რომ დავქორწინდით და საქორწინო მოგზაურობაში ვიმყოფებით. ისიც გადავეცი, რომ ჩვენ აქ ვაპირებთ დარჩენას. ასევე ვაცნობე, ტურიზმის ცენტრს რაც შეგვემთხვა, ვართ საღ-სალამათნი და რომ უკან მალე დავბრუნ-დებით. თავის მხრივ მაუწყეს თქვენი გაუჩინარების გამო, ბოლო ეტაპი ჩავშალეთ და ტურნირის ხელახალი ჩატარების თარიღი მომდევნო წლისთვის გადავდევითო.

-კარგად მოგიფიქრებია, შენ ხარ ჩემი სიურპრიზი-სხაპასხუპით მითხრა და გადამეხვია.

-ამჟამად, ვიმედოვნებ რომ სანერვიულო აღარაფერი გექნება.

-ვეცდები, რომ ყოველთვის სასურველ გუნებაზე ვიყო.

-კარგი, ახლა მე გავალ და ჩემს წამოწყებულ საქმეს გავაგრძელებ. შენ ცოტა წაიმეცადინე სულ ოცდაათი წუთი, შემდეგ კი კერძების გამზადებას შევუდგეთ.

დავიშალეთ, ის სასპორტო დარბაზში გავიდა, მე სამუშაო ადგილს მივაკითხე.

ნახევარ საათში ისევ სამზარეულოში შევიკრიბეთ. ზურგ-ჩანთიდან აქამდე ამოულაგებელი ტყის ნობათი ამოვალაგეთ, დავახარისხეთ და თავთავისი ადგილი მივუჩინეთ.

-ფრინველის ხორცი მოვხარშოთ თუ შევბრაწოთ- მომცა მაშინვე საარჩევნო უფლება.

-მე თუ მეკითხები ჩემო ფერია კეცებს შორის აშიშხინებულს ვამჯობინებ.

-მეც გეთანხმები.

-მაშინ გავალ და მიძინებულ კერიას გამოვაცოცხლებ. სანამ იქ წავალ კოქტეილს გავამზადებ. ცოტა-ცოტა შევსვათ ხოლმე სასიამოვნო განწყობის შესანარჩუნებლად.

-კარგს იზამ, მე კი საქმეს შევუდგები.

რამდენიმე წუთში იჩქითად სახელდახელო კოქტეილი დავამზადე, სირჩებში ჩამოვასხი და დასაჭაშნიკებლად პირველად მას გავუწოდე.

-აბა, შეამოწმე როგორი დადგა.

დალევა და მისი თვალების გაბრწყინება ერთი იყო.

-მეტად უკეთესია ვიდრე პირველი ნახელავი. ბარში სამუშაოდ ნამდვილად გამოდგები.

-ბარი და ბარის კლიენტი ორივე აქ არიან.-მივუთითე თავის თავსა და სამზარეულოს კუთხეში ჩემ მიერ დამზადებულ ბარზე.

პასუხის გაცემა რომ დავამთავრე, ჩემი კუთვნილი კოქტეილიანი სირჩა ავიღე, მისაღებში გავედი და ცეცხლი ავაგუზგუზე.

მის წინ ჩამომჯდარი ალის შუაგულს ვუცქერდი, თან ჩემს ოვალური ფორმის სწრაფმავალ საფრენ ხომალდზე ვფიქრობდი. მინდოდა კიდევ ერთხელ გადამემოწმებინა და საცდელი გაფრენა მომეწყო, მაგრამ მანამდე მსურდა დამატებით ჩამემონტაჟებინა სხივების გარდამტეხი ფენა, რომელიც საფრენ აპარატს საჭიროების შემთხვევაში უჩინარ ფორმას მიაღებინებდა, ამავ დროს რადარებისთვის მიუწვდომელ ფუნქციას შეასრულებდა. აღარ

დამიყოვებია, ავდექი და სამუშაო კუთხეს მივაკითხე. კომპას-აპარატი მოვიმარჯვე, სპეციალური პროგრამა შევიმუშავე, შემდეგ ამსრულებელ განყოფილებას მივაწოდე,შესრულების უფლება მივეცი და მეუღლეც შემოვიდა.

-რას აკეთებ ასე გულდასმით?

პასუხი აღარ დამიგვიანებია, ავუხსენი რასაც ვაპირებდი და რა მქონდა ჩაფიქრებული.

-ესე იგი საცდელ გაფრენას ხვალ აწყობ?

-მხოლოდ გადამოწმების შემდეგ.

-სახიფათო არ იქნება?

-მეტ-ნაკლები ალბათობით. სახიფათო შეიძლება ყველაფერი იყოს. გუშინ რომ ხელი გაიჭერი, მაშასადამე დანაც სახიფათო ყოფილა.

-ეს კატასტროფა არ არის, შენ მაღლა იქნები და რაიმე რომ მოხდეს, ღმერთმა დაგიფაროს. ამის გაფიქრებაც არ მინდა.

-არც ნემსის ჩხვლეტაა კატასტროფა, მაგრამ მაიაკოვსკის მამას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

-ეგ გამონაკლისი შემთხვევაა.

-ძვირფასო, ისეთ საკითხზე მეკამათები და განიცდი, რაც არ არის საჯავრებელი. მას რომ იცოდე ორმაგი ძრავის მექანიზმი და დაცვის სისტემა გააჩნია, პლიუს საპარაშუტო და დამატებითი საფრენი კაბინა.

-დამშვიდდები მაშინ, როცა საცდელ გამოცდას გაივლის.

- ჩემი იმედი თუ გაქვს?

- უდავოდ.

-ჰო და მენდე. ახლა ის მითხარი, ნანადირევის შესაწვავად მზად ხარ თუ დაგეხმარო?

-კარგს იზამ.

საუბარი აღარ გაგვიგრძელებია, ავდექი და პირდაპირ ბუხრისკენ გამოვემართე.

ცეცხლი ჩანელებული დამხვდა, საკეცით ჯერ ერთი კეცი გადმოვიტანე, ნანადირევი ისეთი დიდი გამოჩნდა, ზედ

ძლივსძლივობით მოვათავსე. მეორე კეცი თავზე დავაფარე, ნაკვერჩხლებზე დავაბრუნე და ცოტაოდენიც ზემოდან მოვაყარე.

-მე ახლა გავალ პატარას წავისაქმებ, შენ კი მცირე ხანში დარჩენილი კეცები გადმოიღე და შესაფიცხებელი გააფიცხე.

-კარგი გენაცვალე.

ჩემს სამუშაო ადგილს დავუბრუნდი და წამოწყებული საქმიანობის სრულყოფას შევუდექი. ზუსტად საათის მესამედი დამჭირდა, რომ ბოლომდე მიმეყვანა დარჩენილი სამუშაოები, როცა უკან დავბრუნდი, სუფრა უკვე გაწყობილი დამხვდა. ჰაერი არაჩვეულებრივი სურნელით იყო გაჟღენთილი.

-გიყოჩაღნია ძვირფასო, მიხარია, ყველაფერი კარგად გამოიყურება. ყოველი ნივთი პიკანტური სურნელოვანებითაა გაჟღენთილი. ერთი სიტყვით, სათერაპიოდ განწყობილი გარემო შეგიქმნია. ნამდვილად ამბორის ღირსი ხარ.

-კარგი, ნუ მოიკალი თავი ამდენი კომპლიმენტებით, ცოტა გამოიზოგე, გენაცვალე-გამოურია რბილი იუმორი-შეგვიძლია სუფრას მივუსხდეთ.

-გმადლობთ, აი ეს-მივუთითე კეცებს შუა მოშიშინე ნანადირევზე, -ჯობია პირდაპირ კეცით მოვიტანოთ, რომანტიკულ ელფერს მისცემს სუფრას.

-როგორც შენ გინდა ჩემო კარგო.

მეც ეს მინდოდა, მაგიდის შუაგულში ჩავდგი, სირჩები კოქტეილით შევავსე და ვახშამს შევუდექით. კეცებს ისე კარგად შეუბრაწავს ფრინველის ხორცი, ძვალშიც კი იყო შეღწეული. ნამდვილად გემრიელად შევექცეოდით. ორი სირჩა კოქტეილის შესმის შემდეგ ცოტა წავიღიღინეთ. საამებელი სუფრა გვქონდა. საათი და ოცდაათი წუთი გაგრძელდა ჩვენი მხიარული ვახშამი. დასასრულს მადლობა გადავუხადეთ ყოვლის შემოქმედს და ქეიფიც დავასრულეთ.

დამთავრებისას ნავახშმევი მივალაგ-მოვალაგეთ. საღამოს ლოცვა აღვავლინეთ და დასასვენებლად გავედით.

მეორე დღეს დილის პროცედურებს რომ მოვრჩით, დადგა ჩემი საფრენი აპარატის გამოცდის ჯერიც. მე დარწმუნებული

ვიყავი იმაში, რომ მისი ხელმეორედ შემოწმების შედეგების მიხედვით გამოცდას სანიმუშოდ ჩააბარებდა. მიუხედავად ამისა, ჩემი რჩეული წინა საგამოცდო პერიოდს მაინც განიცდიდა. სანამ გავიდოდი გადამეხვია და წარმატებული ცდის დასაწყისი მისურვა.

-ნუ ნერვიულობ-კიდევ ერთხელ ვთხოვე და გარეთ გავედით.

საფრენი აპარატი შემოსასვლელის აღმოსავლეთ მხარეს, სპეციალურად მისთვის გაკეთებულ შენიღბულ ბაქანზე იდგა. ვერანდიდან მოხერხებული შესასვლელი გავუკეთე. მაგნიტური კარით, რომელიც პერსონალურად ჩემს თითის ანაბეჭდზე რეაგირებდა. კაბინაში სანამ შევიდოდი მეუღლეს წამზომი მივაწოდე და ვთხოვე ჩემი გასვლა და მოსვლა დაეფიქსირებინა.

საფრენი აპარატი უფრო სუსტ სიმძლავრეზე გადავრთე და სტარტი მივეცი. ვერტიკალით ავედი 70 000 კმ-ზე მეტი გავიარე და უკან დავბრუნდი.

-შენ ისევ აქ ხარ.-მითხრა და წამზომს დახედა.-ჯერ არ ჩამირთავს, რომ უკვე გამოვრთე.

-რამდენია დაახლოებით?

-ნახევარი წამი.

-ახლა შემოდი და ციფრული მაჩვენებელი ნახე, რამდენი აქვს გავლილი.

-ვაუ,ეს რა არის?-თქვა და თვალებზე ხელი აიფარადაუჯერებელია, სანამ მე თავად არ ვნახავ, მანამდე არ დავიჯერებ.

-კეთილი, რომ დაიჯერო შენი სახელით ცდას კიდევ გავიმეორებ, გვერდით სავარძელში მოთავსდი და ჩემს მითითებებს დაექვემდებარე.

რეაქტიული მექანიზმი საშუალოზე სუსტ სიმძლავრეზე დავტოვე, წამზომი ისევ მეუღლეს გადავეცი, ასევე მივუთითე ყურადღება მიექცია ციფრული მაჩვენებლისთვის, მერე ჩვენს წინა ეკრანზე, რეგიონალური სივრცის რუკა გამოვსახე და აფრენის ბრძანება მივეცი. ნახევარ წამში ისევ უკან დავბრუნდით.

-აბა ეხლა ვნახოთ, -ვეკითხები, ჯერ გონზე არ მოსულს.

ხმა არ ამოუღია, წამზომს ხელში მოუსვენრად ათამაშებდა და დუმილს განაგრძობდა.

-როგორია შედეგი?- გავუმეორე კითხვა.

აღფრთოვანებული თვალებით შემომხედა და მოკლედ მიპასუხა.

-იგივე.

-ახლა დაიჯერე, შესაძლო სინამდვილე?

-ნახევრად, მე ხომ იქ არაფერი დამინახია სივრცის გარდა. ჩემს სამშობლოში მოკლე დროში, რომ ჩავალ და ჩამოვალ, მაშინ ჭეშმარიტად დავიჯერებ.

-კარგი, ასე იყოს. ხვალ ბაზრობის დღეა და გამგზავრებას ვაპირებ, სიაში თუ რამეა ჩასამატებელი მივამატოთ.

-მეც წამიყვანე რა იქნება. -მიამიტი გულჩვილობით შემომაპარა ალალი თხოვნა.

-შენ მეორე ჯერზე გპირდები. ახლა მთის ძირში ჩავიდეთ სადილად თევზი თუ არა კიბორჩხალები მაინც ამოვიტანოთ.

-წავიდეთ.

ჩვენი კუთვნილი ზურგჩანთები ზურგზე მოვიკიდეთ, ქვემოთ ჩავედით და მდინარის დინებას მივუყევით.

-ჩვენ უფრო დაბლა რომ ჩავისეირნოთ -ვეუბნები ჩემს ვარაუდს,-შეიძლება ხევი მეტად გაშლილი იყოს. თუ სინამდვილეში ასე იქნება, ნადირიც მეტი რაოდენობის შეგვხვდება. მათ გარდა შესაძლებელია წავაწყდეთ სანადირო ცხოველებსა და ფრინველებსაც, მაგრამ ფხიზლად ყოფნა მაინც გვმართებს, ნადირებმა მოულოდნელად იციან თავდასხმა.

გზა ჯერჯერობით მშვიდობიანად გავაგრძელეთ, იმ ინციდენტის შემდეგ სიფრთხილეს უფრო ვიჩენდით. ყოველ ნაბიჯზე აქეთ-იქით ვიყურებოდით. ქვემოთ და ქვემოთ შედარებით მდინარის კალაპოტი თანდათან ფართოვდებოდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ უფრო დაბლა მშვენიერი ლანდშაფტი გადაგვეშლებოდა, მიუხედავად ხევის ფრთებგაშლილობისა ჩვენ მაინც მდინარის პირს მივუყვებოდით. უცებ შევჩერდი და მეუღლეს მკლავზე ხელი მოვკიდე.

-რა ხდება- უმალ მკითხა თან გარემო შეათვალიერა.

-უცნაური ხმა შემომესმა, მდინარის ხმაურის გამო ვერ გავარკვიე, ჩვენთვის არც ღმუილია მანუგეშებელი და არც კრინვა.

გზა აღარ გაგვიგრძელებია. ეს მინიშნება ცუდად ჩავთვალეთ და უკან დავბრუნდით, თუმცა უცნაური ხმები მაინც არ გვშორდებოდა. იარაღი მოვიმარჯვე, ჩანთიდან მოსასხამი ამოვიღე და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

თუ მგლის ხროვაა, ვფიქრობდი ჩემთვის, ერთდროულად იციან თავდასხმა, თუ კატისებრთა რომელიმე ოჯახიდანაა ისინი ტაქტიკას უფრო ირჩევენ. მეუღლისთვის ზედმეტი ინფორმაცია აღარ მიმიწოდებია, ისედაც დაღლილი და დაძაბული ჩანდა. მხოლოდ მივუთითე, მათ გამოჩენის შემთხვევაში, შიშს არ აეტანა. დროდადრო ვჩერდებოდით და ხმებს ვაყურადებდით. უეცრად მან ფეხი ქვას წამოკრა. არა და სწორედ ის ფეხი მღვიმეში ჩამოვარდნის დროს, რომ დაუზიანდა. წაიკვნესა და სანამ ჩაიკეცებოდა ხელი მივაშველე, მდინარიდან გამორიყულ მორზე დავსვი და ხეობას გავხედე, რას დაინახავ, მგლების ხროვა კი არ მოდიოდა, მორბოდა. სწრაფი მოქმედება იყო საჭირო. ოცი წამი და მათ პირდაპირ აღმოვჩნდებოდით, იმ წამსვე იარაღი ავტომატურზე გადავრთე და სხივნაკადის ჯერი მივუშვი; პირველი ორი რიგი ადგილზევე მოწყდა. დანარჩენები წამიერად შეჩერდნენ. ეს დაყოვნება საკმარი-სი აღმოჩნდა, მეუღლისთვის რომ მოსასხამი გადამეფარებინა. მერე ხროვას მივუბრუნდი და მორიგი ნაკადის ჯერი გავუშვი. უკანა რიგი როგორც იქნა მიხვდა მათ თავს კარგი არაფერი ხდებოდა, ცქაფად შეტრიალდნენ და უკუიქცნენ. გარემოს თვალი მიმოვავლე რომ დავრწმუნდი სხვა ფათერაკი არსაიდან გვემუქრებოდა. მაშინვე მის დაშავებულ ფეხზე პირველადი დახმარების ჩატარება დავიწყე. იქვე ერთწლიანი მცენარის მსუსხავი ფოთლები მოვკრიფე, ტერფზე დავაფინე, სახელდახელოდ შევუხვიე, მხარში შევუდექი და ნელ-ნელა აღმართს ავუყევით.ტკივილისაგან შეწუხებულმა მხოლოდ შემომჩივლა, რა ვერაგული თავდასხმა სცოდნიათო.

ასი მეტრი რომ გავიარეთ შესვენება მომთხოვა. რიყის ქვაზე ჩამოვაჯინე, მე კი არემარე შევათვალიერე. მერე მდინარის ნაპირზე მოსეირნე რამდენიმე ცალი ცხრაფეხა დავიჭირე, მას ორი ზორბა თევზი მივამატე და გზა ტაატით განვაგრძეთ.

-ხედავ იქ, -მიმითითა ქვიანი ფერდობის ქვემოთ, -მგონი გამოქვაბული უნდა იყოს.

-საიდან ასკვნი.

-მხოლოდ ერთი კუთხიდან ჩანს, აი იმ დიდროვანი ფოთ-ლების მქონე მცენარეების მიღმა, შეიძლება ვცდები, საინტერესოა, თუ არის, მაშინ, ვისიმე ბუნაგი იქნება, არა?

-როცა ფეხი მოგირჩება, ჩამოვიდეთ და შევამოწმოთ.ახლა წინ წავიწიოთ ოცდაათ წუთზე მეტი დაგვჭირდა, მღვიმემდე, რომ მივსულიყავით. ცოტა ხანს დავისვენეთ. დასვენების შემდეგ ძველი საფენები მოვხსენი, თბილ წყალში განზავებული ხსნარით მთლიანი ტერფი და კოჭ-წვივის სახსარი დავამუშავე. სამი წუთის განმავლობაში ენერგო მასაჟი ჩავუტარე. ტუბში დარჩენილი მალამო შევაზილე და შევახვიე.

-ეცადე ფეხს ორი დღე ძალა არ დაატანო, გააგრძელე დასვე-ნება. მე გავალ ჩემს სამეცნიერო-კვლევითგანყოფილებაში და სპეციალურ ანტისეპტიკს და იმუნომასტიმულირებელ მედი-კამენტს დავამზადებ, ასე რომ, სანერვიულო არაფერი გექნება.

-გმადლობ მზრუნველობისთვის,ჩემო იმედო.

-იმედი როცა გაქვს ძვირფასო, ეს კიდევ დამატებითი განსაკუთრებული სამკურნალო საშუალებაა. არ დაივიწყო.

-დავიმახსოვრებ. შენ არ დააგვიანო, მალე მოდი.

-მხოლოდ რამდენიმე წუთი,ჩემს მოსვლამდე ნუ მოიწყენ.

მე გავედი და საათის მეოთხედი დასრულებული არ იყო, რომ უკან დამზადებული მედიკამენტით დავბრუნდი.

-საღამოს აი ამ ანტისეპტიკს გამოვიყენებთ და ტკივილიც აღარ შეგაწუხებს. მანამდე რაიმეს მოგიმზადებ. როგორ გესიამოვ-ნება შემწვარი თუ მოხარშული.

-შენებურად.

-კეთილი, მჭადთან ერთად კარგი იქნება.

-ფქვილი?-დამისვა მაშინალური შეკითხვა, თუმცა თვითონ-ვე გამოასწორა-როგორც პურის ფქვილს ისე დაამზადებ არა?

-რა თქმა უნდა. ნატურალურს ხვალ ამოვიტან.

-ხვალ მაინც გადაწყვიტე არა წასვლა?

-მაქსიმუმ ორი საათი დამჭირდება. მე ისე მკვირცხლად ვიმოქმედებ, განსაცდელისთვის დრო აღარ დაგრჩება.

-კი მაგრამ...

-არავითარი მაგრამ, ჩიკ-ჩაკ, მივალ და მოვალ, თითქოს აქვე გავსულვარ. ახლა კი წავალ და საქმეს მივხედავ.

ამ ლაპარაკში ხმელ შეშას ცეცხლი სწრაფად მოკიდებოდა. საკვლევ განყოფილებაში ორი ულუფა მჭადის ფქვილი შევუკვეთე და მჭადისთვის ხის ფოთლების ჩამოსატანად ზემოდ ავედი. მასთან ერთად ხმელი შეშაც გამოვიყოლე. განყოფილებიდან გამოტანილი კარგად შეზელილი ფქვილი, ორ გახურებულ კეცზე ჩავაჯინე, ზემოდან ფოთლები დავაკარი და ჩანელებულ ცეცხლის პირისპირ გვერდი-გვერდ ჩავალაგე.

ცხრაფეხები ზოგი ნაღვერდალზე ზოგიც კეცებს შუა თევზებთან ერთად ჩავაწყვე და ღადარში შევფუთე.ერთზე კი გუშინდელი მოპოვებული წაბლი თაროდან ჩამოვიღე, ნაწილი დავჩხვლიტე, კეცზე დავყარე რაც მოთავსდა და მასაც მის გვერდით მივუჩინე ადგილი. დანარჩენი მოსახარშად დავტოვე.

ოცდაათ წუთში სუფრა უკვე გაშლილი მქონდა.

-შენს ლაბორატორიაში ყველის დამზადება თუ შეიძლება?-რბილად შემომკითხა ჩემმა „პაციენტმა“.

-არც ეგ არის გადაულახავი პრობლემა. 4-5 წუთი და მზად მექნება.

-კი მაგრამ,კითხვას გიმეორებ თუ აქ არის შესაძლებელი ყველაფრის დამზადება,იქ წასვლაზე რატომ ირჯები?-კვლავ დაინტერესდა,თანაც ეჭვის თვალით შემათვალიერა.

-აღარ გახსოვს, ხომ აგიხსენი?

-მახსოვს,მექანიკურად კიდევ გეკითები.

-მეც იგივეს გიპასუხებ. შეგვიძლია,არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი,ეს გამონაკლისი მისი მზიურობაა.

-ბოდიში რომ გაგამეორებინე.

-რატომ იხდი ბოდიშს,თუ ცოდნის დედა გამეორებაა, მაშინ მობოდიშება ასე ვთქვათ, სრული შეუსაბამობაა.

-ნუ გამიბრაზდები, გთხოვ.

-არ ვბრაზობ,უბრალოდ აზრი გამოვთქვი. კარგი, ნუღა გავაგრძელებთ, შენ ნელ-ნელა გადინაცვლე, მე გავალ და მალევე დავბრუნდები.

პირველად ლაბორატორიას მივაკითხე, იქიდან სამზარეულოში კოქტეილიანი ხელადა მოვძებნე და ისევ მისაღებში დავბრუნდი.

-მე მგონი არ დამიგვიანია.

-არა,პირიქით დროზე ადრე მოხვედი.

-მადიან სადილს გისურვებ გენაცვალე.

-შენც ჩემო კარგო,შეგარგოს.

...სადილი ჭეშმარიტად კარგად გეახელით. დესერტად შემწვარი წაბლი მივირთვით და ზედ კოქტეილი დავაყოლეთ,რამაც გონება-განწყობა უფრო გაგვიუმჯობესა, მერე ზედმეტი ჭურჭელი მაგიდიდან გავიტანე,უჯრიდან ჩამოწერილი სია ამოვიღე და ნუსხას კიდევ ოთხი თავი სურსათის სახეობა დავამატე. ასევე მოვიმზადე ხვალის ჩასაცმელი სამოსი, პირადობის მოწმობა და გარეგნობის შესაცვლელი გრიმი. შემდეგ კი ჩემს „პაციენტს“ ვეახელი.

-მზად ხარ საპროცედუროდ, თუ ფსიქოლოგიური შემზადება გჭირდება?

-შენს განკარგულებას ვემორჩილები-განმიცხადა და ფეხი სამფეხა ტაბურეტზე შემოდო.

კოჭ-წვივის სახსარს ძველი სახვევი მოვხსენი,თბილი წყლით ჩამოვბანე და სანამ მალამოს ფენას გადავუსვამდი, მანამდე ბიოენერგო მასაჟის მეორე სიანსი ჩავუტარე,მერე ახლად დამზადებული ანტისეპტიკური მალამო თხლად გადავუსვი და ზედაპირულად შევზილე.

-გადახვევამდე ხუთი წუთი ღიად იყოს,თავისუფლად ისუნთქოს ტრავმამ.

-კარგი,ოღონდ ცეცხლთან ახლოს მინდა ვიყო.

-ერთი წუთით არ წამოდგე. ხელში აგიყვან და ისე მიგიყვან-სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ უკვე ხელში მყავდა ატაცებული.

-მოიცა, მოიცა, არ დამამტვრიო, რას აკეთებ, დამსვი, მე თვითონ მივალ რა უცნაური ხარ,რა არის შენსას მაინც არ იშლი.

-სულ ხუთი ნაბიჯია მეტი ხომ არა, აი მივედით კიდეც. აგერ შენ და აგერ ცეცხლი.

-რას მოიწყვიტე ახალგაზრდა წელი. ჩემი არ იყოს, არც შენ ხარ მძიმე წონის.

-შენს წონას ერთ დროს ვათამაშებდი გენაცვალე.

-როდის იყო ეს დრო?

-უახლოეს წარსულში ძვირფასო-დავაკმაყოფილე მოკლედ პასუხით.

-ფიზიკურად ძლიერი, რომ ხარ ცხადია,გონება კარგად გიჭრის და სულიერი განვითარებაც, რომ სათანადო დონეზე გაგაჩნია ვხედავ ასეთი ხალხი სპეც-სამსახურის ჩინოსნები არიან ჩემო კარგო.მე რომ ეჭვი შემეპაროს ალბათ შენთვის გასაკვირი არ იქნება.

-სიმართლე გითხრა მე უფრო ადრე ველოდი ასეთი შინაარსის კითხვის დასმას, შენ ფიქრობ, რომ შენთან შემოგზავნეს სპეცადამიანი რაიმე საიდუმლოს გასაგებად?სრულიად აბსურდულია ასეთი ფიქრი.

-აბა როგორ მიაღწიე ამ დონეს? თითქმის ყველაფრის ყველაფერი იცი, ცოტა მაინც, შენი გამოგონება ხომ უმაღლეს რანგს განეკუთვნება. ამაზე რას იტყვი?

-ხომ ხედავ ყოველდღე რაღაცას ვხსნი, არც მაგ საკითხის ახსნაში დაგზარდები, მოდი დავიწყებ ჩემი უმაღლესი სასწავლებლის დასრულების დღიდან. ერთი სიტყვით, შევიმუშავე აღზრდის ახალი მეთოდი,საგანმანათლებლო სისტემისთვის. ეს იყო მოზარდის ყოველმხრივი, ოღონდ თანაფარდობითი განვითარება, მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი გზით. სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზების გამო არ მომეცა საშუალება სამეცნიერო ხარისხის

დასაცავად, რადგანაც არ მოხერხდა თავად დავიწყე ამ პროგრამის მიხედვით ინტენსიური სასწავლო-სააღმზრდელო მეცადინეობები. შედეგს კი ხედავ. ხსენებული პროგრამით შენც გიწევს სწავლება და არცთუ ურიგოდ.

-გასაგებია, მაინც თავი და თავი შენს მიერ შექმნილი აპარატია,მას ხომ უმაღლესი ფიზიკისა და კიბერნეტიკის ცოდნის ფლობის მაღალი ხარისხი სჭირდება და კიდევ ვინ იცის რა არის საჭირო,რომ სხივი ჩატვირთო ინფორმაციის იმ დონეზე,რომ მას დასხივებულ ფენაზე მოახდინოს ნივთიერებებში არსებული ელემენტების ძირფესვიანად გარდაქმნა,მიცემული დავალების მიხედვით.

-მე ხომ დაგაკვირვე მიკროსკოპის შემწეობით შიგ მიმდინარე აქტიური პროცესები, თანაც აგიხსენი თუ როგორ სინქრონულად მიმდინარეობდა ერთი ფაზიდან მეორე ფაზაში გადასვლა. შენ ეს გახსოვს, მაგრამ შენში სპონტანურად აღმოცენებული ეჭვი არ გაძლევს მოსვენებას და გაიძულებს მაკონტროლოს, თუ აკვია-ტებული აზრი შენში ინტენსიურად გაგრძელდა, აგაფორიაქებს და ნერვოზსს დაგმართებს, რაც არც შენ, არც მე არ გვაწყობს, მით უფრო ნაყოფს,რომელიც სადაცაა ნიშანს მოგცემს.

-მე მჯერა შენი და აღარასოდეს...

-კიდევ ერთი-მომდევნო სიტყვა აღარ დავაბოლოვებინე- რომ იცოდე-გავაგრძელე ჩემი სათქმელი-ამ იზოლაციაში სადაც ჩვენ თანაცხოვრება გვიწვევს,სწორედ აქედან გამომდინარე,რასაც შენ ფიქრობ,სრულებით შეუსაბამო ფიქრია.

-კარგი, ნუ შფოთავ, მაპატიე, შენმა მზემ არ მინდოდა გაბრაზება.

-არ ვბრაზობ, ცოტა კატეგორიული ტონით მომიწია თქმა.კეთილი, კამათი ამ თემაზე დროებით აქ შევწყვიტოთ, იმის გამო რომ უკვე გვიანაა. დანარჩენი მაშინ გავაგრძელოთ, როცა სიტყვა მოიტანს. ახლა დროა დასვენების-ძილად მისვლა გამოვაცხადე. კვლავ ხელში ავიტაცე და ნება-ნება გავიყვანე.

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ ისე გამოვეწყვე, როგორც საშუალო ფენის მაცხოვრებელს შეეფერებოდა, სახე გრიმით

შევიცვალე, ზედმეტი მითქმა-მოთქმისა და ხათაბალის გამო. მეუღლესაც ასერიგად ავუხსენი, ჩემი ნივთები ავიღე ბაქანზე გავედი და ჰაერში ავიწიე.

საფრენი აპარატი სავაჭრო ცენტრის თავზე, ჰაერშივე დავტოვე და სათადარიგო კიბეებით შენობის განაპირა მხარეს ჩამოვედი,შიგნით არ შევსულვარ.გეზი ჯერ ბაზისკენ ავიღე.

ბაზარში უამრავი ხალხი ირეოდა ნაცნობ სახეებსაც მოვკარი თვალი.აღარ დავყონებულვარ, საყიდლების ნუსხა ამოვიღე და ჩამონათვალის მიხედვით მათი შეძენა დავიწყე.ვყიდულობდი რიგის სრული დაცვით,თანმიმდევრულად.

როდესაც სიით ჩამოწერილების ყიდვა დავამთავრე, ცენტრში გადავედი, მეორე სართულზე ავედი, სადაც ყოველი ნივთი ქალებისთვის იყო განკუთვნილი. კაბა და საშემოდგომო ფეხსაცმელი რომელიც მომეწონა,სწორედ ისინი ავუღე. ასევე ჩემი გემოვნებით ავურჩიე, სასიამოვნო სურნელის სუნამო და ისეთი პარფიუმერიის ნაწარმი რომელიც მას მოეწონებოდა.

საკასო აპარატთან ყველგან რიგი იდგა ხელმეორედ თვალი გადავავლე სადაც მეტი სიხალვათე შევნიშნე იქ ჩავდექი და დაველოდე.

ათ წუთში რიგმა მომიწია.ვხედავ ანგარიშის გასწორების დროს,ხელზე საკმარისი თანხა არ აღმომაჩნდა.მოლარეს ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე საყიდლები მასთან დამეტოვებინა,მე კი გავირბენდი და სრულ თანხას მოვუტანდი.

შენობიდან გამოსული პირდაპირ ოქროს ბირჟას მივაკითხე.ჯიბეში ორი ცალი მრავალწახნაგოვანი თლილი ალმასი მქონდა. შედარებით მომცრო სახის ჩავაბარე და უკან სოლიდური თანხით გამოვბრუნდი.

კარებში რომ გამოვედი ვიღაც თვალი მალულად მომყვებოდა. ჩემთვის გასაგები გახდა ვინც უნდა ყოფილიყო, შევჩერდი, ჩემს აპარატს იარაღის როლის ფუნქცია დავაკისრე და გზა მშვიდად გავაგრძელე.

ხალხმრავალ მონაკვეთს რომ გამოვცდი, მომდევნო შენობის მარცხენა კუთხის მხარეს გადავუხვიე, უცებ წინ ვიღაც გადამიდგა.

მომესალმა და დახმარება მთხოვა. უცნაურად ეცვა,ცხადია ვერ ვიცანი, მერე ხელი გამომიშვირა და კვლავ თხოვნა გამიმეორა. გულის ჯიბეში ქაღალდის წვრილი კუპიურა მქონდა, ამოვიღე და ხელის გულზე დავუდევი. მე კი ჩემს გზაზე წავედი.ორი ნაბიჯი გადავდგი თუ არა ის ისევ წამომეწია და თხოვნა გამიმეორა. ხელმეორედ თხოვნის პასუხის გაცემას ვაპირებდი,რომ ამ დროს ორი ახალგაზრდა მომიახლოვდა, ორივე მხარეს ამომიდგნენ და პირდაპირ ჯიბიდან ფულის ამოღება მიმანიშნეს.

-დაიშალეთ ბიჭებო, კარგი იქნება თქვენთვის და ჩემთვისაც, რისი საშუალებაც მქონდა მოგეცით-მშვიდად ვთხოვე მოძალადე ბიჭებს.

-მაშინ იქ მხოლოდ გროშები მოგცეს? -მომიგო აგდებული ტონით, მათ შორის ადრაგუნემ. -ნებით არა, ძალით წაგართმევთ.

დამემუქრა და თავის დოსტს თვალით ანიშნა, რომელიც მარჯვენა მხარეს მედგა. იარაღი ამოიღო და ფერდზე მომადო. დრო აღარ ითმენდა, მყისიერი რეაგირება გახდა საჭირო. მარჯვენა ხელი ვითომც ჯიბისკენ მიმქონდა, უეცრად უკან დავატრიალე და მისი შეიარაღებული ხელი მკლავში მოვიმარწუხე. მან ტკივილისგან უმალ უშვა ხელი იარაღს. ავართვი თუ არა იმ წამსვე მოვიქნიე და გვერდზე მდგომ ადრაგუნეს მივანარცხე, მეორე აპერკოტით გავთიშე. წაქცეულ ადრაგუნეს წამოდგომა აღარ ვაცადე, კეფაში ჩარტყმით იქვე, ქვაფენილზე გავშხვართე და მესამეს მივუბრუნდი. მან შემოტევა ვეღარ გაბედა, მტკივანი ხელით რას გავხდებიო და თავს გაქცევით უშველა.

თავშეყრილი ხალხი რომ დავინახე არ მესიამოვნა. შემოვბრუნდი, ნაბიჯს ავუჩქარე და ცენტრში შევედი. მოლარეს დაგვიანებისთვის მოვუბოდიშე, ანგარიშის გასწორების შემდეგ კუთხეში ყვავილების თაიგული ვიყიდე,მესამე სართულზე ჩემთვის თითო ხელი სამოსი შევიძინე და სათადარიგო კარებში გავედი.იქიდან კიბეებს მაღლა ავუყევი.ავედი და სახურავზე პატრულის ავტომანქანების შემოსვლის ხმაც შემომესმა.

თავისუფლად შევედი ჩემს საჰაერო ტრანსპორტში და ორი თვალის დახამხამება არ დამჭირდა, რომ უკვე მღვიმის ბაქანზე

ვიდექი. დიასახლისი აივანზე მელოდა და ყოველ წუთს ითვლიდა, როდის მივიდოდი, როცა დამინახა, ისე გადამეხვია, როგორც დიდი ხნის უნახავ ადამიანს.

-აი შენ ძვირფასო, ყვავილების თაიგული, შენსავით ლამაზი ბუკეტი ავარჩიე.

-ვაუ, მართლაც ლამაზია, გმადლობ ჩემო ჯენტლმენო, ხომ მშვიდობიანად იმგზავრე თუ შეგხვდა ფათერაკებიც?

-ერთი ინცინდენტის გარდა, დანარჩენი ჩვეულებრივად.

-შეგემთხვა რამე? - მომაგება წუხნარევი კითხვა.

-დაწვრილებით შიგნით.

-აქ რა, მეზობლები გაიგონებენ?

-კარგია რომ კარგ ხასიათზე ხარ, უბრალოდ ცეცხლთან მირჩევნია მოყოლა, შენ ის მითხარი ტრავმირებული ფეხი რა ფორმაშია?

-რა შედარებაა, გუშინდელსა და დღევანდელს შორის.

-მაშასადამე ახალმა მალამომ უკეთესი შედეგი გამოიღო. დღეს და ხვალ გავიმეოროთ მეტი ვფიქრობ აღარ დაგჭირდება. სანამ შენ შიგნით შეგაჯგაჯდები, მანამდე ნავაჭრებს გადმოვალაგებ.

როდესაც შეზიდვა დავამთავრე დასასვენებლად სავარძელ-ში მოხერხებულად მოვთავსდი და თვალები მივლულე.

-გეტყობა ძალიან დაიღალე, არა?- ჩამეკითხა, სავარძლის სახელურს დაეყრდნო და შუბლზე ნაზი თითები გადამისვა.

-მსუბუქად გენაცვალე-ვუპასუხე და მისი თითები სახეზე შევიჩერე,-შენთვის რომ იცოდე საჩუქარი მაქვს, აი იმ კოხტა შეკვრაში.

-რას ამბობ- გაეგადრა სახე.

-სიმართლეს, აბა ნახე.

შეკვრას დასწვდა, სასწრაფოდ გახსნა, იქიდან ბოლო მოდის სამოსელი ამოაცურა და თვალებიც გაუფართოვდა.

-ოოო, ეს რა არის, რა ლამაზი აგირჩევია, უნდა ჩავიცვა, ჯერ გაკოცებ და მერე. -მომიახლოვდა, ამოსხარტული მკლავები

შემომხვია, ნატიფად მეამბორა და გასასვლელად მოემზადა.-გავალ და სარკის წინ ჩავიცვამ.

-აქაც ხომ არის სარკე?

-არა, მე იქ მინდა.

-შენი ნებაა.

გავიდა და მალევე გამოცანცალდა.

-აბა, შემომხედე, მოგწონს?

-რას ამბობ, რა აქვს დასაწუნი. ისეა გაწყობილი, შენს ელფერს რომ ნამდვილად შეეფერება. ეგ ფეხსაცმელები კი სრულიად არ უხდება.

-სხვა რომ არ გამაჩნია? -გამცა პატარა ბავშვივით მეამიტი პასუხი.

-მასზეც ნაზრუნი მაქვს- მეც ვუპასუხე და მეორე შეკვრა გადავეცი გასახსნელად.

გახსნა და გაკვირვებული დააცქერდა, ისეთი იყო, როგორიც მას ოცნებით სურდა რომ შეეძინა. ფეხსაცმელი ისე მოეწონა მასაც მოეალერსა, იმავ ადგილას დაჯდა და ჩაცმა დაიწყო. სიხარულისგან ისეთ ეიფორიაში იყო, ტერფის ტკივილი აღარ ახსოვდა.

-დაგეხმარო ჩაცმაში? -შევთავაზე დახმარება.

-შენ უკვე მომეხმარე, ახლა მე დამაცადე.

როგორც იქნა ჩაიცვა, ადგა, გაიარ-გამოიარა, მერე ისევ შემომხედა, თოთქოს მეკითხებოდა შემიფასეო.

-ახლა ნამდვილი დედოფალა ხარ-სიტყვა დავასრულე და დიდი კოლოფიდან ლამაზი თოჯინა ამოვაცურე.

-ვაიმე ეს რა მოგიტანია, ჩემი ბავშვობის ოცნება.

-ხედავ, მასაც შენნაირი კაბა და ფეხსაცმელი აცვია.

-ვხედავ, ჩემო კარგო და რა სურნელოვანი სუნამოს სუნი მეცა მისი თმებიდან.

თოჯინა გულში ჩაიხუტა და წუთიერად შეჩერდა, თვალები ერთ წერტილს მიაჩერა.

მისი პაუზა ჩემთვის გასაგები იყო. დავიხარე, ჩანთიდან პა-ტარა შეფუთული ამოვიღე და ფიქრებში წასულს მივუახლოვდი.

-რამ ჩაგაფიქრა, თოჯინამ თუ მისმა სასიამოვნო სურ-ნელებამ?

-უბრალოდ მესიამოვნა და გავიყუჩე.

-აგერ ეს გამომართვი და ჩემს თვალწინ გახსენი.

-რა არის?

-ერთად ვნახოთ.

მან აჩქარებით შემოხსნა თაბახის ფერადი ფურცელი და წაიდუდუნა-დაუჯერებელია,ასეთი დაფასებული სუნამო-ხელში ერთი-ორჯერ შემოატრიალა, მერე კოლოფიდან ამოიღო,მიიპკურა, მკლავები ძლიერად მომხვია და აცრემლდა.

-ცრემლები არ ეკადრება ძვირფასო საჩუქრებს.

-ისინიც ხომ ჩემს სიხარულს ეკუთვნიან-სცადა თავის გამართლება.

-არანაირი ცრემლი არ ამართლებს, ეგ უფრო გულჩვილობის ბრალია. იქნებ არც ელოდი ასეთ მოულოდნელობას.

-მართალი ხარ, არ ველოდი.

-სხვებიც, რომ მეჩვენებინა ალბათ ცრემლებად დაიღვრე-ბოდი, არა?

-რა სხვები, ნუ მაგიჟებ შენი საჩუქრებით.

-კეთილი, დანარჩენი სხვა დროს ვნახოთ, ამჟამად საკმარისია, შეხედე რომელი საათია, სადილი გადაგვიცდა.

-რა გავამზადო?

-ბაზრიდან სუკი წამოვიღე, სანამ მას მწვადად გადავაქცევ, შოთის პური და ყველი მივირთვათ.

გაცოცხლებულ კერიასთან გაფიცხებული შოთის პურები, დათლილი ყველი და სალათა მაგიდაზე დავალაგეთ და ცოტა წავიხემსეთ.

-ახლა მე წავალ საშამფურე ტოტებს მოვძებნი და ჩამოვიტან, - მონადირის დანა ავიღე, ზურგჩანთა მოვიკიდე და გავედი.

თხილნარი აქიდან შორს იყო, უფრო ქვემოთ ვამჯობინე ჩასვლა, სადაც პანტა და მაჟალო ხარობდა, იქაც შენიშნული მქონდა გარეული თხილის ჯიშები.მივდიოდი ტანმაღალ ხეებს შორის, თან შიგა და შიგ ვათვალიერებდი იქნებ ახლო-მახლო აღმომეჩინა

საშამფურედ ვარგისი მცენარე, თან ვფრთხილობდი. ნადირმა არ იცის რა საქმეზე ხარ წამოსული, თავს დაგესხმება და შენი მონდომება განზე დარჩება. მარჯვნივ გადავუხვიე, სადაც შედარებით ტანმორჩილი ხეები ხარობდა. როგორც იქნა მოვძებნე. ათიოდე საშამფურე გავამზადე და ხილნარში გავედი. თითო-თითო ხიდან რამდენიმე ცალი ნაყოფი ჩამოვკრიფე და შინისკენ წამოვედი. აქ ხილის გამო მეტი სანადირე ფრინველი ირეოდა, იმ სიშორეზე წასვლას, ამ ადგილებშიც თავისუფლად შეიძლებოდა ნადირობა.

გზად შესვენება მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე, ისედაც შემაგვიანდა.შინ რომ მივედი მეუღლემ ისე შემომხედა თქმა აღარც უნდოდა.

-არ გამიბრაზდე ძვირფასო, აი ამ ხილისთვის დავყოვნდი ცოტა ხანს. იქ იმდენია, შეგიძლია ჯემი, მურაბა, კომპოტი და გემრიელი წვენები დაამზადო.

-მაშინ რატომ ვერ შევნიშნეთ, როცა ჩვენ ვიყავით?

-იმიტომ ვერ შევნიშნეთ, რომ ეს ხილნარი სხვა მერიდიანზეა, იქ შესაძლებელია სხვა სახეობის ხილიც აღმოვაჩინოთ.

-მაშ კარგი ადგილი მიგიგნია.

-სწორედ რომ ეგრეა.

-მერე, როდის მაჩვენებ?

-უახლოეს მომავალში.

-როდის არის ეს უახლოესი?

-თუ გინდ ხვალ.

-კარგი, მომეცი ხელი,რომ ხვალ ნამდვილად წავალთ.

-რამ გაგახარა ასე?

-უბრალოდ მიყვარს ხილნარში სეირნობა. მგალობელ ჩიტების მიყურადება, სულს უხარია საამური ჭიკჭიკის მოსმენა, ხის ძირში ჯდომა და საინტერესო თემაზე საუბარი.

-ნაძვნარში ან ნეკერჩხალის ტყეში სეირნობა რატომ არ გსურს? საითაც ჰაერი შედარებით გაწმენდილია?

-როდის ვთქვი არ მსურსო, მაშინ არც ტურიზმი მეყვარებოდა.

-ჰო, კარგი გასაბრაზებლად არ მითქვამს, სიტყვამ მოიტანა და მეც ამოვთქვი.ხილის წვენი თუ გესიამოვნება გავალ და გავაკეთებ.

-ბარემ, თუ ალკოჰოლი დაგრჩა სასმელიც დაამზადე.

-აგერ ბაზრიდან ორნახადი და წითელი ღვინო წამოვიყოლე. ორნახადში უკვე ჩავყარე მუხის ქერქი.ღვინო შეგვიძლია ახლავე დავაჭაშნიკოდ. სჯობს შენ გახვიდე, მე კი ცეცხლთან ვიტრიალებ, ხომ იცი წარამარა სჭირდება ზურგიელს ტრიალი.

-ზურგიელი რატომ?

-სუკს ვუძახი ამგვარ სახელს.

-მაშინ მე წავალ.

-ფიალები არ დაივიწყო-მივაძახე მიმავალს და ჩემს საქმეს მივუბრუნდი. ცალკე შამფურზე წამოცმული სუკები ნაკვერჩხლების თავზე მდგარ დგარზე დავალაგე, ოთხიოდე პანტა და მაჟალო გახურებულ კეცზე გვერდი-გვერდ დავაწყვე. მეც იქვე ჩამოვჯექი და მწვადებს გვერდი ვუცვალე.

ცოტა ხანში შებრაწული ხილისა და მწვადის სურნელი დატრიალდა, სასიამოვნო სურნელმა სამზარეულოშიც შეაღწია.

-რას წვავ ასეთ არომატიანს? -გამომძახა დიასახლისმა თავის სამფლობელოდან.

-მოდი, შენ თვითონ იხილე.

მან ჯერ შორიდან შეათვალიერა, მერე მომიახლოვდა, კეცზე მოწყობილ ხილს თვალი რომ მოკრა გაუკვირდა.

-ეს რა მოგიფიქრებია?

-ყნოსვის ორგანოებსაც ხომ სჭირდება დანაყრება, ესეც ერთგვარი არომათერაპიაა.

-ჰოდა, კი ვართ შუაგულ თერაპიულ გარემოში მოხვედრილი, ასე ვთქვათ პანსიონატში. აბა რაღა გვიჭირს დაგენაცვლე-მოუქცია ენას-ასეთი ცხოვრებით შთამომავლები საღი გამოვლენ, ჭიანი ხომ არა.

-რომელი მონოლოგიდან ამოიღე, თუ საკუთარი ექსპრომტია?

-ისე გავიხუმრე. შენ ის თქვი როგორ არის ზურგიელის საქმე?

-მედიუმის დონეზე, შეგიძლია გასინჯო.

ერთ აცმას ნაჭერი ჩამოვაჭერი და მივაწოდე.

-კარგია, მე მეგემრიელა.

-თუ მოგეწონა, ეს აცმა გამომართვი და დანარჩენებსაც მოვიტან.

ყველა მწვადი ფრიალა თეფშზე დავაწყვე, გვერდებიდან შეწითლებული ხილი შემოვუწყვე, მერე ფიალებში ღვინო ჩამოვასხი, ორი ნაჭერი მწვადიც დავაგემრიელე და პირველი სადღეგრძელოც წარმოვთქვი...

ძალიან გემრიელად შეგიწვავს.-მომიწონა ნახელავი დიასახლისმა.

-ნამდვილი გურმანი ხარ. იმას რატომ არ ამბობ ღვინოს რა ჰქონდა ნაკლი.

-ვინ თქვა მის ნაკლოვანებაზე სიტყვა, პირიქით, ქალბატონებისთვის ღირებული სასმელია.

-მეც ეგ გავითვალისწინე.

-გმადლობ ყურადღებას რომ არ მაკლებ.

-არაფრის გენაცვალე, ამავე დროს ერთი სათხოვარი მაქვს.

-რა არის ასეთი?

-კაბა ისე მომეწონა შენს ტანზე საოცრად მოვიხიბლე. ხშირად მინდა რომ გეცვას და გიცქირო.

-სასიამოვნოა ასეთი სიტყვების მოსმენა. ისე შენ მე ყოველთვის მხიბლავ და ერთხელაც კი ვერ მოვახერხე ამის თქმა, როცა დავაპირებდი უკვე შენ სხვა სიურპრიზი გქონდა გამზადებული. ასე გრძელდება დღევანდელ დღემდე, ამჯერად მომეცა ამის თქმის საშუალება, რომ გითხრა, სხვა დანარჩენთან ერთად ესეც შენი დამსახურებაა. ახლა მე მინდა გთხოვო.

-ითხოვე, გულისყური შენკენ არის.

-ვიცეკვოთ, წყნარი მელოდიის ფონზე.

-დიდი სიამოვნებით, მაგრამ მე რომ გამოწყობილი არა ვარ?

-არაუშავს, შენ მამაკაცი ხარ, მთავარია ქალი იყოს ფორმაში.

-მაშინ მზად ვარ, გავიდეთ-ხელი გავუწოდე და საცეკვაოდ ავანზალის შუაგულში გავიყვანე.

მელოდიის რითმებთან ჩვენი თანშეწყობილი ჰაეროვანი მოძრაობები ცხადლივ ადასტურებდა ურთიერთ გრძნობის ჰარმონიულ ერთსულოვნებას, უხმოდ ვცეკვავდით, მხოლოდ ფიქრები იყო ჩვენს შორის სამეტყველო საშუალება.მელოდიის ფონზე კიდევაც მსიამოვნებდა მისი მრავლისმეტყველი დუმილი.

მე მხოლოდ მასზე ვფიქრობდი...

სიყვარულს,რომელსაც უცნობი გრძნობა თან ახლავს, ანგარიშმიუცემლად, თანდაყოლილი მიდრეკილების საპასუხოდ მაგრძნობინებდა, ჩვენს შორის გენეტიკურ შედასებას,რასაც შეუღ-ლების სამართლიან გადაწყვეტილების დასტურად მივიჩნევდი...

მელოდია დასასრულს უახლოვდებოდა,მან მკლავები ნაზად შემომხვია, ბაგეები მომიახლოვა და დაბალ ხმაზე მეკითხება.

-ადრე რატომ არ გამოჩნდი.

-ჩემო რჩეულო,-ჩურჩულითვე ვპასუხობ მეც-ასეთი განსაკუთრებულობა ნამდვილად არ ექნებოდა-მივუგე მოკლედ და ყურის ბიბილოს კბილებით შევეხე.

-რა იქნება უყურად ნუ დამტოვებ-შემომეხვეწა ბავშვური პირუთვნელობით.

-რას ამბობ, შენ სილამაზეს უსამკაუოდ როგორ დავტოვებ.

-მართალი ხარ, დაუშვებელია.

კითხვა აღარც მე და აღარც მას დაუსვია. მარცხენა ხელი წელზე მოვხვიე, მარჯვენით ავიტაცე და პირდაპირ ტახტრევანს მივაშურე...

მეორე დღეს დილის პროცედურების დასრულებისთანავე მომიახლოვდა, გვერდზე ჩამომიჯდა და გუშინდელი პირობის შეხსენება დაიწყო.

-ხომ არ დაგავიწყდა ხილნარში გასეირნება?

-რა თქმა უნდა არა გავემზადოთ და წავიდეთ.

აღარ გავჩერებულვართ, ტანისამოსი გამოვიცვალეთ, ჩანთები ზურგზე მოვიკიდეთ და მთის ზეგანზე ავედით.

-რომელ მხარეს გავსწიოთ?

-ქვემოთ უნდა ჩავყვეთ, მერე ჩრდილოეთით. მომყევი.

ათ წუთში უკვე იქ ვიყავით.

-აი,-ვუჩვენებ მეუღლეს- ჩვენი ხეხილის ბაღი. დატკბი ახლა მისი ყურებით.

-რა სიამოვნებაა, ირგვლივ ხილის სურნელი ტრიალებს, შეხედე მაჟალოს ხეებზე ჩიტებს ბუდეები გაუკეთებიათ.

-მეც შევამჩნიე, ახლა ბარტყები დაფრთიანებული იქნებიან, ჩვენ სჯობს ჩრდილო-დასავლეთით გავიდეთ.

-იქ რა არის?

-არ ვიცი, რა იქნება, მინდა გავიგო, ჩვენც წავისეირნოთ, თანაც იცოდე უკან დაბრუნებისას რომ არ დაიბნე, გზაც დაიმახსოვრე, ორიენტირებაში ხომ ხარ ძლიერი.

-მერე ვინ უარობს. ხედავ? რა მაგის პასუხია, ძირს დაცვენილები როგორი მწიფეები არიან.

-არ გაბედო და არ შეჭამო.

-რატომ?

-თავის დაზღვევის მიზნით. აი ვთქვი და გამოჩნდა კიდეც.

-რაა?-გაიოცა მან.

-უხსენებელი, ნუ მიაქცევ ყურადღებას, ის თავის გზაზე მიდის. ხეებზეც შეათვალიერე, ტოტებზე იციან ხოლმე შემოხვევა. ხელი რატომ მომკიდე, შეშინდი?

-არა, ისე ინსტიქტურად, იარაღი თან გაქვს?

-კი, გიმეორებ ძვირფასო, ტყეში უიარაღოდ წასვლა იგივეა, რაც სათევზაოდ მიდიოდე და ნემსკავი სახლში დატოვო.

ხუთი წუთი კიდევ ვიარეთ, ერთ მაღალ, განცალკევებულ კაკლის ხესთან შევჩერდით, მის ჩრდილქვეშ ალაგ-ალაგ ამოსული დაჩიავებული მცენარეები ძლივს იმაგრებდნენ უმზეო ტანს.

-აქ რამ გაახარა განდეგილივით მდგარი კაკლის ხე.

-ეტყობა ქვემო პლატოდან ამოფრენილ რომელიმე ფრინველს ჩამოუვარდა, ნიადაგმაც ხელი შეუწყო და კი ხედავ, როგორ ყოჩაღად, მთავარსარდალივით შემართია მძლავრი ბორჯღლები. აგერ მისი ფშანებიც. გაიხედე ერთი ქვემოთ, მეორე მის მარჯვნივ.

-დავინახე.

-თუ ამინდები წავიდა კაკალი მაქსიმუმ ორ კვირაში ცვენას დაიწყებს.

საიდან ასკვნი?

-ზოგიერთ კაკალს ლეჯა დახეთქილი აქვს, ზამთრისთვის უსათუოდ უნდა მოვიმარაგოთ.

-მე ძალიან მიყვარს, ზოგიერთი კერძი უიმისოდ უაზრობაა.

-ნამდვილად სასურველი საკვებია, მისი ელაგოვის მჟავა დამცავი ძალების გამომაცოცხლებელი და გამააქტიურებელია, აგრეთვე იმ ხის ნაყოფიც - ხელი გავიშვირე ვაშლის ხისკენ- რომელიც კვარცენტინს შეიცავს. ამიტომ ჩვენ სანამ სიცივეები დაიწყება ზოგიერთი ხილი უნდა მოვკრიფოდ და ჩირად ვაქციოთ.

-კაკალი მინდა გავსინჯო, აგერ ამ დახრილი ტოტიდან ჩამოვკრიფავ, რომელიც ცოტა შეხლეჩილია,შენ კი გამიტეხე.

ჩამოკრეფაში მეც დავეხმარე. კაკალს ლეჯა გავაცალე, ნაჭუჭი, სხვათა შორის არც თუ სქელი აღმოჩნდა, ადვილად ვტეხდი და პირს ვიგემრიელებდით, რომ უეცრად გაურკვეველი ნადირთა ხმები შემომესმა.

-ერთი წუთით ჩუმად. ჩემკენ მოიწი-ხელი მოვკიდე და კაკლის ხეს მეორე გვერდიდან ავეყუდეთ. -არ გესმის, თითქოს დათვურ ღრიალს წააგავდა.

-მესმის, მაგრამ ხმები შორიდან ისმის.

-რაკი ჩვენ გავიგონეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ადამიანის სუნი უკვე ეცა, მათთვის უცხო და საშიში, ისინი ამ საშინელი ხმებით გვაფრთხილებენ, რომ ადგილი გავუთავისუფლოთ, ამ მიუვალ მხარეს, რომ ასე თავისუფლად დადიხარ მათი ჩათელი-ლია. ეტყობათ გემრიელი საკვების საჭმელად აქეთ მოიჩქარიან. ჩვენ სჯობს კვლავ ჩრდილო-დასავლეთით გადავინაცვლოთ.

ცოტაოდენი კაკალი ჩამოვკრიფეთ და გზა გავაგრძელეთ.

ოციოდე მეტრი რომ გავიარეთ, სიარული ხშირი ჩიგვნარის გამო გაგვიჭირდა, ვამჯობინეთ უკან დავბრუნებულიყავით და იმავე ბილიკით ისევ ზემოთ ავსულიყავით. წინ ნელა მივიწევ-დით, უკან მათი ქშენის ხმა გვესმოდა. იარაღი გამართული მქონდა და ყოველ შემთხვევისთვის ავტომატურ ჯერზე გადავრთე და

აღმართს ავუყევით. ორი ნაბიჯი არ გვქონდა გადადგმული რომ ზურგიდან დაღრიალება შემოგვესმა. იარაღაღმართული შემოვტრიალდი და რას ვხედავ დათვი ორ ბელთან ერთად ძირს ჩამოყრილ პანტას მისდგომიან და აგემრიელებენ. ჩვენ რომ შევბრუნდით, დედა დათვმა თავი ასწია და ორ ფეხზე დადგა.

-არ ესროლო, გთხოვ, ხომ ხედავ რომ არაფერს გვერჩიან.

-არ ვესვრი, ვერ ხედავ იარაღი დაშვებული რომ მაქვს. მოგეწონა?

-ჰო, კარგები არიან, სურათი გადაუღე და წავიდეთ.

ფოტოსერიის დასრულების შემდეგ ჩანათელ ბილიკზე გადავედით, საშიში იყო, მაგრამ სასიარულოდ ადვილი. ჩვენც შეძლებისდაგვარად ფეხაჩქარებული მივდიოდით.

საშიში ზონიდან მალე გამოვედით. სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ ხილის მოკრეფა. ნადირობაზე ფიქრი კი ზედმეტი იყო.

-რა ვიღონოთ, ხელცარიელი ხომ არ დავბრუნდებით შინ. ცოტაოდენი კაკალი კი გვაქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. -შემომჩივლა დასევდიანებულმა მეუღლემ.

-მაშინ ასე მოვიქცეთ, ჩავსხდეთ ჩვენს საფრენ ლაინერში, ქვემო პლატომდე ჩავფრინდეთ და შევათალიეროთ, შეიძლება იქ უფრო ხელსაყრელი სიტუაცია დაგვხვდეს.

-მეც მხარს გიჭერ, შენ წინ მე უკან.

ვერანდაზე ჩავედით. შინ აღარ შევსულვართ. პირდაპირ საფრენ აპარატში შევედით, სიჩქარის ამპლიტუდის მაჩვენებელი ათვლის ხაზს დავუახლოვე და აფრენის პუნქტს მივანიშნე. აუჩქარებლად ვმოძრაობდი, ვცდილობდი როგორმე ხეობის ყოველი კუთხის შეთვალიერება მომესწრო, თანვე ვიღებდი ჩემთვის ხელსაყრელ და შესაფერ ადგილებს.

მდინარის კალაპოტს მივყვებოდით, უფრო დაბლა, სადაც კალაპოტი ფართოვდებოდა, წყლის დასალევად ჩამოსული რქოსანი ცხოველები შევნიშნეთ, მათ უკან კი ფართოდ გაშლილი მდელო. ბუჩქებთან კურდღლებსაც მოვკარით თვალი.

-სანადიროდ მოვემზადოთ-გამოვაცხადე ნადირობა-დათ-ვალიერებას მერეც მოვასწრებთ.

-მე მზად ვარ.

-რით დავიწყოთ, პატარით თუ დიდით?

-რას ნიშნავს.

-კურდღლით, ირმის ნაშიერით თუ ირმით?

-ჯერ კურდღლით მერე გავზარდოთ.

-მეც გეთანხმები-მივეცი თანხმობა და საფრენი აპარატი ტყის პირის თავზე შევაჩერე.

კაბინის სამართავ ხელსაწყოს დაღმავალი ნიშანი მივანიშნე და უმალ ქვემოთ აღმოვჩნდით. კაბინიდან გამოსულებმა სასწრაფოდ ტყეს შევაფარეთ თავი. ხეებს ამოვეფარეთ და თვალთვალი დავიწყეთ.

-ისე კი შენი მიკვირს, როცა გაქვს იოლად მონადირების საშუალება, სიტუაციას რატომ ართულებ ხოლმე და არამარტო ნადირობისას. ეს შენი ახირებული ჩვევაა თუ მიზანშეწონილი ქცევა.

-კარგი შენიშვნაა, რა ვქნა, ბუნების წიაღში აგიხსნა თუ შინ.

-არა აქ.

-კარგი,მოკლედ აგიხსნი, თან ბუჩქებისკენ ვიყუროთ, მისმენ?

-გულისყურით.

-შენ კარგად იცი,რომ ჩვენ გაგვაჩნია ისეთი თვისებები როგორიცაა სიმარჯვე, ძალა,გამძლეობა,აზროვნება და ა.შ. ჰოდა, ჩემო კარგო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თუ არ გამოვიყენეთ ორგანიზმი დაკარგავს წინააღმდეგობის გაწევის უნარს და დაჩლუნგდება. ერთი სიტყვით, ცხოვრებისეული პრობლემის მოგვარება გვინარჩუნებს ბრძოლისუნარიანობას და რაც მთავარია ვიძენთ გამოცდილებას, გამოცდილებით აზროვნებასა და გამჭრიახობას, ხოლო ყველა ერთად კი ჭკუა-გონებას, მე მგონი გარკვევით განვმარტე.

-სტენოგრაფიულ სტილში, მაგრამ გასაგებად.

-მაშინ გავაგრძელოთ ნადირობა, შენ ამ მხარეს მიაქციე ბუჩქებს ყურადღება, მე იმ ზონას ჩავიბარებ. აი იქ ხედავ ფუღუროიან ხეს.

-კი.

-გადავალ და შევამოწმებ იქნებ ბუნაგიც აღმოჩნდეს.

ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით მივიწევდი, ფუღუროს რომ გავუსწორდი იარაღი მოვიმარჯვე, ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა, ფუღურო თივით იყო ამოფენილი, აშკარა იყო კურდღლებს ქონდათ გაკეთებული, უეჭველ ბინადრობას მათი ნასაქნარიც ადასტურებდა, მაგრამ თვითონ სად გაქრნენ, ალბათ შეგვამჩნიეს, დაფრთხნენ და უახლოეს ბუჩქებს შეაფარეს თავი. ხის მეორე მხარეს გადასვლას ვაპირებდი, რომ უცებ ბეჭზე მძიმე რაღაც მომხვდა. მოხვედრა და შეტრიალება ერთი იყო. საეჭვო ვერაფერი შევნიშნე, მერე მისკენ გავიხედე, ხელს მიქნევდა, თურმე ხის ნაფოტი მას უსვრია ჩემი ყურადღების მისაქცევად, მანიშნებს იმ მხარეს გაიხედეო.ვხედავ ბუჩქებთან მოხტუნავე კურდღლებს, დაუყოვნებლივ ჯერ ერთი კურდღელი ამოვიღე მიზანში,მერე მეორე.

-ყოჩაღ,უშეცდომოდ ისვრი.

-საქებელი შენ უფრო ხარ, რომ დროულად შენიშნე,საქმე გამოგვიჩნდა. ნანადირევს ცალკე ხელი სჭირდება. ხოლო რაც შეეხება ტყეში გასეირნების სურვილს,ამჯერად ვერ მოვახერხებთ.

-რატომ?

-ყოველ წუთს მოსალოდნელია აქ მონადირეები გამოჩნდნენ, გაუგებრობაში რომ არ აღმოვჩნდეთ უნდა ვიჩქაროთ.

-მაშინ დავბრუნდეთ.

ახლო მდგომ ხეს ორი მსხვილი ტოტი ჩამოვაჭერი, ზედმეტი რტოებისაგან გავსხიპე და გამოვიყოლე.

როდესაც შინ მივედით,მაშინვე მათ დამზადებას შევუდექით.

თორნეში ჩაყრილ ფიჩხს ცეცხლი წავუკიდე. სანამ გამზადებულ ნანადირევს ნიორწყალს გადავუსვამდი, მანამდე

შიგნით ბრინჯს ამოვსილი ამოვკერე და ცოტა ხნით დავახანე,შემდეგ თორნეში ჩავკიდეთ.

-მანამ ისინი გამზადდებიან, შეგვიძლია მოვილაპარაკოთ.

-ახალია რაიმე?

-იდეა მაქვს, ვფიქრობ ერთი საზეიმო დღის დაწესებას,შენ რას იტყვი?

-მე ყაბულსა ვარ.ამ დღეს რას ვაკეთებთ?

-გავდივართ ქალაქში, მაგალითად შოპინგზე, ან ვესწრებით ჩვენთვის მოსაწონ საღამოს, შოუს ან ბალ-მასკარადებს და ასე შემდეგ.

-კარგი წინადადებაა, რომელ დღეს ვარჩევთ?

-კვირას,თანახმა ხარ?

-რაღა თქმა უნდა.

-და ერთიც, შევარჩიოთ რომელიმე დღე მზის გარშემო სამოგზაუროდ თუ გადავწყვიტავთ, მოგზაურობას დავიწყებთ მზესთან ახლოს მდებარე პლანეტიდან.

-საინტერესოა, აი ეგ მომწონს.

-შემდგომ ამისა გადავდივართ თუ საინტერესოდ ჩავთვ-ლით მათ თანამგზავრების დათვალიერებაზე, ჩვენს გალაქტიკას რომ ამოვწურავთ,მეზობელ გალაქტიკებს ვესტუმრებით.

-ოო,შესანიშნავი იდეაა, მოკლედ შენ ხარ სიურპრიზების საბადო,თან უძირო.

-ხვალ სწორედ კვირაა,ადრიანად გვიჯობს გასვლა.ამიტომ თადარიგი დავიჭიროთ.

-მაინტერესებს, როგორი ამინდი იქნება?

-საუკეთესო, პრინციპში სულ ერთია ჩვენ მაინც გავემგ-ზავრებით.

-ესე იგი გადაწყვეტილია, ძალიან კარგი. ამასობაში მე კი მომშივდა,ნახე,იქნებ მზად არის.

-ისე,გატყობ ხოლმე, შიმშილს ცუდად იტან.

-რა ასატანი გრძნობა ეს არის.

-მე თუ შემეკითხები, სანამ აქ მოხვდებოდი ყოველ ოთხშაბათს მარხვა მქონდა გამოცხადებული, მხოლოდ გამოხდილ წყალზე ვიყავი.

-რა გაიძულებდა, შენც გეჭამა, საკვების მიუღებლობა როგორ შეიძლება. მაინც რა მიზანი გქონდა?

-გეტყვი,შენ ნასწავლი გაქვს, თან ძალიან კარგად იცი რომ მიღებული საკვების შემდეგ ორგანიზმი იწყებს მათში არსებული ნივთიერებების ცვლას,ცვლათა საშუალებით კი მიღებული შენაერთების შეთვისებას, უვარგისს კი გარეთ გამოყოფს,თუმც ნაწილისას ვერ ახერხებს და ტოქსიკური ნივთიერებების სახით რჩებიან ორგანიზმში.

-მართალი ხარ და შენ შიმშილით ცდილობ განწმენდას?

-ასე ვთქვათ, ამ დროს ორგანიზმი საკვებად იყენებს გადანახული რესურსების გამოყენებას. პარალელურად იშორებს მისთვის არასაჭირო შხამიან ნივთიერებებსაც.

-ამჯერად რატომ აღარ აგრძელებ.

-შესვენება მაქვს აღებული, მერე კი დავუბრუნდები. შენც თუ გსურს, მაგრამ ფეხმძიმობის პერიოდში სახიფათო იქნება. მხოლოდ განმწმენდი მცენარეების გამოყენება შეიძლება მსუბუქი დოზით,ისიც იშვიათად,მოდი ახლა ჩვენ სუფრას მივხედოთ,მას მეტი აღარ დასჭირდება,შევამოწმებ.

თორნეს თავსახური ავხადე,უკვე შებრაწული იყო.მაშინვე ამოვიღე და ნაწილ-ნაწილებად დაჭრას შევუდექი.

-შეხედე ბრინჯი როგორ შეხარშულა, აბა გასინჯე ერთიც და მეორეც, ხომ ხარ გურმანი.

ჩაკბიჩა, შემომხედა და ცერი მაღლა ასწია.

-უზადოდ, გემრიელად შემწვარია -აღვნიშნე მეც-ცოტა წითელი ღვინო მიაყოლე მადას გაგიძლიერებს.

-აუცილებლად უმაგისოდ როგორ შეიძლება.

-კარგად მოვიქეცით, რომ ქვემო პლატოზე ჩავედით, თორემ ასეთ გემრიელ კერძს ვინ დაგვახვედრებდა.

-უთუოდ კარგი გადაწყვეტილება იყო.

ჩვენ კიდევ ერთი საათი ვისხედით.სუფრის დასასრულს იუმორისტული ჟანრის ფილმი მოვძებნეთ და მისი ყურებით გავერთეთ,შემდეგ სპორტ-დარბაზში გავედით დაახლოებით 50 წუთი,იქიდან „ჯაკუზს“ მივაკითხეთ, ოცდაათი წუთი მას დავუთმეთ.დასალიერს კი საამოდ ჩაგვეძინა.

მომდევნო დღეს როგორც გუშინ დავთქვით ქალაქში გასვლის დღე გვქონდა დანიშნული. ჩვენც ადრიანად შევუდექით მომზადებას, გამოვეწყვეთ და კურსი დედაქალაქისკენ ავიღეთ.

როცა ქალაქში ჩავედით, ჩემი საფრენი აპარატი უჩინრად, ერთ-ერთი ჩიხის შესასვლელის თავზე ჰაერშივე დავტოვე.ჩვენ კი დაბლა დავეშვით და ცენტრალური გამზირისკენ გავემართეთ.

გამზირზე რომ გავედით ანაზდად რაღაც გაახსენდა და მეკითხება.

-აქეთ რომ მოვდიოდით, ვეღარ მოვახერხე შეკითხვა, გვქონდა საკმარისი ფული თუ რაიმე უნდა გვეღონა?

-მაინც რა-დამაინტერესა მისმა აზრმა.

-ვფიქრობდი, შენი კომპას-აპარატის საშუალებით რაიმეს მოახერხებდი.

-ეგეც შეიძლებოდა, მაგრამ მქონდა.

-საიდან?

-გახსოვს ოქროს ბირჟის კომბინაცია?

-კი.

-დანარჩენი კუპიურები უცხო ქვეყნის ვალუტაზე გავცვალე. სულ მალე ნეიტრალურ სახელმწიფოს ბანკში ანგარიშს გავხსნით და ვიზაბარათით ისარგებლებ. ახლა შევიდეთ ტანსამოსის მარკეტში და რისი შეძენის სურვილი გაგიჩნდება უარი არ თქვა,მე გადამხდელი ვარ.

ვინაიდან გამოსასვლელი დღე იყო, შიგნით უამრავი ხალხი ირეოდა, უფრო დასათვალიერებლად ვიდრე საყიდლად, რამეთუ მარკეტი მხოლოდ მაღალი ბრენდის სამოსელს წარმოადგენდა გასაყიდად.

-აი ის, გესმის ჩემი?

-მესმის, მიუხედავად გნიასისა.

-საღამოს გამოსასვლელი კაბა მომეწონა.

-ახლავე გენაცვალე.

მომსახურე პერსონალი მოვიხმე, ავუხსენი რაც გვსურდა და რა ზომის, ის მაშინვე შეტრიალდა და ორ წუთში მისი შესაფერი ზომა გამოგვიტანა, თან მიგვითითა,სად შეიძლებოდა მისი მოსინჯვა.

მოსასინჯ კუთხეში ყველა ადგილი დაკავებული დაგვხვდა. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. შიგნით შევიდა და ორ წუთში დამიძახა.

-შემოიხედე,შეხედე როგორ გამოვიყურები.

ფარდა გადავწიე და აღტაცება ვერ დავმალე.

-არ მეგონა ასე კარგათ თუ მოგიხდებოდა. ახლა შენ შინდისფერი ფეხსაცმელი გვერდზე ოდნავ მკრთალი ზოლით თმებზე ბანტით და კი იცი ვინ იქნები.

-ვიცი, გმადლობ,ესე იგი მყიდულობ?

-რასაკვირველია, მე სალაროსთან რიგს დავიკავებ შენ კი გამოიცვალე.

...მოლარეს საფასური გადავეცი და გარეთ გამოსულებმა მეზობლად ფეხსაცმლის მაღაზიაში შევედით,ვეძებდი ისეთს როგორც ზემოთ ავღწერე. აქ არ იყო, დავათვალიერეთ მეორე,ვერც იქ აღმოვაჩინეთ. ძებნას ვაგრძელებდით, როგორც იქნა მეხუთე მაღაზიაში მივაკვლიეთ. სამწუხაროთ მისი შესატყვისი ზომა ადგილზე არ აღმოჩნდა.

-იქნებ საწყობში იყოს, გავალ და მოვძებნი-დაგვაიმედა მოადგილემ.

-ნუ განიცდი,იქ ნამდვილად იქნება-ვამშვიდებ ხასიათ შეცვლილ მეუღლეს-მანამდე სხვები დავათვალიეროთ,შეიძლება კიდევ რაიმე მოგეწონოს, ისეთი ავარჩიოთ მთაში სასიარულოთ რომ გამოგადგეს, თუნდაც ხედავ მეოთხე თაროს შუაში სპორტულ ფეხსაცმელს რომ ჰგავს, არ მოგწონს?

-მომწონს.

-მაშინ ისიც ავიღოთ, აი მოადგილეც გამოჩნდა ხელში ყუთით, ხომ გითხარი, მიდი რას უდგახარ, მე ხომ არ მოვირგებ, შენს მაგივრად. მიდი გაისინჯე ერთიც და მეორეც.

მოსინჯვა რომ დავამთავრეთ მოლარემ ანგარიშის გასწორების შემდეგ მონაყიდი ლამაზ მუყაოს ყუთში კოხტად ჩაგვიწყო, მადლობა გადაგვიხადა და გადმოგვცა.

მაღაზიიდან გამოსულებმა კიდევ სხვა სავაჭრო ობიექტებიც დავათვალიერეთ, ცოტაც გაუთვალისწინებელი ნივთებიც შევიძინეთ, მერე სანაყინე სახლს ვეწვიეთ, შოკოლადის ნაყინი დავაგურმანეთ და ჩვენი საფრენი ლაინერისკენ სეირნ-სეირნობით წამოვედით. უცებ გამზირის მოპირდაპირე მხარეს კაზინოს ორიგინალურ შენობას მოვკარი თვალი.

-კაზინოში თუ გითამაშნია ოდესმე? -ვეკითხები ჩაფიქრე-ბულ მეუღლეს.

-არასოდეს,შენ?

-ხშირად არა, გინდა ერთი საათით შევიაროთ და ცოტა გავერთოთ, ჯერ ჩვენი ნავაჭრი დავაბინავოთ მერე გამოვბრუნ-დეთ, კარგი?

-თანახმა ვარ.

ყველაფერი რაც კი ხელთ გვქონდა საფრენ-აპარატში დავტოვეთ და უკან გამოვბრუნდით.

კაზინოში რომ შევედით ყველა მაგიდა დაკავებული იყო.ნახევარი საათი მაინც დაგვჭირდა იმ მაგიდისთვის მოცდა სადაც ოცდაერთს თამაშობდნენ.

თამაში თავიდან წაგებით დავიწყეთ,მერე მე ვიგებდი, ის კი აგებდა. მეუღლეს თვალით ვანიშნე ამდგარიყო და დაესვენა.

ზედიზედ რვა ხელის მოგების შემდეგ,სხვა მაგიდაზე გადავედი.დასაწყისში იქაც ორი ხელი წავაგე, მერე ერთიმეორის მიყოლებით ათი ხელი მოვიგე. ეჭვი რომ არ აეღოთ ფეხზე ავდექი და კარგი სოლიდური თანხით კაზინო დავტოვეთ. პრესტიჟულ ბანკში ანგარიში გავხსენით და ყველა მოგებული თანხა ანგარიშზე შევიტანეთ.

-დღეიდან ძვირფასო ჯიბით ფულის ტარება აღარ დაგვჭირდება.აგერ ვიზა-ბარათი და მისი უდიდებულესობა საგადასახადო ოპერაციები.

-ძალიან მიხარია, რომ ჩვენ უკვე საკუთარი ფული გვიდევს, მასთან ერთად ერთი რამ მაინტერესებს, რასაც ვგებულობ არ გეკითხები, რასაც ვერა ყოველთვის მინდა შეგეკითხო, ოღონდ ნუ გამიბრაზდები შეკითხვებით, რომ გაბეზრებ ხოლმე თავს.

-რას ამბობ ჩემო კარგო, თქვი რამდენიც გენებოს, სანამ შენ თვითონ არ მოგწყინდება.

-რა მინდოდა მეკითხა იცი? თავიდან რომ განგებ აგებდი და მერე თამაშის შეწყვეტამდე აღარ წაგიგია, გასაგებია, იგებდი რაღაც საშუალებით, გაკვირდებოდი, მაგრამ დიდი მონდომების მიუხედავათ, მაინც ვერ გავარკვიე საიდან გებულობდი წინასწარ გამოსასვლელ კარტს.

-ამ საიდუმლოებას ძვირფასო, მაშინ ჩაწვდები,როცა თავისუფლად დაეუფლები აზრ-ფორმით მოგზაურობას.

-გასაგებია,ასეთი სვლით ჩვენ დიდძალი ქონების პატრონი გავხდებით.

-ცხადია,ჩვენ შეგვეძლება შევიძინოთ ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ქონება, ოღონდ ჩვენი მისია არ უნდა დავივიწყოთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს,რომ ჯანსაღი თაობის მოვლინებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გარემო უკეთესი საშუალებაა, მაგრამ არა საკმარისი,აგრეთვე შობამდე მათი ჯანსაღი აღზრდისთვის საჭირო აუცილებლობაც უნდა გვახსოვდეს, ეს არის ჩვენი შინაგანი,ასე ვთქვათ ეკოლოგიური სისუფთავე, რომ უკვე მოვლინებულს მზად გააჩნდეს ტრენირებული გენების კომპლექსი.

-მახსოვს გენაცვალე მახსოვს, მერე ხომ ვასრულებთ.

-ცხადია,და კიდევ ჩვენ ამის გამო არ შეგვეძლება ქალაქში ყოველდღე ჩამოსვლა, მხოლოდ კვირაში ერთხელ. ჩვენს ბავშვებსაც ასე მოუწევთ, უფრო იმიტომ რომ არაეკოლოგიურ გარემოს მიმართ იმუნიტეტი გამოუმუშავდეთ.მე და შენ ეს იმუნიტეტი უკვე გვაქვს გამომუშავებული. ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანი არის ყოველმხრივი განწმენდა, თუმცა,იმ გარემოში

სადაც ვიმყოფებით, გონებას თანვე ხელს ვუწყობთ განთავისუფლდეს ყოველი არასაჭირო ფიქრისა და აზრისაგან, ორგანიზმს კი ზედმეტი ტოქსიკური ნივთიერებებისგან, რაშიც თავისთავად გარემოებაც გვეხმარება, როცა გონება და სხეული შეზღუდული აღარ იქნება ყოველგვარი მაკიერი ჩვევებით,მაშინ თავისუფლად აეხსნება გზა სულიერ განვითარებასაც, ასე არ არის?

-ჭეშმარიტად.ბავშვების სწავლების საქმე როგორ იქნება?

-სკოლამდელ ასაკამდე ჩვენთან, შემდეგ სკოლაში უფრო ურთიერთობის განვითარების გამო.თორემ ჩვენ მათი სწავლა-აღზრდა არ გაგვიჭირდება.

-რამდენს ვაპირებთ, თუ შეიძლება ამის წინასწარ თქმა.

-რაც მეტი მით უკეთესი. აი მოვედით კიდეც დავემშვიდო-ბოთ ქალაქს და წავიდეთ.

შინ დამაშვრალი მივედით, მაგრამ ნასიამოვნები.

-როგორი კმაყოფილი ხარ დღევანდელი დღის-ვეკითხები კმაყოფილებით მომღიმარ მეუღლეს.

-არაჩვეულებრივი, რატომ ადრე არ მოგაფიქრდა?

-როცა მოვიფიქრე მაშინვე გითხარი, ცოტა ხანს ჩამოვჯ-დები, მერე ცხელ შხაპს მივიღებ.

-ჯერ მე შევალ თუ შეიძლება.

-მაშინ მე სააბაზანოში გავალ და დაღმავალი წყლის ჭავლისგან მსუბუქ მასაჟს მივიღებ.

-მეც მინდა.

-ან ერთი აირჩიე, ან მეორე, ერთდროულად ორგან როგორ იქნები?

-კარგი, ოღონდ არ გაცხარდე სადაც გული გაგიწევს ის მიიღე.

-არ ვცხარობ ჩემო კარგო, ნუ გააზვიადებ ხოლმე, უმნიშვნელოს პრობლემად. დავხუროთ ეს საკამათო თემა. მომისმინე,მანდ საკიდებზე, საღამოს ხალათი ჩამოხსენი ბოდიშის მოხდით და მომაწოდე. დღის დასალიერს უკვე კარგად ცივა.

-შემოდგომის დასაწყისია,თან მთაში ვართ, აგერ ხალათიც, ჩაიცმევ თუ მოგახურო?

-ჩავიცმევ, ცენტრალური გათბობა უნდა ჩავრთო. მისაღებში ცეცხლის დანთება აჯობებს.

-რატომ?

-არამარტო სითბოსთვის, არამედ შენც კარგად იცი, რომ ცეცხლი სანიმუშოდ ახერხებს განწმინდოს როგორც აურა ისე ჩვენს ირგვლივ სივრცე.

-მე მხარს დაგიჭერ. რა მაგის პასუხია, ხვალ რა გეგმები გაქვს?

-რატომ გაინტერესებს?

-მინდა წინასწარ ვიცოდე.

-ხილის ჩამოტანა მქონდა გამიზნული, მაგრამ შევცვალე, ტახზე მინდა სანადიროდ წასვლა.

-აუჰ, ნამდვილად?

-უეჭველად.

-მეც წამიყვანე, ცოტა გამოცდილება ხომ მაქვს მიღებული, რაღაცაში დაგეხმარები.

-ისინი ისეთ მიუვალ ადგილებში დადიან, შენ უსათუოდ გაგიძნელდება. იმ ჩიგვნარებში სიარული სტაჟიან მონადირეებსაც უჭირთ.

-მე არ გამიჭირდება, უარი არ მითხრა რა იქნება,გთხოვ.

-მერე,მე რა ვქნა რომ გაგიძნელდეს?

-ბოლოს და ბოლოს სპორტსმენი ვარ, გამოუცდელ მონადირეს ვეღარ ვაჯობებ? ხომ წამიყვან,გეხვეწები რა-ორი თითით პატარა ბავშვივით ყელი გამომიწია.

-ჰო, კარგი, მივიღე თხოვნა.

ისე აფორიაქდა სიხარულისაგან, აღარ იცოდა რა ეთქვა.გადამეხვია და გაბედულად მეუბნება:

-აი, წამოვალ და შენ ნახავ თუ არ დაგეხმარები.

-ვნახოთ, ჩემი სიტყვაც გაგახსენდება. დილას რაც შეიძლება ადრე უნდა გავიდეთ,მონადირეებს რომ არ გადავეყაროთ, სანადირო დანების ნაკრები არ დავივიწყოთ.

-ეგ რომელი?

-ეს არის დანა,რომლის გადაკეთება შეიძლება ცულად და ჩანგლად,ასევე მოსასხამი, წყალგაუმტარი ქსოვილი. ახლავე მოვიმზადოთ მერე კი წყალი გადავივლოთ.

სამზადისი და საღამოს პროცედურები,რომ დავასრულეთ ფეხზე აღარ გავჩერებულვართ,პირდაპირ საძინებელში გავედით.

ალიონზე უკვე გამოფხიზლებულებმა დილისთვის დაწესებული შესასრულებელი კომპლექსი შემცირებულ დროში ჩავატარეთ. ნადირობისთვის განკუთვნილი სპეციალური ფრაზები წარმოვთქვით და ჩვენი ლაინერით დაბლა დავეშვით,თან პარალელურად მომკვლევ ხელსაწყოს ჩემთვის სასურველი სანადირო ცხოველის მონაცემები მივაწოდე, ჯერ ის ადგილები დავათვალიერე სადაც კურდღლები მოვინადირე, მერე ჩრდილო-დასავლეთით გავედი. გადავუფრინე მდინარის ფართო კალაპოტს და მის პერპერდიკულარს გავყევი. არ გავლილი ნახევარი კილომეტრი მონიტორმა სილუეტი გამოსახა, რასაც თანვე წყვეტილი სიგნალი მოჰყვა. მალე ჩაჩუმდა და მონიტორზე ტახის გამოსახულება გამოკვეთა. საფრენი აპარატი სასწრაფოდ შევაჩერე, ჩამოვქვეითდით და უახლეს ხეს ამოვეფარეთ. მიყურადება ვცადე, მაგრამ ფრინველთა ჟივილი საშუალებას არ მაძლევდა სხვა რომელიმე ხმოვანება გამერჩია. ხან ჟღურტული და ჟივჟივი მესმოდა, ხანაც გამუდმებული დიდ ფრინველთა ფრთების ფრაშფრაში.

-შეხედე, აი იმ ჩიტს დაბალ ტოტზე,წამდაუწუმ რომ ჭივჭივებს.

-ფრთებს რომ ათამაშებს?

-კი.

-ეგ ღაღანა ჩიტია, რაღაცას გვეღიღინება,რადგან ჩვენს სიახლოესაა,ერთგვარ მინიშნებად უნდა ჩავთვალოთ.

-ალბათ გვაფრთხილებს, ფრთხილად იყავითო.

-უფრო უკეთესი ვარიანტი იქნება, მის ნისკარტის მიმართულებას თუ მივყვებით ვნახოთ სად გაგვიყვანს.

ათი ნაბიჯი არ გვქონდა გადადგმული, რომ კვალს თავზე წავადექით, ნაკვალევს ჩავყევით. ხუთიოდე ნაბიჯის შემდეგ გავჩერდი და მეუღლეს სავარაუდო აზრს ვეუბნები.

-ეს ბილიკი ჩვენ მდინარის პირას გაგვიყვანს. არამგონია ისინი ასე ადრიანად წყლის დასალევად ან თავის გოჭებიანად საჭყუმპალაოდ წასულიყვნენ, ამიტომ სჯობია აღმა ავყვეთ.

შემოვტრიალდით და აღმართს შევუდექით.ოც მეტრში მათი ბილიკი ორად იყოფოდა, ერთი პირდაპი, მეორე მარცხნივ.

-ცოტა ხანს აქ დაველოდოთ, თუ არ გამოჩნდნენ, შემდეგ გადავწყვიტოთ რომელ მხარეს აჯობებს-შემომთავაზა საკუთარი სტრატეგია.

-აქ დალოდება უფრო დროის დაკარგვა იქნება, პირველ ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ, სად ექნებათ მათ ბუნაგი, მარცხნივ თუ პირდაპირ. მარცხნივ ხომ, ხედავ როგორ ჭარბობს ჩიგვნარი, უფრო გაუვალი და მიუდგომელი მხარეა, პირდაპირ შედარებით ხალვათობაა. მე ვფიქრობ რომ ბუნაგი სწორედ ძნელად მიუვალ ადგილებში ექნებათ გაკეთებული. მეორე, ამ დროისთვის ისინი ბუნაგში არ უნდა იყვნენ, სარჩოს საძებნელად იქნებიან ყველა გამოსულები, ამიტომ სჯობს ისევ ზემო მიმართულებით წავიდეთ, რაც მთავარია ნიავი ჩვენ გვეხმარება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყნოსვით ვერ შეიგრძნობენ ადამიანის სუნს. მესამე, თუ ვინიცობაა თვალთახედვის არეში გამოჩნდნენ მყისვე შევჩერდეთ.უცხო ფეხის ხმამ არ დააფრთხონ. სიარულით უნდა ავყვეთ იმ ხმებს, რაც მათთვის ბუნებრივი იქნება. აბა, ახლა წინ.

მანამ მივყევით ნაკვალევს, სანამ კვალმა მუხრანში არ მიგვიყვანა.

-აი აქ ჩემო კარგო სიფრთხილეა საჭირო, სასწრაფოდ უნდა დავიმალოთ.მომყევი. იმ მორზე ავიდეთ-ვუთითებ ნამორზე-იქიდან ხეზე. წინაღობების გადალახვას მიჩვეული ხომ ხარ.

-ნუ მექილიკები, შენ ძალიან კარგად იცი რა შემიძლია. მიდი და მოგყვები.

ხეზე გაუწვალებლად ავცოცდით და ჩამოვჯექით. ათი წუთი ველოდეთ. მათი გამოჩენის არანაირი ნიშანი არ ჩანდა.

-რაღაც უნდა ვიღონოთ, აქ დიდხანს ხომ ვერ გავჩერდებით.

-დაიღალე თუ სახლი მოგენატრა?

-განა ამიტომ ვთქვი, უბრალოდ, კი არ დავიღალე, მოვიფიქროთ რაიმე.

-მაშინ ტოტები დავარხიოთ და რკოები ქვემოთ ჩამოვუყაროთ, ვცადოთ შეიძლება გაამართლოს კიდეც.

-მოფიქრება არ გიჭირს მოდი და შევარხიოთ.

ასეც მოვიქეცით რაც ჩვენ ირგვლივ რტოები იყო, თითქმის ყველა დავბერტყეთ.

-ახლა დავისვენოთ, ცოტა წყალი მოვსვათ და დაველოდოთ.

არ გასულა ხუთი წუთი ხმაური რომ შემოგვესმა. მივიხედ-მოვიხედეთ, ვერაფერიც ვერ შევნიშნეთ. ხმაური მალევე განმეორდა.

-ამჯერად მოვემზადოთ, -ვთქვი და იარაღი ამოვიღე. -გამოჩნდნენ, შეხედე ბილიკს მოჰყვებიან. გავითვალისწინოთ ისიც კი, რომ ძირს დაყრილ რკოებს რომ დაინახავენ ხეს გარს შემოეხვევიან და ჩვენ თავისთავად ალყაში მოვხვდებით. არ შეგეშინდეს, მსხვილ ტოტებს მაგრად ჩაეჭიდე, აგერ მოვიდნენ კიდევაც თავისი ნაშიერებით. ხედავ რამოდენა ეშვები აქვთ?

-ახლოს რომ მოვლენ უკეთესად დავინახავ.

-საკმარისია წინ მავალმა ერთი რკო შეჭამოს, დანარჩენებიც მას მიბაძავენ ამას შეხედე, ეს წიწკანა საიდან მოფრინდა.

-არ ვიცი,თავისი უცნაური წაწკანით არ დაგვიფრთხოს თითქმის აქ მოსული ტახები.

ისინი ხრუტუნ-ხრუტუნით ფირცხლავ შემოესივნენ ხის ძირში ნაყარ რკოებს, ხარბად ახრამუნებდენ და ალყაც ხაფად შემოგვარტყეს. უკვე დრო იყო მოქმედებისთვის,ხელით ვანიშნე ჩემი განზრახვა და დავიწყე, მიზანში ის ამოვიღე, რომელიც თვალში მომივიდა, არც სროლა დავაყოვნე.სროლას უმალ ძაღლის მსგავსი ყეფა მოვაყოლე, იმ მიზნით რომ დანარჩენები სასწრაფოდ გაცლოდნენ ამ ადგილს.ჩვენ კი თავისუფლად გვემოქმედა.

ხიდან ფრთხილად ჩამოვედით. ნანადირევი მკვრივ წყალგაუმტარ ქსოვილში გავახვიეთ და უკან იმავე ბილიკით ვისარგებლეთ. ნადავლს კი უპრობლემოდ დაღმართზე სრიალ-სრიალით მოვაცურებდით.

უეცრად ნამდვილი ძაღლების ხმა შემოგვესმა, სიტუაცია დაგვეძაბა. ჩვენს მფრინავ აპარატამდე დაახლოვებით ოცდაათი მეტრი იყო დარჩენილი. მონადირეებიც ამ ბილიკს მოჰყვებოდნენ. მათთან შეხვედრა მრავალი მიზეზის გამო არა და არ მაწყობდა, ამიტომ გადავწყვიტე ექსტრემალურ სიტუაციის შექმნის დროს ყველა გამეთიშა. ჯერ დამალვა უნდა მეცადა. ბილიკიდან გადავუხვიეთ და დაველოდეთ მოვლენების განვითარებას.

-იმედი არის?- მეკითხება როცა ჯაგნარში ჩავიმალეთ.

-გვაქვს ერთი კარგი ვარიანტი. თუ ძაღლებმა ჩვენი ბილიკიდან მათი ბუნაგისაკენ გადაუხვიეს, მაშინ თავს დავაღწევთ, თუ არა, ორმოცდაათი ორმოცდაათზეა ან პირდაპირ ან პირისპირ და კიდევ ერთი მანევრის შესრულება მოგვიწევს.

-რას გულისხმობ?

-ჩვენ ნანადირევს ქსოვილი კი აქვს გადაფარებული, მაგრამ მაინც საჭიროა წინიდან ამოვეფაროთ. ძაღლებს ადამიანის სუნი რომ მიუვიდეს და არა ტახის. ისინი მათზე არიან დაგეშილები. ჩუმათ, მგონი იქით გადაუხვიეს, უნდა დაველოდოთ მონადირეები იქ ვერ შევლენ, ვნახოთ რას გადაწყვიტავენ. ცოტაც მოვითმინოთ, ერთი წუთით, ეტყობა ძაღლები აუშვეს თვითონ ისინი ბილიკზე დარჩებიან და დამფრთხალ ნადირს დროებით აქ დაელოდებიან.

-რა ვქნათ?

-დაველოდოთ.

-როდემდე?

-გესმის, როგორ დაშლიგინობენ ჯაგნარში. ერთი მაინც გამოვარდება და სად ამოყოფს თავს არავინ იცის, ახლა ძაღლების ყეფა ზემოდან ისმის, ვხედავ ერთი მონადირე ბილიკს აუყვა, ჩვენც მოვემზადოთ.

-რას აპირებ?

-თუ ამ ორ წუთში ესეც არ წავიდა, დროებით გავთიშავ- სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ ზემოდან თოფის ხმა გაისმა. მეორეც მასთან გაიქცა. ამ დროს ჩვენ დრო ვიხელთეთ და დაღმართზე დავეშვით. მარჯვნივ გადავუხვიეთ თუ არა დაფეთებულმა ორმა ნადირმა ზედ ფეხებთან გადაგვირბინეს,

სიმარდე რომ არ გამოგვეჩინა უსათუოდ გადაგვთელავდნენ, არადა მხოლოდ ხუთიოდე მეტრი გვაშორებდა დანიშნულ ადგილს. როგორც იქნა მივაღწიეთ ჩვენს საფრენ-აპარატამდე, ნანადირევთან ერთად ჩავსხედით და რამდენიმე წამში შინ ვიყავით.

-ახლა როგორ გრძნობ თავს-ვეკითხები, როცა ჩამოვსხედით -ხარ დამშვიდებული, ცოტა შეშინდი არა? მოდუნებისთვის სპეციალური აუტოტრენინგი შეასრულე და გაგივლის.

-შენ ის მითხარი, ამდენ კილოგრამ ხორცს რა უნდა მოვუხერხოთ.

-ერთ ნაწილს შევბოლავთ,მეორეს ჩავამარილებთ, მესამეს ჩავაბასტურმებთ. დანარჩენი ჩაიშუშება, არც ოსტრი იქნება ურიგო და არც, რაც მთავარია მისი მწვადები. ზამთარში დიდთოვლობისას ლაბორატორიაში დამზადებულ საკვებს, აგერ ბუნებრივი საკვებით შევცვლით. არ დავივიწყოთ ახლა ნივრის ჩათესვის პერიოდი დგება, ხვალ თუ ამინდი იქნა მთლიანად დავამუშავებ და ერთ დიდ კვალში მხოლოდ ნიორს ჩავთესავ.

-ზამთარში ცოცხალი ბოსტნეულის მოხმარების საკითხი როგორ მოვაგვაროთ, თითქმის ყოველდღე დაგვჭირდება.

-სწორი შენიშვნაა, შენ რას ფიქრობ როგორც დიასახლისი?

-ქალაქიდან რომ მოვიტანოთ ერთი კვირის სამყოფი?

-ქალაქის საკვებს ვერ ვენდობი, იდეა დამებადა, შენ თუ მოიწონებ.

-აბა მითხარი.

-იმ ნაკვეთზე კვალსათბური რომ გავაკეთოთ?

-სათბურს გულისხმობ?

-კი, მზიან ამინდში სახურავი მექანიკურად აიკეცება, დათესილმა ბოსტნეულმა მზის სხივები რომ მიიღოს, საღამოს ისევ დაიხურება.

-კარგი აზრია, ყოველდღე ქორფა და ხასხასა მწვანილეულობა გვექნება.

-თავისთავად ცხადია, ნატურალური და ეროვნული, სათესური კი გითხარი უკვე მოტანილი მაქვს. ხვალვე შევუდგეთ მის წარმოებას. დღეს ეს საქმე მოვაგვაროთ.

თითქმის ნახევარი დღე მოვუნდით ნანადირევის მოსამაგისებას. მერე საკვლევ განყოფილებაში სასათფურე მასალები შევუკვეთე და ვახშმად დავსხედით.

სანამ გავქეიფიანდებოდით, მან ლუკმა თეფშზე დააბრუნა, თავის სამფეხს ხელი მოკიდა და გვერდზე მომიჯდა, თვალები ღიმილით ჰქონდა განათებული. თმებზე ხელი უხმოდ გადამისვა. თავით მხარს მიეკვრა და სათქმელად მოემზადა.

მე მივხვდი მის სათქმელს, არაფერი შევიმჩნიე, მინდოდა უფრო მას რომ მოეხარებინა ჩემთვის მიზეზად ყოფნა.ხელი მხარზე მოვხვიე, თავით თავს შევეხე და მის გახშირებულ სუნთქვას ყური მივუგდე.

-იცი რა უნდა მოგახარო - მეკითხება პასუხის მოლოდინში.

-ეს ხომ არ არის ჩემო რჩეულო?-მივანიშნე მკერდის ქვემოთ, თან მის მუცელს მოვეფერე.

-ხომ ესაა-უმალ მომიგო ორივე ხელი მომხვია და გაინაბა.

-მომილოცავს ძვირფასო ახალი სიცოცხლის ჩასახვა-მივულოცე, გულში მაგრად ჩავიკარი და სიხარულს გავუყუჩდი.

მან თავი უკან გადასწია, გაბრწყინებული თვალებით ამომხედა და შემომცინა.

-მეც გილოცავ სიყვარულო ამ სიხარულს. ჩვენ უკვე სამნი ვართ.

-იქნებ ოთხნიც.

-შესაძლებელია, არც ეგ არის გამორიცხული.

-მოდი აღვნიშნოთ და დავლოცოთ. ახალი სიცოცხლის ათვლის საწყისი. მაშასადამე ჩვენი დღევანდელი ნადირობა და ნადიმი შემთხვევით არ ყოფილა. არა?

-მეც ასე მგონია, თითქოს მას მივუძღვენით.

-რატომ თითქოს, ეს შენი აზრით, თორემ შენმა ქვეცნობიერმა კარგად უწყის, რომ ეს იდუმალი კანონზომიერების კვალდაკვალ ხდებოდა. ხომ ხედავ რამოდენა ჯაფის გაწევა დასჭირდა, რომ სასიხარულო ცნობა შეგვეტყო. დაგლოცავ გენაცვალე, აბა შენ იცი, მე აგერ ვარ, ვიცი ახლა დედაშენის კონსულტაცია გჭირდება. მაგრამ არ ინერვიულო ყველა საჭირო ინფორმაციას მე და ჩემი

აპარატი მოგაწვდით, მხოლოდ თქვი და ჩვენ მზად ვიქნებით შესასრულებლად. გარკვეულწილად შენც იცი, როგორც სამედიცინო განათლების მქონეს.

-შენი იმედი უფრო მაქვს ვიდრე ჩემი განათლების. რატომ შემეკითხები, გიპასუხებ. მე შენს უკან ვხედავ ურყევ მესერს ყოვლისშემძლე ძალას, რომელსაც შესწევს უნარი ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვისა. მე ამის მწამს, ეს არის ჩემი იმედიანი მომავალი.

-ოო, ეს უკვე დიდი პასუხისმგებლობაა. ოღონდ ფეხმძიმობა არ გაგიჭირდეს და მზად ვარ შევძლო შეუძლებელი.-დავამშვიდე ჩემი რჩეული.

კიდევ დიდხანს გავაგრძელებდით საალერსო მასლაათს, დაღლილებს ძილი რომ არ მოგვკიდებოდა. მშვიდობიანი და სასიამოვნო დღის დასასრული დავლოცეთ და დავისვენეთ.

განთიადისას საყოველდღიურო წესის აღსრულების შემდგომ, საკვლევ განყოფილებაში კვალსათბურის კონსტრუქ-ციის მიხედვით გამზადებული მასალები ნაკვეთში ჩავიტანეთ და თანვე დავიწყეთ მისი სისრულეში მოყვანა.

დღის დასალიერს უკვე დასრულებული გვქონდა. მზის ბატარეიების დაყენებაც კი მოვასწარით.

მეორე დღეს მიწის სამუშაოები შევასრულეთ, დავკვალეთ და კიდევაც მოვთესეთ.

-არ აჯობებს, ვეკითხები მეუღლეს- აგერ ხის ძირში მაგიდა მერხებითურთ რომ გაგვეკეთებინა.

-აჯობებს, სუფთა ჰაერზე სადილობას რა სჯობია. როდის გვექნება ეს სიამოვნება.

-გეჩქარება?

- ეხლა რას მოვასწრებთ ხვალისთვის ვიზრუნოთ. ამჯერად ზემოთ ავიდეთ და დავისვენოთ.

...მომდევნო დღეს, როცა მზე ამოიწვერა ქვემოთ ჩავედით და ბაღჩის გარშემო მუხის ხეების ძებნას შევუდექით.

-რატომ მაინცდამაინც მუხა. აგერ რამდენი სხვა სახეობის ჯიშის ხეებია.

-მუხა ჩემო კარგო მეტი დადებითი ენერგიის გამცემია. ამიტომ მინდოდა, ახლოში ვეძიოთ, შეიძლება აქვე მივაგნოთ.

20-25 წუთის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა მივაკვლიეთ. კომპას-აპარატის მეშვეობით ადგილზევე დავამუშავე, ჯერ სამაგიდე ჩამოვაცურე მერე კი სასკამეები, ბაღჩის ჩასასვლელთან ხის ძირში შევკარი და დავდგი. დარჩენილი ნაწილი და მეორე მუხის ხე საფიცრე მასალად დავამუშავე, ზემოთ ავიტანეთ და ვერანდაზე დავაწყვეთ...

...ერთი კვირის თავზე ამ მასალით წინა ავანზალის მხოლოდ ორი მხარის კედლის ქვედა ნახევარი დავფიცრე.

-გრძნობ, -ვეუბნები საღამოს ჟამს სამზარეულოდან გამოსულ მეუღლეს-როგორი საამებელი სურნელი დაატრიალა მუხის ხის კედლებმა მისაღებში?

-რაღა თქმა უნდა, თავიც უფრო ხალისიანად ვიგრძენი.

-მოდი ჩამოჯექი ჩემს გვერდით,თითქოს ისეთი შეხედულება გაქვს, რაღაც სერიოზულ თქმისთვის ემზადებოდე.

-კი გუშინ მინდოდა მეთქვა,მაგრამ გულზე გადამვარდა ახლა გამახსენდა.

-რა იყო ასეთი.

-გახსოვს იმ კვირის გეგმაში,რომ გქონდა შორეული მოგზაურობა.უკვე კვირა იწურება.

-მახსოვს ძვირფასო, მოვიფიქრებ რა დროს სჯობს, თუმცა შეიძლება უახლოეს საათებში.

-როდის? რას ამბობ? ახლა?

-რა გაიკვირვე,სპეციალური სამზადისი გვინდა თუ რა.

-არ ვიცი,გეკითხები.

-მეც გპასუხობ,რომ თუ ცაზე პოლარულ ვარსკვლავს შეამჩნევ მაშინ გავალთ.აბა გაიხედე.

-თუ ცა ღრუბებით არის დაფარული, მაშინ?

-მიტომ გითხარი, შეამოწმე მეთქი.

მყისვე ადგა და ვერანდაზე გავიდა მალე რომ არ დაბრუნდა დაძახებას ისევ გასვლა ვამჯობინე. ცაზე უამრავი ვარსკვლავი

ციმციმებდა, საამო იყო მათი ცქერა,ისიც იდგა და სიამოვნებით გასცქეროდა გაცისკროვნებულ ზეცას.

-რას აკვირდები ასე გულმოდგინებით-შევეხმიანე ოცნებებში წასულს.

-უი,-წამოიძახა შემკრთალმა -არ გელოდი,ახედე ცას, ამ სილამაზემ დამაყოვნა.მათ ციმციმს, რომ ვუყურებ, ნაძვის ხეზე გაწყობილი ფერადი ნათურების ციმციმი მახსენდება.სიმშვიდესა და სილაღეს განვიცდი ხოლმე, უფრო მეტიც ჩემს ბავშვობაში მაბრუნებენ.

-მაშინ გადაიცვი და გავფრინდეთ შენი ბავშვობისკენ.

-მეხუმრები?

-შენ მითხარი სურვილი თუ გაქვს.

-ისეთი ძლიერი,ფრენისთვის შენი ლაინერიც არ დამჭირდეს.

-მაშ ასე, ჯერ პატარა მოსამზადებელ სამუშაოებს შევასრულებ, მერე კი ჰერი, ჰერი.

სანამ საფრენ აპარატის ციფრულ მონაცემებს შევამოწმებდი, მანამდე მის ირგვლივ ორ ფენად შემოვავლე საცეცხლგამძლე შრე.თბორეგულაციისთვის ფენებს შორისი სივრცე ისეთი ტექნიკური აირით შევავსე,რომელსაც შეეძლებოდა მომეტებული სითბური დაწოლა გაეთანაბრებინა შესაფერის ტემპერატურისთვის.

როცა ყველა მონაცემი ტექნიკურ პარამეტრებს შეესაბამა. რეაქტიული ამპლიტუდის სიმძლავრე ავწიე და საშუალო დონის შტრიხს გავუსწორე.

სტარტის მიცემამდე ვეუბნები მეუღლეს.

-ახლა შენ ჩემი თანაშემწე ხარ,რასაც განიშნებ ან მიგითითებ უნდა გააკონტროლო ან შეასრულო.

-მიღებულია-დამიმოწმა უკვე თანაშემწემ.

სათანადო ინსტრუქციების მიცემის შემდეგ გავეცი სტარტის ბრძანება.

სტარტიდან 350 000 კმ. რომ ავედით ოთხივე მხარეს ეკრანიდან მოსასმენი აპარატურა ავამოქმედე.

ჩვენს გარშემო ციური სივრცის არაჩვეულებრივი ხედი გადაიშალა. პარალელურად გვესმოდა კოსმოსისთვის დამახასია-თებელი შრიალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები. განსაკუთრებით კოსმიური ხმიანობა-ოომმმ, ვხედავდით ქაოსურად მოძრავ მცირე ზომის ნაწილაკებს.ცოტა შორს კი ვარსკვლავების კაშკაშის ფონზე აქა-იქ მოქროლავ კომეტებს. თანდათან ზემოთ მივიწევდით, მერე კურსი დასავლეთის მიმართულებით ავიღეთ. მზიდან პირველი პლანეტის დასათვალიერებლად.

-ვინაიდან პლანეტა მერკური მზესთან ახლოს მდებარეობს,-ვუხსნი ჩემს თანაშემწეს-ტემპერატურა მის ზედაპირზე სამნიშნა ციფრს აღწევს, დღისით 350^{0}C-მდე ღამით 170^{0}C-ს. ნიადაგი ძირითადათ ფხვიერი მასისაგან შედგება.მაგნიტური ქარიშხლები აქ ხშირი მოვლენაა, რაც შეეხება მის ორბიტას,ნამდვილად რომ არასტაბილურობა ახასიათებს, იცვლის როგორც გადანაცვლების სიჩქარეს ასევე მდგომარეობასაც. არც თანამგზავრი ჰყავს.

-გმადლობ ახსნისთვის, ახლაც როგორი ლავა მიმოქრის, დედამიწის უდაბნოებს მოგაგონებს.

-აქ თუ საინტერესოს ვერაფერს ხედავ, გადავინაცვლოთ იმ მხარეს სადაც მზე არ ანათებს.

-ღამეს რას გავარჩევთ.

-ღამის ხედვით მექანიზმს ჩავრთავ, მას დაემატება ჩვენი ლაინერიდან გაშვებული დაღმავალი შუქი და ზედაპირის დათვალიერებას ადვილად შეძლებ. -დავასრულე და მიმართუ-ლების შეცვლა დავიწყე.

ჩრდილოვან მხარეს გადავედით. აქ მასთან შედარებით სიწყნარე დაგვხვდა, ირგვლივ ღამის წყვდიადი ჩამი-ჩუმობდა, ვეძებდით რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ ვერც აქ შევნიშნეთ.

-რაკი გალაქტიკის ამ განედზე ვიმყოფებით, -ვაწვდი მორიგ გეგმას თანაშემწეს. გზად პლანეტა ვენერაც მოვინახულოთ.

-მივიღე ახალი გეგმა-დამიდასტურა მოთხოვნა და მონიტორს დახედა.

სკალაზე მიმართულების მაჩვენებელი შევცვალე.მაღლა ავიწიეთ და კურსი მზიდან მეორე პლანეტისკენ ავიღეთ.

-ვენერას საშუალო რადიუსი-თან დავიწყე ახსნა-თითქმის ორნახევარჯერ მეტია მერკურის რადიუსზე. ატმოსფეროს 96% ნახშირორჟანგია, 4% აზოტი, უმნიშვნელო რაოდენობის წყლიანი ორთქლი და ჟანგბადი. ამგვარი ატმოსფერო კვალსათბურის ეფექტს ქმნის და სწორედ ამის გამოა ტემპერატურა მეტი ვიდრე მერკურზე, დაახლოებით 475 ცელსიუსია.

-სიცოცხლის ნიშანწყალი თუ გააჩნია ერთ არ მეორე პლანეტას.

-შესაძლებელია, არ გამოვრიცხავ ნიადაგის სიღრმეში აღ-მოჩნდეს ამ გარემოსთვის დამახასიათებელი გარკვეული სახის ბაქტერიები.

-მეც ასე ვფიქრობ.

-კარგი, მომისმინე.

-გისმენ.

-კიდევ ერთხელ უფრო ახლოს შემოვუაროთ მის ზედაპირს და ამით დავასრულოთ მოგზაურობა. საინტერესოს რასაც შენიშნავ დააფიქსირე. მოგზაურობის დასრულებისას კი სანამ შინ მივიდოდეთ დედამიწის სიღრმეში საწვიმარ ღრუბლების ქვეშ გავიაროთ კოსმიური მტვერის ჩამოსარეცხად.

-არის კაპიტანო.

-შეხედე მონიტორს.

-ვხედავ.

-რას.

-დედამიწის მეტეოროლოგიურ პანორამას.

-მოძებნე რეგიონი სადაც წვიმს.

-მოვძებნე,ჩრდილო-დასავლეთით.

-გმადლობ.

-არაფრის კაპიტანო.

წვიმის ქვეშ ცოტა ხანს დავყოვნდით. ჩავრეცხეთ გარს მოდებული მტვრის ნაწილაკები და ჩვენს საფრენ ბაქანზე დავეშვით.

შინ მისულები არც კი დავმსხდარვართ პირდაპირ ცხელი შხაპის მისაღებათ გავედით.

შხაპმა მოგზაურობიდან მიღებული სიამოვნება უფრო გაგვიძლიერა,დაღლა კი გააქარვა, ვინაიდან გვიანი ღამე იდგა შთაბეჭდილებების გაზიარება შემდგომისთვის გადავდევით.

დილით, საუზმის შემდეგ დავსხედით და დღის გეგმის შემუშავება დავიწყეთ.

-გრაფიკის შედგენისას, -ვამბობდი,-ყოველდღიურად გარეთ გასვლის გათვალისწინება მცირე დროით მაინც მოგვიწევს.

-რა მიზნით?

-ჩვენ ხომ გარეთ არა მარტო საქმის გასაკეთებლად გავდივართ, არამედ პარალელურად ხდება ჩვენი ენერგეტიკული განმუხტვაც და მისი მიღებაც. ამას ახერხებენ მზის სხივები, ტყე, მდინარე, ჟანგბადით გაჯერებული ჰაერი, დედამიწისა და კოსმიური ენერგიები. აქ კი მის ნაკლებობას განვიცდით. ასეა არა?

-გეთანხმები,მეც მოხარული ვიქნები ამგვარი გრაფიკის შედგენის.დროის რომელ მონაკვეთში ჩავსვათ?

-ჩვენი მდგომარეობის მიხედვით, ძირითადათ დღის მეორე ნახევარში.

-სადღეისოთ როგორ მოვიქცეთ?

-სადილობამდე ჩავიდეთ აქედან წავიღოთ გამზადებული თავკერძი და ჩვენი ბაღჩის გვერდით ვისადილოთ, შენ ხომ ძალიან გსურს იქ ქეიფი.

-კარგი ჩანაფიქრია.

-როცა სადილს დავამთავრებთ, ბაღჩის ქვემოთ,რომ გამოქვაბული შენიშნე, მერე ის დავზვეროთ.

-ერთი შეკითხვა დამებადა,თხოვნის ფორმატით.მზის სხივებმა გამახსენა. აქ შემოდგომის სუსხი შემოგვეპარა, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში,უფრო ახლო აღმოსავლეთში ზღვაში ბანაობის სეზონი ჯერ არ დახურულა.ცოტა მაინც გაგვერუჯა სხეული.რას იტყვი.

-არ ვარ წინააღმდეგი.

-თუ გინდ დღეს,წავისაუზმოთ და გავემგზავროთ.

-მართალს ამბობ?

-ჭეშმარიტს.

-ხოხ,როგორ მიყვარხარ ვერ წარმოიდგენ-შემომციცინა და თავისი გრძელი ნატიფი თითები ჯერ შუბლზე,მერე თმებში შეაცურა და ნაზად მეამბორა.

ალერსით აფორიაქებული ჩემი მძლავრი მკლავები მის ვარსკვლავებს მოთამაშე სხეულს შემოვახვიე და შევეტფიალე. ანაზდად სურვილისა და ვნების ერთიანმა შეგრძნებამ იდუმალი გრძნობის თვინიერად გადაგვაქვცია და ტრფობის განცდით თავბრუდახვეულები სატრფიალოდ დაგვამდუმარა.

მდუმარება მისმა კრუსუნმა დაარღვია.

-ნუ გამჭყლიტე, -შემომჩილა ვიშვიშით-მცირედ მაინც შეუშვი შენი მარწუხები.

-ოხ,მაპატიე, ვეღარ მოვზომე, გატკინე რამე?

-არა,მხოლოდ სუნთქვა შემეკრა.

-თავს კარგად გრნობ?

-კარგად ვარ,შეგვიძლია მოვემზადოთ, ოღონდ მითხარი რა წამოვიღო.

-რაც გსურს გენაცვალე. საცურაო კოსტიუმი არ დაივიწყო.

-რომ არ მაქვს?

-აბა რით აპირებდი ცურვას, ხომ კარგი გზაში ავიღებთ. პლედი არ დაივიწყო.

მომზადებისთვის დიდი დრო არ დაგვჭირვებია, ჩავსხედით ჩვენს კუთვნილ საფრენ აპარატში, გზად მაღაზიებში შევიარეთ საცუარო კოსტიუმებთან ერთად ლეიბიც შევიძინეთ და ზღვის სანაპიროს ვესტუმრეთ.

ზღვა ისეთი წყნარი დაგვხვდა როგორც ხავერდოვან სეზონს შეეფერებოდა, საჩრდილობელ ფანჩატურის ქვეშ წყვილისთვის ადგილი მოვძებნეთ, სამოსელი გაშლილ პლედზე მივაწყვეთ და ბანაობისთვის მოვემზადეთ.

საზღვაო ჰავამ და ზღვის უიერიშო ტალღებმა შეგვაგულიანა და საცურაოდ განგვაწყო.

-აბა გავცუროთ ძვირფასო,რომელი სტილი ავირჩიოთ,ბრასი თუ კროლი.

-მე შინაურულს ავირჩევ.

-აკი ცურვა ვიციო?

-ვიცი,მაგრამ შინაურული-მეთქი. მე ნაპირთან ახლოს ვიბანავებ, შენ კი მაჩვენე შენი კლასი.

-კარგი, ერთ ას მეტრს გავცურავ, ცოტას მხრებს გავშლი, შენ კი ნაპირზე იჭყუმპალავე. -ვთქვი და საცურაოდ მოვემზადე.

ასი მეტრი შეუსვენებლივ გავცურე, უკან გულაღმა ვამჯობინე დაბრუნება. ნაპირს რომ მივუახლოვდი წყალზე ორი წუთი შევისვენე და ცურვით ნაამები მშვიდად გამოვინაპირე.

-ცურვაც კარგად გცოდნია, ჩემო კარგო.

-ვახერხებ.

-საიდან?

-ბავშვობაში ზაფხულობით ბავშვები ხშირად მდინარეში დავდიოდით საბანაოდ. ორი წელი საცურაო აუზშიც მომიწია სიარული,სწავლაც იქიდან მომყვება. არ გინდა რომ გასწავლო.

-აბა როგორ-მითხრა და ჩემს წინ ხელები წყალზე ააბათქუნა.

-დაწექი ზურგზე და თავი უკან გადაწიე. თემო კი ასწიე, ხელები განმკლავში, ტერფები მხრების სიგანეზე. ამ პოზაში წყალზე დაისვენებ. ახლა ტერფებს შორის მანძილი შეამცირე, ხელები ერთი ზემკლავში, მეორე ქვემკლავში, ამოძრავე წრიულად და სინქრონულად. დაიწყე და რამდენიმეჯერ გაიმეორე.

პირველსავე ცდაზე ადვილად აუღო ალღო. ჰქონდა შეცდომებიც, მაგრამ შენიშვნების შემდეგ გამოსწორება არ გასჭირვებია.

-დასაწყისისთვის, შეთვისების სანიმუშო შედეგი აჩვენე.-მოვუწონე სწავლისადმი მონდომება.

-გმადლობ, როგორი მოსწავლე ვიქნები?

-ისეთი როგორი მწვრთნელიც გყავს.

-ესეიგი კარგი.

-მე გპირდები სულ მალე შეგეძლება საკმაოდ გრძელი მანძილი გასცურო.აბა მოდი ერთხელ კიდევ წავივარჯიშოდ და მერე მზით გავირუჯოთ.

მეორე ცდაზე ათვისების უფრო უკეთესი უნარი გამოამჟღავნა, რამაც ცურვის დაუფლებისა და შესწავლის სურვილი გაუღრმავა.

-მე კმაყოფილი ვარ შენი მიღწევით-შევუქე, დასაწყისში მიღწეული წარმატება. მეორე ჩამოსვლისას სხვა ცურვის სტილს აგიხსნი და შეგასწავლი. იცი ახლა რა აზრი მომივიდა.

-ალბათ რაიმე კარგი.

-გადავწყვიტე შინ საშხაპეს გვერდით, ერთ მთლიან სიგრძეზე საცურაო აუზის გაკეთება. ადგილი ბუნების წყალობით საკმარისი გვაქვს.

-მომეწონა ეგ იდეა, ცურვასაც კარგად დავეუფლები.

-რასაკვირველია, იქ ადვილად შეძლებ ცურვის ნებისმიერი სტილის სწავლას.

-იცი რა მაინტერესებს.

-აბა თქვი.

-ჩვენი ლაინერით თუ შეიძლება წყალქვეშ მოგზაურობა?

-შეიძლება, თუ დამატებით მისთვის განკუთვნილ ხელსაწყოს ჩავამონტაჟებ.

-რთულია?

-ჩემთვის არა. რა არის მუზამ მოგაკითხა?

არ დაგიმალავ და მართლა მაინტერესებს წყალქვეშა ფლორა და ფაუნა.

-შევიტანოთ ჩვენს საერთო გეგმაში,ხელს არაფერი გვიშლის. აგერ მენაყინეც მოდის, ხომ არ გსურს?

-დიდი სიამოვნებით, თან ჩრდილში შევიდეთ ,თორემ დავიბრაწები.

-აირჩიე რომელიც მოგწონს და მეც მომაწოდე. -მივეცი არჩევანის უფლება.

ნაყინი მართლაც მოგვეწონა.გაგვაგრილა, წყურვილისა და შიმშილის გრძნობაც გაგვიქარწყლა, ხოლო მათ სანაცვლოდ საკურორტო განწყობა აგვიმაღლა.

ვინაიდან პირველი დღე იყო დიდხანს აღარ გავჩერებულვართ, კიდევ ერთხელ მივიღეთ ჰიდროპროცედურები და კარგი გუნებით შინ დავბრუნდით.

-რაც აქ ვიმყოფებით, -მეუბნება ზღვის ჰავით ნაიამები-არც ერთი დღე არ იყო უინტერესო,ყველა გამოირჩეოდა ერთმანეთისგან თავისი განსაკუთრებულობით.

-მიხარია, რომ კმაყოფილი ხარ.

-ალბათ შენთვის თანხმობა რომ არ მომეცა, იქ ვერც ვინატრებდი, რაც აქ ამ ხნის მანძილზე ვნახე და განვიცადე.

მასთან ერთად გაიხსენა სხვადასხვა თავგადასავლებისა და რომანტიკული საღამოების შთამბეჭდავი მოგონებები.მანამდე ვსაუბრობდით, სანამ ძილმა თავი არ წაგვართვა.

დილით საუზმე ადრიანად მივიღეთ. მერე ჩვენს-ჩვენს კალათებს ხელი მოვკიდეთ და ხილნარისკენ გავსწიეთ. მოსაკრეფად მზის გულზე მსხმოიარე ნაყოფებს ვარჩევდით. ორივე კალათა ორი სახის ხილით გავავსეთ და ნება-ნება აღმართს ამოვუყევით.

-ნეტავ როდის მოვა კვირის ბოლო.

-რას ნატრულობ?

-მოგზაურობას, ისეთი სასიამოვნო იყო კოსმოსის უკიდეგანო სივრცე და მისი იდუმალი შარიშური უკვე მომენატრა.

-მალე მოვა გენაცვალე, შემდგომში უფრო მეტ დროს დავუ-თმობთ. ეს საქმეც არ ითმენს, ხვალ კენკრა გვაქვს ჩამოსატანი, ზეგ კაკალი, არც თხილი და წაბლი უნდა დავივიწყოთ.

-მერე ვინ ამბობს უარს, არ მეზარება, ეს შენც კარგად იცი,პირიქით, კიდევაც მსიამოვნებს, ნეტავ საოჯახო საქმე გამოულეველი იყოს.

-კარგია, რომ არ გეზარება. დაღლა ხომ არ შემოგეპარა, თუ დაიღალე დავისვენოთ, ტვირთს იმგვარი თვისება ახასიათებს, გზაში თანდათან მძიმდება, ხვალ ისეთ სავალ ურიკას გავაკეთებ, აი ამ ბილიკზე თავისუფლად რომ იაროს, ახლა სული მოვითქვათ.

ჩვენი ტვირთი ხის ძირში მივაწყვეთ. მკლავები “დავფერთხეთ“ დაძაბულობის მოსახსნელად და ჩვენც იქვე ჩამოვჯექით.

ოცი წუთი დავისვენეთ. სანამ წამოვიდოდით, დაუკითხავად, მის კალათიდან იმდენი ხილი მოვაკელი, რამდენიც ჩემს კალათაში მოთავსდა.

-რას აკეთებ, შენ ისედაც მეტი გაქვს,-მომცა სუსხიანი შენიშვნა.

-მე მეტს ავიტან, შენ კი ვერა, ასე აჯობებს.

-რაკი შენსას არ იშლი წავიდეთ.

წამოვდექით და სახლისაკენ მიმავალ ბილიკს გულდინჯად ავუყევით.

დღევანდელი დღე ხილის დაპროდუქციებას მოვუნდით. შემდეგი დღე კენკრის გვქონდა, მერე თხილსა და კაკალს მივხედეთ.

კვირის ბოლოს, კოსმიური რეისის ჯერი დადგა. დილაადრიან ჩავსხედით ჩვენს საფრენ ლაინერში და კურსი, მზიდან მეოთხე პლანეტისკენ ავიღეთ.

როცა პლანეტას გარს ვუვლიდით,ერთ მონაკვეთზე დედამიწის მსგავსი რელიეფი შევნიშნეთ, თუმცა უფრო ახლოს რომ მივუახლოვდით, სრულიად სხვა სურათი დაგვხვდა, ოპტიკურ მოვლენას მივაწერეთ და გზა განვაგრძეთ.

-ჩვენ სჯობს -მივმართე თანაშემწეს -სამხრეთით გადავი-ნაცვლოთ. ცნობისთვის აქ ტემპერატურა ჩვენთან შედარებით ნაკლებია. შეიძლება იმ მხარეს ცოტა გაწონასწორებული იყოს. თუ ასეთი იქნება, მაშინ საინტერესო საკვლევი გარემო გველის.

-მიღებულია.

სამხრეთით განსხვავებული რელიეფური გარემო დაგვხვდა, შორიდან გრანდიოზული ქვის გამოსახულება შევნიშნეთ. მის მახლობლად რომ მივედით არ შევმცდარვართ,ამგვარი კიდევ ორი დავინახეთ, ერთმანეთისაგან შორი-შორს, მაგრამ თანაბარი მანძილით.

-ეს უკვე საინტერესო ნაკვალებია. სფინქსები მარსზე ან ჩამოსული სტუმრების მიერ არის აგებული ან ყოფილი ცივილიზაციის დანატოვარია. ნიადაგი ყავისფერ, სქელ შედედებულ დურდოს მოგვაგონებს. მის ზედაპირზე ხედავ არა, ნაძვაბალახას მსგავს მეჩხერად ამოსულ მცენარეებს. თუ პლანეტაზე ერთ დროს ნამდვილად არსებობდა ცივილიზაცია, არქეოლოგიური გათხრები მეტ ღირებულ ინფორმაციას მოგვაწვდის,გესმის ჩემი?

-მესმის კაპიტანო, როდის გამოვიკვლიოთ?

-როცა მოგზაურობებს დავასრულებთ. ახლა იუპიტერი მოვინახულოთ, რადგანაც იუპიტერი მარსთან შედარებით მზიდან უფრო დაშორებულია, ტემპერატურაც შედარებით დაბალია. მეტეოროლოგიური პირობები მკვეთრად განსხვავებული, ნიადაგის ზედაპირი ვერცხლისფერში გადასული. ატმოსფერო მკვეთრად მონისლული.

განსაკუთრებული ვერც მას და ვერც სატურნს შევნიშნეთ. სანამ ფრენას მეშვიდე პლანეტისაკენ გავაგრძელებდით გზად მისი თანამგზავრების შემოვლა გადავწყვიტეთ. ატმოსფერო აქაც ნის-ლიანი დაგვხვდა. მხედველობა ჭირდა, ამიტომ ნისლსაწინააღმ-დეგო შუქები ჩავრთე.

-დაახლოებით შვიდი წლის წინ-ვუყვები თანაშემწეს-ამ თანამგზავრის ცივილიზაციის შესახებ საინტერესო სტატია წავიკითხე, რომ აქ ამ ციურ სხეულზე მაღალგანვითარებული და ცივილიზებული რასა ბინადრობს, რომლებიც უპრობლემოდ აზრ-ფორმით მოგზაურობენ. შესაძლებელია ეს მათი თანდაყოლილი თვისება იყოს და თუ ეს ასეა, მე მომიწევს ექსპერიმენტის ჩატარება. თანახმა ხარ?

-მე თავს ვიკავებ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო.

-დამერწმუნე, არავითარ ექსცესებს არ ექნება ადგილი. მაშინ შენ რომ დამშვიდებული იყო, ინფორმაციას გავაგზავნი მშვიდობის ეგიდით. სხვათაშორის ყველაფერი იციან დედამიწის შესახებ. იციან ისიც, რომ დედამიწის ღერძი გადახრილია.

-მიზეზი კაპიტანო.

-მიზეზი მათი აზრით ცოდვა-ბრალის სიმძიმეა.

-მათი მიზანი?

-დახმარების გაწევა, რათა ღერძი საწყის მდგომარეობას დაუბრუნონ. აგერ გაგზავნილი ინფორმაციის დადებითი პასუხიც მივიღე. გთხოვენ კავშირზე გასვლას. გაიხედე შენიდან მარჯვნივ. ამჩნევ სინათლის სვეტს, უჩვეულო ნათებით.

-დავინახე.

-ეს მათი მოპატიჟების ჟესტია.

-ღებულობ მიწვევას?

-თუ ისინი უმაღლესი გონების არსებები არიან, მე კეთილი განძრახვის გარდა სხვას არაფერს ვფიქრობ. მითუმეტეს ჩვენი გადარჩენა სწადიათ. მოკლედ მოვემზადები და შესახვედრად ჩავალ, შენ კი ყველაფერი დააფიქსირე. გაუგებარი რა არის?

-ყველაფერი გასაგებია.

ჩემი შეჯავშნული სამოსი გადავიცვი და ქვემოთ აუჩქარებ-ლად დავეშვი. ფეხი დავდგი ნიადაგზე თუ არა ჩემდაუნებურად წინ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ისეთი მსუბუქი, როგორც ხავერდოვან ბალახზე გამივლია.

ჩემს გარშემო არავინ ჩანდა, მაგრამ ვგრძნობდი კონტაქტორს. ჩემში აზრი შემოვიდა შეკითხვით.

-თქვენი სტუმრობის მიზანი?

მეც ვპასუხობ რა მიზანიც გვქონდა.

-რა გაინტერესებთ?

-თქვენი ცივილიზაციის გაცნობა.

-ჩვენი ციური სხეული. -მპასუხობს-თქვენ პლანეტასთან შედარებით მეტი მოცულობისაა. ჰაერი გაუმჭირვალოა, ნისლოვანი, თუმცა ბუნების სილამაზეს ხელს არ უშლის. საჭირო საკვები მეზობელი თანამგზავრიდან მოგვაქვს. საცხოვრებლად ოვალურ საცხოვრისებს ვირჩევთ. წყლის მაგივრად ბლანტი სითხე მოგვეპოვება, ასეთივეა ტბებსა და ზღვებშიც, ბინადრების გარეშე. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ სტრუქტურას ამგვარი ფორმა

ჩვენთან არ არსებობს. არც პრობლემები გაგვაჩნია. შობადობა კი ტრანსფორმაციული სახისაა. სხვა რა გაინტერესებთ?

-მოხარული ვარ თქვენი თავისთავადი ბუნებისა და დამოუკიდებელი თვითმყოფადობის. მიიღეთ ჩემი მეგობრობა, მე კი თქვენგან უკვე ვიგრძენი. ერთი თხოვნა მაქვს.

-გისმენთ.

-მადლობას გიხდით კიდევ იმის გამო,რომ თქვენ ჩვენი დახმარება გწადიათ. ამასთანავე გთხოვთ სანამ გვიან არ არის, გვირჩიოთ გონების გასახსნელი წყარო, რომ, თვალახელილებს აღარ გაგვიჩნდეს ცოდვების ჩადენის სურვილი. ამ გზით შეგეძლებათ დააბალანსოთ გალაქტიკის წონასწორობა, თუ სხვა რეგიონში ანალოგიური პრობლემა ხელს არ გიშლით.

-ჩვენ გვყავს დედამიწაზე მინდობი სუბიექტები, მათ გადავეცით სამეცნიერო ხასიათის ინფორმაცია. დაგაკავშირებთ და ერთად იზრუნეთ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

-გმადლობთ, მაგრამ უთქვენოთ ამ პროცესს უდიდესი დრო დასჭირდება, თქვენი უშუალო ჩარევით კი სწრაფად მოგვარდება.

-კარგით, მიღებულ თხოვნას ჩვენი გეგმის ინიციატორებს გადავცემ, ვიმედოვნებ რომ სათხოვნელს თქვენს სასარგებლოდ გადავწყვიტავთ. კიდევ რით ინტერესდებით?

-რატომ არ მეჩვენებით?

-მეც ადამიანის მსგავსი არსება ვარ, შედარებით მაღალი, მძლავრი ბიოველით, მისი წყალობით გამოვირჩევი მნათი ელფერით. შემობრუნდით მკრთალი ნისლის მხარეს და დამინახავთ.

მე დავინახე გალანტური აღნაგობის, კეთილსახიერი და ნათელი სახის ადამიანის ფორმის არსება. ჩემი აღტაცებით ერთგვარი სამადლობელი გამოვხატე მის მიმართ. მან მადლობის ნიშნათ მანათობელი ხელი მაღლა ასწია, მერე ხილისკენ გაიშვირა და მიმითითა, „ შეგიძლიათ მიირთვათ“.

ერთი სახის ხილი პაპაიას წააგავდა. მწვანე-ყვითელში გარდამავალ ფერებით, მეორემ კაკტუსის ნაყოფი მომაგონა,მას ღია

ნარინჯისფერი გადაჰკროდა მაგრძნობინა, რომ ნაყოფი სანიტარული ნორმებით დაცული და დეზინფიცირებულია.

-მე დედამიწაზე სტუმრობის დროს თქვენი ხილი ვიგემე,მომეწონა.ჩვენიც კარგია,დააგემოვნეთ და თუ მოგეწონათ კიდევ მოგართმევთ.

-გმადლობთ, შინ მივირთმევ ჩემს მეუღლესთან ერთად. მეც გეპატიჯებით ჩვენთან, უსათუოდ გვეწვიეთ.ახლა დაგემშვიდობებით. იმედი მაქვს, რომ ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

მშვიდი და ხმაამოუღებელი საუბარი ასერიგად დავასრულეთ. გამოვბრუნდი და საფრენ აპარატს მივაშურე.

ჩემი თანაშემწე კაბინის შესასვლელის კუთხეში დამხვდა. დაძაბულობას გაევლო, მაგრამ მისი კვალი მაინც ემჩნეოდა.

-დაგვიანებისთვის ბოდიში, -შესვლისთანავე მოვუბოდიშე თანაშემწეს, -თავს როგორ გრძნობ?

-კარგად, უბრალოდ მეც მინდოდა ჩამოვსულიყავი, უშენოდ ვერ გადავწყვიტე. თქვენს საუბარს ნაწილობრივ მეც ინტუიციით ვხვდებოდი.

-მომავლისთვის ორივე ერთად ჩავალთ.

-სასიამოვნო დაპირებაა.

-ამ ეტაპისთვის ასე სჯობდა,ახლა შინ დავბრუნდეთ.

მაღლა ავიწიეთ და მონისნულ სივრცეში გავუჩინარდით.

...მომდევნო კვირას დარჩენილი შორეული პლანეტები მოვინახულეთ. ღირსშესანიშნავი და გამორჩეული არაფერი შეგვიმჩნევია. უფრო მიუსაფრის შთაბეჭდილება დაგვიტოვა.გზად ახლად შეძენილ მეგობართან მინდოდა გამომევლო, სამწუხაროდ, ბოლოს გადავიფიქრე და გადავწყვიტე სხვა დროისთვის საკადრისად მომზადებული წამოვსულიყავი. ამიტომ უკან წამოსვლა ვამჯობინე. სანამ იქ წასვლას გადავწყვეტდი საოკიანო „ვოიაჟის“ სამზადისი დავიწყე.

საკვლევ განყოფილებაში კომპას-აპარატის მეშვეობით წყალქვეშ სამოძრაო მექანიზმი დავამზადე, საფრენ ლაინერში ჩავამონტაჟე და ერთი კვირის თავზე უკვე წყნარი ოკეანის სიღრმისკენ მივცურავდით. ჩვენს ირგვლივ ალაგ-ალაგ მშვენიერი

ლანდშაფტი იშლებოდა ულამაზესი წყალმცენარეებით დაფარული ფსკერებით. სხვადასხვა სახისა და ზომის მოლუსკებითა და თევზებით. ასევე ჩვენს თვალთახედვის არეალში მოხვდა ომის დროინდელი ჩაძირული გემები და ინკოგნიტოდ აგებული ბაზები. ჩვენი ინტერესი სწორედ ამ იდუმალებით მოცულმა ბაზების მიზანმა გამოიწვია. რა დანიშნულების მატარებლები იყვნენ, ორივე მასზე ვფიქრობდით.. კვლევითი, თავდაცვითი თუ სტრატეგიული მნიშვნელობის. აი რა იყო საინტერესო. განსაკუთრებული ყურადღება ოსტატურად შენიღბულმა,უცნაურმა ნაგებობამ მიიქცია.

გადავწყვიტეთ უფრო ახლოს მიგვეცურა.

-მზად ხარ ოპერაციის ჩასატარებლად? -მივმართე თანაშემწეს.

-როგორც ყოველთვის.

-მაშინ ჯერ ჩვენი ლაინერი მოვამზადოთ უსაფრთხოებისთვის.

მართვის ცენტრის თავდაცვის პროგრამა მივაწოდეთ და ნელი სვლით გავაგრძელეთ ობიექტთან მიახლოება. როცა მათ უსაფრთხოების ზონას მივუახლოვდით,გაფრთხილების სიგნალი მივიღეთ.

-როგორ მოვიქცეთ კაპიტანო?

-თხოვნა გავაგზავნოთ, რომ სტუმრობის ნება დაგვრთონ.

-ვასრულებ ბრძანებას.

გაგზავნილ თხოვნას არანაირი რეაგირება მოჰყოლია, ამიტომ ისევ წინ მიცურება ვამჯობინეთ. როცა აშკარად ახლოს მივუახლოვდით გამაფრთხილებელ სიგნალთან ერთად ნაგებობის ცენტრიდან ოთხივე მიმართულებით სხვადასხვა ფორმის მილაკები გადმოიშალა. ამით მიგვანიშნეს რომ უკიდურეს შემთხვევაში თავს დაიცავდნენ. ამჟამად მიმართვა გავაგზავნეთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ საერთაშორისო ცენტრალურ სააგენტოს, გარემოს დაცვის საპატრულო განყოფილებას. ვასრულებ მორიგ საპატრულო შემოვლას, გთხოვთ მოგვცეთ უფლება ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად.

დავასრულეთ თუ არა მიმართვის გაგზავნა, ვხედავდით, როგორ წყნარად ამოცურდა გადახსნილი გუმბათის სიღრმიდან, წყალქვეშა ნავი. მოგვიახლოვდა ჩვენს წინ გაჩერდა და საბოდიშო გზავნილი გამოგვიგზავნა, რომ უარს ამბობდნენ ჩვენს მიღებაზე.

-თქვენს უარს, -ვპასუხობთ მათ-წარვუდგენ ცენტრალურ სააგენტოს.

ამ განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

-ცოტა ხანს დაველოდოთ, მერე კი ვიმოქმედოთ. -გავა-ფრთხილე თანაშემწე.

-შემიძლია შეგეკითხო კაპიტანო?

-შეიძლება.

-საეჭვო ბაზების საქმიანობაში რა იგულისხმე?

-არარეგალური წარმოება.

-კერძოდ?

-ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა დანიშნულების წამლების დამზადება, ცდები, რომლებსაც კანონი კრძალავს. ბაქტორიოლო-გიური იარაღის შექმნა და სხვა ამგვარი.

-ხარ დარწმუნებული?

-მათი საქციელიდან გამომდინარე, ასე ჩანს, მაშინ შეგვიპა-ტიჟებდნენ, მაშასადამე იქ რაღაც ხდება. -მივუგე თავდაჯერებით.

-ჩვენ რატომ ვირჯებით?

-მომავალი თაობის გადასარჩენად -ძირფესვიანად განმარ-ტებას მოკლე ახსნა ვარჩიე.

-ეხლა როგორ მოვიქცეთ?

-ორმოცდაათი მეტრით უკან.

-დავალება მიღებულია.

ისინი ჩვენს მანევრს ელოდნენ...

ნახევარი მანძილიც არ გვქონდა განვლილი, რომ დაცვის სისტემამ ნიშანი მოგვცა. მონიტორზე ჩვენსკენ მომავალი ჭურვი შევნიშნეთ, სისტემამ ავტომატურად ჩართო მუხტსაწინააღმდეგო ხაზი. მაგნიტურმა ველმა ახლოსაც არ მოუშვა ელვისებურად მომავალი ასაფეთქებელი ჭურვი. სწრაფად გაანეიტრალა და ჩაძირა. ლაინერის მთელ სისტემას საგანგებო მდგომარეობის

სტატუსი მივეცი. უჩინარი გავხადე და ბაზას მივუახლოვდი. ლაზელური სხივის ნაკადს ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია მივაწოდე და მათ ბაზის კედელს მივაშუქე. მყისვე კედლის ზღუდე გადალახა, ტელე-თვლად დაფოკუსდა და ყველა კუთხიდან ჩვენების მოცემა დაიწყო. ეკრანზე ვხედავდით უნიფორმაში გამოწყობილ მედ-პერსონალებს. გრძელი დერეფნის ერთ მხარეს ლაბორატორიისთვის განკუთვნილ კაბინეტებს, მეორე მხარეზე გალიებში გამოკეტილ სხვადასხვა ჯიშის ნირ-შეცვლილ ცხოველებს. დერეფნის თავში კი გერმეტიულად მოწყობილ მინისებრ თაროებზე ქიმიზირებული ნაერთით სავსე სინჯარებსა და სარეალიზაციოდ დატვირთულ ყუთებს.

-რას ფიქრობ კაპიტანო?

-იცი რას ვფიქრობ? ხალხის შეცდომაში შეყვანა საკუთარი ინტერესების ხარჯზე, მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების მიზნით,ისიც არაკეთილსინდისიერი გზით, ერთგვარი ცოდვის კატეგორიაა,სწორედ ასეთი განუკითხაობებით, სხვა დანარჩენ ბოროტ ზრახვებთან ერთად იწვევენ დედამიწაზე სტიქიურ უბედურებებს. ამიტომ მოვლენები რომ არ გართულდეს ყველა მსგავსი საქმის შეჩერებაა საჭირო, უნდა ვაიძულოთ შეცვალონ საქმიანობის ფორმატი, ან უკიდურეს შემთხვევაში სათანადო ზომების მიღება.

-ჩვენი შემდგომი მოქმედება.

-მოვძებნოთ ამ განუკითხაობის სათავე, მანამდე მოვახდი-ნოთ ყუთებში ჩაწყობილი და დაფასოებული საქონლის ლიკვი-დირება.

-როგორ კაპიტანო?

-ცეცხლით. ახლავე გაჩვენებ.

ლაზერული სხივის ნაკადს მორიგი შესასრულებელი დავალება მივაწოდე, ჯერ სამიზნედ სარეალიზაციოთ გამზადე-ბული ყუთები გავიხადე, შემდეგ მისი დასამზადებელი ნედლეული და მივეცი დაწყების განკარგულების ნიშანი.

არ გასულა ორი წუთი, რომ მათი (საგანგაშო) სიგნალიზაცია ამუშავდა. აფორიაქდა დაცვა.ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა.

გადაწყვიტეს მომსახურე მედ-პერსონალი ჩაესვათ ბაზისთვის განკუთვნილ წყალქვეშა ნავში და მათთან ერთად გაცლოდნენ წყალქვეშეთს.

მოვლენის განვითარებას აღარ დავლოდებივართ, შემოვ-ბრუნდით და მიმართულების მაჩვენებელი შემდგომი ბაზისკენ მივმართეთ.

-მსგავსი დანიშნულების ობიექტები კაპიტანო ხმელეთზეც ხომ არსებობენ.

-უფრო მეტი,ვიდრე წყალქვეშ.

-მათ მიმკითხავი არავინ ჰყავთ?

-ვინც მიაკითხა ყველა მოთაფლეს ფულით ან მუქარით.

-ზემოთ, ალბათ, სხვა მეთოდი იქნება გამოსაძებნი.

-უდავოდ, ვფიქრობ ინკოგნიტოდ აჯობებს მოქმედება. უხარისხო პროდუქციის სავაჭრო ქსელში გასვლამდე უნდა მოხდეს მისი დაბლოკვა.

-ფულზე დახარბებულები რას არ სჩადიან, ნებისმიერ გზას ამართლებენ მის მოსაპოვებლად, რაც მერე ყოველგვარი უბედურების სათავე ხდება. შევძლებთ კი ესოდენ რთული გეგმის დაწყებას?

-შეუძლებელი არც არაფერია, ოღონდ უნდა მოვინდომოთ. ჩვენი მისიის ერთ-ერთი ნაწილი ნამდვილად ეგ არის. დავახვედროთ მომავალ თაობას მათთვის საკადრისი საყოფაცხოვრებო პირობები.

-მეც შენს გვერდით ვარ.

-შენც და ჩვენი უცხოელი მეგობრები ურანის თანამგ-ზავრიდან. აგერ გამოჩნდა მომდევო ბაზაც. პირველყოვლისა გავიგოთ თუ რა დანიშნულების მქონეა. -გავაცანი ჩვენი უპირველესი ამოცანა, მომავალი ობიექტის ამოსაცნობად.

წყალქვეშა ნაგებობა არ იყო ისეთი განსაკუთრებული, როგორიც წინა მას თავზე დამაგრებული ჰქონდა ოკეანისთვის განკუთვნილი ჰიდროლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი დანადგარი და გუმბათის გარშემო ნახევრადზღარბისებური ფორმის, მახვილი, ფერადი ლითონისგან დამზადებული მოძრავი

მოციმციმე მექანიზმი,ერთი შეხედვით, გასაგები იყო მისი დანიშნულება.

-აშკარაა, რა სამუშაოს შემსრულებლები იქნებიან მათი თანამშრომლები.

-მიხვედრა ძნელი არ არის.

-მაგრამ ეჭვი?

-რა ეჭვს გულისხმობ კაპიტანო?

-თუნდაც იმ ეჭვს, რომ ეს მოწყობილებები შესაძლებელია ბუტაფორია იყოს.

-უფრო კონკრეტულად.

-შეიძლება ყოველივე ამის უკან სხვა საქმით იყვნენ დაკავებულნი.

-გავიგე.

-ვენდოთ, თუ შევამოწმოთ? -დავუსვი კითხვა გამოცდის მიზნით.

-თუ ანალოგიური ნაგებობა ამ სექტორში კიდევ აღმოჩნდება, ესეიგი ერთ-ერთის ხელსაწყოები ფალსიფიკაციაა, ამიტომ საპატრულო შემოვლა შევასრულოთ და მერე გადავწყვიტოთ მოცემული სიტუაციიდან როგორ მოვიქცეთ.

-ვითვალისწინებ, კურსი დასავლეთ სექტორის მიმართუ-ლებით.

-არის კურსი დასავლეთით.

შუა პატრულირებისას, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ვინაცვლებდით,ჩვენგან შორს უზარმაზარი ვეშაპი მიცურავდა.

-შეამჩნიე?

-რა თქმა უნდა.

-რას ფიქრობ ლურჯი ვეშაპის გამოჩენა შემთხვევით იყო?

-შემთხვევით კაპიტანო.

-შემთხვევითობასაც ხომ თავისი კანონზომიერება გააჩნია.

-შეიძლება ასეც იყოს.

-მაშინ,ის ადგილი, სადაც ის გამოჩნდა, ხელახლა უნდა შევამოწმოთ და მეორე, გავიგოთ ის ნამდვილი იყო თუ ჩვეულებრივი წყალქვეშა გემი, ვეშაპის ფორმაში.

-ვარაუდს ვიზიარებ.

-რაკი იზიარებ, პირველ რიგში მას დავედევნოთ და მოვძებნოთ.-მივეცი მანევრის ნებართვა.

-რომელი კურსით?

-შემობრუნდი და ჩრდილო-დასავლეთით.

-არის კურსი ჩრდილო-დასავლეთით.

როცა იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც ვეშაპი შევნიშნეთ, იმავ დროს წყალი ლურჯ ფერად შეფერადდა, ხილვადობა შეგვეზღუდა. გაძლიერებული შუქის სხივებიც ორ მეტრს ვერ სცილდებოდა.

-ხაფანგია.

-მესმის, როგორ მოვიქცეთ?

-ჩართე საგანგებო მდგომარეობა.

-არის,რეჟიმი ჩართულია.

-გადადი ორმაგ დაცვით სისტემაზე.

-არის ორმაგი დაცვის სისტემა.

- დახედე მონიტორს. ხედავ, ორ მსწრაფ მცურავ კატარღას.

-ვერა.

-გამოჩნდებიან, არ შეშინდე. აი ერთიც უკვე ჩვენს გვერდით,გზავნილი მოგვივიდა. თხოულობენ ფსკერზე დავეშვათ.

-შემდეგი მოქმედება კაპიტანო.

-ნელი სვლით ქვემოთ.

-არის ნელი სვლა.

-გაუშვი ინფოსხივი, შევამოწმოთ დაბლა რა ხდება.

-ინფოსხივი გაშვებულია.

ინფორმაცია სწრაფად მოვიდა არასასიამოვნო შეტყობი-ნებით.

-მიღებული ცნობით-ვუხსნი თანაშემწეს -მათი საოკიანო ფლოტის ნაწილი აქ უნდა იყოს.

-ვინ შეიძლება იყვნენ.

-წყალქვეშა მეკობრეები ან ხელისუფლებაზე განაწყენებული კლანი,რომელიც შემდეგ ორგანიზებულ დამნაშავეთა ბანდათ გადაიქცა. სვლა შეანელე, დასაშვებია, მათ ქვემოთ მორიგი ხაფანგი

ჰქონდეთ, შევამოწმოთ,თავისივე დაგებულ მახეში თვითონვე უნდა გავაბათ.

-ისინი დაიკარგნენ კაპიტანო.

-დავკარგეთ იმიტომ რომ ჩვენს ხილვას ვერ ახერხებენ. დავუბრუნოთ ლაინერს პირველადი სახე და ისინიც მალე გამოჩნდებიან.

ასეც მოხდა, დავუბრუნეთ თუ არა ხილვადობა ერთი მაშინვე ჩვენს გვერდით გაჩნდა შუალედის დაცვის გარეშე. არც ჩვენ დავაყოვნეთ და ძრავა გავუთიშეთ.ვხედავდით,როგორ ნელ-ნელა ეშვებოდა ფსკერისკენ. ფსკერს რომ მიუახლოვდა, სიღმიდან, ყოველი მხრიდან ამომავალმა ლითონის მარწუხებმა შებოჭა და ფსკერის სიღრმეში ჩაითრია.

-მეორე არ ჩანს კაპიტანო.

-ვეძებოთ, კურსი სამხრეთით.

-ვასრულებ აღნიშნულ კურსს.

-მეტი სიჩქარე.

-არის სიჩქარე.

-აი, ჩვენი მადევარი სად დაგვეძებდა.

-რა ვიმოქმედოთ?

-ძრავა გაუთიშე და სვლა შეანელე,მერე მათ ბაზაზე გადავიდეთ.

-ვასრულებ დავალებას.

როდესაც უკან დავბრუნდით მათი „დისლოცირებული“ ტერიტორიის დათვალიერებას შევუდექით ზემოდან ისე იყო წყალმცენარეებით და მოლუსკებით შენიღბული ვერც კი ვიფიქრებდით რომ მის ქვეშ რაიმე ბაზა იარსებებდა.გარეგნულად არაფერი ემჩნეოდა, მაგრამ თუ მის უსაფრთხოების ზონას მივუახლოვდებოდით, უმალ მარწუხების ტყვეობაში აღმოვჩნდებოდით. ეს ცნობები ჩვენს მიერ გაგზავნილმა ინფოსხივმა მოგვაწოდა.

-თავდაპირველად, -მივმართავ თანაშემწეს. -მწობრიდან გამოვიყვანოთ ხაფანგის მართვის მოწყობილობა, მერე კი

სხივთვალი სიღრმეში ჩავუშვათ და მათი წყლისქვეშეთი მოვათვალიეროთ.

გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით. ფსკერის ქვეშ რასაც მოველოდით თითქმის ჩვენს წარმოდგენას დაემთხვა. მათ ქვეშეთში უდიდესი აკვარიუმი ჰქონდათ მოწყობილი, სადაც დატყვევებული წყალქვეშა გემების ძარცვა ხდებოდა.მისი მეორე განყოფილების სხვადასხვა სიდიდის დარბაზებში ნადავლის შესანახი სეიფები და მძევლად აყვანილი ადამიანები შევამჩნიეთ. მათ მიღმა შეფისთვის განკუთვნილი საუცხოო აპარტამენტი. ამჟამად იქ არავინ იმყოფებოდა.არც მათი გასაიდუმლოებული შესასვლელი ჩანდა. ჰიდროლოკაციის მაჩვენებელი სკალა დასავლეთ სექტორს გვიჩვენებდა.

-კურსი დასავლეთ სექტორისკენ.

-ვასრულებ კურსს.

-ნელი სვლით.

-არის ნელი სვლა.

მინიშნებულ ადგილზე, რომ მივედით ეკრანზე გამოჩნდა ჰიდროლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი გუმბათოვანი ნაგებობა, ამ ცოტა ხნის წინ,რომ გვერდი ავუარეთ.

-იცანი ჩვენი ნაცნობი ობიექტი?

-რა დამავიწყებს კაპიტანო.

-ვფიქრობ,რომ მას უფრო სხვა ფუნქცია აკისრია, ვიდრე ვიზუალურად ჩანს.

-შეიძლება ასეც იყოს.

-ჯერ გარეთა ფასადი შევათვალეიროთ, შემდეგ შიგნით გადავინაცვლოთ.

გარედან დათვალიერებას არანაირი სიახლე მოჰყოლია, ნაგებობის შიგნით კი მართლაც ჰიდროტექნიკური ხელსაწყოებით გაწყობილი ერთი ფართო კაბინეტი აღმოჩნდა ორი თანამშრომლით.

-როგორც ჩანს, -კაპიტანო-სამსახურებრივი მოვალეობის პროცესში არიან გართულნი.

-იქნებ შეთავსებით სხვა ფუნქციაც აკისრიათ.

-დასაშვებია, როდის გავიგოთ?

-ჯერ მათ უკან მდებარე კარს მივყვეთ, ვნახოთ სად მიგვიყვანს.

ინფოსხივს სხვა დამატებითი დავალება მივაწოდეთ და ჩვენც მის თვალს მივყევით. ვხედავთ გრძელ დერეფანს, რომელიც ოკეანის სიღრმისკენ მიემართება. დერაფნის კედლებზე ხელსაწ-ყოებს, შეჭრილ კუთხეებში სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოსაყენებელ მოწყობილობებს და მინის კარებს მიღმა რამდენიმე სახის ცეცხლსასროლ იარაღს.

-ალბათ ყველა კერძო საკუთრებაა?

-აქედან ასე ჩანს, გავაგრძელოთ.

-ჩვენს წინ კედელია კაპიტანო. კედელზე კი ხელსაწყოებია ჩამოკიდებული.

-შეიძლება რომელიმე შენიღბული გასასვლელია, სამივე კედელი შევამოწმოთ თუ ალღო არ მღალატობს სამიდან ერთში გასასვლელი უნდა იყოს, შესაძლებელი ალბათობაა, აამოქმედე სხივთვალი.

ჯერ დერეფნის მარცხენა და პირდაპირი კედლები შევამოწმეთ. მერე მარჯვენა, რომელმაც ჩვენი ვარაუდი გაამართლა.

ძიება გავაგრძელეთ, წინ კიდევ პირველთან შედარებით საშუალო სიგრძის დერეფანი გავიარეთ და რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს ახლახანს გაცნობილი დარბაზების ქსელში აღმოვჩნდით.

ჩვენთვის ყველაფერი გასაგები გახდა გადავწყვიტეთ უკან დავბრუნებულიყავით და ვრცელ კაბინეტში მსხდომ მომსახურე მუშაკებს გავსაუბრებოდით.

-რა სახის კითხვა მივაწოდოთ კაპიტანო? -მეკითხება, როცა სხივთვალი უკან გამოვაბრუნეთ.

-უწინარეს ყოვლისა გავერკვეთ, ისინი ადამიანები არიან თუ რობოტები. უბრალოდ დააკვირდი მათ მოძრაობებს და გაიგებ.

-დაკვირვებას ვაგრძელებ.

-რას ამჩნევ?

-მათ უმოძრაობას.

-გმადლობ, გადადი ხელსაწყოებზე.

- ვამოწმებ.

-სხივთვალი უფრო ახლოს.

-არის თვალი ახლოს.

-შედეგი.

-ხელსაწყოების მაჩვენებლები არ ციმციმებენ.

-გასაგებია, მძევლად აყვანილები უნდა გავათავისუფლოთ.

-როგორ?

-გვჭირდება წყალქვეშა ნავი. ამიტომ ისევ ისინი უნდა მოვძებნოთ, ხომ გახსოვს სექტორი სადაც მათი ძრავის მექანიზმი გავთიშეთ.

-მახსოვს.

-აიღე კურსი.

-არის კაპიტანო.

მათი მოძებნა არ გაგვჭირვებია. თავდაპირველად „ლურჯი ვეშაპის“ თანამგზავრ წყალქვეშა ნავთან მივცურდით. ორი ტექნიკოსი მის ძრავას თავს დასტრიალებდა, მაგრამ ამაოდ.

-ჩვენი შემდგომი მოქმედება კაპიტანო.

-ჩვენს წყალქვეშა ლაინერს გარეგნულ სახეს შევუცვლით. მათ წარვუდგებით როგორც საერთაშორისო სამაშველო ორგანი-ზაციის წარმომადგენლები, მერე მე გადვიცვამ მყვინთავის ფორმას და მათ გამოვეცხადები დასახმარებლად. წყალქვეშა ნავის სალონში ავიყვან თითქოს მიზეზი იქ უნდა იყოს. უმალ გავანეიტრალებ, მექანიზმს შევაკეთებ და უკან დავბრუნდებით მძევლების გასათავისუფლებლად. გაქვს შეკითხვა.

-გაუთვალისწინებელი შემთხვევა კაპიტანო.

-თუ ვინმე გამოჩნდა და უკან გამოგვყვა უნდა ჩამოვიშოროთ.

-მიღებულია.

ფორმა გადავიცვი, თანაშემწეს ვანიშნე, რომ მზად ვიყავი, ხუფი ავხადე, კაბინაში ჩავედი და ოკეანის ფსკერზე ჩავსრიალდი. დამინახეს თუ არა მაშინვე საქმიანობა შეწყვიტეს. ნიშნებით გავაგებინე, რომ მათ დასახმარებლად მივედი. მიმიღეს, თან მიმითითეს სად ჰქონდათ პრობლემა.

როცა ძრავის სხვადასხვა დეტალი შევათვალიერე, ხელით ვანიშნე, რომ ზემოთ ასვლა იყო საჭირო. ავედით, სალონში კიდევ მათი ორი თანამშრომელი დამხვდა. ეჭვის თვალით შემომხედეს, სიტუაცია დაიძაბა, ჩემი პიროვნების გარკვევა მოითხოვეს. რა გაეწყობა მათ ცალკე ავუხსენი თუ ვინ ვიყავი და რას წარმოვადგენდი, დასტურად სამაშველო ორგანიზაციის წიგნაკი და ემბლემა ვაჩვენე. მათ შორის განსაკუთრებით ერთი ვირგლა ყველა ჩემს მოძრაობებს თვალყურს ადევნებდა.

შტურმანის კაბინისკენ გავწიეთ. ორი წინ მიმიძღვოდა ორიც მკლავძლიერები უკან მომყვებოდნენ. ოპერატიული მოქმედების დრო იდგა. უბის ჯიბიდან იარაღი მოხერხებულად ამოვაცურე, ორი რომელიც უკან მომყვებოდა ჯერ მათ შემოვუტრიალდი, მერე წინა ორს და ოთხივე გონდაკარგულები სალონის კუთხეში მივაწვინე. შემდეგ ძრავას მივუბრუნდი. ავამუშავე, უკან გამოვბრუნდი და გეზი მათ რეზიდენციისკენ ავიღე.

მისვლისთანავე ჩასასვლელის კოდის ძებნას შევუდექი, დრო რომ არ დამეკარგა, ჩემი კომპას-აპარატი ამოვიღე, საძებნო განყოფილება გავხსენი, მცირე მოქმედება და მისი პირობითი ნიშნები ეკრანზე მაჩვენა. ლუქი გავხსენი. მის სიღმეში ჩავედი და წყალქვეშა ნავის სპეციალურ სადგომზე მივცურე. სადარბაზოში შესასვლელად კიდევ ხუთი ციფრის გამოცნობა გახდა საჭირო.ოც წამში ესეც მოვაგვარე, შიგნით რომ შევედი მძევლად აყვანილების საშინელი ყვირილი და კივილ-წივილი კედლებს ბზარავდა. მე რომ დამინახეს მოთქმას უფრო უმატეს. დაწყნარებას ვთხოვდი თანაც ვუხსნიდი რომ მე მათ დასახმარებლად ვიყავი მოსული, მაგრამ რამდენჯერაც მოვითხოვე იმდენჯერვე მოუმატეს მოთქმა-გოდებას.

როცა სამაშველო ორგანიზაციის ემბლემა ვაჩვენე, უმალ ჩაწყნარდნენ.

-ახლა მომისმინეთ. -ყველას გასაგონად ხმას ავუწიე -მე თქვენს დასახსნელად მოვედი, კარგად გაიგონეთ ჩემი მითითე-ბები და ზედმიწევნით დაიცავით უკიდურეს შემთხვევაში გეგმა ჩაგვეშლება. რასაც მიგითითებთ იმასვე შეასრულებთ, ადგილი

ყველასათვის გათვალისწინებულია. გთხოვთ ზედმეტ შეკითხვებს ნუ დამისვამთ.

პირველ საკანს მივუახლოვდი. კარების გამოღება და მათი ურა ერთი იყო. ერთმანეთს გამოსვლას არ აცლიდნენ. ზედახორამ შეხლა-შემოხლა გამოიწვია, ზოგი თავგზააბნეულები აქეთ-იქით გარბი-გამორბოდნენ. მე ყოველ შემთხვევისთვის იარაღი მზად მქონდა ნებისმიერი შემომტევის გასათიშად.

აურზაურმა გასასვლელი კარისკენ გადაინაცვლა, კარი გამოაღეს, მაგრამ წყალქვეშა ნავში როგორ შესულიყვნენ ის ვეღარ გაიგეს, ყველამ ჩემკენ გამოიხედა.

-მე კიდევ ერთხელ გთხოვთ,-ვუხსნი მათ განმეორებით-ყველას გინდათ პირველობა, ასე ვერაფერს გახდებით, მომენდეთ, დაგალაგებთ და თანმიმდევრობით შეგიშვებთ, მთავარია თქვენ დამშვიდდეთ.

ათი წუთის განმავლობაში რა არ ვუთხარი და ვცადე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს გადავწყვიტე შთაგონების გზით დამეწყნარებინა ყველა მათგანი ერთდროულად. იქნებ ამ მეთოდს შეძლებოდა სამშვიდებოს მათი გაყვანა.

-მისმინეთ-მივმართავ მძევლადმყოფლებს, -ამჯერად მე გავაღებ გასასვლელ კარებს, თქვენ როგორც მოახერხებთ ისე გადით, მანამდე გთხოვთ დაწყნარდეთ, აფორიაქებული გონება დაამშვიდეთ და მოემზადეთ გასასვლელად, რაშიც მეც დაგეხმარებით, ახლა ყველამ წუთიერად წარმოიდგინეთ თქვენი თავი გემზე, რომელიც უკვე ოკეანის კიდეზეა მისული, გადიხართ სანაპიროზე, გახარებულები ფეხზე იხდით, იხდით იმიტომ რომ გახურებულ ქვიშაზე ფეხშიშველებმა გაიაროთ, მიაბიჯებთ მზის გულზე, მზის სხივები თავს გევლებიან, სასიამოვნო განცდამ წარსული დღეები გაგახსენათ, რამაც კვლავ გაიძულათ ფეხშიშ-ველა გევლოთ, სანამ ავტოსადგომზე თქვენს ავტომანქანამდე მიხვიდოდით ხის ძირში გრძელ მერხზე ამჯობინეთ ჩამოსხდომა, ხელები გადაშალეთ, ცას ახედეთ და გაფიქრიანდით, მერე თვალები მილულეთ, მაშინვე ყველა კუნთი მოგიდუნდათ. გონება

დაგიმშვიდდათ და დაძაბულობა მოგეხსნათ. ახლა თქვენ სრულიად მშვიდნი, დამთმობნი და თვინნიერნი გახდით.

ტრანსულ მდგომარეობაში მიყვანილები, მწყობრად გავიყვანე და თვითეული კუთვნილ ადგილზე დავსვი. ანალოგიური მეთოდი გამოვიყენე მეორე საკანის მძევლებთანაც, მათ გამოსაყვანად დიდი დრო აღარ დამჭირვებია. ჩავსხედით და საჩქაროთ გავეცალეთ იდუმალებით მოცულ ბაზას.

ყველა უკლებლივ ნავსადგურთან გადავიყვანე. მე ოთხი გათიშული ეკიპაჟით, კვლავ იმ სექტორში შევცურდი, საიდანაც წყალქვეშა ნავი წამოვიყვანე, ძრავა ხელმეორედ დავაბლოკირე და ისევ ჩემს ხომალდს დავუბრუნდი.

-ხომ არ მოიწყინე ჩემო მარჯვენა ხელო?

-ოპერაციის დროს რა მოგაწყენს.

-დაიღალე?

-ძალიან არა, შენ რას აპირებ?

-მე მაინტერესებს „ლურჯი ვეშაპის“ სტომაქი. მოვძებნოთ და გავიგოთ იქ რა ხდება. ჩვენი ჰიდროლოკაციური აპარატი, მის მდებარეობას ადვილად მიგვაგნებინებს. დაიწყე.

-არის კაპიტანო.

ბგერითი სიგნალის მიღება უმალ მოხდა, მისი ორიენტირი სკალამ ჩრდილო-აღმოსავლეთი გვიჩვენა. ეს ის სექტორი იყო, სადაც პირველად შევნიშნეთ. შემოვბრუნდით და სვლა აღნიშნული სექტორის მიმართულებით გავაგრძელეთ.

ხუთას მეტრში მისი სილუეტი გამოჩნდა. სასწრაფოდ შევინიღბეთ და სვლა შევანელეთ. მიახლოებისას თანაშემწეს მივანიშნე, რომ (ხომალდში) ინფო-სხივი გაეშვა.

-საიდან დავიწყოთ დაზვერვა კუდიდან თუ თავიდან?

-ჩვენკენ მომყურე თვალის უპიდან შედი და პირველ ყოვლისა თავის შიგთავსი დავათვალიეროთ.

-არის კაპიტანო.

გემ-ვეშაპის თავის შიგნით გამოყოფილ სამართავ პუნქტს, საკმაოდ დიდი მოცულობის ადგილი ეკავა. ყბების მხარეს განთავსებული ჰქონდათ მაღალი კლასის საბრძოლო ტექნიკა,

ცოტა ქვემოთ, სივრცე ვესტიბიულს ეკუთვნოდა. მის გასწვრივ იწყებოდა კაბინეტური სისტემა, ერთმანეთისაგან მკაცრად იზოლირებული. შემდეგ დამინული ლაბორატორიები, თეთრხალათიანი მოსაქმე ლაბორანტებით. ცალკე გამოყოფილ საცავის ზედა თაროებზე თვალი მოვკარით სხადასხვა მოცულობის კოლბებში დალუქულ პლაზმას, ხოლო ქვედა თაროებზე სპეციალურ სითხეში ჩაწყობილ ადამიანის შინაგან ორგანოებს, მათ გაგრძელებაზე, დატიხრულ მინისებრ კედლებს შორის, სარეცლებზე მწოლიარე საოპერაციოდ გამზადებულ პაციენტებს. კუდის ნაწილი სეიფად და საწყობად ჰქონდათ გამოყენებული, სადაც ინახებოდა დიდძალი განძეულობა, სხვადასხვა ქვეყნის ვალუტა და საჭურველი ჭურვებითურთ.

ჩვენს თვალწინ იყო არატიპიური, კარგად ორგანიზებული და არაორდინალური კლანი.

-რას ფიქრობ კაპიტანო?

-მე ვფიქრობ რომ შენ კი არ დაიღალე, არამედ კიდევაც გადიღალე, ამიტომ მე ახლა დავაყენებ როგორც გარე ისე შიგა სათვალთვალო თვალს, რომ შინიდანაც ადვილად შეგვეძლოს აქ მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება. მათ კი ძრავა გაუთიშე.

-ვასრულებ. ბრძანება შესრულებულია.

-კეთილი, ამჯერად კი დროა დავუბრუნდეთ მთის შუაგულს, კერია გველოდება.

ვერტიკალიდან, ოკეანის ჰორიზონტზე ამოვცურდით. უმალ ცურვისთვის საჭირო ძრავა შევაჩერე. პარალელურად საავიაციო მექანიზმი მოვიყვანე მოქმედებაში, ჰაერში ავიწიეთ და ორიოდე წუთში შინ ვიყავით.

მისვლისთანავე კერია გავაცოცხლე. სირჩებში წინასწარ შემზადებული კოქტეილი ჩამოვასხი და მეუღლეს გავსძახე.

-თხილით სავსე ქილა სად შეინახე?

-მანდ ნახე, ბუხრის გვერდზე ზედა თაროზეა შემოდებული, სხვა ხომ არაფერი გინდა?

-ჯერჯერობით არაფერი, შენ თუ რაიმე გსურს წამოიღე.

თხილით სავსე ქილას მაგიდის კუთხეში მივუჩინე ადგილი, მე კი სავარძელში ჩავჯექი და ცეცხლის ალს გავაცქერდი.

-ახლა მაინც გამაგებინე -შორიდან დაიწყო კითხვის დასმა.- სამართლიანობის რომელი ფორმაა შენი დღევანდელი თავგანწირვა.

-სანამ პასუხს გაგცემ, ჯერ ერთს შეგეკითხები, მერე კი გიპასუხებ ვთქვათ ტურისტული მოგზაურობიდან შინ ბრუნდები. კარგ გუნება-განწყობით,უცებ ვიღაც უცხო პირებმა თვითმფრინავი გაიტაცეს, თქვენ კი მძევლებად აგიყვანეს. მიპასუხე, როგორ იგრძნობ თავს,რაღა თქმა უნდა ცუდად არა?

-ასე იქნება ძალიან ცუდად.

-გამტაცებლები ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაიწყებენ მოლაპარაკებებს, წაუყენებენ ულტიმატუმს, დაიწყება ასე ვთქვათ ვაჭრობა, თქვენსა და მათთვის სასარგებლო პირობებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას საფრთხე გელით. რას იტყვი?

-საშინელება იქნებოდა.

-გეთანხმები, ეს დასაწყისში და თუ ეს საშინელება ოთხი-ხუთი დღე გაგრძელდა მაშინ?

-საზარელი რამ.

-ამასობაში თუ ვინმე გამოჩნდა და მძევლების განთავისუფლება ითავა, ის ვინ იქნება?

-მოვლენილი მხსნელი,როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

-კეთილი,მეორე მაგალითი, გზაზე მიდიხარ და ხედავ შენს გვერდზე მიმავალს ყინულზე მოულოდნელად ფეხი დაუსხლტა, ის ისე დაეცა წამოჯდომასაც ვეღარ ახერხებდა, შენ რასაკვირველია გულისხმიერებას გამოიჩენდი და პირველად დახმარებასაც გაუწევდი, ასეა არა?

-თავისთავად.

-მაშ ასე, თუ შენი ძალის შემწეობით და უნარით ხელს გაუმართავ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს, უზენაესისგან

ცხადია ღებულობ მადლს, წარმატებისათვის ესოდენ საჭირო ენერგიას.

პირიქით კი, მხოლოდ შენი წარმატების შესაფერხებელს, გაუგებრად ხომ არ ვლაპარაკობ?

-არა.

-შეკითხვა თუ გაქვს?

-მაქვს. ახლავე გეტყვი,დავუშვათ დღევანდელ ინიციატივას შენი დასახიჩრება ან დაზარალება მოჰყოლოდა, არ ვამბობ მსხვერპლზე, მაშინ?

-შენ გულისხმობ მთავარ მისიას,რა ბედი ეწეოდა შემდეგში არა?

-სწორად მიმიხვდი, თავი უნდა გაგეწირა იმისთვის,რომ უეცარი თაოსნობა სისრულეში მოგეყვანა.მთავარ ვალდებულებას კი საფრთხეში აგდებდი.

-მე,ჩემო კარგო ვმოქმედებდი არა კერძო ინტერესების გამო,არამედ ადამიანური მორალისა და პრინციპების მიხედვით და კიდევ, ეს როლიც ხომ მთავარი საპასუხისმგებლო მოვალეობიდან მომეცა. ამიტომ ვმოქმედებდი როგორც გარემოებამ მიკარნახა.

-გარემოებამ თუ უფრო იმპულსურმა ბიძგმა, რაც ჩვენ ყველას გაგვაჩნია.

-იმ წუთში რაც მიზანშეწონილად ჩავთვალე მეც ის ვიმოქმედე.

-მაგრამ, შენ მოქმედებდი კონკრეტული პრინციპის ასასრულებლად და არ გაგისაზღვრავს შენი მისიის ღირებული მხარე,რომელსაც ფეხდაფეხ საშიშროება ემუქრებოდა.

-შენი გადმოსახედიდან გენაცვალე განა მე შემეძლო იმავე დროს გამომეტანა ზუსტი დასკვნა,რა იქნებოდა სწორი და არასწორი?

-თუ ვიტყვი, რომ შენი ხასიათი სიკეთისკენაა მიდრეკილი, მაშინ ყოველი განუკითხაობის შემხედვარე, მზად ხარ მოქმედების დასაწყებად.

-არც მე გამოვრიცხავ შენს აზრს.

-თუნდაც ასე იყოს შენ ხომ უნდა განსაზღვრო რომელია პირველადი და მეორადი.მეორესთვის პირველს ხომ არ გასწირავ.

-რატომ, როცა არის შესაძლებელი, მთავარ მიზანს შეუთავსო სხვა,ასევე ღირებული, მორალური და საპატიო მოვალეობა, სად ხედავ აქ არაკეთილგონიერებას?

-შეთავსება შეიძლება და არა საფრთხეში ჩაგდების ფასად.

-შემთხვევითობისგან არავინ ვართ დაზღვეული ძვირფასო.

-დაზღვევას რა უპირატესობა აქვს,რომც დაზღვეული იყო,ვინ აგინაზღაურებს, ვთქვათ შემთხვევით მომხდარი ავარიის გამო მიყენებულ ზარალს, ვინ ითავებს, ერთ დროს ჯანსაღი სხეულის ხელმეორედ აწყობას.

-მაშ როგორ მოვიქცეთ,ვიყოთ უმოქმედოთ?

-არა, იმოქმედე მაგრამ ზღვარადე.

-ეს რას ნიშნავს,იქნებ ზღვარი ჩემთვის მეტია ,ვინმესთვის ნაკლები,ანუ მისთვის ერთი დოქი იყოს საკმარისი, მე კი ორი დოქი არ მკმაროდეს სასმელად.

-მე ვამბობ რომ შეთავსებული სამსახური არ უნდა გახდეს ძირითადი ვალდებულების შემაფერხებელი, თორემ კეთილ განზრახვას წინ არავინ უდგას.

-როცა ჩაგვრისა და ძალადობის მომსწრე ხდები და შენ ამის ძალა შეგწევს, გვერდი არ აექცევა. ოღონდ სამართლიანი მოქმედების ცოდნას უნდა ფლობდე. თუნდაც, მაგალითისთვის ავიღოთ დღევანდელი ოპერაცია,რომელიც უკეთურთან ბრძოლის ნაწადით დავაკაბადონეთ. იყო თუ არა ძალადობის ლეგფერების დაღვრა ოკეანის ფსკერზე?

-გეთანხმები, იქნებ მითხრა, ამჟამად იქ რა ხდება?

-ისინი ვეღარ გააგრძელებენ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას.

-მათი მონათესავე ანალოგიები დედამიწაზეც ხომ უამრავია, გენაცვალე.

-მართალი ხარ,ისეთი აგრესიული მსოფლმხედველობის წარმომავლები,რომლებიც ჩვენ ვიხილეთ დაახლოებით 30%-ია,დროული,შესაფერი დროის გამონახვაა საჭირო რომ რეფორმა

გავატაროთ, რათა ჩვენს მემკვიდრეებს რაფინირებული საზოგადოება დავახვედროთ.

-აუხდენელ ოცნებაზე საუბრობ?

-რატომ აუხდენელი,თავიდან მათ ტენდენციას დავასუსტებ, მერე სათავეს მივაკვლევ და იქიდან დავიწყებ.

-შენ მარტო აპირებ ექსპერიმენტის ჩატარებას?

-ნუთუ შენ არ დამეხმარები?

-უეჭველად, გარკვეული პრაქტიკა მიღებული მაქვს.

-მაშინ ორივემ ერთად ვიფიქროთ.

-კარგი რომელ სფეროდან დავიწყოთ?

-ამ სიმახინჯეს რომ ვუმკურნალოთ სააღმზრდელო სისტემა და მართველობის სტრუქტურების დახვეწაა საჭირო.

-ვერც მათი გამოხვეწა იქნება საკმარისი.დამატებითი მეთოდია მოსაძებნი.

-შენიშვნა სწორია. სახელდობრ, თვით ეგოცენტრულობა უნდა შეიცვალოს. ეგოს ჩავანაცვლებთ მეგოცენტრულს.

-მეგო-ში მეგობრულს გულისხმობ?

-რასაკვირველია, დროთა განმავლობაში მე ვარ, იცვლის არსს,ჩვენ ვართ. ცენტრიდან წამოსული ფიქრი თუ აზრი რეალობაში უნდა მოხდეს ჩვენ -ით და არა ჩემით. თუ შევცვლით შეხედულებას რისამე მიმართ, პარალელურად შევქმნით ვითარებას ყოფიერების შეცვლის საპასუხოდ.

-ამით რას მივაღწევთ?

-თუ იცვლება ძვირფასო შეხედულება, რაიმესადმი, იცვლება დამოკიდებულება მის მიმართაც. ამ დროს შენ იღიმი, რატომ?

-იმიტომ, რომ მომწონს შენი ფილოსოფიური განმარტებები.

-შენ გგონია, რომ ეს თეორემა რეალურ სინამდვილეს დაშორებულია? ვნახოთ თუ დავიწყე, გაიგებ,მე ვარ ფილოსოფოსი თუ შენ.

-კარგი, იმისთვის კი არ მითქვამს რომ შენ გაჯავრებულიყავი.

-ვინ თქვა რომ მე გავჯავრდი.სრულიადაც არა, შემეკითხე კიდევ თუ რაიმე გაინტერესებს.

-როგორ არ მაინტერესებს, შემდგომ ეტაპზე რა ხდება?

-მოიხსნება განპირობებული აზროვნება.

-რას გულისხმობ?

-გაძლიერდება თანადგომისა და მადლიერების უნარი,რაც გააქტიურებს თანაგრძნობის გამოხატვას და გულგრილობის თვისების წარმართვას განუკითხაობის მიმართ.

-გასაგებია, შენ ის მითხარი, ადამიანის წარმოსახვები რო-გორ ხასიათს მიიღებს?

-თუკი შეცვლილმა მსოფლმხედველობამ გარდაქმნა მათი ცნობიერი, მაშინ მათ მისი გავლენით აღარ შეეძლებათ კრიტიკულად აღიქვან გარემოცვა, სადაც იმყოფებიან.

-ძალიან კარგი, სადღეისოდ, მაგალითად, ემოციურად სად ჩავერთვებით, წინასწარ არ ვიცით, არ ვიცით რა გაგვაღიზიანებს, ან რა აღგვაფრთოვანებს, მერე რა ფორმას მიიღებს.

-ემოცია გამღიზიანებლებისადმი საგრძნობლად შეიცვლება.

-მხოლოდ ემოცია?

-არა, შეიცვლება, რაც ეგზომ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, არაცნობიერთა თამაში, გაიზრდება თვითმოტივაციის უნარი.

-განათლებისა და განვითარების პროგრესს ხელს არ შეუშლის?

-რას ამბობ,პირიქით, როცა უარყოფითი თვისებების გავლენა ნერვულ სისტემაზე შემცირებულია, გონება უფრო ნათელია, ნათელ გონებას კი ათვისების მეტი ძალა შესწევს, რაც უზრუნველყოფს საერთო განვითარებასა და სულიერი მდგომარეობის ამაღლებას, ეს კი სასურველი განწყობის წინაპირობის საფუძველს წარმოადგენს.

-საინტერესოა იცის რომ მოხდება თუ არა რაიმე განცდის სპონტანურად წარმოშობა.

-როგორ არა, მხოლიდ დადებითი ფორმატით.

-კარგია, მაგრამ აქვე ისიც თქვი, როდემდე გასტანს ეს განცდა.

-მანამდე, სანამ პირვანდელი სიმძაფრე არ დაიკარგება.

-კითხვებით ხომ არ დაგღალე?-შემომიბოდიშა, არადა ინტერესმა გაიტაცა.

-არა, შეგიძლია გააგრძელო -მეც მივეცი თანხმობა, გაჩენილი ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

-მაშინ მითხარი რაზე ან ვიზე იქნება დამოკიდებული.

-მომწოდებელი წყაროს მიერ.

-ახლა როგორ ცხოვრობენ?

-ისე, როგორც შეუძლიათ.

-შეძლება რაზეა დამოკიდებული, თავად მასზე, თუ არის სხვა განსაკუთრებული კრიტერიუმი.

-ყველას სურს იცხოვროს კარგად მაგრამ უმრავლესობა ისე ვერ ცხოვრობს როგორიც მისი სურვილია.

-სწორედ, რომ ეგ კითხვა დავსვი.

-მეც ვაგრძელებ, ნაწილი იმგვარად ცხოვრობს რა აზროვნების შესაძლებლობაც გააჩნია. ბევრისთვის განმსაზღვრელია თანდაყოლილი თვისება, თუ მათგან ვინმე გამდიდრებულა, მხოლოდ სხვადასხვა შემთხვევებს შეუწყვიათ ხელი. თითო-ოროლა გამონაკლისების გარდა.

-და ისინი კმაყოფილნი არიან თავიანთი ხვედრით?- ჩამეკითხა არა იმ მიზნით, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, არამედ იმისთვის, რომ გაეგო სიმდიდრეს თუ შეეძლო უკმაყოფილების შეგრძნების გამოწვევა.

-შემოვლითი შეკითხვაა, მე პირდაპირ გიპასუხებ, რაგვარ ფუფუნებაშიც არ უნდა ცხოვრობდეს ნებისმიერი, სრულ კმაყოფილებას მაინც ვერ მიაღწევს, ეს იმიტომ რომ თვითონ კმაყოფილებაშიც არსებობს არასრულქმნილების სინდრომი და ერთიც, მეტის ნდომის სურვილი.

-თემას ხომ არ გადავუხვიეთ? -მომცა შეკითხვა-შენიშვნით, უფრო იმიტომ,რომ ბოლო კითხვის პასუხი მის გულს არ ესალბუნა.

-ნაწილობრივ ძვირფასო, ჩვენ იმთავითვე საუბარი დავიწყეთ აღზრდისა და მმართველობითი სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე. ასე არაა?!

-კი, ამ ინიციატივას კარგი დირიჟორიც დასჭირდება.

-მართალი ხარ, მეც მაქვს ერთი იდეა. სიტყვა ჩავაწოდე და ჩანელებულ ცეცხლს ხმელი შეშა ჩავამატე.

-შენი იდეა საიდუმლოებაა, თუ შეიძლება მისი გამხელა.

-მხოლოდ შენთვის.

-გმადლობ, როდის გამიმხელ.

-აი, უკვე ვიწყებ, ესეიგი, ვინაიდან ეგოცენტრულობა ყოველი მანკიერების სათავე ხდება, იმთავითვე მისი ტრანსფორმირებაა საჭირო.

-მეთოდს თუ მიაკვლიე?

-თვითშთაგონებით ან ენერგეტიკული შემოქმედებით.

-მასებისთვის მის ჩატარებას როგორ მოახერხებ?

-ჩემი იდუმალი ენერგო კოდით.

-ეგ უკვე სერიოზული განცხადებაა და საინტერესოც. გვიან ღამე კი არის, მაგრამ მოვითმენ, შენ თუ შეგეძლება მოკლედ რომ ამიხსნა.

-მოკლედ ახსნილი ჩემო კარგო ბუნდოვანი გამოვა.

-შენც ისე განმარტე, რომ ჩემთვის გასაგები გახდეს.

-ამას კი დრო სჭირდება, ერთი სიტყვით ჯერ შენი ნებართვით კოქტეილს მოვსვამ და მერე დავიწყებ. ალავერდს გადმოვდივარ.

კოქტეილმა საუბრის სტიმული დამიბრუნა, სავარძელში გვერდი ვიცვალე და საუბარი განვაახლე.

-შენ კარგად იცი, რომ მთვარე და სხვა ციური სხეულები , როგორ ზემოქმედებს ჩვენს სხეულსა და ფსიქიკაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარცხიანი დღეები დგება.ნაყოფის ჩასახვიდან ისინი უკვე იწყებენ ზემოქმედებას. მოვლინებისას კი, ასე ვთქვათ ტვიფრავენ მას. მოკლედ მათი დასხივება მუტაგენური ეფექტის ექვივალენტია, ხოლო, მათგან დატვიფრული ერთიან თვისებათა კომპლექსი ამა თუ იმ გზის მაჩვენებლები.

-ჩაგერთვები, შეიძლება?

-რაკი შემაჩერე, თქვი.

-კითხვა ეხება გენეტიკურ აპარატს, რომელიც უნივერ-სალური კანონებით მოქმედებს, ამ შემთხვევაში, მემკვიდრეობის ფაქტორი, რომლის პროგრამიდან გარკვეულწილად გადმოგვეცა ზნე-ხასიათი, მაინტერესებს ციური სხეულების ზეგავლენა

ახშობენ თანდაყოლილ თვისებებს, თუ არის მათ შორის შესატყვისი თანაფარდობა.

-კარგი შეკითხვაა, ამ საკითხს ქვემოთ აუცილებლად შევეხებოდი, რაკი ახლა გსურს რა გაეწყობა, გიპასუხებ, თავიდანვე გეტყვი, რომ მათი წილი თითქმის თანაბარია.

-მე კი ვიცოდი, შეგაჩერებ წამიერად, უფრო მეტი პროცენტული რაოდენობა ტალღური გენომიდან მოდიოდა.

-შეიძლება შენ არ ცდები, მაგრამ, მე ჩემებურ მოსაზრებას გაგაცნობ, თუ მხოლოდ დნმ-ს შემადგენელი ქიმიური ნივთიერებების კვალად ვიმსჯელებთ, შენი შენიშვნა სწორია, მაგრამ თუ ქრომოსომების გარშემო წარმოქმნილი ენერგოველის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ნათელი არის წოდებული ველის ურთიერთკავშირი ორგანიზმის ბიოველთან, ბიოველი კი გარესამყაროსთან, სადაც ინფორმაციული ცვლა მიმდინარეობს, ვინაიდან კოსმიური სივრცე განმსჭვალულია გალაქტიკის ორგანოების მიერ გამოსხივებული მაგნიტური ველის ნიშან-თვისებებით, შესაბამისად გარკვეულ გავლენას ახდენს სხეულის ენერგო სისტემის ცვლილებებზე, ცვლილება კი სრულიად ორგანიზმზე.

-გასაგებია, იქნებ უფრო თვალსაჩინოდ ამიხსნა, სახელ-დობრ, ვინ მართავს ჩემს ცნობიერს.

-კარგი, ახსნისთვის დამჭირდება შენი საყვარელი საქმის გაგება.

-ქსოვა.

-კეთილი, დავუშვათ სადილის დამზადება დაასრულე, გამოხვედი სამზარეულოდან იმ მიზნით, რომ შენთვის სასიამოვნო საქმეს ჩაჯდომოდი. დაიწყე ქსოვა, მაგრამ უცებ გაგახსენდა საძინებელი ოთახი, რომ გქონდა დასალაგებელი. მომარჯვებული საქსოვი ჩხირები იქვე დადევი და ოთახის დასალაგებლად გაეშურე. რატომ? გეკითხები? გაგეგრძელებინა ქსოვა, ის ხომ უფრო მეტ სიამოვნებას მოგგვრიდა, ვიდრე მეორე მიპასუხე.

-გეტყვი, იმიტომ ვარჩიე რომ ქსოვის დროს გასაკეთებელ საქმეზე არ მეფიქრა, დისკომფორტის განცდის გამო, მეორე, მას რომ

მოვრჩებოდი, უფრო გულიანად მივუჯდებოდი ჩემს საყვარელ საქმეს.

-სხვა შენს ადგილზე, იმ საქმეს ხვალისთვის გადადებდა და ქსოვას გააგრძელებდა. შენ არაცნობიერმა გაგათამაშა, იმ წუთას მან აჯობა შენს ცნობიერს, რაც გულით გწადდა გადადევი, იმისთვის რომ დალაგება მოგემთავრებინა, რადგან აღარ გეჯავრა გასაკეთებელ საქმეზე და არ ყოფილიყავი მუდმივ განცდაში მის გამო. აი ეს არის შენი თვისების ბუნებრივი კატეგორიის გამოვლენა ქცევაში. საიდან მიიღო შენმა ხასიათმა ეგ შტრიხი. შეგიძლია გამცე პასუხი.

-ჩემი ხასიათის თვითმყოფადობით სხვა რა გითხრა.- აიჩეჩა მხრები.

-ძალიან მშრალი პასუხია, შენ ამბობ, რომ თანდაყოლილია, კი, მაგრამ, ვინ დაგაყოლა, საიდან ჩაჯდა შენს ხასიათის ხვეულში, მითხარი, გენეტიკურად თუ გარებუნებამ იზრუნა შენთვის.

-მეც მოკლედ გიპასუხებ გარემოება მკარნახობდა, ხასიათი კი მეხმარებოდა რაც უნდა გამეკეთებინა.

-მართალი ხარ, აი რისი მიღწევა არის საჭირო. შენი სასურ-ველი საქმე მიატოვე ანუ ჩემი და სხვა, ანუ ჩვენი, საერთო საქმე შეასრულე, ისიც შენი ნებით. რასაც პირდაპირი მნიშვნელობა აქვს დასაწყისში დაყენებული პრობლემის გადაწყვეტასთან, ამგვარი ხასიათის მატარებელი ადამიანები დედამიწაზე, თორმეტი პროცენტია, ჩვენ ხუთჯერ მეტი უნდა გავხადოთ, მეორე ეტაპზე რაოდენობა თავისთავად ცხადია მოიმატებს.

-ეგ გასაგებია, მე ვკითხულობ როგორ, შენ კი ამბობ ენერგო-იმფორმაციული საშუალებით.

-ასეც იქნება, ჩვენ ბიოსფეროს ზედა ნაწილის ზედაპირზე გავშლით ენ-ინფო-ბადეს, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება იქნება დაიცვას ატმოსფერო კვიმატი დღეების აგრესიისა და ძლიერი მაგნიტური დასხივებისაგან, აგრეთვე ყოველი ნაწილაკის,თუ უარყოფითი ენერგიის ზემოქმედებისაგან. მათი ჩამოდინება მოხდება მხოლოდ რაფინირებული სახით, ამით ჩვენ საკმაოდ შევამცირებთ აგრესიას დედამიწაზე.

-და ეს საკმარისი აღმოჩნდება რაციონალური საზოგადოების ფორმირებისთვის.

-კიდევ ერთი დანიშნულების შემდეგ, პარალერულად საფილტრავ ბადეში, ენერგოინფორმაციული სახით, ჩავტვირთავთ სპეციალურ პროგრამას, რომელიც გეომაგნიტური არხების საშუალებით მიეწოდება ტალღურ გენ-პროგრამას. მაშასადამე, ენერგო ბადეში ჩვენს მიერ შეტანილი ინფორმაცია მოახერხებს, შეცვალოს ქრომოსომების გარშემო არსებულ ველებში გენეტიკურად განპირობებული სახელდობრ, ეგოს პირობითი ნიშნები და ჩაანაცვლოს მეგოცენტრული ნიშნები თანმიმდევრობის პრინციპით.

-ძალიან კარგი, გონების რეაგირება ამ ფონზე?

-დროული შეკითხვაა. ავ მიდრეკილებას ჩაენაცვლება დადებითი მოსაზრების უნარი.

-შეიძლება უფრო კონკრეტულად.

-მაშ ასე, ავიღოთ მოცემულობა, გვერდი-გვერდ არსებული კარგისა და ცუდის განზრახვა, თუ პირველს გავააქტიურებთ, რა მოხდება, იოლი გამოსაცნობია არა? გააქტიურებული თვისება თავისთავად დომინირებს მეორეზე. აბა, ახლა გაიხსენე, გაახალგაზრდავების კოდზე ჩატარებული ექსპერიმენტი, ხანდაზმული ასაკის მქონე ადამიანი, რამდენიმე კვირაში როგორ საგრძნობლად გაახალგაზრდავდა.

-მახსოვს.

-ანალოგიურად ჩანაცვლებული პროგრამა უზრუნველყოფს მეგოცენტრიზმის განვითარებას. გონი ქვეცნობიერად იაზროვნებს, მოისურვებს, განიზრახავს, შეასრულებს და პარალელურად იზრუნებს ცნობიერის სადადებითო სიდიდეების ამაღლებაზე. ეგოს მცდარი აღქმა იმსხვრევა და შესატყვისად წინა პლანზე ინაცვლებენ გონების თვისებათა მქონდე კატეგორიები: სიხარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, მადლიერება, თანადგომა, რომელთა საფუძველზეც მოხდება საკუთარი თავის შეცნობა. უფრო მეტიც იწყება, არა მარტო ჩვენი არსების ლოგიკური ნაწილის დახვეწა, არამედ სულის, გულისა და გონიერი ნაწილების განწმენდა.

-ნამდვილად იდეალური იდეაა.

-ჩვენ დასაწყისში პროგრამის შემუშავება მოგვიწევს. ჯერ ასე ვთქვათ. დროის ენერგიას პირველი დავალების სანიმუშო შესრულება შევაძლებინოთ, მერე კი მეორე დავალების ასრულება მივანდოთ. დანარჩენი პარაგრაფები ხვალ განვიხილოთ, ახლა დავისვენოთ.

მეორე დღეს ნასაუზმევს, სამუშაო ოთახში ვაპირებდი შესვლას, როცა მეუღლემ შემაჩერა...

-ჩვენი იდეა როდის გავაცნოთ შორეული პლანეტის მეგობრებს?

-აჯობებს პროცედურების დამთავრების შემდეგ, ექსპერიმენტის საწყისი შედეგები თავდაპირველად ჩვენ გავიგოთ, მერე მათ შევატყობინოთ.

-ჩვენს გეგმას როგორც წაადგება ისე მოვიქცეთ.

-კარგი გენაცვალე, მე ლაბორატორიაში შევალ და მალევე დავბრუნდები.

ჩემს საკვლევ განყოფილებაში შესულმა ორი განსხვავებული პროგრამა შევიმუშავე,დამატებითი დამცავი სისტემით. ამას-თანავე გადავწყვიტე წინასწარი დაკვირვების მიზნით, ბიოსფეროს მიჯნაზე ექსპერიმენტის ჩატარება. ყველა ნამუშევარს ხელი მოვკიდე, მისაღებში გამოვედი და სამზარეულოში მოფუსფუსე დიასახლისს შევეხმიანე.

-გადაწყვეტილი მაქვს წინასწარი გამაკონტროლებელი ცდის ჩატარება, შენ რას იზამ, გააგრძელებ ფაციფუცს თუ გამომყვები.

-რასაკვირველია, უყოყმანოდ-სხარტად მომიგო და სახეზე ღიმილი გამოეხატა.-წავიდეთ.

მოვკრიფე მიზნისთვის საჭირო ხელსაწყოები. ბაქანზე გავედი და საფრენი აპარატი ფრენისთვის მოვამზადე. რამდენიმე წამში უკვე ბიოსფეროს მიჯნაზე ვიყავით. მაშინვე მოქმედებაში მოვიყვანეთ სხივური ენერგიის წარმომქმნელი და მისი გამაძლიერებელი. მასთან ერთად დავიწყეთ გამშვებ წყაროს ცენტრალური განყოფილების მომზადებული პროგრამით კოდირება, შემდეგ, ადგილობრივი ტემპერატურის, ტენიანობისა და მაგნიტურობის მაჩვენებლებს შევუსაბამეთ ჩვენი ოპერაციის

ტექნიკური მონაცემები და გამშვები პუნქტი ჩავრთეთ, თანვე მოვირგეთ საგანგებოდ დამზადებული სათვალეები, რომ პროცესს პირდაპირ ილუმინატორიდან დავკვირვებოდით. ვუცქეროდით და ჩვენს თვალ წინ აშკარად ვხედავდით თუ როგორ თანდათან იკვეთებოდა და იშლებოდა ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მაღალი სიხშირის ენერგეტიკული ველბადე.

100 კვ. კილომეტრი რომ გავამზადეთ, შევჩერდით, მის ქვეშ ჩამოვინაცვლეთ და დავიწყეთ კოსმოსიდან შემოსული სხივების, მაგნიტური და რადიაციული ფონის კლასიფიცირება, შემოწმებული შედეგი შევადარეთ ღია ცის ქვეშ მიღებულ მონაცემებს, შედარებამ გვიჩვენა, რომ მათ შორის ზღვარი მნიშნვნელოვნად დიდი აღმოჩნდა, რაც წარმატებული ცდის მაღალ ხარისხს მიანიშნებდა.

როცა ცდის გასაგრძელებლად ისევ მაღლა ავედით, თანაშემწეს მორიგი გამარჯვება მივულოცე.

-მომილოცავს ექსპერიმენტის მეტად საჭირო და სერიოზული წარმატება.

-მეც ვუერთდები და მთელი გულით გილოცავ მიღწეულ შედეგს. მიხარია ძალიან.

-გმადლობ, ამჯერად მორიგ ეტაპს ვიწყებთ. შექმნილ ენერგეტიკულ ველბადეში თანამიმდევრული პრინციპით უნდა ჩავტვირთოთ ინფორმაცია, პროგრამის სახით. ეგო-ს სისტემის შეცვლის მიზნით. მოამზადე ცენტრალური განყოფილება.

-ცენტრალური განყოფილება მზადაა.

-ჩართე გამშვები წყარო.

-შეფერხებაა, ვიწყებ განმეორებას.

-შეჩერდი, არ გაიმეორო. მე თავად შევამოწმებ. თვით კომპასაპარატს დავავალებ. დაელოდე, აპარატი კონტროლზეა ჩართული.

-ველოდები.

-კონტროლი დასრულდა. ახლა შეგიძლია გაიმეორო.

-განმეორება დაწყებულია, შეფერხება არ არის.

-ძალიან კარგი.

-ჩატვირთვა დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

-ვხედავ მონიტორზე, ბრწყინვალე ინფო-ნაკადია.

-ჩატვირთვა დასასრულს უახლოვდება.

-დაველოდოთ.

-პროცედურა დასრულებულია.

-ამჯერად შემოწმების ჯერია. ცდის პირველი მონაწილე ჩვენ ვიქნებით. დავეშვათ მისი მოქმედების არეალის ქვეშ, მთის წვერზე.

-კი, მაგრამ ისიც თქვი რა ნიშნებს მივაქციოთ ყურადღება.

-დასაწყისში უკმაყოფილების გრძნობის შესუსტებას, მერე და მერე უკმაყოფილების სინდრომი თანდათანობით ქრება. პარალელურად იკლებს კრიტიკულად აღქმის უნარი, რომლის მეოხებით დასაბამი ეძლევა დადებითი აზრების გამომუშავებას, რაც ემოციური მდგომარეობის რეგულაციას უზრუნველყოფს, თავად რეგულატორი კი სასიამოვნო განწყობის გამოწვევას.

-ს-ა-ა-დ ი-ი-ყ-ა-ვ-ი ა-ა-ქამდე, -დამიმარცვლა სიტყვები თანაშემწემ და გადამეხვია. -სხვა რა სიახლეს გვპირდება?

-როცა პოზიტიური აზროვნება აღმატებულ ხარისხშია, შესაბამისად სხეული ინარჩუნებს ჯანმრთელ და ახალგაზრდულ იერს.

-ოი, ეს განსაკუთრებით ქალბატონებს წაადგებათ, შენ კვლავ დაშვებულ შესაძლებლობებს გაცდი.

-გმადლობ, რა გაქვს კიდევ შესაკითხი.

-მაინტერესებს დამატებით რა სიკეთის მოტანა შეეძლება.

-უშუალოდ მისი ზემოქმედებით მოხდენა ორგანიზმის სარეზერვო შესაძლებლობების სტიმულირება და რაც მნიშვნელოვანია შთამომავლობას გადაეცემა, შეიძლება ითქვას გაღვიძებული გონება.

-ეს ხომ სამემკვიდრეო ხაზით ორიგინალური მიგნებაა. იცი კიდევ რა მაინტერესებს?

-გისმენ.

-მისი თერაპიული მოქმედების დონე.

-ვიტყოდი, რომ ზოგიერთ კატეგორიაში უფრო მაღალი, გამომუშავდება პოზიტიური თვითშთაგონებითი უნარი, შენ

კიდევაც იცი, რომ ძლიერი შთაგონება ბიოლოგიურ პროცესებზეც როგორ მოქმედებს.

-რა თქმა უნდა, ვიცი-მითხრა და ხელკავი გამომდო.-ცოტა ფეხით გავიაროთ, თან გავაგრძელოთ ჩვენი კომფიდენციალური საუბარი.

-არ ვარ წინააღმდეგი, -მივეცი თანხმობა და მთის ზეგანს გავყევით.

-ჯერ მითხარი შეკითხვებით თავი ხომ არ შეგაწყინე.

-არა, რამდენიც გსურს ძვირფასო, შენს განკარგულებაში ვარ.

-გმადლობ, აი რა უნდა მეკითხა, ადამიანური სიკეთე შეიძლება იყოს არასრულყოფილი?

-დასაშვებია, მაგრამ ჩემი აზრით, უმაღლესი გონებრივი მოძრაობის პროცესში უბრალოდ ვიტყოდი არას.

-ამ ექსპერიმენტის შედეგი როგორი იქნება, მე ვფიქრობ, რომ ადამიანი იცხოვრებს საზეიმო განწყობით და მოწოდებით, იყავი მეგობარი.

-კი, თანაც გაძლიერებულ ხარისხში. სხვათაშორის მან უკვე დაიწყო მოქმედება.

-მართლაა,-შემომხედა გაკვირვებულმა-დამდე პატივი და მეც მიმახვედრე.

თავი ნაზად შემახო და ჩემს ნაბიჯების რიტმს აჰყვა.

-აბა დაუკვირდი, რაც ახლა ჩვენ ფეხით მანძილი გამოვიარეთ ხელკავი არ მოგიხსნია, ადრე ასე არ იყო.

-მართალი ხარ, კიდევ.

-ისიც, რომ თავი ისე ნაზად შემახე, თითქოს ჩემს შეწუხებას ერიდებოდი და შენი დიქცია, გამომეტყველებისა და გამოთქმულის სინატიფე.

-საინტერესოა, არც კი დავკვირვებულვარ.

-აბა სცადე და დააკვირდი ქცევას და სიტყვის ელფერს, ასევე ყურადღება მიაქციე ფრინველებს, თუ გადავეყრებით ნადირთა მოქმედებასაც.ცოტა ღრმად შევიდეთ ტყეში და ბუნების გამოძახილს მივაყურადოთ.

სატყეო გარემოში თითქმის საათზე მეტი დავყავით. შიშის განცდა, გაბედულების განცდამ შეცვალა. ფრინველთა ჟივილი აშკარად ამაღლებული ტონალობით ჩაგვესმოდა. ნადირს მაშინ გადავეყარეთ, როცა უკან გამობრუნებას ვაპირებდით. რუხ მგელს ლამის შევეფეთეთ. ის იდგა და გვიყურებდა, არც ჩვენ ვფიქრობდით რეაგირების დაწყებას და არც თვითონ.

-როდემდე უნდა ვუყუროთ ასე ერთმანეთს, თუ ველოდოთ როდის შეუერთდებიან სხვები და შემოგვიტევენ.

-არა ძვირფასო, როგორც ხედავ მას სურვილი აქვს, მაგრამ ვერ ახერხებს.

-რა უშლის ხელს, დიდ თხრილზეა გადმოსახტომი თუ რა.

-ჯერ გავცილდეთ და მერე აგიხსნი. -მარჯვნივ გადავუხვიეთ და გზა გამოვაგრძელეთ. -ისევ იმ რუხ მგელზე ფიქრობ? -ვეკითხები ფიქრებში წასულს.

-არ დაგიმალავ და კი, რატომ არ შემოგვიტია?

-უბრალოდ ვერ გაბედა.

-მეც ეგ მინდოდა გამეგო, რამ შეუშალა ხელი?

-აგერ შეხედე ცერად ამოსულ ახალგაზრდა მცენარეს,მისი გასწორება ადვილად შეგვიძლია, ხოლო, აი ის ხე, რომელიც ალმაცერად აგრძელებს ზრდას, იმის სურვილიც გვაქვს, რომ გავასწოროთ, თუმცა ვერ შევძლებთ, იმიტომ, რომ,მისი ფეხზე წამოყენების ძალა ნამდვილად არ შეგვწევს,მაშასადამე,ჩვენი ნდომა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ სურვილი სისრულეში მოვიყვანოთ, რადგან წინააღმდეგობის ძალა მეტი აღმოჩნდება. მასაც სურდა აგრესიის გამოხატვა, მაგრამ ბარიერს წააწყდა, რომლის გადალახვისთვის მხეცური ძალა აღარ ეყო, თანდაყოლილი მიდრეკილების შესუსტების გამო.

-ასე მარტივად?

-სხვანაირად შეიძლება ასე ითქვას,იმფო-ენერგო-ველიდან გამოსხივებულმა სხივურმა ენერგიამ დაიწყო გენეტიკურად დაპროგრამებული ქცევის შეცვლა,ანუ თანდათანობით ცვლის გენეტიკურად განპირობებულ აგრესიულ განზრახვას, რომელიც გამოიხატა იმ ფორმით რომლის მოწმე ჩვენ გავხდით.

-ძალიან კარგი, მაშ თუ ასე გაგრძელდა დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობის მომსწრე გავხდებით.

-ჯერ შრომატევადი სამუშაო გველოდება. თავდაპირველად ზეცა ისე უნდა დავყოთ რგოლისებრ ზონებად, რომ თითო დღე თითო ზონას უნდა მოვახმაროთ, შემდგომ ამისა ინფო-დასხივების დოზის დარეგულირება მოგვიწევს. დაახლოებით დასაწყისისათვის ჩვიდმეტი პროცენტით დაწყებას ვარაუდობ, მერე კი თანდათან მოვუმატებთ.

-რატომ ორმოცდაშვიდით არა? რა გვიშლის ხელს?

-ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ და არ დავარღვიოთ წინააღმდეგობრივობის პრინციპიც, თანაფარდობის თანმიმდევრული შემცირებით, რომელიც ამჟამად აგრესიაშია გადაზრდილი, მხოლოდ დაკვირვების საშუალებით მოვახდენთ მის ჰუმანურ დონეზე დაბალანსებას და მეორე ერთბაშად იმიტომ არ შეიძლება, რომ ჯერ შენ მიპასუხე როგორც სამედიცინო განათლების ადამიანი, თუ ნაწლავურ ფლორაში დადებითი და უარყოფითი ბაქტერიების ფარდობითობის პრინციპი არ იქნება დაცული, რა ხდება ამ დროს.

-დისბაქტერიოზი.

-ე.ი. ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის საჭირო ყოფილა არა?

-ასეც არის.

-ამიტომ იმ რუხ მგელს, ჩვენ მთლიანად, რომ წავართვათ ბრძოლის უნარი, შიმშილით დავღუპავთ მას. ასე რომ, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის პრინციპიც გასათვალისწინებელი ყოფილა.

-არც მე ვუარყოფ, ოღონდ ჰუმანურობა უნდა ჭარბობდეს.

-რასაკვირველია.

-ალბათ ჩვენ სხვაც გვექნება გასათვალისწინებელი.

-კერძოდ?

-მაგალითად, თვითმფრინავებისა და სწრაფმავალი რაკეტების მიერ გარღვეული ენერგეტიკული ბადის აღდგენა.

-სწორედ შენიშნე. ეგ პრობლემაც არის გათვალისწინებული.

-რა ხდება ამ დროს, ალბათ განახლება.

-რა თქმა უნდა, ბადის ნებისმიერ უჯრედს გააჩნია რეგენერაციის, თვითაღდგენის უნარი.

-მზის მომეტებული რადიაციის დროს.

-მისი ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ეგ არის. დაიცვას დედამიწის ფლორა და ფაუნა მომეტებული რადიაციისგან.

-დაყოფას როდის ვიწყებთ.

-რაღას ველოდოთ ავიდეთ ლაინერზე და დავიწყოთ.

ლაინფრენზე ასულებმა, ცოტა ხნის შესვენებისა და წახემსების შემდეგ მონიტორზე გამოვსახეთ დედამიწა, კუთვნილი ატმოსფეროსა და ბიოსფეროს მოდელით, მხარეები დავყავით ოთხ და ცენტრი სამ დიდ რგოლად.პირობითი ნიშნებით აღვნიშნეთ და შინ დავბრუნდით.

მეორე დღეს ამომავალი მზის მიმართულებით გავ-ფრინდით.

-პირველ რიგში,-მივმართავ თანაშემწეს. აამუშავე სხივური ენერგიის წარმომშობი გამაძლიერებელი.

-მექანიზმი ჩართულია.

-მოძებნე აღმოსავლეთი რგოლის რადიუსი.

-არის რადიუსი.

-სკალაზე მიუთითე ენ-ინფო-ბადის გავრცელების არე.

-ვასრულებ მიღებულ დავალებას. -მცირე ხნით შეყოვნდა.

-გელოდები.

-დავალება შესრულებულია.

-ჩართე გამშვები წყაროს ცენტრალური განყოფილება და სტარტს მიანიშნე.

-არის სტარტი.

-ახლა მოვირგოთ სათვალეები და პირდაპირ ილუმინატო-რიდან გავაცქერდეთ გავრცელების სიჩქარეს. აჩქარების გარეშე.

-პროცესი შეუფერხებლად დაიწყო, კაპიტანო. სიჩქარე თანაბარია-მომახარა კარგი დასაწყისი.

-გააგრძელე.

გულდაგულ მივუყვებოდით, თანვე ვამოწმებდით თითო-ეულ სექტორის შევსებას და აქტივაციას.

...დაისამდე, დღის გეგმა დასრულებული გვქონდა, ასე მომდევნო დღეს. ერთი კვირის თავზე კი ყველა დაყოფილი მხარე სისრულეში მოვიყვანეთ.

ბოლო დღე სასურველ გარემოში აღვნიშნეთ.

-როგორც იტყვიან საშვილიშვილო საქმე გავაკეთეთ. მთავარი პრიზი შენ გეკუთვნის ჩემო გამომგონებელო.

-პრიზი რა იქნება?

-ვფიქრობ რაღაც ორიგინალურს.

-შენგან მცირედიც გამიხარდება, სასმელიც არომატული დაგიმზადებია.

-მოგეწონა? შენს დაყენებულს არ ჰგავს, მაგრამ არც ჩამორჩება.

-რას ამბობ, აკუსტიკური სასმელია.

-მეც გამეხარდა, რომ მოიწონე. ცოტაოდენმა მუსკატის კაკალმა ბუკეტი შეკრა და შეამზადა.

-რაც კარგია კიდევაც უნდა აღინიშნოს.

-გმადლობ.

-არაფრის,წუხელ, რა მაგის პასუხია, ხელი შეგიშალე, რაღაცის თქმას აპირებდი და არ დაგაცადე, გახსოვს რა უნდა გეთქვა?

-მახსოვს. მინდოდა გამეგო ზემოდან გამოსხივებულ ინფორმაციას რა დაბრკოლებები შეხვდებოდა ზღვებსა და ოკეანეებში.

-ოცდაექვს მეტრ სიღრმემდე ექნება გავლენა,მერე იკლებს ოცდაათი მეტრის შემდეგ სუსტდება.

-ჩვენი მიგნებული ბაზები, რამდენ მეტრ სიღრმეზე დავაფიქსირეთ?

-დაახლოებით ას პლიუს, სუსტი დოზით ჩააღწევს, უმნიშვნელო გავლენით. ეს პრობლემა არ არის, იქ ჩვენი ხელსაწყოს მეშვეობით ვიმოქმედებთ, ადრიანად გავიდეთ, შესაფერისი დოზა კი ადგილზე განვსაზღვროთ. ეხლა კი ძილს მივცეთ თავი.

მეორე დღეს მზე ჯერ კიდევ ამოსული არ იყო, რომ უკვე პირველ ბაზაზე საჭირო პროცედურას ვატარებდით, ანალოგიური

გავიმეორეთ მეორე ბაზაზეც, შემდეგ „მცურავი“ ობიექტის სანახავად გავეშურეთ „ლურჯი ვეშაპი“ ისევ იმ ადგილზე დაგვხვდა სადაც ძრავა გავუთიშეთ, იქვე იყო მისი დამხმარე წყალქვეშა ნავიც. მის ძირში ორი ხელებშებოჭილი ადამიანი შევნიშნე. კერძოდ ნავში არავინ იყო. ხოლო „ვეშაპის“ შიგნით კი ყველა იქ მყოფი ერთად ისხდნენ და მაშველს ელოდნენ.

გამშუქებელი ხელსაწყო საჭირო დოზაზე დავაყენეთ და მოქმედებაში მოვიყვანეთ.

-სკაფანდრს მოვირგებ და ქვემოთ ჩავალ-განვუცხადე თანაშემწეს.

-რა ხდება? -დააინტერესა უცებ გადაწყვეტილების მიზანმა.

-იმ ორი ადამიანის ვინაობა მინდა გავარკვიო.შენ კი დამაზღვიე, იმოქმედე ოპერატულად.

-დავალება მივიღე.

-აბა შენ იცი, თუ ვინიცობაა შემთხვევა გართულდა, კი ხვდები როგორ უნდა იმოქმედო.

-გავიგე, შენ მაინც სიფრთხილე გმართებს.

-კარგი, გავითვალისწინებ, მე რომ გავალ შუქი გააძლიერე.

მინიატურული გადამცემი დავიმაგრე. კაბინაში შევედი და ჩავცურდი. ირგვლივ მიმოვიხედე, სადამდეც, ჩემი თვალთახედვა მისწვდა, ოკეანის კვალობაზე სიმშვიდე იგრძნობოდა. ცურვა განვაგრძე. ხუთიოდე მეტრში დამფრთხალმა თევზების ქარავანმა წინ გადამიცურეს. შევჩერდი. ეს არ იყო კარგის მაუწყებლის ნიშანი.

-გამორთე ჰალოგენები.

-ხდება რამე? -შემომესმა მისი განცვიფრებული ხმა.

-სტუმრები გვეყოლება.

-ხედავ?

-ჯერჯერობით არ ჩანან.

-რას აპირებ?

-ხომალდი გააუჩინარე, საჩქაროდ გადაიყვანე საგანგებო რეჟიმზე.

-გავიგე, არის საგანგებო რეჟიმი.

-რაც შეიძლება ახლოს მოცურდი.

-ვასრულებ.

-დამელოდე. ესენი შეიძლება სატყუარებად გამოიყენეს. მიახლოებამდე ინფო-სხივის მეშვეობით სხივურ ანესთეზიას გავუკეთებ. მერე შევამოწმებ.

გასხივების დასრულებისას როცა მათ მივუახლოვდი ერთი უძრავ მდგომარეობაში დამხვდა,მეორე ჩემ დანახვაზე შეირხა, მოძრაობისთვის ძალა აღარ ეყო და ისიც დანებდა. ახლოს მივცურდი, ხელები ყალბად, ვითომ შეკრული ჰქონდათ.

-ხაფანგი. -გადავეცი თანაშემწეს და მაშინვე უკან მოვიხედე.

-რით დაგეხმარო?

-ორ სილუეტს ვხედავ. მიახლოვდებიან.

-დაბრუნდი უკან.

-უკვე გვიანაა. თუ ორის გარდა სხვებიც გამოჩნდნენ შენ განაიარაღებ. მიიღე საბრძოლო მდგომარეობა.

-მიღებულია.

ამასობაში ისინიც გამოჩნდნენ. ორივე მათგანს წყლისთვის განკუთვნილი იარაღები ეჭირათ. ერთმა, წითელ-თეთრ აკვა-ლანგის ფორმაში გამოწყობილმა ხელით ხომალდში ასვლა მანიშნა. მე იქეთ ვანიშნებდი, „ჯერ თქვენ, მერე მე“. ისინი თავისას არ იშლიდნენ მეც თავისთავად ვეჯიუტებოდი. სროლით არ მესროდნენ , რადგან მათ ცოცხალი ვჭირდებოდი. ცოტა ხანს შეჩერდნენ, ერთმანეთს რაღაც ანიშნეს. ერთი დროდადრო უკან იხედებოდა. მისი მოქმედებიდან ჩანდა, რომ კიდევ ვიღაცის მოსვლას ელოდნენ.

-რას ელოდები-ჩამეკითხა თანაშემწე.

-მე არა, ისინი ელოდებიან.ჩანს, რომ მახლობლად, მათ კიდევ ერთი ბაზა უნდა ჰქონდეთ.

-რა გეგმა გაქვს?

-მათ გავანეიტრალებ და ზემოთ ავიყვან. ეკიპაჟის მეთაურს ვნახავ და დაველაპარაკები. ამასობაში თუ ვინმე გამოჩნდა, ისინი შენთვის მომინდვია. ხომალდამდე არ მოუშვა.

-დავალება მივიღე.

-მე ვიწყებ ოპერაციას. იყავი ყურადღებით.

აღარ დამიყოვნებია, ორივე იმავე ადგილას მივაძინე. „ვეშაპს“ თავის მარჯვენა მხრიდან მივუახლოვდი, ღრულთან შევჩერდი და მივაღილაკე, რატომღაც შესასვლელი მალე გაიხსნა, მის სიღრმიდან ცილინდრული ფორმის კაბინა გამოცურდა, ორივე სათითაოდ კაბინაში შევიყვანე და შიგნით შევცურდი. შესასვლელში ერთი თანამშრომელი დამხვდა. მისალმების ნიშნად ხელი ავუწიე. მან ლუფი მანამდე არ ჩამოსწია, სანამ წყლის ამომწოვმა ტუმბობ ბოლომდე არ დაცალა წყლის სავსე ცილინდრი. სკაფანდრი მოვიხადე და წარვუდექი, როგორც საერთაშორისო საპატრულო ორგანიზაციის თანამშრომელი.

-ესენი,- მივუთითე მათზე -ოცდაათ წუთში გაიღვიძებენ, თუ შეიძლება ეკიპაჟის მეთაურს შემახვედროთ.

-აი იქ დაბრძანდით, -მიმითითა ადგილზე, თვითონ კი დასაძახებლად გაემართა.

ორი წუთი არ იყო გასული, რომ ხანში შესული ბრგე მამაკაცი მომიახლოვდა, გამეცნო და ჩემს წინ ჩამოჯდა.

-მე როგორც ვიცი თქვენი წყალქვეშა გემი მწყობრიდანაა გამოსული.

-ერთი პარტია მაშველთა რაზმი ორი დღე წვალობდა, მაგრამ ვერანაირად გამართეს.

-ეკიპაჟის წევრები თავს როგორ გრძნობენ?

-გმადლობთ, კარგად.

-პაციენტების მდგომარეობა რა სტადიაშია?

ამ შეკითხვამ ცოტა შეაცბუნა, შეიშმუშნა და ალმაცერად გადმომხედა,დუმდა, ალბათ ფიქრობდა უკიდეგანო ოკეანის სიღრმეში მე როგორ გავიგე საიდუმლოდ ჩატარებული ოპერაციების შესახებ, რა საიდუმლო ჭირდა, როცა ამგვარი ოპერაციები სტაციონალში თავისუფლად კეთდება, მაგრამ, ვინაიდან არარეგისტრირებული იყო და ამავე დროს დონორებს მძევლებიდან არჩევდნენ, სწორედ ეს ხდებოდა პრობლემა.

პასუხისთვის სიტყვებს ეძებდა, ფუჯერიდან ანანასის წვენი მოსვა შემომხედა და დაიწყო:

-პაციენტთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ჩვენი ახალი მეთოდი, ოკეთერაპია მრავალი სენის სამკურნალოდ ვიყენებთ, ასევე სხვადასხვა ინფექციური პათოლოგიის დროსაც, რაც მთავარია თრგუნავს პათოგენური მიკროორგანიზმების ზრდას და ხელს უწყობს უჯრედების სწრაფად აღდგენის პროცესს.

-ეს მეთოდი მხოლოდ თქვენს არაჩვეულებრივ წყალქვეშა გემზე ტარდება?

-დიახ, მხოლოდ ჩვენთან, ვეშაპის ფორმაც იმიტომ მივეცით, რომ დამატებით კატეგორიაში, უფრო მეტი სამკურნალო დანიშნულება შეეძინა. გვყავს, აგრეთვე, ორი შედარებით მცირე ზომის დელფინის ფორმის წყალქვეშა ნავიც.

-ავადმყოფთა სრული განკურნება მადლის მოხვეჭაა. თქვენს შესახებ საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებები საქმის კურსში არიან?

-არა, ვინაიდან ახალი წამოწყებაა თავს ვიკავებთ ყოველგვარი რეკლამისაგან.

-რატომ პოპულარობა ხომ უფრო მეტ შემოსავალს მოგიტანთ, თუ თქვენი სამეცნიერო კვლევები, ან ეს არასტაციონალური დაწესებულება არალეგალურ ხასიათს ატარებს? -გადავკარი სიტყვა პროფესორს, ამით ჩემი ურთიერთობა ღია საუბრისთვის გავამზადე.

-რას ამბობთ, ჩვენ ოფისი აქაც და ხმელეთზეც გვაქვს.

-კეთილი. ოკეანის ფსკერზე, ალბათ ის ორი ბაზა თქვენს განკარგულებაშია არა?

-ერთი ჩვენ გვეკუთვნის, მეორის წარმოდგენა არა მაქვს.

-რომელი განგეკუთვნებათ?

-ეს ის ცენტრია, რომელშიც მიმდინარეობს, რეგიონში, ოკეანის ფსკერზე წყალქვეშა დინების და წყლის მასაში ფიზიკურ პროცესებზე დაკვირვება. აგრეთვე მოსალოდნელი მოვლენების წინასწარი განსაზღვრა და რაც მნიშვნელოვანია, ექსპერიმენტის სახით დაგეგმილი გვაქვს ოკეანის წნევის გამოყენებით სამკურნალო მეთოდის შემუშავება ისეთი სენის წინააღმდეგ, რომელიც დღემდე ისევ პრობლემატულია.

-კეთილი. შეიძლება პაციენტები რომ მოვინახულო, იქნებ მეც გამოგიგზავნოთ ახლობლები სამკურნალოდ.

-რასაკვირველია. მორიგე ექთანს გავაფრთხილებ, რომ პაციენტებს შეგახვედრონ. -აღმითქვა და ადიუტანტს ხელით ანიშნა მოახლოება, ორიოდე სიტყვა გაუგებარ ენაზე გადასცა, ხოლო გარკვევით, მედპერსონალის გაფრთხილება პაციენტთა მოსამზადებლად.

შვიდი წუთი არც კი იყო გასული სალონში რომ თეთრხალათიანი ქალბატონი შემოვიდა, მოგვესალმა. ბოდიში მოგვიხადა, მოცდის გამო, პაციენტების მონახულების ნება დამრთო და უკან გაბრუნდა. მეგზურობა თავად ეკიპაჟის ხელმძღვანელმა ინება. სალონიდან გრძელ გასასვლელში გავედით. გზადაგზა ცალკეულ განყოფილებას მაჩვენებდა და თან მიხსნიდა.

-ამ მინის კედლებიან ლაბორატორიაში, ოკეანის წყალმცენარეებისგან მზადდება სამკურნალო საშუალებები. მის გვერდით განყოფილებაში კი მოლუსკებიდან ვამზადებთ უებარ პრეპარატებს, ხოლო აი აქ, კი ორივე ინგრედიენტების მონაწილეობით მიმდინარეობს კვლევა. ვცდილობთ მივიღოთ ისეთი მედიკამენტი რომელიც გაზრდის ორგანიზმის იმუნო-ბიოლოგიურ აქტიურობას. მათ პირდაპირ ცალკეული ლაბორატორიებია ცდების ჩასატარებლად. აქეთ როგორც ხედავ ოთხ-ოთხი პაციენტია მოთავსებული. მხოლოდ ფარდის კედელი ჰყოფთ ერთმანეთს.

-შეიძლება მოვიკითხო მათი მდგომარეობა?

-უდავოდ.- დამრთო ნებართვა.

-გამარჯობათ-მივესალმე რიგით პირველ მწოლიარეს,-რამ შეგაწუხათ?

-ნეფრიტმა.

-თავს როგორ გრძნობთ?

-გმადლობთ ახლა უკეთესად.

-სწრაფ გაჯანსაღებას გისურვებთ.

-უღრმესი მადლობა.

-თქვენ რა გაწუხებთ? -შევეკითხე ყველაზე ასაკოვან პაციენტს.

-მე შვილო პარეზი მჭირს.-ეს სამი დღეა უკეთ ვგრძნობ თავს.

-კმაყოფილი ხართ მკურნალობით?

-ნამდვილად შვილო,მათმა გაიხარონ.

-ჯანმრთელი დაბრუნებულიყავით შინ.

-უფალმა დაგლოცოთ შვილო.

-თქვენ რა გაწუხებთ-მოვიკითხე შედარებით ახალგაზრდა პაციენტი.

-ურემია.

-სრული კურსი გაიარეთ?

-კურსი არ დამიმთავრებია, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ.

-ოპერაცია იყო საჭირო?- ჩავეკითხე, იმ ინტერესით რაც მე უფრო მაინტერესებდა.

-არა.-გამცა მოკლე პასუხი.

-უკეთესობას გისურვებ.

-გმადლობთ.

სხვებს ვისაც შევეკითხე გამონაკლისების გარდა თითქმის ყველამ შარდგამომყოფი წყვილ ორგანოსთან დაკავშირებული დაავადებები დაასახელეს. ოპერაციაზე სიტყვაც არ დასცდენიათ, აშკარად ექთანის მიერ დამუშავების კვალი ემჩნეოდათ. თაროებზე კოლბებიც გადამალული დამხვდა. საოპერაციო მილაგებული. მე კი ცრუ ცნობები მომაწოდეს. დავემშვიდობე მათ და უკან გამოვბრუნდით.

-როგორ მოგეწონათ ჩვენი სამედიცინო ვითარება ოკეანის წიაღში?

-რაც თქვენგან მოვისმინე და ჩემი თვალითაც ვნახე მოლოდინს გადააჭარბა. ვიმედოვნებ თქვენს ჰუმანურ ჟესტს უფრო დახვეწავთ.

-გმადლობთ. სადილად თუ დამეწვევით ამით დიდად დამავალებთ.

-დიდი სიამოვნებით,მაგრამ ვჩქარობ. ვიმედოვნებ მომავ-ლისთვის.

გასასვლელთან, სანამ სკაფანდრს მოვირგებდი, გადავწ-ყვიტე მისთვის მათი გასაიდუმლოებული საქმიანობის შესახებ

ორიოდე სიტყვა მეთქვა. ყოველ შემთხვევისთვის იარაღი მოვისინჯე. ცილინდრული ფორმის კაბინის შესასვლელი შევათვალიერე და ჩემს მეგზურს მივუბრუნდი.

-თქვენ, როგორც გამეცანით უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მფლობელი და პროფესორი ბრძანდებით.

-კი ბატონო.

-ქირურგიის სპეციალისტი?

-რატომ აკონკრეტებთ.

-მხოლოდ დაზუსტებისთვის.

-ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა თქვენს ვიზიტთან.

-რატომ მალავთ დასტაქრობას, პროფესორო.

-დიახ. ქირურგი გახლავართ. -მომიგო სხარტად და უნებურად შემდგომი შეკითხვისთვის მოემზადა.

-სპონსორი რამდენი გყავთ, თუ საიდუმლო არ არის.

-ორი კერძო პირი.

-ისინი აქ იმყოფებიან თუ ბაზაზე.

-აქ იშვიათად ჩამოდიან. მხოლოდ ხმელეთზე საქმიანობენ.

-დღესდღეობით ქირურგიულ მოღვაწეობას თუ აგრძელებთ.

-არა.

-მაშ, ოპერაციებს სხვა აკეთებს?

-ჩვენთან არანაირი ოპერაციები არ ჩატარებულა,-მეყსეულად მომიგო, ალბათ იმ მიზნით რომ სისწრაფეში აღელვება შეენიღბა. მე კი საუბრის გაგრძელება კვლავ მოკლე და მკაფიო კითხვებით ვარჩიე.

-დონორებს ვინ გაწვდით პროფესორო -ამ შეკითხვაზე ფერი ეცვალა.წამიერად დაფიქრდა, ჩიხში ხომ არ მოვხვდიო. მყისვე გამოერკვა და მომიგო.

-რა დონორებზე მესაუბრებით ყმაწვილო.

-ავადმყოფთა უმრავლესობას თირკმელების პრობლემა აწუხებთ, არა?

-მერე დონორები აქ რა შუაშია, ჩვენ მხოლოდ ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებულ მედიკამეტებს ვიყენებთ.

-თქვენს ლაბორატორიის თაროებზე, ჩემს მოსვლამდე ქიმიურ ხსნარებში ორგანოები, კოლბებში კი პლაზმა ინახებოდა, რატომ გადამალეთ?

მოუსვენრობა აშკარად დაეტყო, შეიძლება კიდევაც იმას ფიქრობდა როგორმე თავიდან მოვშორებოდი.

-თქვენ საიდან იცით კოლბებში რა ინახებოდა.

-ეს ჩემი პროფესიაა და ამიტომ უნდა მცოდნოდა.ის მეორე ბაზა, ცნობისთვის, რომელიც პირველთან გრძელი დერეფნითაა შეერთებული, სინამდვილეში ერთ მთლიან ბაზას წარმოადგენს. ახლა ისიც მითხარით იქ რა მიზნით არიან გამოკეტილი უდანაშაულო ხალხი.

-რა ხალხზე მელაპარაკებით, რომ არ ვიცი?

-ნუ ცრუობთ.მათ დონორებად იყენებთ. თქვით, რომ ეს სიმართლეა. რა თქმა უნდა არ იტყვით, თქვენ ეს არ გაწყობთ, იმიტომ, რომ ცოდო-ბრალს გაურბიხართ. შეცოდებაა ისიც, რომ არარეგისტრირებული სამკურნალო ობიექტი გაბარიათ. დღეის შემდეგ თქვენი დამოკიდებულება საქმისადმი შეიცვლება და კოლექტივთან ერთად ნამდვილ ადამიანურ მოღვაწეობას დაიწყებთ.

-მე მართალი გითხრათ სხვაგან რა ხდება საქმის კურსში არ ვარ,მე მხოლოდ ეს წყალქვეშა გემი მაბარია.

-თქვენმა დამფინანსებლებმა თუ იციან ეს ხომალდი უმოძრაოდ რომ დგას.

-იციან.

-დახმარება არ გაგიწიეს?

-მათმაც გამოგზავნეს ტექნიკოსები. რა არ იღონეს, მაგრამ,კი ხედავთ, ისევ აქ დგას.

-კვლავ ეცადონ, თუ საბოლოოდ ისინი ამას ვერ მოახერხებენ, მერე მე თავად დაგეხმარებით. ნახვამდის.

კაბინაში შესვლისთანავე სკაფანდრი მოვირგე, კარები მივხურე და დაველოდე.

მალე წყლით აივსო, გარეთ გასვლამდე მას ხელის მოძრაობით ვანიშნე, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

ოკეანეში გამოვედი. ჩემი გამოსვლა იქ მოცურავე თევზებს არ მოეწონათ და აქეთ-იქეთ მიმოცურდნენ.

-რაიმე ინციდენტს ჰქონდა ადგილი? -შევეხმიანე ჩემს თანაშემწეს.

-ოთხი წუთის წინ მცირე ზომის წყალქვეშა გემმა ორჯერ შემოგიარათ და ისევ გაუჩინარდა. სხვა არაფერი მომხდარა.

-კარგი. ვბრუნდები.

ოპერაციიდან დაბრუნებულმა, წყალსამოსი საკიდზე ჩამოვკიდე და მონიტორს მივუჯექი. გადავამოწმე ჩემს იქ ყოფნაში გარეთ რა უკიდურესობებს ჰქონდა ადგილი. შემოწმებისას განსაკუთრებული არაფერი აღმომიჩენია, გარდა ახლახანს გამოჩენილი წყალქვეშა ხომალდისა. „ლურჯ ვეშაპს“ გარშემო შემოუარა, მხოლოდ გარედან შეამოწმა და გეზი ბაზის მიმართულებით აიღო.

-სავარაუდოა, ის ისევ უკან დაბრუნდეს, -ვაცნობ ჩემს მოსაზრებას-ცოტა ხანს დაველოდოთ მერე მათი ბაზები მოვინახულოთ.

-კარგი. რაც შეეხება შენს იქ ვიზიტს,თვალს ვადევნებდი, როგორც მათ, ისე შენს მოქმედებებს.

-ჩემი არ მაინტერესებს, იქ რა შენიშნე.

-უჩვეულო ის იყო, შენ შეხვედი თუ არა თაროებიდან მაშინვე ჩამოიღეს კოლბები და საიმედოდ რკინის კარადაში ჩაკეტეს, საოპერაციო ბლოკი გადააწყვეს, პაციენტები კი დააზომბირეს.

-ასეც ვიცოდი. სხვა გზა არ ჰქონდათ. ვიმედოვნებ, ჩემი ვიზიტისა და ინფო-სხივის გაშვების შემდეგ არალეგალურ მახინაციებს ადგილი აღარ ექნებათ.

-მეც ეგრე ვფიქრობ.

-აი ჩვენი სტუმარიც გამოჩნდა ვნახოთ რა სიურპრიზი მოგვიმზადა.

შემოცურდა, „ვეშაპს“ შემოუარა და თავის მარჯვენა მხარეს შეჩერდა, სადაც შესასვლელისთვის ღრული ჰქონდათ გამოყოფილი. მიუახლოვდა და გერმეტიულად მიეკრა. ცილინდრებს შორის დარჩენილი წყლის მასის გაწოვას, ორმხრივი ლუფის გახსნაც

მოჰყვა,ხომალდიდან სოლიდური ჩაცმული ორი პირი მძიმე ნაბიჯებით სალონში გადავიდნენ. იქ ჩვენი ნაცნობი ეკიპაჟის მეთაური შეეგება.ერთმანეთს მიესალმნენ და აპარტამენტში შეიპატიჟა. საუბარი მომხდარ ფაქტზე, ჩემს ვიზიტზე, პაციენტთა მდგომარეობასა და ძრავის შეკეთების თაობაზე წარიმართა.

შეხვედრის ბოლოს,ერთმა, ასაკით უფროსმა საყვედური გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ის არ ეცადა ჩემი ვინაობის დადგენას. პროფესორმა თავის მხრივ აღუთქვა ჩემი კოორდინატების დადგენა, მაშინ როცა მე მას მეორედ ვეახლებოდი.

-გესმის ჩემი?-ვეკითხები თანაშემწეს.

-გისმენ.

-მოამზადე ინფო-სხივი!

-ინფო-სხივი მზად არის.

-შესაბამისი დოზები ორი ხომალდისთვის!

-სათანადო დოზები აღვრიცხე,ველოდები განკარგულებას.

-შეასრულე!

-არის შესრულება.

-ისინი გამოსვლას აპირებენ.

-ჩვენ რას ვაპირებთ?

-დაუსვი საკორდინატორო ლაზერული თვალი!

-ლაზ.თვალი დასმულია.

-უკვე გამოვიდნენ. გავყვეთ!

-კურსი დასავლეთით აიღეს.

-მივყვეთ. ლაინერს უჩინრის სახე შეუნარჩუნე!

-არის.ნაპირს უახლოვდებიან.

-მოამზადე საფრენი რეაქტორი!

-რეაქტორი მზადაა.

-აცდი წყლის ზედაპირს და შეჩერდი!

-ვხედავ ნაპირზე ორ სპეც-ავტომანქანას.

-ორივეს კორდინატორი თვალი.

-კორდინატორი გაგზავნილია.

-მიყევი მათ.

-გეზი ჩრდილო-დასავლეთით აიღეს. საკმაოდ მაღალი სიჩქარით მოძრაობენ.

-ეგ მათი პრობლემაა.

-მთავარი გზიდან გადაუხვიეს.

-საუბარი რატომ არ ისმის?

-დუმილს ამჯობინებენ. გზის ბოლოს ფეშენებელური ვილა ჩანს,მას უახლოვდებიან.

-ვხედავ.

-ვილის წინ შეჩერდნენ.დაცვის თანამშრომლებმა შინ შეიპატიჟეს.

-ლაზ-თვალი ვილაშიც დააფიქსირე, მეორე თვალით კი ეზო და სათავსოები დავათვალიეროთ, საეჭვო აღვრიცხოთ.

-არის. მათ აპარტამენტში კიდევ ორი ქალბატონი და ორი მამაკაცია.

-ცოტა ხმას აუწიე, გაიგონე? წყალქვეშა ვიზიტზე დაისვა კითხვა. მოვუსმინოთ.

-ბატონებო, -დაიწყო შავ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილმა ახოვანმა მამაკაცმა. -მე მინდა ჯერ კიდევ მოქმედი წყალქვეშა ხომალდის პრობლემა აღვნიშნო. ჩვენი მოძრავი ლაბორატორიის ძრავა რამდენიმე დღეა მწყობრიდანაა გამოსული, ვერავინ შეძლო მისი შეკეთება,ოპერაციები გაჩერებულია. ბაზიდან ვინმე უცხო პირმა მძევალი დონორები სამშვიდობოს გაიყვანა. ჩვენი არარეგისტრირებული სამედიცინო წარმოება რა დასამალია გაიშიფრა. თუ საერთაშორისო სამართლის ორგანიზაციებმა ეს გაიგეს ბრძოლა მოგვიწევს. საფრთხე ელის აგრეთვე, ვითომ ლეგალურ დაწესებულებასაც. სასწრაფო ზომები გვაქვს მისაღები.

-ჩემი აზრით, -დაიწყო მეორე ვიზიტიორმა, -გადანერგვითი ოპერაციები დროებით უნდა შევაჩეროთ. რეკლამა გავუკეთოთ ოკეთერაპიას, რომელიც ნამდვილად რეგისტრირებული გვაქვს, ეს მის შემდეგ როცა წყალქვეშა ამბულატორიას ავამუშავებთ. ასევე ხმელეთზეც ბიოთერაპია გავარეკლამიროთ. დანარჩენი საქმიანო-ბა ცოტა ხანს დავაყოვნოთ. მეტი ყურადღება ბირჟისკენ გადავიტანოთ, რომელსაც სოლიდური შემოსავალი შემოაქვს.

-თქვენი აზრი რაკი ასეა, -წამოიწყო საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ქერათმიანმა ქალბატონმა. -ჩვენთვის კეთილგონივრული მანერი დიდი წყალობაა, თუ გაუგებრობებს ავერიდებით ხიფათიც გვერდზე ჩაგვივლის.

-ან-აგრძელებს მის გვერდით მჯდომი ქალბატონი-დავკავშირებოდით იმ პიროვნებას გვეცადა მასთან მოლაპარაკება.

-შეიძლება, -ამბობს პირველი ვიზიტიორი, -მაგრამ არანაირი მისი პიროვნების დამადასტურებელი მონაცემები ჩვენს ხელთ არ არის. პროფესორი შეგვპირდა მისი კოორდინატების დადგენას.

-რა გზით? -კითხულობს ჩემთან მოლაპარაკების ინიციატორი.

-მას თვითონ უთქვია დაბრუნება და ძრავის შეკეთებაც შეპირებია.

-სანაცვლოდ რას თხოულობს. -ჩაეკითხა ქალბატონი.

-ამ საქმის შეჩერებას, ან რეგისტრაციას, ყოველგვარი სამედიცინო ნორმების დაცვით.

-როდის მოხდება მისი გამოჩენა.

-ეს არც თვითონ იცის,შეიძლება სრულიად ინკოგნიტოდ.

-დანარჩენები რა აზრის იქნებით, შევაჩეროთ თუ განვაგრძოთ. -წარმოსთქვა მასპინძელმა, რომელიც აქამდე მათ საუბარს უსმენდა, ფუჟერიდან ვისკი მოსვა, სიგარას მოუკიდა და კომპანიონებს გადახედა.

-რადგან მდგომარეობა -წამოიწყო საუბარი მეორე პირმა რომელიც სტუმრებს იქ დახვდა. -ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება, მაშინ დროებით ფსკერზე უნდა დავწვეთ, მანამ სანამ ქარიშხალი არ გადაივლის. მაშასადამე გარკვეული დროით საქმის შეჩერებაზე მეც თანახმა ვარ.

ყველა დამსწრე წევრმა მხარი დაუჭირა წამოყენებულ წინადადებას და ერთხმად მიიღეს პრობლემის საჩქაროდ მოგვარება, როგორც „დირექტივა“.

ჩვენც დავეთანხმეთ მათ გადაწყვეტილებას. საინტერესო გახდა მათი, ვითომ ლეგალური საქმიანობის გარკვევაც. იყო თუ

არა ისიც რაიმე საფრთხის შემცველი. ამიტომ გადავწყვიტეთ დავლოდებოდით შეკრების დამთავრებას და უკან გავყოლოდით.

თითო ფინჯანი ყავა მიირთვეს, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და მიმართულება ქალაქის ცენტრისკენ აიღეს. 12 წუთის მგზავრობის შემდეგ, შემინულ მრგვალ შენობის წინ გაჩერდნენ. ნაირფერად შეფერილ დაფაზე წარწერა მიგვითითებდა, რომ იქ ჰომეოპათიური სამკურნალო დაწესებულებაა.

-მისი მკურნალობის მეთოდი, -ვუხსნი თანაშემწეს-ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული მედიკამენტებია, სნეული ადამიანის დაავადებას ისე მკუნალობს, რომ მკურნალობის პერიოდში პაციენტს იმუნიტეტის დაქვეითება არ აღენიშნება. ამ მხრივ შენობის შიგნით მიმდინარე საქმიანობა დამაკმაყოფილებელია, თუ მის უკან არაფერი იმალება.

-დავათვალიეროთ ყველა სართული და ყველაფერი ნათელი გახდება.

-სწორად შენიშნე. დავიწყოთ მისაღებიდან და ავყვეთ მაღლა,მერე მინუს პირველი სართული მოვინახულოთ.

სართულების დათვალიერებისას ეჭვი არაფერს გამოუწვევია. ქვემოთ, რომ ჩავედით, თეთრად გაქათქათებულ ლაბორატორიულ სისტემას წავაწყდით. ლაბორატორიის რამდენიმე განყოფილება პრეპარატების დამზადებით იყო დაკავებული. ნაწილში მიმდინარეობდა ზოგიერთი ინფექციური პროფილის, დაავადების გამომწვევი აგენტების ბიოლოგიური თავისებურებების გამოკვლევა.

აღმოვაჩინეთ გასაიდუმლოებული მინუს მეორე სართული, სადაც მოლეკულურ დონეზე გამალებული საკვლევი ცდები წარმოებდა ბიოლოგიურ ობიექტებზე დაკვირვებებით. იკვლევდნენ ცილის ბიოსინთეზს, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის გზებს. ხოლო ამავე სართულის, მეზობელ განყოფილების კედლებს მიღმა შექმნის პროცესშია ფსიქიკის დასაცავი და ასევე ფსიქიკაზე ზეგავლენის მომხდენი ფსიქოენერგეტიკული აპარატურა,მის სრულყოფისთვის,როგორც ჩანს,გამუდმებით ახორციელებენ იდუმალებით მოცულ კვლევა-ძიებას.

-ფსიქიკის დამცავი, -მეუბნება თანაშემწე, -ხელსაწყოს შექმნა მესმის, რომ კარგია, მაგრამ, ადამიანზე ზეგავლენის მოხდენა და მისი მართვა ეს უკვე ზომბირების საშინელი მეთოდია.

-მართალი ხარ, ატომურ იარაღზე საშიში იარაღია, თუ ბოროტმოქმედებს ხელში ჩაუვარდათ, ერთი ნაბიჯიღა დარჩება კატასტროფამდე. ასე რომ, სადაც ისინი კარგ სახელს იხვეჭენ, იქვე საფუძველს უყრიან ვერაგ ხელსაწყოს შექმნის იდეას. დაიმორჩილონ კონკურენტები და სამრეწველო სივრცეში ლიდერები გახდნენ. ჩვენი ამოცანა იქნება, მხარი დავუჭიროთ დამცავ ფსიქოენერგეტიკული ხელსაწყოს შექმნის იდეას, ხოლო რაც შეეხება ზომბირებისას ის უნდა გარდმოვქნათ მასების სასარგებლოდ.

-ასეთ რთულ გზას რატომ ირჩევ.

-რაში ხედავ სირთულეს-გადავუკითხე დასმული კითხვა.

-მე ასე ვფიქრობ.

-ეგ პასუხი არ არის ადიუტანტო.

-ხელსაწყოს მოშინაურებას ვგულისხმობდი.

-რაიმე ადვილი არ არსებობს,ცოდნა და ფიქრია საჭირო,რომ სწორ დასკვნამდე მივიდეთ.გამოვიყენოთ დედუქციური ხერხი და შედეგის მიღებასაც დავაჩქარებთ.

-როგორ დავიწყოთ. -დააინტერესა მოქმედების შინაარსმა.

-ნუ ჩქარობ, ჯერ შეხედე ზემო თაროზე მინის ჭურჭელში მოთავსებულ ნივთიერებას.

-ვხედავ, ასეთივეა გვერდით ჭურჭელშიც. მხოლოდ კენჭების სახით.

-მართალი ხარ, ორივე ერთი და იგივეა.

-რა დანიშნულება აქვს ასე გულმოდგინედ რომ აქვთ დახარისხებული.

-ის ნივთიერება სილიციუმია.

-მეც მსმენია ამ ქიმიური ელემენტის თაობაზე.

-სწორედ ეს ელემენტია მთავარი მოქმედი ფიგურა აპარატში. მას შეუძლია ინფორმაციის შენახვაც და გადაცემაც.

-აი თურმე სად უმიზნებს შენი გამჭრიახი გონება, ე.ი. შენ ფიქრობ,რომ ჩვენ უნდა დავასწროთ მათ დაპროგრამირება?

-რაღა თქმა უნდა, პირველი, ეს იქნება მათგან მიწოდებული არაკომპეტენტური სიგნალების არეკვლა, არ მიღება. მეორე,როცა სიგნალი აირეკლება, მაშინვე მოქმედებაში მოდის იქს გათვლა.

-იქსში რა იგულისხმება?

-მათთვის სასურველი ინფორმაციის ნაცვლად ობიექტს ეგზავნება ჩვენს მიერ ჩატვირთული პროგრამა.

-როდის დავიწყოთ.

-აპარატის შექმნას რომ დაამთავრებენ, თუმცა უკვე ბოლო სტადიაში იმყოფებიან.

-ერთი რამე მინდა შეგეკითხო.

-გისმენ.

-იქნებ აჯობებს, საერთოდ რომ გადავაფიქრებინოთ.

-შეიძლება, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ამ საქმის არეალი ვინ არიან ჩართული და ვინ ვის ეპაექრება.ცოტა მოგვიანებით, შენი სურვილის ასრულებას ბიოსფეროს ენერგეტიკული ქოლგა შეასრულებს.

-გვიან ხომ არ იქნება.

-გვიან იქნება მაშინ, თუ ახლა არ ვიმოქმედებთ, შევა-დგინოთ ჩვენთვის სასურველი პირობითი ნიშნები, მოვიყვანოთ სისტემაში და მოვახდინოთ მისი კოდირება. სანამ მე კოდის შექმნაზე ვიმუშავებ, შენ ის სათავსოები დაათვალიერე, რომლებიც დაგვრჩა.

მე უმოკლეს დროში ნიშნები დავაჯგუფე, შევადგინე მათი შემოკლების ნაკრები, გავასისტემე და მათ აპარატს ინფორმაცია გავუზავნე, მერე თანაშემწეს მივუბრუნდი.

-რა ხდება სათავსოებში.

-ერთ-ერთ შემნახველ საწყობში არის საიდუმლო გვირაბი, სადაც ინახება დიდძალი იარაღი. გასასვლელი აქვს იმ მხარეს საიდანაც საქონელი შემოაქვთ.

-აი,ყოჩაღ.ოპერატიულად მოქმედებ. მაშასადამე იარაღითაც ვაჭრობენ და არ არის გამორიცხული ამ ახალ ტექნიკასაც სავაჭროდ ამზადებდნენ. ეს უფრო რთული კომბინაციაა.

-დაველოდოთ მოვლენებს თუ სწრაფად ვიმოქმედოთ?

-არც ერთი და არც მეორე.

-ასეთი რა გადაწყვეტილება მიიღე. -გაიკვირვა ჩემი თავშეკავებული პასუხი.

-ჩვენ უნდა მივყვეთ მათ ნაკვალევს და გავარკვიოთ ვინ არიან კიდევ ამ კომპანიაში ჩართულები.დასაშვებია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაც.

-არ აჯობებს შიგნით და გარეთ მოძრავი თვალი დავტოვოთ და ჩვენ კი სხვა გეგმას ვეწიოთ?

-უდავოდ,შეასრულე და კურსი შინისკენ აიღე. ცოტა დასვენება მოგვიხდება.

-ვასრულებ, ერთს საიდუმლო ლაბოლატორიაში ვსვამ, მეორეს გვირაბში, ასევე შესასვლელსა და გასასვლელში.

-გელოდები.

-დავალება სისრულეშია.

თანაშემწის მოვალეობის უბადლოდ შესრულებისათვის მადლობა გადავუხადე და უკან დავბრუნდით.

შინ რომ მივედით განმუხტვისა და ვახშმის მიღების შემდეგ მომდევნო დღის გეგმებზე დავიწყეთ საუბარი, საუბრის ბოლოს გადავწყვიტეთ ხვალისთვის ჩვენს კოსმიურ მეგობრებთან გავმგზავრებულიყავით.

დილით სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული კალათაში ჩავაწყვეთ და ნაცნობი მარშრუტით მეზობელი პლანეტისკენ გავემგზავრეთ.

-არ გერჩივნა ჯერ, -ვურჩევ თანაშემწეს -კურსი ატლანტიკისკენ აგეღო.

-რატომ?

-ისინი იქ ხშირი სტუმრები არიან.

-რის გამო?

-იმიტომ,რომ შედარებით მათ კლიმატს შეესაბამება.

-რაკი უკვე გზაში ვართ, ნუღარ დავბრუნდებით.ცუდის ნიშანია.

-შემდგომში გავითვალისწინოთ.ახლა წინ.

-სიჩქარე საშუალოზე მეტია.

-შეინარჩუნე.

-იცი რა მინდოდა მეკითხა?

-თქვი გისმენ.

-როგორი ჰავაა ჩვენი მეგობრების პლანეტაზე.

-უფრო ცივი.

-და კიდევ ატმოსფეროს შემადგენლობა მაინტერესებდა.

-ატმოსფერო როგორც იცი ნისლოვანია. სამი ფენისაგან შედგება: ტროპოსფერო, სტრაპოსფერო და ეკზოსფეროსაგან. ძირითადი შემცველობა: წყალბადი, ჰელიუმი და მეთანია, მცირეოდენი ჟანგბადი, კიდევ რა გაინტერესებს?

-ღრუბლები,მე მახსოვს ჰიდროსულფატის ამონიუმს შეიცავდა.

-მართალი ხარ, ასე რომ სპეციალური კომბინიზონია საჭირო, რომ მის კლიმატს გაუძლო. აგერ უკვე მოვედით.

-რომელი პოლუსისკენ.

-სამხრეთით.

-არის სამხრეთი.

-გაუგზავნე ჩვენს შორის ნაცნობი პირობითი სიგნალი.

-სიგნალი გაგზავნილია.

-აამოქმედე თვალი და დამცავი სისტემა.

-ვასრულებ მითითებას.

-დაასრულე და მოვემზადოთ. საჩუქრები არ დავივიწყოთ.

კომბინიზონები მოვირგეთ. ღილაკს მიმართულება მივანიშ-ნე და ქვემოთ ჩავედით. ათიოდე ნაბიჯში ჩემი მეგობარიც გამოჩნ-და. მხიარული გამომეტყველება ჰქონდა. მისალმება გავუგზავნე და ჩემი მეუღლე გავაცანი. გაიღიმა, მისალმება გაგვიმეორა და ხელით გვანიშნა გამომყევითო. ოც მეტრში მასპინძელმა ოვალური ფორმის მქონე შენობაში შეგვიპატიჟა.შიგნით კიდევ ორი დაგვხვდა.ორივე ერთი ასაკის და სიმაღლის იყვნენ.საგნები და ნივთები სფეროიდული მოყვანილობით გამოირჩეოდა, შეფერილი ერთმანეთთან და შეხამებული თვით ნაგებობასთან.

მასპინძელმა ცენტრისკენ მიგვანიშნა, სადაც უნდა დავმს-ხდარიყავით, სანამ აღნიშნული მიმართულებით წავიდოდით

საჩუქარი ვაჩვენე, რა-რა იყო ავუხსენი და გავუწოდე. უეცრად სინათლის სვეტი გამოჩნდა, მომიახლოვდა ამანათი ჩამომართვა და დასტახანის ცენტრში დადგა. მერე, იგივე სვეტმა ადგილობრივი ხილი გამოიტანა და მას გვერდით მიუდგა. დასტახანის ქვემოდან საკაცხულები გამოაცურა, ნიშნად იმისა, რომ უნდა დავმსხდარიყავით, შემდეგ მოულოდნელად შეიკუმშა და გაუჩინარდა.

ჩვენი საუბარი ორი პლანეტის მეგობრობასა და დედა-მიწელების ჯერ კიდევ დაუძლეველ პრობლემებსა და მის გადასაჭრელ გზებს შეეხო.გვაგრძნობინეს, თუ როგორ წუხან ჩვენს ატმოსფეროსა და საერთოდ ეკოსისტემის დარღვევის გამო. ამას-თანავე ფიქრობენ ამ პრობლემათა დასაძლევად საჭირო და უფრო ეფექტური საშუალებების გამოძებნას. სურთ დროულად აგვაცი-ლონ მოსალოდნელი საშინელი კატასტროფა, რომ იმთავითვე აგვაშორონ საპლანეტაშორისო და კოსმიური ბალანსის დარღვევა.

მე ჩემი მხრივ გადავეცი თუ როგორ ვცდილობდით აღნიშნულ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ავუხსენი ჩვენს მიერ ბიოსფეროს ზედაპირზე ენერგო-ველისაგან შექმნილი ენ-ინფო-ბადე და ამ ბადეში ჩატვირთული სპეც. ინფორმაციის შემწეობით გეომაგნიტური არხების გამოყენებით, როგორ ვცვლით ეგოცენტრულ ბუნებას, გავაცანი სხვა დანარჩენი განსაკუთრებით უკვე შემუშავებული ეკოსისტემის განმწმენდი მეთოდებიც.

მასპინძლებს მოეწონათ ჩვენი წამოწყება, თანვე თანადგომა აღგვითქვეს, რომ უახლოეს მომავალში ჩვენს ინიციატივას შემოუერთდებოდნენ.

ჩვენ მათ მოკრძალებულ დამოკიდებულებას, ნდობასა და სიხარულს, მათი სხეულის გარშემო ნათელი ფერის შეფერილობის მიხედვით ვგრძნობდით. ასევე ჩვენი მხრივ მადლიერება გამო-ვხატეთ, ეგზომ თბილი მიღებისა და მასპინძლობისთვის. დამშ-ვიდობებისას ჩვენთან სტუმრად დავპატიჟეთ და ფეხზე წამოვდე-ქით. გასასვლელს სანამ მივუახლოვდებოდით სინათლის სვეტმა გაგვაჩერა. შემოვბრუნდით, ჩვენ წინ ვერცხლისფერი ცილინდრუ-ლი ფორმის ჭურჭლით ხელში მასპინძელი იდგა, მიგვანიშნა.

თქვენს საფრენ ხომალდამდე მიგაცილებთო. გზა გამოვაგრძელეთ თვითონ ამანათით ხელში გვერდით მოგყვებოდა. ხომალდს რომ მივუახლოვდით გაგვიღიმა და საჩუქარი გამოგვიწოდა.

-კიდევ გვესტუმრეთ.

-ახლა თქვენი ჯერია, გელოდებით.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ, კიდევ ერთხელ, გადავუხადეთ მადლობა და ხომალდში ავედით. კომბინიზონები კარადაში შევკიდეთ, კუთვნილი ადგილები დავიკავეთ და ჰაერში აწეულები, ჩვენი მეგობარი პლანეტის ნისლოვან სივრცეში გავეხვიეთ.

-აბა შევამოწმოთ, -ვეუბნები თანაშემწეს-როგორ ჩაიწერა ჩვენი ვიზიტი.

-ვამოწმებ. მიმდინარეობს კონტროლი.

-რა ისმის?

-დეკოდერმა კარგად გაშიფრა ჩვენი აქტუალური აზრები.

-კეთილი .ვიდეო ალბომში გადავიტანოთ სამახსოვროდ.

-ვასრულებ, თან მინდა შეგეკითხო.

-რა?

-რატომ არ აქვთ სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ან რატომ არ საჭიროებენ პროფესიულ ცოდნას.

-ჩემი აზრით, მათი თანდაყოლილი ერუდიცია საშუალებას აძლევთ უკვე განვითარებული სულიერი თვისებების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას და როცა ინდივიდის გონი მაღალ საფეხურიანი და მოწესრიგებულია თავისთავად აღარ საჭიროებს რაიმე საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებს, სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, თუნდაც სამკურნალო დაწესებულებებსაც.

-ისე ჩანს, რომ ისინი სრულიად დამოუკიდებლები არიან.

-რასაკვირველია, უმაღლეს გონს აღარ ესაჭიროება მითითებები.

-მაშასადამე, თანდაყოლილი ერუდიციით შეუძლიან გაერკვნენ ნებისმერ სფეროშიც.

-ნამდვილად,ისინი წინა ევოლუციის პერიოდის ფორმას ინარჩუნებენ,პარალელურად ახალ ცოდნას იძენენ.

-კონკრეტულად?

-ხდება ორგანიზმის სახეცვლილება, ტრანსფორმირება, მაგალითად ჩვენი უჯრედები სიცოცხლის განმავლობაში თანდათან ახლდებიან, საშუალოდ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. უხეშად რომ ვთქვათ, ამგვარი პრინციპით, ისინი მიაღწევენ თუ არა გარკვეულ ასაკს, იწყება მათი განახლება, ანუ ხელახალი მომშობიარება.

-საოცარი რამ არის, მაგრამ პირველი და მეორე საწყისი.

-რა თქმა უნდა,ორივე საწყისი გადადის განახლებულ სხეულში.

-საინტერესოა ისიც, ვინც იქ იყო თავდაპირველი,ჩვენთან, ხომ ადამი ითვლება პირველ ადამიანად.

-კარგი კითხვაა, სჯობს მსჯელობა შინ გავაგრძელოთ.

ბაქანზე მშვიდად დავეშვით, საჩუქარი ავიღეთ და შინ შესულებმა, მე პირველად ბუხარი გავაცოცხლე,მეუღლემ სამზარეულოდან სავახშმოთ სასურველი კერძები გამოიტანა, მერე იჩქითად ჩვენი საყვარელი კოქტეილი „ჩიკ-ჩაკი“ გავამზადე და სუფრას მივუსხედით.

ცოტა რომ დავნაყრდით, მეუღლემ მისთვის საინტერესო საკითხი გაიხსენა.

-ხომ არ დაგავიწყდა სად შეაჩერე პასუხის გაცემა.

-აგერ კოქტეილს მოვსვამ და თან განვაახლებ საუბარს, შენ გაინტერესებდა ვინ იყო მათი ცივილიზაციის პირველყოფილი არა?

-კი, თუკი რაიმე გსმენია მითხარი.

-ჩემი ჰიპოთეზის თანახმად ძვირფასო, იმ პლანეტაზე, სიცოცხლის მატერიალური საწყისი გონთან ერთად, უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ჩვენთან. ვითარდებოდა სწრაფად და უწყვეტად. არა თანდათანობით, როგორც იტყვიან, ევოლუციურად, არამედ ნახტომისებურად, თვისებრივ ცვლილებებით, არსებული როლი შეასრულა იქ არსებულმა გარემო პირობებმა, რამაც უმაღლეს რასად გადააქცია. სხვათა შორის სხვა გალაქტიკების, გარკვეულ პლანეტებზეც არსებობენ მეტ-ნაკლებად განვითარებული

ცივილიზაციები, ისეთებიც ქვის ხანას, რომ შეეფერებიან, ასევე არიან მაღალი ცივილიზირებული რასით დასახლებული პლანეტებიც. მომავალ კვირას, თუ სურვილი გექნება ვეწვიოთ ერთ-ერთ მათგანს.

-როგორ არა მაქვს, თუ გინდ ხვალ მოვახერხოთ მისი ორგანიზება.

-ჯერ დედამიწისეულ ზოგიერთ ძნელად გადასაწყვეთ საკითხებს მოვრჩეთ, შემდგომ კი დავთქვათ გამგზავრების დრო. ისიც გავითვალისწინოთ, თუ ჩვენი მეგობრები დედამიწას ესტუმ-რებიან, ჩვენ აუცილებლად შეგვეხმიანებიან, ამიტომ ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ.

-ვიცი, სხვათა შორის ძალიან მოეწონათ ჩვენი პროექტი, ბიოსფეროს ზედაპირზე ქოლგისებური ველი, თავისი ბადით და სხივ-კოდით, ისინი შედეგით აუცილებლად დაინტერესდებიან და უახლოეს მომავალში შეგვატყობინებენ ვიზიტის დროსაც.

-ასეც იქნება, ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ. ახლა, ახალ ამბებს მოვუსმინოთ და გავიგოთ მომხდარი შემთხვევების მიხედვით რა დოზით მოქმედებს ჩვენი ექსპერიმენტი. შევადგინოთ გრაფიკი და დღის ბოლოს ყოველ დღე აღვრიცხოთ კარგი და ცუდი შემთხვევები

-გასაგებია, ერთი მეორესთან შეფარდება აშკარად გვიჩვენებს მისი მოქმედების სიძლიერეს.

-მართალი ხარ, მონაცემები ყოველ სამ დღეში შევაჯამოთ, რომ ზუსტად განვსაზღვროთ მონაცემთა ავკარგიანობა. მე ახალ ამბებს მოვისმენ, შენ ლაზ-თვალი შეამოწმე, გავიგოთ რა სტადიაში აქვთ ახალი ტექნოლოგიის შექმნის სამზადისი, ასევე გადაამოწმე ოკეანის ფსკერზე „ლურჯი ვეშაპის“ საქმიანობა, ისინი ახლა ჩემს გამოჩენას ელიან.

-კარგი, სუფრას ავალაგებ და დავიწყებ-მომცა პირობა.

-შინ ხარ, ისე იმოქმედე როგორც მოიხერხებ, მოხმარება ხომ არ გინდა, -ვუწვდი დახმარების ხელს.

-არა, შენ შეგიძლია დაიწყო.

მე თავდაპირველად საინფორმაციო პროგრამას მოვუსმინე, მერე თვალი გადავავლე მთელი დღის განმავლობაში მომხდარ ამბებს. ინფორმაციის ხარისხის მიხედვით, გრაფაში სათანადო ადგილი მივუჩინე და გავაანალიზე. ისიც მალე შეუდგა თავის წილ საქმეს. თითოელი საეჭვო ეპიზოდები დეტალურ მონაცემებში გადმოიტანა და გაშიფრა.

-იცი, რა ხდება?

-აბა მითხარი.

-ოკეანეში ბაზები დახურეს, წყალქვეშა გემში განთავსებულ ლაბორატორიების თაროებზე რიგად განლაგებულ კოლბებში ვეღარ ვხედავ პლაზმას და ორგანოებს. ყველა პაციენტი ახლებით შეცვალეს და თითოეულ მათგანს ოკეანთერაპიით მკურნალობენ.

-მაშასადამე წყალქვეშა გემი სტაციონალური გაუხდიათ.

-სანამ შენ არ მიხვალ და ძრავას არ აამუშავებ, მანამდე ეს სტატუსი ექნებათ.

-როგორც ჩანს ხვედრი მოირგეს. ცოტა მოგვიანებით მეც მივალ და დანაპირებისამებრ ძრავას ავუმუშავებ. რაც მთავარია, აზრი იცვალეს და ხვედრს უმალ შეეგუვნენ.

-მეც მსგავსი დასკვნა გამოვიტანე. -დაეთანხმა ჩემს მოსაზრებას.

-სამკურნალო სექტორში რა ხდება?

-დაწესებულების ზედა სართულებზე წესისამებრ თერაპიული პროცედურები ტარდება, ქვედა ნაწილში კი ისევ მოუსვენრად ფაციფუცობენ.მისი სწრაფი დასრულებით დაინტერესებულები არიან თვით მაღალი ჩინოსნები.როგორც ვარაუდობდი, ისინი აკონტროლებენ ხელსაწყოს პატარა მოსარგებ დეტალსაც კი. იმ კვირაში გამოცდის ჩასატარებლად დღე უკვე შერჩეული აქვთ. ცდის პირებიც შეარჩიეს.

-რომელი დღე დანიშნეს?

-სამშაბათი, დილის თერთმეტი საათი.

-კეთილი, განსჯა მოგვიწევს.

-კერძოდ?

-კარგი იქნება, თუ ცდის პერიოდში შევაჩერებთ ჩვენს ჩატვირთულ პროგრამას, ეს იმიტომ რომ მათმა დაინახონ მიღწეული შედეგი, შემდგომ კი ავამოქმედოთ. -მივაწოდე აზრი ახალი მანევრისთვის.

-საინტერესოა ვინ ჰყავთ მიზანში?

-მე ვფიქრობ, პირველ რიგში, კონკურენტები, სახელმწოფოს შიგნით და გარეთ, ხოლო რაც შეეხება მეორე რიგს, არჩევნებში გამარჯვება და სახელმწიფოს სათავეში მოსვლა, ძალაუფლების ჩაგდების მიზნით.

-სამწუხაროა. -განმიცხადა.

-რა გამწუხრებს?

-ერთპიროვნულობა, რომელიც გამორიცხავს კონკურენტ-უნარიანობას.

-სწორად მსჯელობ ძვირფასო, ეს არის ბუნებრივი კანონზომიერებიდან გადახვევა, ამიტომ არ უნდა დავუშვათ ეს არაბუნებრივი ფორმაციული სვლა. -დავემოწმე მეუღლეს.

-ჩვენ დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მერე კი მის მიხედვით განვსაზღვროთ, როგორ მოვიქცეთ. ახლა დავისვენოთ და ხვალ განვაგრძოთ.

ალიონზე, დილის პროცედურების შემდეგ, სანამ საუზმეს მივიღებდით, მეუღლეს ვეკითხები.

-უკვე ხუთი თვეა, რაც სპეციალურ ტრენირებით ხარ დაკავებული. სულ მალე ახალი წელი დადგება. არ გაინტერესებს საახალწლოდ როგორ ფლობ საკუთარ თავს? გამოცდაზე კომისიის წევრის მოვალეობას თავადვე შევასრულებ.

-თანახმა ვარ, როდის გამომცდი ოსტატო? -ღიმილით მომიგო და ჩემს წინ წარსდგა.

-საუზმემდე მოემზადე და შევუდგეთ.

-მე მზად ვარ.-მომიგო უყოყმანოდ და თავდაჯერებით.

-მაშინ ჯერ მარტივი სავარჯიშოებით დაიწყე, მერე გადადი, როგორიცაა ყურადღების კონცენტრაცია და აზროვნების გამახ-ვილება, შემდეგ შეასრულე თუ კი შეძლებ უფრო მაღალი

საფეხური, ე.წ. სხეულის ლივლივი. გავიდეთ სპორტ-დარბაზში და დავიწყოთ.

მე დღემდე საგანგებოდ ვაკვირდებოდი მის მგრძნობით თვისებებს და ფსიქიკურ მდგომარეობას, როგორ იყენებდა ნასწავლს ურთიერთობის დროს თვითკონტროლის გამოყენებით, აგრეთვე მის ნიჭზე მეტყველებდა უარყოფითი ემოციის მეყსეულად დათრგუნვა და მისი დადებითად შეცვლის უნარი. მედიტაციის საშუალებით მან დაარეგულირა ემოციური წონასწორობა, განავითარა ნებისყოფა და ინტელექტი, შინაგანი დისციპლინის მეშვეობით კი საკუთარი სხეულის ფლობა.

როცა მან ყველა ნორმა შეასრულა მისი მიღწევით აღტაცებული, ვეკითხები.

-აი, ხომ ხედავ ოპტიმისტურმა განწყობამ, მეტი თავდაჯერებულობა შეგძინა, მან ცხადია წარმატება მოგიტანა, დღეიდან შემიძლია გაგირთულო მომდევნო დავალებები, ეს იქნება აზრის ფორმად გადასაქცევი ვარჯიშთა კომპლექსი, ხოლო მის შემდგომ, ჩვენ შევძლებთ როგორც აზრების გადაცემას ერთმანეთში, ასევე, რაც მნიშვნელოვანია აზრ-ფორმით მოგზაურობასაც.

-ალბათ გადაადგილების საშუალება აღარ დაგვჭირდება.-გაახუმარა ჩემი ნათქვამი.

-გვექნება ასეთი შემთხვევებიც, ახლა ვისაუზმოთ, მერე ბაღჩაში ჩავიდეთ, თვალი გადავავლოთ, თან წავისაქმოთ.

ნასაუზმევს ახალ ამბებს მოვუსმინეთ და ქვემოდ ჩავედით.

ზამთრის მზიანი დღე იწყებოდა.დილის თავდაწმენდილი მზის სხივები, ხევში ჩაფერფლილ თოვლის ფიფქებს ნაცრისფრად აბზინვარებდა, ხოლო მთის კალთებს შეფენილ მარადმწვანე ნაძვნარზე დაფენილ თეთრ სიქათქათეს თავს ევლებოდა და ახალი წლის შესახვედრად ამზადებდა.

-მზის სათვალეები უნდა წამოგვეღო.-შემომჩივლა შეწუხებულმა-თოვლი ისე სჭრის თვალებს, ძლივს ვიხედები.

-თოვლი კი არ გჭრის ძვირფასო თვალებს,ბუნების სილამაზე.

-რას ამბობ შენ ხომ თავისუფლად უსწორებ მშვენიერებას თვალს.

-მაშინ შევიდეთ სათბურში, თუმცა სახურავს გადახდა ცოტა ხანს მოუწევს, მაგრამ შეღავათს მაინც მოგვცემს და კიდევ, ნაძვის ხე მოსაძებნი გვაქვს და მოსართავი.

-ეგ ნამდვილად კარგია. ნუთუ არ გაგიჭირდება თოვლიან ტყეში ნაძვის ხემდე მიკვლევა, სათამაშოებიც ხომ გვინდა.

-გვინდა და ყველაფერსაც მოვახერხებთ, ჯერ ბაღჩას მივხედოთ, მერე კი, თუ მარტო დარჩენის არ შეგეშინდება, მე ცოტა ხნით გავალ ნაძვნარში.

-კარგი. მაშინ ჯერ პომიდვრები ავაკრათ, შემდეგ სარეველებს მივხედოთ.

-დავიწყოთ, შუადღემდე რის გაკეთებასაც მოვასწრებთ, დანარჩენს ხვალ მივხედოთ.

უჯრიდან წვრილი თოკები ამოვიღე. გავინაწილეთ და მწკრივში ჩავდექით. რომლებიც უკვე მოსაკრეფი იყო, პირდაპირ კალათაში ვაწყობდი. ზოგი მწიფობაში შედიოდა, ზოგიც მწვანე ფერს იფერებდა. ასეთივე თანმიმდევრობით ხარობდნენ, კიტრი, წიწაკა და ბადრიჯანი. მწვანილი მუდამ ხარობდა, პერიოდულად სტაფილო, ჭარხალი და კარტოფილი. მათ გარშემო ჩარგული გვქონდა: პაპაია, კივი, ნესვი, გარგარი, ლიმონი და წითელი ყურძენი. მნიშვნელოვანი აქ ის იყო, რომ ყველა ხილ-ბოსტნეული ბუნებრივი თესლეულით იყო გახარებული. ყოველგვარი სანიტარული ნორმების დაცვით.

ოთხი საათი მუშაობის შემდეგ სათბურიდან გავედი, თოვლზე სასიარულო ფარფლები მოვირგე და მთას ზემოთ ავუყევი. ოცი წუთი დამჭირდა დანიშნულ ადგილამდე რომ მივსულიყავი. ლამაზ-ტოტებიანი ნაძვი ავარჩიე. ახლომახლო ხეებიდან სხვადასხვა ზომის გირჩები ჩამოვკრიფე და წამოსასვლელად, რომ მოვემზადე, შორიდან ღმუილის ხმები შემომესმა, მშიერი მხეცები, გავიფიქრე, უსათუოდ საშოვარზე არიან გამოსულები. რაც უფრო წინ მივიწევდი, ღმუილი მით უფრო მიახლოვდებოდა, იარაღი შევამოწმე და გზა გამოვაგრძელე. ხუთი

მეტრი არ მქონდა გავლილი, რომ ჩემდა უნებურად უკან მოვიხედე. ოთხი ზრდადასრულებული ნადირი ჩემკენ ისე ფეხმარდ მოიწევდა, სიტყვა გამგელებული ნამდვილად შეეფერებოდათ. იარაღი მზად მქონდა. მომიახლოვდნენ თუ არა, უცბად შეჩერდნენ, უმალ ბიო-სფეროზე გადაჭიმული ენ-ინფო-ბადე გამახსენდა. მე ხომ დოზა არ გამიზრდია, ვთქვი ჩემთვის. ისინი შორიახლოს იდგნენ და მიყურებდნენ. მოვლენების განვითარებას აღარ დავლოდებივარ. მექანიკური იარაღის ნაცვლად, ენერგო იარაღის გამოყენება ვარჩიე. მეუღლის თანდასწრებით ვერიდები მის დემონსტრირებას, არ მინდა ჯერ მან გაიგოს ამის შესახებ, ამიტომ იშვიათად ვიყენებ ხოლმე. ახლა მომეცა ამის საშუალება, რომ გამეაქტიურებინა. ბიოენერგიის კონცენტრირებული ნაკადი, ჩატვირთული სიტყვებით „ძლიერზე-ძლიერი“. მზერის გამო-ყენებით, ყველაზე წინ მდგომისკენ გავუშვი,ხოლო მარჯვენა ხელის გული მის გვერდზე მდგომს გავუსწორე, თავდაპირველად მუხლები მოეკეცათ,მერე წაბარბაცდნენ და ძალაგამოცლილებმა მყისვე თოვლში ამოყვეს თავი, დანარჩენ ორს უფრო ახლოს მივუახლოვდი, იგივე პროცედურა გავიმეორე და უკან დავბრუნდი. კვალსათბურში რომ მოვედი, ის ისევ საქმიანობდა. შემომხედა, გამიღიმა და ჩემკენ წამოვიდა.

-შეგემთხვა რამე?

-რა უნდა შემთხვეოდა?

-ტყეში ცოტაა ხიფათი. განცდა ჯერ კიდევ არ დაგცხრობია.

-ხედავ შენ.

-რა ხდება?

-დაოსტატებულხარ. განცდის გამქრალ კვალსაც კითხუ-ლობ. როგორ არ ვეცადე მისი გაქარვება, მაგრამ მაინც იგრძენი.

-ოსტატის დამსახურებაა ჩემო კარგო.-გაიბადრა, გადამეხვია და ნატიფი ამბორით, მისი ნაკვალევიც გააქრო-აბა მომიყევი შენი ფათერაკის შესახებ, მთხოვა და დაელოდა ჩემს რეაქციას.

მეც ვუამბე რაც თავს გადამხდა. თხრობა რომ დავამთავრე მზერა გამისწორა, თითქოს ცდილობდა დამატებით კიდევ რაიმე ამოეკითხა.

-აი, გზად მიმავალი რატომ უნდა იყო ფხიზლად.- გულითადი შენიშვნა მომცა მეუღლემ.

-ვინ თქვა რომ მე მზად არ ვიყავი?

-შენ წამოგცდა, არ ველოდებოდიო.

გამიხსენა ყურადღების მოდუნების ვარაუდი.

-თუ ცნობიერი-ვპასუხობ მის შენიშვნას-არ აღმოჩნდა მზად მოსალოდნელი ფათერაკისთვის, ნაცადი ალღო ხომ იყო მზადყოფნაში.

-სწორედ ინსტიქტმა გიკარნახა მოქმედება,მოქცეულიყავი გარემო პირობების საპასუხოდ, თორემ...

-თორემ რა. -შევაწყვეტინე მომდევნო სიტყვის დაწყება. -წინდაწინ სმენამ ხომ აღიქვა და გამაფრთხილა.

-კი, მაგრამ არ დაუჯერე სანამ ორ ნაბიჯში არ მოგიახლოვდნენ.

-ალბათ, შენკენ რომ მოვიჩქაროდი, შეიძლება ამიტომ.

-მე არსად წავიდოდი, ჩარაზულ კარებში ვინ შემომივარდებოდა?

-კარგი, ნუღარ ვკამათობთ, მე კიდევ ენ-ბადის იმედიც მქონდა, დამატებით, რომ იცოდე.

-აი, თურმე რამ მოგიდუნა ყურადღება, მაშ, რაც გეიმედა მანვე მოგითენთა სიფრთხილეც, არა?

-შენ კვლავ აგრძელებ დავას?

-თქვი, რომ მე სწორად ვმსჯელობ და შევწყვიტოთ. გისმენ.

-რომ ვთქვა კი, არასწორი ვიქნები.

-რატომ?

-იმიტომ, რომ იმედს არ შეუძლია მოთენთოს ის რეცეპ-ტორები, რომლებიც პასუხს აგებენ, გარემო გამღიზიანებლებს უპასუხონ საკადრისად.

-ეგ რა ფორმულა გამოიყენე, მოკლედ ყველა შემთხვევიდან გამოსავალს პოულობ. შენ კი გეღიმება, გამარჯვებული იერი გახატია სახეზე.

-კარგი ძვირფასო, ამ კამათში უკვე მოგვისაღამოვდა, ზემოთ ავიდეთ და ჩვენი ნაძვის ხე მოვრთოთ.

როცა შინ მივედით, ის სამზარეულოში ვახშმის მოსამ-ზადებლად გავიდა. მე კი ჩემს საკვლევ განყოფილებას მივაშურე. კომპას-აპარატს სხვადასხვა ზომის, ფერის, ბრჭყვიალა თუ არაბრჭყვიალა სათამაშოები შევუკვეთე, აგრეთვე, ნაირფერი ნათურები, თოვლის ბაბუა და ხელოვნური თოვლის მოსვლის შემსრულებელი მოწყობილობა.

მათი დამზადების დასასრულს, ნაძვს დგარები გავუკეთე და მეუღლეს შევეხმიანე.

-რას მოსაქმეობს ჩემი დიასახლისი.

-ათ წუთში მეც მოვრჩები და შემოგიერთდები, მანამდე, აგერ მჭადი უკვე მზად არის, ყველი მაცივრიდან გამოიღე და ავანსად წავიხემსოდ.

საღი აზრია, საქმე კარგი ხასიათით უნდა დაიწყო, კიდევ რას აკეთებ?

-ბროკოლი დანაყულ ნიგოზში, ესეც მზად არის, ჩამოთ-ლილი ვიჩინაც თეფშით მაგიდაზეა.

-ნამდვილად სასიამოვნოა.

თითო ფიალა წითელი ღვინო ჩამოვასხი და მაგიდას მივუსხედით.

-კარგი ხელი გაქვს ძვირფასო, რასაც აკეთებ ყველაფერს არომატულად ამზადებ. პროფესიონალ კულინარად ხარ დაბადებული.

-გაამოს, ზედმეტად ნუ მაქებ, თორემ გავწითლდები.

-იმას ვამბობ, რასაც შენი ნახელავი მაგრძნობინებს.

-შეგერგოს.

-გმადლობ გენაცვალე.

ღვინით სავსე ფიალა მაღლა ავწიე და მისკენ გავიშვირე.

-მრავალი ათეული წლები შენი არაჩვეულებრივი კერძებით დავმტკბარიყავი და მრავალი ახალი წელი საოცარი ხალისით გვეზეიმოს. შენი გამარჯვება მენახოს, შენი მრავალჟამიერი.

-უღრმესი მადლობა, მეც დაგლოცავ, მუდამ კარგ ხასიათზე ყოფნას გისურვებ და მისიის წარმატებით ასრულებას.

-შენთან ერთად ძვირფასო, მხოლოდ მაშინ ექნება უსაზღვრო სიხარული. ერთიც ვთქვათ და მერე ღიღინ-ღიღინით მოვრთოდ ნაძვისხე. მიმავალი წელი მინდა დავლოცო. მოვლენებით დატვირთული წელი, რომელმაც ბევრი პრობლემები სასიკეთოდ გადაგვიჭრა, რაშიც დამეთანხმები.

-რასაკვირველია, იყო აქტიური და საინტერესო.

-ახალი წლის საღამოს ჩვენ კიდევ დავლოცავთ, სულ რამდენიმე დღე და ზეიმით გავაცილებთ და ზეიმითვე შევხვდებით მომავალ წელს. დაილოცოს.ალავერდს შენთან გადმოვდივარ.

-აბა სხვასთან ვისთან გადახვალ.

-რატომ, ჩვენთან არიან და გვისმენენ ასტრალური არსებები, ხოლო ენერგო ინფორმაციული ქსელით, კი მთელი სამყარო.

-ნუ იტყვი ხოლმე უცნაურს და დაუჯერებელს.

სულ მალე შენც იგრძნობ,იხილავ და დარწმუნდები, რომ ეს უცნაურობები სინამდვილე ყოფილა.

-როგორ?

-ეტაპობრივად, შინაგანი და გარეგანი ხედვით განვითა-რების კვალდაკვალ. შედეგი დამოკიდებული იქნება შეგონების სიმძაფრეზე. რამდენად გჯერა რასაც ასრულებ, ხოლო მთელი საიდუმლოება კი, ესეც გითხრა თუ შემდეგისთვის გადავიტანოთ?

-რატომ არ უნდა თქვა, გელოდები.

-ზედმეტი რომ არ მოგივიდეს.

-თქვი, მაინტერესებს.

-ცოტას მოვსვამ, ახსნის განწყობას შევიქმნი.

-არ გამაწვალო, თორემ გავიბუტები.

-რას ამბობ, შენი გაბუტვა ყუმბარის აფეთქების ტოლფასი იქნება, უკვე ვიწყებ, მაშ ასე, შენ გაინტერესებს რა იდუმალებითაა ეს მეთოდი მოცული, არა?

-აღარაფერს ვამბობ, გავიბუტები მეთქი ხომ გითხარი.

-ჰო, კარგი, აი დავიწყე, მთელი საიდუმლოება ძვირფასო კონცენტრაციის, ჩაგონებისა და თვითშემოქმედების ძალაში იბადება, რამაც უნდა გაგიძლიეროს ზესენსონური მხედველობა.

-ამისთვის მაღრიტინე ამდენ ხანს?

-არ დამიმთავრებია.

-რაღა დაგრჩა?

უმთავრესი.

-მაღირსე, რა გჭირს.

-თუ არ მომისმინე, როგორ გავაგრძელო, შემომხედე, იმის შემდეგ, როცა არა მარტო საკუთარი სხეულის, არამედ შინაგანი მეს ფლობის უნარს გამოიმუშავებ, თავისუფლად შეგეძლება მოძებნო შენს სიღრმეში ფარული პოტენციალი, გააღვიძო და აამოქმედო წადილისამებრ.

-დაასრულე, თუ დაგრჩა რაიმე სათქმელი.

-დავასრულე. რა არის აქ გასაბრაზებელი. მე ვხუმრობდი, შენ კი ბრაზდებოდი.კარგი, ნუ ხარ მწყრალ გუნებაზე, შენ ბუტუსურა შენა,

-არა, არ ვარ და არც გავბრაზებულვარ.

-აბა შემომხედე და მივხვდები მართალს ამბობ თუ არა.

მან თვალი თვალში გასწორებას, ფეხზე ადგომა ამჯობინა, რათა შინაგანი მღელვარება მოქმედებაში დაემალა.

-ძვირფასო, შენ ხომ უკვე ფლობ უარყოფით ემოციების სწრაფ დათრგუნვასა და მათი დადებითად შეცვლის უნარს.

-მერე ამით შენ სარგებლობ და ცალსახად ხუმრობ, მხოლოდ შენ, რომ გაგეხარდეს. -შემომჩივლა შებუტულმა.

-კარგი, მომიტევე თან დაიმახსოვრე, გონების ჰიგიენის-თვის, ემოციათა დარეგულირებას დიდი მნიშვნელობა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარუმატებლობა ფეხდაფეხ წამოგყვება.

-ვიცი.

-და თუ იცი, სადაა შენი ფსიქიკური წონასწორობა?

-უცებ დამერღვა, თუმცა უკვე აღვიდგინე.

-უცებ არ არსებობს, დაივიწყე, ფსიქიკა ყოველთვის მზად უნდა გქონდეს. იცოდე შინაგანი დისციპლინა აუცილებელი პი-რობაა ტრენირებისთვის. ხვალიდან ყურადღების კონცენტრაციასა და თვითკონტროლზე სავარჯიშოებს გარეთ შევასრულებთ.

-რატომ გარეთ?

-ბუნებაში გამაღიზიანებლები მეტია, გონება გაფანტული, ამის გამო ჭირს აზროვნების გამახვილება ერთი მიმართულებით. სწორედ ამ სირთულეების დაძლევის შემდეგ, გამომუშავებული კონცენტრაცია შეგაძლებინებს სხვა გამღიზიანებლების ზემოქმედების მიუხედავად, კონტროლი დაუწესო საკუთარი აზრის წარმართვას, მეორე, გარემო ეფექტიან გავლენას ახდენს ტვინის მოქმედებაზე. რაც ხელს უწყობ ყურადღების, ნებისყოფის და აზრთა კონცენტრაციის განვითარებას. რას იტყვი?

-თანახმა ვარ. -დამეთანხმა ზედმეტი შეკითხვების გარეშე.

-კეთილი, მაშინ ახლა გავიდეთ ავანზალში, ჩავრთოთ მხიარული მელოდია და მის ფონზე მოვრთოთ ნაძვი ნაირნაირი სათამაშოებით.

...თითქმის საათზე მეტი გაგვიგრძელდა მისი მორთვა-მოკაზმვა. დასასრულს ნაძვის თავს ზემოთ 150 სმ სიმაღლეზე ხელოვნური ფიფქებისთვის, ღრუბლის სამი ქულა დავამაგრე და თანვე დენის წყაროს შევუერთე. ფიფქები ისე ფენა-ფენა მოდიოდა, ნამდვილ მშრალ თოვლს მოგაგონებდათ, მერე ნაძვის სიღრმეში შემოყოლებული ფერადი ნათურები ჩავრთე და სინათლე გამოვრთე.

-ვაუ, ეს რა არის, -უეცრად შემომძახა გაოცებულმა. -ასეთ ეფექტს ნამდვილად არ ველოდი. მრავალფეროვნების შეხამება. უილიამის რითმული სტრიქონები გამახსენდა. „მშვენიერებას უნდა დარჩეს მემკვიდრეობა, რომ სილამაზემ იფერადოს ვარდის კონებად.“

-ხედავ ჩემო დედოფალავ რას ნიშნავს შემოქმედების ძალა. ნაძვის სიღრმეში თუ ამჩნევ ბრჭყვიალა სათამაშოებსა და ნათურებს შორის ლაჟვარდოვან ფერთა ციმციმს. ცოტა, ზემოთ, აქა-იქ მოელვარე ნათებებს, ისიც თქვი, რომ ნაძვის ხის კენწერო თავისი ბრწყინვალებით თვალებს რომ გჭრის.

-მართალი ხარ, ასეთი რამ ჯერ არ მინახავს, შეიძლება ითქვას, ჩვენთან მშვენიერება ყვავილშია.

დაასრულა ბოლო სიტყვა და ჩემკენ წამოიწია, სანამ თავის ნაზ მკლავებს შემომხვევდა, უცებ, პატარა ბავშვივით ხელში ავი-

ტაცე და ნაძვის ხის გარშემო კუნტრუშ-კუნტრუშით შემოვატარე, მერე წყნარი საკარნავალო მელოდია ჩავრთე და წრეს ახლა ცეკვა-ცეკვით ვუვლიდით.

-თუ დაიღალე მითხარი.

-ამ მშვენიერების შემხედვარე, რა დამღლის.

-ფეხმძიმობის გამო, ცოტა უნდა გაფრთხილდე, დავისვე-ნოთ და შემდეგ გავაგრძელოთ.

-კარგი, დაგიჯერებ, წავალ და წყალს გამოვიტან.

-არა, მე გავალ და მოვიტან, შენ აგერ სავარძელში მოკა-ლათდი, დაისვენე.

სამზარეულოდან წყლით სავსე დოქი, ხილით სავსე ლარნაკთან ერთად გამოვიტანე, მის წინ მდგარ მაგიდაზე დავდგი, წყალი თიხის კათხებში ჩამოვასხი და საუბარი შობა-ახალი წლის სამზადისზე დავიწყეთ, აგრეთვე, გადავწყვიტეთ, ახალი წლის შემოსვლის შემდეგ ჩვენი ზესწრაფი საფრენი ლაინერით სხვა-დასხვა ქვეყნებში გვემოგზაურა და სინამდვილეში გვენახა, თუ როგორ ხვდებიან ისინი მის შემოსვლას.

...ერთი კვირის შემდეგ შობა აღვნიშნეთ, ჩაბასტუმრებული კერატის ხორციდან შესაწვავად რამდენიმე ნაჭერი ჩამოვაჭერი, შამფურებზე ავაცვი და ნაკვერჩხლებზე დავატრიალე.

ტრადიციისამებრ მაგიდაზე საშობაო კერძები, ნაირნაირი ხილი დავაწყვეთ,ღვინით სავსე ფიალა ავსწიეთ და ვახსენეთ უფალი. დავლოცეთ დღე შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გავიხსენეთ შობის ისტორია. ღვთაებრივი სხეულის ღვთაებრივად ჩასახვა და შვა...

სადღეგრძელოებს,სადღეგრძელოები ცვლიდა,რამდენჯერმე შობის შესაფერისი სიმღერა წავიღიღინეთ.

ვილხენდით და ვხუმრობდით, როგორც დღევანდელ დღეს შეეფერებოდა.

სუფრიდან რომ წამოვდექით, გვიანი ღამე იყო.ხელდახელ ავალაგეთ და დასასვენებლად გავედით.

დილით საახალწლო მაშხალების დამზადება და ახალი ამბების მოსმენა რომ დავამთავრე, ბაღჩაში საღამომდე წავიმუ-

შავეთ. დასრულებისას ფეხთ ლასტები ამოვიცვით და სანამ შემოღამდებოდა, მდინარის სანაპიროზე ჩვენს სათევზაო ადგილს მივაკითხეთ. თოვლის საფარის გამო კი გაჭირდა პროცედურები, მაგრამ კომპას-აპარატის დახმარებით ათიოდე თევზი და ამდენივე ცხრაფეხა მისთვის განკუთვნილ ჭურჭელში ჩავაწყვეთ და შინ დავბრუნდით.

ვინაიდან ზედმეტად დაღლილები ვაყავით, გადავწყვიტეთ დაძაბულობის მოსახსნელად სპეციალური სავარჯიშოები შეგვესრულებინა. სპორტ-დარბაზში გასულებმა გავშალეთ თხელი სპორტული ლეიბი და ზედ, გარსისგან განთავისუფლების მდგომარეობა მივიღეთ, თანვე დავიწყეთ ყველა კუნთის მოდუნება, ქვემოდან ზემო მიმართულებით.

როცა ორგანიზმს ზედმეტი დაძაბულობა მოვხსენით, ავდექით და განწყობის ასამაღლებლად პირდაპირ საშხაპეს მივაკითხეთ.

შხაპმა უმალ განმუხტა დაღლილობით გამოწვეული უსიამოვნებები, დაგვამშვიდა და საშური შვება გვაგრძნობინა, მერმედ მსუბუქად წავახშმებულებმა საძინებელს მივაკითხეთ.

...საახალწლოდ ზედიზედ მოგვიწია ქალაქში გასვლა. ერთხელ კარნავალს დავესწარით, მონაწილეობაც მივიღეთ, მეორე დღეს ბალ-მასკარადზე წავედით და არაჩვეულებრივი საღამოს მომსწრე გავხდით. 31-ში სად წავიდოდით, მხოლოდ შინ ვფუსფუსობდით და რაც ტრადიციულად მისაღები იყო მისი დამზადებით ვიყავით დაკავებულნი.

-გოზინაყისთვის თაფლი დაგვჭირდება -განმიცხადა დიასახლისმა.

-როგორ ქილაში საერთოდ, აღარ არის.

-არის,მაგრამ არასაკმარისი.

-თუ არ გვეკმარება, ხის ფუღურო, საიდანაც თაფლიანი ფიჭა წამოვიღე, შორს არ არის, ცოტა ზემოთ, რომ აიწევ, იქვეა, იქ იმოდენა მასა თაფლია მთელ რეგიონს ეკმარება.

-კარგი, შენ ეგ მოაჭახრაკე, მე კაკალს დავახარისხებ, წილს გოზინაყის დასამზადებლად, წილს საცივისათვის.

-კი, მაგრამ წელს საახალწლო მაგიდაზე ფრინველის ხორცი რომ არ შეიძლება?

-მაშინ ნუ გავაკეთებთ.

-თუ გინდ კურდღლის ხორცი ჩავდგათ.

- აბა კურდღელი?

-მოვინადირებ და იქნება.

-შენ, რა წასვლას აპირებ? -შეიცხადა ჩემი მოულოდნელი წინადადება. ხელსაქმე მაშინვე შეაჩერა და შემომხედა, ცდილობდა ამოეკითხა ვოხუნჯობდი თუ მართალს ვამბობდი.

-წასვლას, თორემ მეც მთელი დღე მოვუნდები ნადირობას. ჰა ჰა, მაქსიმუმ ერთი საათი.

-კარგი რა, მე მარტო მტოვებ? -შემომჩივლა გაბუსულმა, იქვე სკამზე ჩამოჯდა და თავი ჩაღუნა.

-მაშინ ასე გავაკეთოთ, დავასრულოთ, რაც წამოწყებული გვაქვს, მერე კი ორივე წავიდეთ. თანახმა ხარ?

-ვარ, ასეც სჯობს.

-აბა ჰე, დავტრიალდეთ, დაწყებულ სამზადისს მივხედოთ და გავიდეთ.

ორ საათში ძირითადი თავი კერძები თითქმის მზად გვქონდა. ხაჭაპურის თითო ნაჭერი ავიღეთ, საფრენ ხომალდში შევედით და იმ მიმართულებით წავედით, სადაც უკვე ნამყოფი ვიყავით.

მდინარისპირელ ზოლის გასწვრივ უამრავი ნაკვალევი შევამჩნიეთ, ისე იყო ერთმანეთში არეულ-დარეული, ვერც კი შეამჩნევდი, რომელი რომლის იქნებოდა. მარჯვენა სანაპირო ზოლს შემოვუარეთ და გზა ჩიგვნარისკენ განვაგრძეთ. ჩიგვნარს რომ მივუახლოვდით,თოვლზე მკაფიოდ გამოხატული კურდღ-ლების ნაკვალები შევამჩნიეთ, იქვე ემჩნეოდა მტაცებელთა თათების კვალიც.

ყველა სექტორის დათვალიერება რომ დავამთავრეთ ტყის პირას ჩამოვედით და პირველსავე ხეს ამოვეფარეთ.

-ფრთხილად უნდა ვიყოთ, გრძნობა და სმენა გააძლიერე.

-ეგ ხომ უკვე ვიცით.

-განა არ იცი, მე მაინც გაგაფრთხილე, ერთი და იგივე მოსასმენად არ არის სასიამოვნო, თუმცა შეხსენება აუცილებელია. ზემოთაც იცოდი, ამას წინათ,ალბათ გახსოვს, ან რა დაგავიწყებს, ჩემი სიმარჯვე რომ არა, ფოცხვერი ზედ თავზე დაგახტებოდა.

-კი მახსოვს. მოკრძალებით გამცა პასუხი და მზერა თოვლზე დამჩნეულ კვალზე გადაიტანა.

-აი, იქით გაიხედე, გავიშვირე თითი, საიდანაც კურდღელი გამოძვრა.

-ვხედავ.

კურდღელმა არე-მარე შეათვალიერა და ისევ უკან დაბ-რუნდა.

-ეტყობა მზვერავის როლის შემსრულებელი იყო, თუ ჩვენ შეგვამჩნია, მის ხელახალ გამოჩენას დრო დასჭირდება, ამიტომ სხვაგანაც დავათვალიეროთ, რაც შეიძლება უხმაუროდ.

-სად მიდიხარ?- მეკითხება გაოცებული, როცა ტყის სიღრმისაკენ დავაპირე წასვლა.

-ტყეში.

-იქით რატომ? -ჩამეძია.

-ცხრა-ათი მეტრის სიღრმეში შევიდეთ, მერე ჰორიზონტა-ლურ ზოლს გავყვეთ და მეორე მხარეს ამოვიდეთ.გაღმა ხედავ ალაგ-ალაგ მწვანე ფოთლებს?

-კი.

-სწორედ მას უნდა მივუახლოვდეთ.

-კარგი, წავიდეთ.

საშიში კი იყო ტყის სიღრმეში შესვლა, მშიერი ნადირი მსხვერპლის სუნს, შორი მანძილიდანაც გრძნობს, მაგრამ, მაინც შევედით. მივდიოდი, თან ვფრთხილობდით.

-ვაიმე. -უცებ დაიყვირა, ჩემს უკან მომავალმა. პირველი სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მე უკვე იარაღ მომარჯვე-ბული მისკენ ვიყავი შებრუნებული. საშიში რომ ვერაფერი შევნიშნე მის დაბნეულ თვალებს წავაწყდი.

-რა მოხდა.

-თრითინა გადახტა ტოტიდან ტოტზე.

-კარგია.

-რა არის კარგი?-განიცხადა.

-ფხიზლად რომ ხარ, მე კი რაღაც საშინელს ველოდი. ძალიან შეგეშინდა?

-სრულიად არა.

-ნუ დამალავ, თუ შეშინდი თქვი, თუ არა გზა გავაგრძელოთ.

აუჩქარებლად მივდიოდით.ტყის სიღრმეში რომ შევედით, უეცრად მხარზე თოვლის გუნდა მომხვდა, უკან მივიხედე, ალბათ რაღაც შეამჩნია და თოვლის გუნდა მესროლა- მეთქი, გავიფიქრე.

-მე არა ხის ტოტს მოსწყდა. - წაიჩურჩულა და ზემოთ ამახედა.

-ცუდის ნიშანია, მარცხენა მხარზე დამეცა, მეტი სიფრთხილე გვმართებს.-ავუხსენი მინიშნება და ნაბიჯს ავუჩქარეთ.

როგორც იქნა მეორე მხარეს გავედით. ვხედავ მწვანე ფოთლებიან ჩიგვის გარშემო, ტუჩმოცმაცუნე ოთხ კურდღელს. იარაღი ხელში შევატრიალე და ხეს ამოვეფარე. ის-ის იყო მიზანში ამოღებულისთვის უნდა მესროლა, რომ ზურგზე ხელი დამარტყა. მაშინვე სროლა მივატოვე და მისკენ მივიხედე. ხელით ჩრდილოეთით, ტყის განაპირა მხარეს მიმითითებს. ჩვენიდან დაახლოებით ას მეტრ მანძილზე, ტურების ხროვა ჩვენკენ მოიწევდა,ვერაგი ცხოველები არიან. გავიფიქრე გულში. ჩუმად იციან წამოპარვა. მისთვის აღარ მითქვია, მხოლოდ ცერით ვანიშნე მისი სიყოჩაღე.

სანამ ხროვა მოგვიახლოვდებოდა, მანამდე ორი საშუალო ზომის კურდღელი მოვინადირე და მათ მოახლოვებას დაველოდე. გამალებული ჩვენკენ მოიწევდნენ, უცებ მიმართულება იცვალეს და სხვა მხარე აირჩიეს.

-პირი იცვალეს -მეუბნება მათი წასვლით გახარებული.-ჩვენ ჩვენი გზა გავაგრძელოთ.

-ოღონდ იცოდე, ისინი ისეთი ცბიერები არიან, ცოტა ხანში უკან შემოტრიალდებიან, წავიდეთ, თან ფრთხილად ვიყოთ.

საფრენ აპარატს რომ მივუახლოვდით, გასაკონტროლებლად კიდევ ერთხელ მოვიხედე და რას ვხედავ. იმ ხროვას, ხროვა

დამატებოდა, ორ ნაწილად პირ-დაფჩენილები, თოვლის საფარზე მარდად მოიწევდნენ.

სულ ოციოდე მეტრი გვაშორებდა ერთმანეთს.

-სანამ ორ მეტრს გავივლით,-ვამბობ მათი ვერაგობით შეშფოთებული- მათ პირისპირ აღმოვჩნდებით. შენ ნუ შეჩერდები, გააგრძელე, კაბინაში შედი და დამელოდე, ყველაფერი კარგად იქნება-დავასრულე თქმა და მაშინვე ხროვას შემოვუტრიალდი. პირველად, რომლებიც მარცხენა მხრიდან მიტევდნენ ყველა წინმავალი სხივმა უცებ მოცელა.შემდეგ სამიზნე მეორე ხროვის მოწინავეს გავუსწორე, ლაზერის ნაკადმა ისიც ადგილს მოწყვიტა, მერე ჯერ მარცხენა მხარის წინა ხაზი ჩამოვიშორე, შემდეგ მეორე ხროვის მოწინავე რიგები. დარჩენილებმა ხიფათი იგრძნეს და მყისვე შეჩერდნენ. მე საფრენ აპარატისკენ გამოვეშურე, თან მათ გავცქეროდი, ზოგი იდგა, ზოგიც აქეთ-იქით დაცანცარებდა. ხან მე მიყურებდნენ ხან თოვლში ჩაფლულ თანახროველებს.ამასობაში დანიშნულ ადგილს მივუახლოვდი, კაბინაში შევედი და ზემოთ მშვიდად ავედი.

-ღირდა კი ამდენ წვალებად-შემომჩივლა განცდით შეცბუ-ნებულმა.

-რას ამბობ, ძვირფასო რატომ არ ღირდა, -განვიცხადე მის ჩივილზე.

-ესააო ერთი საათი მაქსიმუმი დამჭირდებაო, შენ არ ამბობდი?

-ვამბობდი, რამდენი გავიდა?

-ცოტა მეტი.

-სამაგიეროდ ნადირობით ვისიამოვნეთ.

-ეს არის სასიამოვნო, ლამის იყო ტურებმა ნაკუწ-ნაკუწ გადაგვაქციეს.

-თუნდაც მომხდარი ექსცესის გამო, თორემ კურდღლის დაჭერას ათ წუთში მოვახერხებდი, რომ დაგიმტკიცო, მე ახლა ჩავალ ქვემოთ, შენ კი აქედან ადევნე თვალ-ყური. არ ვხუმრობ. ამის მერე, რატომ ვარჩიე ნადირობის ეს ხერხი, როცა ამოვალ მაშინ აგიხსნი.

ქვემოთ, რომ ჩავედი უახლოესი სორო მოვნახე და უმალ ჩანაწერი ჩავრთე, ეს იყო იმიტაცია მამალი რომ უხმობს დედალ კურდღელს. იქვე ჩავჯექი და დაველოდე. არ გასულა ორი წუთი, რომ სოროდან კურდღელმა ცმაცმურ-ცმაცმურით გამოყო ცხვირი. ლაზ-სხივით იქვე გავთიშე, ტომარაში ჩავსვი. კომპას-აპარატით საფრენი ლაინერი გამოვიძახე და ზედ ავედი.

-აი შენი ათი წუთი, მივუგე მომლოდინეს და ნადავლი მის ფეხებთან დავდე.

-აბა ამას შეხედე, ეს როგორ მოახერხე? -მეკითხება მომხდარით გაკვირვებული.

-ჯერ შენ მითხარი ყველაფერს უყურებდი?

-კი მაგრამ, უცნაურია, არ მესმის, თუ მოკლე დროში შეგეძლო მოგვარება ერთ საათს რატომ მოუნდი, ისიც ფათერაკებ-თან ერთად და თუ საფრენი აპარატის მართვა ქვემოდან შეგეძლო, თავი რატომ ჩავიგდეთ საფრთხეში?

-ძვირფასო, ადრეც გითხარი, აქ პროცესია საინტერესო და სასიამოვნო, თორემ გარეული კურდღლები ბაზარშიც შეგვეძლო გვეყიდა, ან ბოცვრები სუპერ-მარკეტში, რაც შეეხება მეორე მხარეს, ჩვენ შეგვიძლია ჩავსხდეთ ბუხრის წინ სავარძლებში და რასაც მოვისურვებთ, მივცეთ შეკვეთა ჩვენს კომპას-აპარატს და სურვილისამებრ, ადგილზევე მივიღებთ მზა პროდუქციის სახით. ამის შემდეგ შენ მითხარი რა მოჰყვება ფიზიკურ და გონებრივ ინერტულობას, გახსოვს ალბათ ძველი საუბარი, მიპასუხე.

-დისფუნქცია.

-მართალი ხარ, რადგან ხანგრძლივ უმოქმედობას შეუძლია მწყობრიდან გამოიყვანოს როგორც სახსარ-მამოძრავებელი, ასევე სხვა ორგანოთა სისტემები. ამიტომ მისი მსხვერპლი რომ არ გავხდეთ, მოძრაობითი ფუნქცია უნდა გავააქტიუროთ, დაბრკო-ლებების გადალახვა ძალასა და გამჭრიახობის შეძენაში დაგვეხმა-რება. პრობლემების დაძლევა და მოგვარება კი გამოცდილებას შეგვძენს.ასე რომ, რაღაცისთვის მაინც გავრჯილვართ, შენ მითხარი თავს როგორ გრძნობ?

-განცვიფრების შემდგომ სტადიაში ვარ.

-არაუშავს ცოტაოდენი სტრესიც სასარგებლოა.

-ვგრძნობ როგორ ვსარგებლობ ახალი წლის წინა დღეს.

-მითუმეტეს საამოდ დაგამახსოვრდება.

-ვის ველოდებით, რატომ არ მივდივართ, -შემომწუწუნა ლოდინით შეწუხებულმა.

-შენ გელოდები, რაიმე ხომ არ გაგვეყოლა თან?

-მაინც რა?

-მე შენ გეკითხები

-ხეებზე არაფერია დარჩენილი რომ რაღაც მოგვეკრიფა.

-რატომ? არის აბა დაფიქრდი.

-კარგია ოხუნჯობის ხასიათზე რომ ხარ.

-შენ რა დააშავე?

-არაფერი, არ იტყვი რის მოკრეფას აპირებ ამ შუაგულ ზამთარში?

-მაგალითად, წიწვების, ძალიან კარგი დამამშვიდებელი საშუალებაა. აავსებ თბილი წყლით ჯაკუზს, ჩაყრი შიგ წიწვებს და ჩაწვები. თორმეტი წუთი საკმარისია შენს დასამშვიდებლად.

-რა უცნაურობას არ მოიგონებ, სხვათა შორის მართალს ამბობ, მას ნამდვილად გააჩნია თერაპიული ეფექტი.

-ე.ი. ყოფილა რაღაც მოსაკრეფი, ისიც გაგანია ზამთარში.

-რა გაეწყობა, უნდა დაგეთანხმო.

-რაკი თანახმა ხარ, აგერ ნაძვნარი აქედან ჩანს, რამდენიმე ტოტი შევაჭრათ და წავიდეთ.

ასეც მოვიქეცი, სხვადასხვა ნაძვს საშუალო ზომის ტოტები ავაჭერი, ალაგ-ალაგ შერჩენილი გირჩები ჩამოვკრიფე და შინ დავბრუნდით.

ზერელედ წავისადილეთ და საქმეს შევუდექით.

-სანამ სამზადისს დავიწყებდეთ, -ვეუბნები თავსაფარ შეკრულ დიასახლისს. -ცოტა კანონზომიერების დაცვის გათვალისწინება მოგვიწევს.

გადმომხედა, რასაც ოდნავ შესამჩნევი ირონიული ღიმილი მოჰყვა.მიყურებდა და ფიქრობდა.ვთქვა თუ მას დაველოდოო. მეც

ჯიუტად ხმას არ ვიღებდი. საბოლოოდ თვითონ გადაწყვიტა ეთქვა, რისი უთქმელობაც არ ასვენებდა.

-მეღიმება, იმიტომ რომ ზოგჯერ ისეთ რამეს მეტყვი, ფორმულების ძებნას ვიწყებ ხოლმე მის ამოსაცნობად.

-მერე მითხარი და როგორც აბიტურიენტს მეც ისე გადმოგ-ცემ.

-უბრალოდ მინდოდა მეკითხა, რა ნორმის დაცვა იყო გასათვალისწინებელი.

-კეთილი, ჯერ შენ მითხარი, კერძის სარგებლიანურობა რაზეა დამოკიდებული.

-უდავოდ ინგრედიენტების შემცველობასა და დოზაზე.

-სწორია, კიდევ?

-პროფესიონალურ დონეზე, სხვა არ მაფიქრდება.

-თუ იკადრებ მოსმენას,გიკარნახებ.

-თქვი, მეც გავითვალისწინებ.

--არის თუ არა კერძის დამზადებისას მნიშვნელოვანი დიასახლისის განწყობა?

-მართალი გითხრა არ გამახსენდა, ცხადია რომ არის.

-მაშინ რაკი ასეა, განწყობა უნდა ავიმაღლოთ.

-როგორ?

-ჯერ შენ წადი, მიიღე წიწვოვანი აბაზანა, ჰიდრომასაჟით, მერე მე შეგეცვლები.

-კარგი წინადადებაა, ხომ ვამბობდი, რასაც ამბობ თითქმის ყოველთვის საჭიროსა და სარგებლიანს.

-სანამ შენ მოხვალ კურდღლები მზად იქნება შესაწვავად.

-მერე საცივის წვენში შემწვარი ჩავალაგოთ?

-არის ორი ობცია, როგორი იქნება ვერ გეტყვი.

-მითხარი იქნებ კარგია.

-ერთი ორთქლში გამოვხარშოთ და ისე ჩავალაგოთ, ან ორივე შევბრაწოთ და ცალკე შეკმაზული ნიგვზის წვენი გავუკეთოთ.

-არ არის ურიგო, არც ერთი და არც მეორე.

-დანარჩენზე როცა გამოხვალ მერე ვილაპარაკოთ.

მე დაწყებული საქმე გავაგრძელე, თან ნაცნობი სატელევიზიო არხიდან ახალ ამბებს ვისმენდი. წლის დასაწყისში უკვე უნდა დამეჯამებინა, დაგროვილი ინფორმაციების გამოყენებით პოზიტიური და ნეგატიური ფაქტები,რომ შემდგომ მიღებული ანალიზის მიხედვით მემოქმედა.ერთი შეხედვით,დღემდე მათ შორის თანაფარდობა,რომ შემცირდა ცხადი იყო. თუ მონაცემები მსგავსი ინდექსით გაგვიგრძელდა,მომავალ წელს უსათუოდ კარგი მაჩვენებლებით შევხვდებით.

ახალი ამბების ციკლიდან, საახალწლო გასართობ გადაცემაზე გადავედი ერთი ნანადირევის გამზადებიდან მეორეზე. ვჩქარობდი მის გამოსვლამდე მეორეც უნდა დამემთავრებინა, თუმცა ამაოდ, დასრულებამდე მაინც მომისწრო.

-გაამოს, როგორ გეამა მწვანე აბაზანა. -ვეკითხები ნააბანავებით კმაყოფილს.

-შესანიშნავად, ახლად დავიბადე.ნამდვილად შენი დამსახურებაა. ახლა შენ გადი და განახლდი.

-ამას მოვრჩები და გავალ. შენ კი ორივეს ნიორწყალი გადაუსვი და გააჩერე ჩემს მოსვლამდე.მე კი ერთს თორნეში ჩავკიდებ,მეორეს კეცებს შორის ავაშიშინებ, ნაწილს ორთქლში გამოვხარშავ.

-საკმარისია ,წადი ნუღა აგვიანებ.

-აგერ,უკვე დავასრულე, აბა შენ იცი წავედი.

აბაზანაში, რომ შევედი მაშინ ვიგრძენი თურმე დაღლილი ვყოფილვარ. წიწვოვანი ეთერზეთებით გაჯერებულ თბილი წყლის სიღრმეში ჩავეშვი და გავიყუჩე. ათი წუთის შემდეგ ჰიდრომასაჟის მექანიზმი ავამუშავე და ვიყავი ნეტარ გატრუნული წყლის თამთამის ქვეშ.

განსაზღვრული დრო მალე ამომეწურა, რაღას ვიზამდი, სველი სხეული აჩქარებით შევიმშრალე. საღამოს ხალათი მოვიცვი და დიასახლისს ვეახელი.

-ძვირფასო, ხომ არ მოიწყინე? -შევეხმიანე შესვლისთავე.

-უშენოდ ცხადია მოვიწყენდი.

-აგერ მე და ჩემი პერსონაც. -მივუახლოვდი,მხარზე ხელი მოვხვიე და ჩემსკენ მოვიზიდე.

-რა არის აბაზანამ გაგიღვიძა ეროტიკული გრძნობები?

-სხვა დროს, რა დაწყნარებულია?

-ხელები მაქვს სველი,მადროვე რომ შევიმშრალო.

-სანამ მისაღებში გავალთ ჩემს ხალათზე შეგიმშრალებ.

-რა ხდება?

-უბრალოდ შენთან მინდოდა განმარტოება. არ გრძნობ რამ-დენჯერ მიწევს ხოლმე შენი შეყვარება, აქვე ჩამოვჯდეთ დივანზე, რომ მოგეხვიო და გულზე მაგრად მიგიკრა. აი ასე.

-შენ საყვარელ ნამცხვარს ვაცხობდი-ნაზად ჩამჩურჩულა და ყურის ბიბილო კბილებს შორის მოიქცია.

-გშია არა ძვირფასო.

-კი არ მშია,კბილებით გეფერები.

-მაშინ მეც კბილებით მოგეფერები. აბა მაჩვენე ენა.

-არა შენ მართლა გამიმეტებ, მერე ვერაფერს გავაკეთებ.

-აბა როდის ერთხელ მოგექეცი უხეშად. კარგი მაშინ ამბორით შევცვლი. -ვთქვი და მის პირმზიან ბაგეებს მივეახლე.

კვლავ მოუწევდა ნეტარებად გადაქცეულ წუთებს, ნებოვანი გაგრძელება,რომ არა შუა გზაში მიტოვებული სამზადისი.

-რა ვქნათ ვიყოთ ასე ცელქობაში თუ განვაგრძოთ წამოწ-ყებული საქმე.

-უნდა განვაახლოთ, რაც მთავარია კარგ ხასიათზე ვართ.

-შენც ასე არ გსურდა? რომ კარგ განწყობაზე გაგვეკეთებინა საჭამანდი-ბოლო სიტყვას იმერული კილო მიაყოლა.

-მერე ავდგეთ და მივყვეთ, სიზარმაცით არაფერი შექმნილა. მე შეშას მოგიმზადებ, მერე კი შემოგიერთდები.

-გარეთ გასვლას ხომ არ აპირებ-შეცბუნდა ჩემი დიასახლისი.

-არა, საწყობში მაქვს მომარაგებული. გავალ გამოვიტან და საშეშეში ჩავაწყობ.აბა ჰე, ორ საათში ყველაფერი მზად უნდა გვქონდეს.

მე ჩემს საქმეს მალე მოვრჩი და სამზარეულოს დავუბ-რუნდი.

-დედოფალას დახმარება თუ სურს არ მოერიდოს.

-როგორ არ მინდა, ხორცია გასატარებელი და ასევე საკაზმები.

-მიღებულია დავალება.სხვათა შორის ფორმიდან რომ არ გამოხვიდე, ანუ კარგი განწყობა რომ შეინარჩუნო რაა საჭირო.

მდგომარეობიდან არ გამოსვლა.

-სწორია,მაგრამ მდგომარეობიდან რომ არ გამოხვიდე ამისთვის რა უნდა ვიღონოთ?

-უნდა გაიღიმო მაშინაც კი,როცა არ გეღიმება და განწყობაც დაგიბრუნდება.

-კიიდევ ძვიირფასო. -გავუგრძელე სიტყვებთან ერთად შეკითხვებიც.

-დანარჩენი შენ დაამატე.

-კეთილი რაკი ასეა მისმინე.არსებობს ღვთიური სითხე, რომელიც სასწაულებს ახდენს, მისი რამოდენიმე ყლუპი და შედეგი სახეზეა.

-შორეულ აღმოსავლეთში ხომ არ იზრდება,მას ჩინელები ღმერთის საჩუქარს უწოდებენ.

-მივხვდი რაც გაქვს მხედველობაში, მას კიდევ ღვთიურ ფესვებს და ბუნების სასწაულსაც უძახიან, მისი აღმატებულება ჟენ-შენი.

-მიმიხვდი, ეგ არის რასაც შენ ფიქრობ?

-არა,ესეც სამკურნალო საშუალებაა, რომელსაც ხშირად ვსვამთ ხოლმე დოზებით.

-გასაგებია, წითელ ღვინოს გულისხმობ არა?

-რასაკვირველია, ამ საუცხოო სასმელით ძალგვძიმს გუნება-განწყობის შენარჩუნება დროდადრო მოვსვათ ხოლმე. თორმეტ საათამდე საკმაო დროა დარჩენილი. პირველ სადღეგრძელოს მე ვიტყვი.

ფიალები შევავსე, ლუკმა გავტეხეთ და მოლხენაც ავანსაც დავიწყეთ. პარალელურად საახალწლო თავ-კერძების დამზადე-ბით ვიყავით გართულნი. ფხალეულთა შეკაზმა, რომ დავასრუ-ლეთ, აფხაზურისა და კუპატის შეწვას შევუდექით.

ჩვენს მენიუს,რომ გადავხედე 7-8 სულს თავისუფლად შეეძლო ექეიფა.

-ჰე, თან საქმე,შენი ჯერია, -შევახსენე და მაშინვე ნახევრად ღვინით სავსე ფიალა გავუწოდე. აბა რას შემომთავაზებ.

-შენ სიურპრიზების მოყვარული ხარ, ხანდახან მეც ვფიქრობ ხოლმე, რომ გაგაოცო, მაგრამ ვერ შეგედრები, შენი ფანტაზიური შესაძლებლობა უსაზღვროა. მე მსურს ერთი სადღეგრძელო გისახსოვრო.

-საინტერესოა რა მოიფიქრე ასე სწრაფად.

-რატომ მაწყვეტინებ.

-ოჰ,უკაცრავად.

-მე მინდა შენი იდეისა და მიზნის სადღეგრძელო წარმოვთქვა. იმ მიზნისა რომლის მრწამსია მომავალი თაობის, სრულიად ხალას გარემოში აღზრდა. აღვნიშნო მინდა შენი ექსპერიმენტის პირველი ნაწილი,მხედველობაში მაქვს გარემო, სადაც ჩვენ ვიმყოფებით სადაც ვამზადებთ საკუთარ თავს, რომ ჯანსაღი შვილები, ჯანსაღ გარემოს მოვავლინოთ. ანალოგიურად ბავშვებიც შემდგომ ამ ტრადიციას გააგრძელებენ, მისი შვილებიც და ასე წარმატებულად შეიქმნება ძლიერ შთამომავალთა შტოები.ეს იქნება ახალი, ასე ვთქვათ ეკოლოგიური ფორმაცია. ასევე მსურს დავლოცო ექსპერიმენტის მეორე ნაწილიც, პირველიდან გამომდინარე, რომლის აზრი, ზოგადსაკოცობრიო პრობლემების მოგვარებაა, ახლად შემუშავებული ორიგინალური მეთოდის წყალობით. აქვე დაგილოცავ მათ, ვინც ხელს შეუწყობს შენს წამოწყებულ ინიციატივას, იმრავალჟამიერე მრავალ ახალ წელს.

-ყოჩაღ ძვირფასო, შესანიშნავი სადღეგრძელო იყო, ნიჭიერი რომ ხარ ეს ვიცი, მაგრამ ნიჭიერზე ნიჭიერი თუ იყავი ეგ არ ვიცოდი.

-ნუ მაქებ ხოლმე გადამეტებით.

-რასაც ვხედავ და ვისმენ იმასვე გეუბნები.

სამადლობელს როდის იტყვი.

-უახლოეს მომავალში.

-უახლოესი შეიძლება იყოს ერთი წუთი და ერთი საათი.

-აი, უკვე ვიწყებ გმადლობ ძვირფასო, განა მარტო იმის-თვის,რომ მე და ჩემი მიზან-გეგმა დალოცე,იმისთვისაც,რომ შენ ჩემი დაიჯერე,უფრო მეტიც, დაიჯერე და მხარი დაუჭირე იმ მიმდინარობას,სადაც ცნობიერმა უნდა განსაზღვროს ყოფიერი. მიუხედვად, რთული მიმართულებისა, შენ ეს არ გაშინებს. რადგან დაინახე ამ სისტემის ცხადად შემსრულებელი. და კიდევ, უკვე ნათელია, რომ მეუღლეობის გაწევა ამ საქმესთან ერთად ჭეშმარიტად შეგძლებია. მადლიერი ვარ შენი, ბედად რომ მომევლინე. მრავალ ახალ წელს დაესწარი ჩემთან ერთად. ჩვენი გამარჯვების იყოს,ჩვენი მრავალჟამიერის.

-ამინ.

-მისასალმებელი ჰანგები სად არიან?

-არის ტუშიც.თქვა და მომზადებულ ფირს ხმა აუწია.

ფიალიდან წითელი ღვინო მოვსვი და საახალწლო კერძე-ბის დამზადების ცერემონიალი გავაგრძელეთ.

-ერთი ცალი ცომის გუნდის შენახვა არ დაგავიწყდეს.

-რატომ?

-ერთი ხაჭაპური კეცზე გამოვაცხოთ,მჭადები თავისთავად, გავალ და სამაგისოდ კერიას მოვამზადებ.

-წადი ოღონდ არ დაიკარგო.

საწყობიდან წინასწარ გამოტანილი შეშა ბუხარში ჩავაწყვე, ცეცხლი წავუკიდე, თავსა და გვერდებზე კეცები მივუწყვე და სამზარეულოში შეუმჩნევლად შევედი. საქმეში გართულს თვალებზე ხელის გულები ავაფარე და უცხო ხმით შევძახე.

-რომელი ვარ?

ჩემი თქმა და მისი შეკრთობა ერთი იყო. შემომიბრუნდა.

-აბა შენს მეტი ვინ იქნებოდა.ცოტაც კი დამაფიქრე.

-შელოცვა ხომ არ გინდა.

-არ შემშინებია. -გამცა თავშეკავებული პასუხი, თუმცა გაბზარულ ხმას მაინც ეტყობოდა შიშნარევი ემოცია-სრულიად მშვიდად ვარ, ცეცხლის საქმე როგორ არის.

-ხუთ წუთში მზად იქნება, მანამდე რაც იქ დასამზადებელი გვაქვს ცოტ-ცოტა გავიტანოთ, ჯერ სამწვადეების აცმას დავიწყებ, შენ რას აკეთებ?

-მე სახაჭაპურე ცომში ყველს ჩავდებ და გახურებულ კეცზე დავაჯენ,მერე კი მჭადებს.

ჩვენს საქმეს მალე მოვრჩით. ცეცხლთან დავბრუნდით, ყველაფერი მოვისამაგისეთ და საახალწლო სუფრის გაშლას შევუდექით, რაც კი გამზადებული გვქონდა, ყველა სახის კერძს მაგიდაზე შესაფერის ადგილზე ვალაგებდით.

დოქში ღვინოს ვასხამდი, რომ უეცრად მისაღებში ძლიერმა შუქმა შემოანათა.

-ელვაა, თუ რა არის,-ისე ხმამაღლა წამოიძახა ლამის ხელიდან სინი გაუვარდა.

-არ შეგეშინდეს, ეს ჩვენი მეგობრების სტუმრობის ნიშანია.ისინი სადაცაა აქ გაჩნდებიან. კარგად მოვიფიქრეთ სუფრის გაწყობა, რომ დროულად მოვახერხეთ.

ნახევარი წუთიც არ გასულა, რომ მეგობრებმა ნაცნობი პლანეტიდან ზღურბლს გადმოაბიჯეს, სალამი გვითხრეს და შეჩერდნენ. უმალ შემოვიპატიჟე და ვთხოვე პირდაპირ საახალწ-ლოდ გაწყობილ სუფრასთან დამსხდარიყვნენ.

მოვიკითხეთ ერთმანეთი. პირადულიდან საპლანეტაშორი-სო საკითხების მიმოხილვაზე გადავედით. შემდეგ დამდეგი ახალი წლის დადგომა მოგვილოცეს და საახალწლო ამანათი გადმოგვცეს.ჩვენი მხრივ, სანამ საჩუქარს გადავცემდით,ნაირ-ნაირად შეკაზმული კერძები შევთავაზეთ. იმის გამო, რომ სტუმრები ალკოჰოლსა და ხორცეულობას არ მიირთმევდნენ, ძირითადად: სალათის, ბოსტნეულისა და ხილის სხვადასხვა ასორტიმენტს ვთავაზობდით.

რაკიღა მეგობრები იმთავითვე ჩვენი ტრადიციის ირგვლივ მეტ-ნაკლებად ცოდნას ფლობდნენ, გადავწყვიტე სუფრა ადათ-წესების მიხედვით გამეგრძელებინა,ვიგრძენი მათი მხარდაჭერა, ინტერესი. მოხარულიც კი გახდნენ, ჩვენთან ერთად ედღესას-

წაულად ახალი წლის დადგომა, მეც წეს-ჩვეულებებისამებრ განვაგრძე სუფრის წინამძღოლობა.

ჩვენი სტუმრები ყურადღებით ისმენდნენ, უფრო სწორად აღიქვამდნენ ჩემს მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებს,რაც მეტი ინტერესი გამოხატეს, ჩვენი ნაციონალური რიტუალის მიმართ, მით მეტად გავზარდე მისი მოცულობა. თავდაპირველად დავლოცე დიდი ოჯახი, ჩვენი მზის სისტემა. შემდეგ ამ სისტემის წევრები, ცალკე მათი ცივილიზაცია და ორ ცივილიზებულ პლანეტათაშორის თანამეგობრობა.

ახალი წლის შემოსვლა ფეხზე მდგომმა წარმოვთქვი,რაღა თქმა უნდა მრავალჟამიერის თანხლებით.სიმღერის დასასრულს სათითაოდ მოგვილოცეს ახალი წელის მშვიდობიანი დადგომა და გვისურვეს ექსპერიმენტის წარმატებით დაბოლოება, თანვე აღგვითქვეს თანადგომა. აზრის გამოთქმა, რომ დაამთავრეს, მისასალმებელ ჰანგებად, კოსმოსში გაგზავნილი ჩაკრულო მოვასმენინეთ. მელოდია მოსმენილი ჰქონდათ, მაგრამ, მაინც აღტაცებით მოისმინეს.მეც სიმღერის კმაყოფილების ფონზე ჩემი სტუმრები პერსონალურად დავლოცე. დალოცვა რომ დავამთავრე, ვთხოვე საპლანეტაშორისო ინტერნაციონალის ერთობლივი შესრულება. თანხმობის ნიშნად გაიღიმეს, აღარ დამიყოვნებია, დაბალი ტონალობიდან ვცდილობდი კოსმიური ხმოვანება ო-ო-ო-მ-მ-მ-ის მომღერებას რომ მათგან წამოსულ ბიოენერგეტიკულ აქტივობასთან შემეთანაწყობილებინა.თავადაც ცდილობდნენ შინაგანი ვიბრირება ენერგეტიკულად აეწყოთ ჩვენი ბგერების სიხშირესთან. მათ ეს არ გასჭირვებიათ, სულ მალე თანაენერგოვიბრაციულმა მელოდიამ საახალწლო განწყობა უფრო აგვიმაღლა. პარალელურად ეკრანზე ავსახავდი ჩვენი გალაქტიკის რეგიონებს, განსაკუთრებით მათ პლანეტასა და დედამიწას.

მათთვის კოსმოსი უცხო არ იყო, მაგრამ სუფრის ფონზე შესანიშნავად გაერთნენ. კმაყოფილების იერი აშკარად ეტყობოდათ.

ამის შემდეგ ჩვენი სტუმრები, დიდხანს აღარ გაჩერებულან. გულთბილი გამასპინძლებისთვის მადლიერება გამოხატეს და

წასასვლელად ფეხზე წამოდგნენ.ჩვენც მადლობა გადავუხადეთ საახალწლო სტუმრობისთვის.წინასწარ შემზადებული საჩუქარი გადავეცით და გზა დავულოცეთ.

-რა კარგად მოიფიქრეს, რომ ახალი წელი მოგვილოცეს,- მეუბნება მათი სტუმრობით გახარებული მეუღლე.

-ნამდვილად ძვირფასო, ეს წელი ჩვენთვის უბედნიერესი იქნება.

-ძალიან კარგი.როგორი სპეტაკი შეხედულება და გამოხედვა გააჩნიათ, არა?

-კი. მათი აქტიური ბიოველის გამო გულის სითბოსაც ვგრძნობდი და სინათლესაც.

-მართალს ამბობ. ასეთი რადიუსით მოქმედი ბიოველი ჩვენთან,ცხადია არ არის.

-ჩვენთან მისი გამოსხივების განფენილობა სხეულის ირგვლივ ჩვეულებრივი ორმოცდაათი სანტიმეტრია, მაგრამ არის იშვიათობაც, ორი და ორზე მეტიც.

-ალბათ ჩვენ მათ სიახლოვისას იმ დონის დამუხტვა მივიღეთ,რომ თუ რაიმე ხენჯი გვექნებოდა სხეულსა და ბიოველში ყველას გააქარწყლებდა.

-მართალი ხარ,რაც უფრო ძლიერია ველი მით მეტი სამკურნალო ძალის მქონეა.ნაყოფზეც დადებითად მოქმედებს.

-მაშ, ჩემი ნაყოფი ენერგო საკვებს კარგად მიიღებდა.

-მან კი მიიღო, მაგრამ ჩვენ, ფაქტიურად არაფერი მიგვიღია. მოკრძალებულად მიირთმევდნენ სტუმრები და მოკრძალებულად მივირთმევდით ჩვენც.

-მერე, რატომ წუხხარ, გავაფიცხოთ და მივირთვათ.

-კი, გაფიცხებული დამატებით არომატს ღებულობს. მაშინ შევუდგეთ საქმეს, მერე კი ევროაზიის ქვეყნებს ვეწვიოთ, ვნახოთ როგორ ზეიმობენ თუ რომელიმე მოგვეწონა ჩვენც შევუერთდეთ.

ნაგუზალი შეშა გავაღვივე, ზედ კეცები შევაწყვე და რაც შესაცხელებლად გვსურდა,ნაწილ-ნაწილ დავალაგეთ.

სანამ ფხალეულობას მივირთმევდით, ისინი უკვე შესაქცევად მზად იყვნენ.კარგად რომ დავნაყრდით, წასასვლელად მზადება დავიწყეთ.

-მაგიდა ავალაგოთ, ასე ხომ არ დავტოვებთ.

-რა, კატა და თაგვი აცოცდება თუ ტყის რომელიმე ბინადარი. ყოველ შემთხვევისთვის ელექტრო მოწყობილებას ჩავრთავ და მის სიახლოვეს პატარა მწერიც კი ვერ ჩაიფრენს.

-მაშინ ავიღოთ შოკოლადები და წავიდეთ.

გარეთ გასულებმა კურსი ევროპისკენ ავიღეთ. თითოეული ქვეყნის დედაქალაქში გვიხდებოდა შესვლა, მათ მთავარ გამზირსა და ლამაზად გაფორმებულ ცენტრალურ მოედნებს ვათვალიერებდით. ისეთი მიმზიდველი გარემოს შერჩევა გვინდოდა, ჩვენებურად რომ მოგველხინა, ჯერჯერობით მოსაწონ სალხინებელს ვერ მივაკვლიეთ, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით ვარჩიეთ გასვლა. იქ ერთ-ერთ ქალაქში მასკარადი შევნიშნეთ, ზემოდან მიმზიდველად ჩანდა. აღარ დაგვიყოვნებია ჩამოვქვეითდით, ნიღბები მოვირგეთ და ცეკვა-ცეკვით შევუერთდით მათ ჟრიამულს. იყო მრავალფეროვნება. ჩვენს სიმპათიას კომიკოსი პერსონაჟები იმსახურებდა. მათთვის სპეციალურად დამზადებულ სცენაზე,ისეთ შესანიშნავ ნომრებს ასრულებდნენ, რომ სიცილი ხარხარში გადაგვეზარდა. ყველა მხიარულობდა, ამიტომ იყო ირგვლივ ატმოსფერო სასიამოვნო ტონებით გაჯერებული, ჩვენც გადავწყვიტეთ ზეიმი მანამდე გაგვეგრძელებინა, სანამ დაღლას არ ვიგრძნობდით. სცენიდან კულტურის სახლის ფასადზე დამაგრებულ უზარმაზარ ეკრანთან გადავინაცვლეთ, სადაც დიდი საკონცერტო დარბაზიდან, საახალწლო შოუს აჩვენებდნენ.

ორი სახუმარო წარმოდგენისა და მცირე საესტრადო პიესის მოსმენა, რომ დავამთავრეთ, მეუღლეს დაღლა შევატყვე. თითქმის ჩემს მხარს იყო ჩამოკიდებული.

-ჩამოვჯდეთ სადმე, თუ დავბრუნდეთ შინ.

-ჯერ ვიყოთ სანამ გავძლებთ.

-მაშინ აგერ იქ წავიდეთ, -მივუთითე სადაც ცხელი სასმელების ფარდული შევნიშნე. -მაგარი ჩაი დავლიოთ შოკოლადთან ერთად.

-კარგი აზრია. ცოტას კიდეც შევთბებით.

ჩაიმ და შოკოლადმა მეორე სუნთქვა გაგვიხსნა, მოსულიერებულები ისევ საახალწლო მარათონს შევუერთდით.

-მოუსმინე? -ვეკითხები ხასიათზე მოსულ მეუღლეს,- წამყვანმა, რომ სცენაზე კონკურსი გამოაცხადა, ვინ უკეთ გაამხიარულებს მოწვეულ სტუმრებს.

-მერე ვინ იმღერებს.

-მე, ერთ საკომედიო ჟანრს როგორმე მოვახერხებ.

-შენი საესტრადო სიმღერა არასდროს მომისმენია, ან როგორ უნდა იმღერო.

-ჩავეწერები, მეც მოვსინჯავ. -მივუგე ეჭვისთვალით შემყურე მეუღლეს.

ჟიურის წინაშე გამოვცხადდი. ჩემი პირადი მონაცემები ჩავაწერინე და უკან დავბრუნდი.

ოთხი მონაწილის გამოსვლის შემდეგ, ჩემი გვარი და სახელი გამოაცხადეს.

-აგერ გამოგაცხადეს. აბა შენ იცი, წარმატებას გისურვებ.

-გმადლობ ჩემო ქომაგო.

წითელი თალფაქი თავზე მოვირგე და სცენაზე ავედი. გიტარა მოვიმარჯვე, მსმენელებს მივესალმე და სანამ დავიწყებდი, შესავალში ისეთი საახალწლო იუმორი მოვყევი, ზოგი სიცილისგან ცხენივით ხვიხვინებდა, ზოგს მუცელზე ეჭირა ხელი და მთელი ძალით ხარხარებდა. შემდეგ ლექსად გადაკეთებული იუმორი, რომელიც სასიმღეროდ მქონდა ჩასმული რითმებში, ავასიმღერე. ყოველი მომდევნო სტრიქონის ბოლოს ვცვლიდი მუსიკალური გამის ბგერათა ჰარმონიულ შეთანხმებას და ყოველ მისამღერისას ხმების ტონალობას.მესამე მისამღერის ბოლოს კი ბარიტონიდან ტენორზე გადავედი.დასასრულს დოლის დაკვრის,რიტმული იმიტაცია ჩავრთე ვირტუოზულ ფორმატში. ჩემი გამოსვლაც ამ

მუსიკალური ნოტაციით დავასრულე. დამთავრება და ოვაციების აფეთქება ერთი იყო.

სცენიდან აღარ მიშვებდნენ. მესმოდა, ბის, ბის, ვცადე სცენიდან ჩამოსვლა, მაგრამ ამაოდ, საღამოს წამყვანი თხოვნით მომიახლოვდა, ყველას მაგივრად მთხოვდა, რომ კიდევ ერთხელ მემღერა. სხვა გზა აღარ მქონდა, მოვკიდე გიტარას ხელი და ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სიმღერა ავაჟღერე, არა ნაკლები პირველზე.

აღფრთოვანებას, ყიჟინით და მქუხარე ტაშით გამოხატავდნენ. ეფექტისთვის ბოლო აკორდები, ჩქარ ტემბრში, კვლავ დოლის იმიტაციასთან თანშეწყობით დავასრულე. დაბოლოება არ მაცალეს, აღტაცების შეძახილები, რომ ააქუხეს. ბრავისიმო, ბრავისიმო...

უღრმესი მადლობა გადავუხადე საზოგადოებას და სცენიდან მეორე მხრიდან ვარჩიე ჩამოსვლა. მაშინვე მეუღლის ძებნა დავიწყე. დიდხანს არ მიძებნია. მალე მოვნახე, უფრო სწორად მან მომაგნო, დამინახა,მეორე ჩასასვლელით რომ ვისარგებლე და ისიც ჩემსკენ გამოემართა. კი არ მოდიოდა, ხალხის მასას მოარღვევდა როგორც ყინულმჭრელი, რომ მომიახლოვდა კისერზე შემომეხვია და დამაბზრიალა.

-თუ ამ დონის ვოკალური მონაცემები გქონდა, რატომ აქამდე არ მეუბნებოდი.

-საქმემ და დრომ უნდა გამოგაჩინოს, ჩემო დედოფალავ.

-ეს ხალხი კი გააგიჟე შენი ვირტუოზული გამოსვლით.

-დავლიოთ რაიმე, თორემ გაშრა პირი.

დავშორდით ხალხს და უახლოეს ბარში შევედით, რომელიც ჯერ კიდევ სამუშაო საათებს აგრძელებდა. იღბალზე ეს ესაა, შემინულ კედელთან ორადგილიანი მაგიდა გათავისუფლდა. დავსხედით. ციტრუსების შერეული წვენი და მინერალური წყალი შევუკვეთეთ. სხვა ჯერ არაფერი გვინდოდა.

-ჩვენ თუ ამ ღონისძიების დამთავრებას დაველოდებით თავზეც დაგვათენდება.

-შენ თუ გსურს წავიდეთ და დავისვენოთ.

-გამარჯვებული და პრიზიც, რომ მაინტერესებს?

-დავტოვოთ ჩვენი მინი-ტელემექანიკა და ხვალ ვნახოთ ჩანაწერი.

-თუ კონკურში შენ გაიმარჯვებ, მაშინ რა მოხდება? -მკითხა ნახევრად გაბუტული ტონით.

-ტიტული მე დამრჩება, ხოლო პრიზი მათ.

-მე ეგრე არ მაწყობს.

-მაშ, როგორ.

-ცერემონიალი მაინტერესებს, როგორი იქნება ორიგინალში.

-კეთილი, დაველოდოთ მხოლოდ ერთი საათი. -დავეთანხმე მეუღლის გადაწყვეტილებას.

-მე ვფიქრობ უფრო მალე დასრულდება.

-ჯერჯერობით ბარში დავრჩეთ, დრო საკმარისი გვაქვს.

ბარიდან ნახევარი საათის შემდეგ გავედით და საზეიმოდ განწყობილ ხალხს შევუერთდით. კონკურსიც სწრაფად დასრულდა, თანვე გაისმის წამყვანის მხიარული ხმაც.

-ჟიური აჯამებს შედეგებს,თქვენ აგერ-აგერ სრულიად მალე იხილავთ ლაურიატს,საგანგებო პრიზთან ერთად.

-არ წავიწიოთ ჩვენც წინ? -მეკითხება მოლოდინით გაბრუებული მეუღლე.ხომ ხედავ ყველა ცენტრისკენ მიისწრაფვის.

-ისინი ზემდეტად ცნობისმოყვარეები არიან. მე აქედანაც კარგად ვისმენ.

-ვთქვათ უეცრად გამოგაცხადეს.

-მეც უეცრად გავჭრი აზვირთებული ხალხის ტალღას და სცენაზე ავვარდები.

-რატომ ჯიუტობ. -მომცა შენიშვნა და სცენის წინ შეკრებილებს გადახედა.

-რას ამბობ, ეს არ არის ჯიუტობა. ახლა მე ამ გადაჭედილ მოედანზე გზას არავინ დამითბობს, თუ მოხდა და გამომაცხადეს, მაშინ იგივე ხალხი თავისუფლად გამატარებს.

-აი თურმე რას ფიქრობდი. კარგი ეგრე იყოს. უსმენ? ჯერ მესამე ადგილი გამოაცხადეს. შენ წინ, რომ იმღერა ის გოგონაა, მეორე ადგილზე ქალბატონი გასულა. გამარჯვებულის გამოცხადების დროც დგება.

წამყვანმა სცენის წინ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, შეჩერდა და საზოგადოებას გადმოხედა. შორიდან ისე ჩანდა თითქოს მათ ეუბნებოდა:

-სად არის ჭაბუკი მზიურ საქართველოდან, რომ მივულოცოთ მას, კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური.

გამოცხადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მეუღლემ ისე იყვირა, მთელ მოედანს გასწვდა მისი ხმა. სიხარულით გაშმაგებული ორივე ხელს მაღლა სწევდა და ხმამაღლა გასძახოდა.

-არის! აქ არის, აქ.

ხელი მაგრად ჩამჭიდა და ორად გაყოფილ ხალხის მასის შუა მიმარბენინებდა. მეორე ხელს წამყვანს უქნევდა. მივრბოდით ყიჟინ-ჟივილში. ირგვლივ კვლავ გაისმოდა შემახილები: ბრავო, ბრავისიმო.

როგორც იქნა მივუახლოვდი, ზედ სცენაზე ჟიურის წევრები შემეგებნენ. სათითაოდ მომილოცეს წარმატება და სცენის წინ დამაყენეს.

ოვაციები რომ ჩაცხრა, ჟიურის თავჯდომარემ კონკურსის ყველა მონაწილეს მონაწილეობის მიღებისთვის მადლობა გადაუხადა. განსაკუთრებული მადლობები საპრიზო ადგილებმა მივიღეთ, ჯერ მან მეორე და მესამე ადგილებს გადასცა საპრიზო ფონდიდან გამოყოფილი პრიზები, მერე მე გადმომცა ორიგინალი პრიზი, საახალწლო კალათა ტკბილეულით,შიგ ფეშენებელური შენობის, მეორე სართულის ოთხოთახიანი ბინის გასაღებით.

ცერემონიალის მიწურულს კარნავალის მონაწილეებმა, მოულოდნელად ერთხმად შემომძახეს:

-სიმღერით დაგვემშვიდობეთ, სიმღერით.

მათ მოთხოვნას ჟიურის წევრებმაც დაუჭირეს მხარი.

-რადგან თხოვნაა, -მივმართავთ ხალხს, -სამადლობელ სიტყვას სიმღერით გამოვხატავ.

სანამ სიმებით მუსიკალურ ბგერებს ჰარმონიაში მოვიყვანდი, მანამდე ხალხური სიმღერის ფრაგმენტი „მადლობელი ვარ“ პირდაპირ ტენორით დავიწყე, მერე მის ხალხურობას გიტარის სიმები მივაშველე და სხვადასხვა სიმაღლის რამოდენიმე ბგერას

საიმპროვიზაციო რიტმი შევუხამე, მერე კი უსიმღეროდ, თანდა-თან საესტრადოდ განვაწყვე. რეგტაიმის მუსიკალური ჟანრის ფორმატით და როკენროლის ხმაურიანი მუსიკის ფრაგმენტის ჩანაცვლებით, დასკვნითი ნაწილი სიმებისა და დოლის თანშეწყობითი დუეტით დავასრულე. წარმატებული ახალი წელი ვუსურვე და აპლოდისმენტების ქუხილში სცენიდან ჩამოვედი.

კიბეებზე ჩამოსვლა, რომ დავამთავრე, ვიღაც უკნიდან მომეპარა და ზურგზე შემომახტა. ვინ იქნებოდა თუ არა ჩემი ძვირფასი მეუღლე, თურმე სცენის გვერდზე ყოფილა ჩასაფრებული, ჩემს ჩამოსვალს ელოდებოდა, რომ მომპარვოდა და როგორმე შევეშინებინე.

-ხომ არ შეშინდა ჩემი ესტრადის ვარსკვლავი?- ჩამომძახა ზემოდან.

-კინაღამ გული გადამიქანდა. მანდ როგორ გრძნობ თავს. ფეხით სიარულს სჯობია არა? - ავძახე ქვემოდან.

-როგორც გამთიშე მოულოდნელობით ისე მისაწყლე.

-მაშინ ეს კალათა გამომართვი, რომ თავისუფლად აჩუს როლიც შევითავსო.

-დაიცადე ჩამოვიდე მთლად ეგრე არ არის.

-რას ამბობ შენი ზიდვა დიდად მოსაწონია. თუ ასე დაღლილი ხარ, ცოტას კიდევ გაგატარებ.

-აღარ მინდა, უკვე დავისვენე, მითხარი ავტოგრაფი რამდენი გაეცი, აგერ ორიც მოგიახლოვდა.

-არ ვიცი, ალბათ მთელი წლის საკმარისი.

-რა არის მასაც ჩაბასტურმება სჭირდება, ბრჭყალებში.- თქვა და ორ-ორი თითით იმიტაცია მაჩვენა.

-ჰო- ჩამეცინა მის უცნაურ იუმორზე- შემთხვევიდან შემთხვევამდე შენ თუ იცი,-გადავუხვიე სასაუბრო თემას- მამალი სადაცაა რომ იყივლებს.

-ვიცი.

-თუკი იცი, მაშინ დროა ჩვენი დაბრუნების. მოვნახოთ ისეთი ადგილი, რომელიც ლაინერის გამოსაძახებლად წაგვადგება.

გავცილდით ხალხით სავსე მოედანს და გამზირს ჩავუყევით. სულ მოკლე დროში ისეთი ჩიხი მოვნახე, სადაც გარშემო არავინ ჩანდა, სასწრაფოდ გამოვიძახეთ ჩვენი საფრენი აპარატი და ორ წუთში შინ ვიყავით...

შესანიშნავად გვეძინა. ცოტა გვიან გავიღვიძეთ, თუმცა არაუშავს, ახალი წლის დღეს ესეც უხდება, სამახსოვროდ.

-აბა ჩემო დედოფალავ რა მივირთვათ გვიან საუზმედ?

-რასაც მოისურვებს ესტრადის ვარსკვლავი.

-სადამდე გინდა რომ მიძახო ეს მეტსახელი?

-სანამ არ მომწყინდება, შენ რომ მიძახი შერქმეულ სახელს, მე ვამბობ რამეს?

-კარგი, როგორც გესიამოვნება.

-ახლა ის თქვი პრიზი როდის დავათვალიეროთ?

-მომავალ კვირას.

-რატომ ასე შორს?

-აღარ გახსოვს, კვირაში ერთჯერადად, გამონაკლისის გარ-და, ქალაქში გასვლა რომ დავაწესეთ. ამ დღეებში განვიწმინდოთ მერე კი დავგეგმოთ სავიზიტო დრო.

-გასაგებია, იცი რა მაინტერესებს?

-გისმენ.

-ერთხელ მაინც რომ წამოგცდენოდა ამ დონეზე ახერხებდი საესტრადო სიმღერის შესრულებას, იმ ხნის განმავლობაში, აღარც მე დავიძაბებოდი.

-პირიქით.

-ვითომ რატომ.

-უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობდი და განცდაც შესაბამისად უფრო მეტი გექნებოდა.

-შეიძლება, ისე, რაც მოვისმინე, ყველა ძალიან მომეწონა. შენს ეშხიან სიმღერებზე, იქ დამსწრეებმა როგორი ყიჟინა დასცხეს.

-რეპერტუარში მეც იმიტომ შევიტანე, ჩემთვის მარტივი, მათთვის ეფექტური. თან საუზმეს მივხედოთ თორემ ძალიან დაგვიანდა.

-ხუთ წუთში ყველაფერი მზად იქნება.

-მანამდე, მე ჩვენებს დავუკავშირდები და ახალ წელს მივულოცავ.

-მეც ხომ მინდა მილოცვების თქმა.- წამებუტბუტა და გვერდზე შებრუნდა.

-კეთილი, უშენოდ აღარ მივულოცავ. ჰე, თან საქმე. დავტრიალდეთ ახალი წელია. მივდგეთ, მოვდგეთ, მივაფიცხ-მოვაფიცხოთ.

...ცოტა ხანში ყველაფერი მზად გვქონდა, სუფრას მივუჯექით და გავქეიფიანდით. ქეიფის დასაწყისში ჩვენებსაც შევეხმიანეთ, მოვიკითხეთ და ახალი წელი მივულოცეთ, მერე გუშინდელი,კლოუნების გამოსვლის სასაცილო ეპიზოდები გავიხსენეთ, ახლაც კი სიამოვნებით ვიცინოდით მათ საოხუნჯო ნომრებზე.

-პირველი იანვარი მხიარულობის დღეა, ამიტომ უკისკისოდ არც ერთი წუთი, ტელეარხებიც დავათვალიეროთ, ვნახოთ რა მოგვიმზადეს დღეისთვის.

კომედიური ჟანრის ფილმი მოვნახეთ და მის საყურებლად განვეწყვეთ. პარალელურად ქეიფს ვაგრძელებდით.

როცა ფილმი დასასრულს მიუახლოვდა, კარგი განწყობით კმაყოფილი მეკითხება.

-ნუთუ შეიძლება მოულოდნელად ხასიათი შეგვეცვალოს?

-არ შეგეცვლება თუ მეც იგივე გუნებაზე ვიქნები.

-ხანდახან, ხდება ხოლმე უეცრად ხასიათის შეცვლა.

-გეთანხმები, ცვლა ნიშნავს მოსალოდნელ ცუდს ან პირიქით.

-ამის მიზეზი, ალბათ მატერიის მიღმა უნდა ვეძიოთ.

-იქნებ რაიმე აზრი გაქვს შერჩეული.

-მე ვფიქრობ ჩემო ლაურიანტო, რომ ვინაიდან მატერია ცნობიერის გარეშე არსებობს, ასევე არსებობს, ასე ვთქვათ იქს სექტორი, რომელიც გავლენას ახდენს გარკვეულ მოვლენებზე შეიძლება თავად მატერიაზეც.

-კეთილი ძვირფასო, ბარემ ისიც მითხარი, იქსის მაგივრად რა ფაქტორი უნდა ჩაისვას.

-მე ჩავსვამდი, მაგალითად, დავიწყოთ ცოცხალი ორგა-ნიზმიდან, როგორც ვიცით მათ გარშემო ბიოველი აკრავთ.

-ნამდვილად.

-სხვა ფიზიკურ სხეულებსაც ხომ გააჩნიათ საკუთარი ენერგო ველი.

-გააჩნიათ.

-ესეიგი, თავისთავად ობიექტური რეალობა არ შეიძლება ჩავთვალოთ, მხოლოდ მატერიად, და კიდევ, ჩვენ ისიც ხომ ვიცით, რომ სამყარო გამსჭვალულია უხილავი ველით.

-ვიცით, იმასაც ვარაუდობენ, რომ მატერია არის ღმერთის მიერ შექმნილი ენერგია.

-უკეთესი, მაშასადამე არსებულ სინამდვილეს თან ახლავს ასე თქვათ პროტოტიპი, არამატერიალური. მეთანხმები?

-აქამდე კი, გააგრძელე, -მეუღლე დუმდა. -გელოდები, რატომ შეჩერდი, როგორც გაართულე მსჯელობის შინაარსი, ისე გაამარტივე. დახმარება თუ გინდა მითხარი.

-რას მთავაზობ?

-ძვირფასო შენ დაიწყე იდუმალების ამოხსნა ერთი ხელის მოსმით, როცა ამ საკითხს საუკუნეები ხსნიან და ჯერ კიდევ ძიებაშია.

-მე მინდოდა მარტივად მეცადა მისი ახსნა.

-დასაწყისი კარგი იყო. ახლა მე ჩაგერევი და პატარა მითითებების სახით მიმართულებას გაჩვენებ საითკენ აჯობებს საუბრის წარმართვა. ამ ოთხი წლის წინ ექსპერიმენტის გზით აღმოჩენილი და დამტკიცებული იქნა ვარაუდი, რომ ადამიანის ცნობიერების მართვაში, თურმე ასტრალური არსებები ერევიან, სწორედ, რომ ბიოველში თავსდებიან და იქიდან იძლევიან განკარგულებებს. მათზე ჩვენ ამასწინათ გვქონდა საუბარი. შენ ეს გახსოვს. ეხლა შეგიძლია განაგრძო.

-მე მართალი გითხრა მეეჭვება, თუმცა, ნაწილობრივ შემიძლია დაგეთანხმო, რადგან ხდებოდა ხოლმე, როცა რისამე გაკეთებას მოვინდომებდი, ვერ ვახერხებდი. რას მივაწერო, მათ თუ იქს მიზეზს მაგალითად დღეს წასვლა მინდოდა ბინის სანახავად,

მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიე. ხელი შემიშალე შენ და არა სხვამ. ამ შემთხვევაში არის ობიექტი და არა უხილავი არსება.

-მე კი არ შეგიშალე ხელი, არამედ ჩვენმა შინაგანაწესმა, მეორე, ეტყობა ისინი ჯერ არ გსტუმრებია, იმიტომ ლაპარაკობ ასე თავისუფლად.

-მაშ, ვის სტუმრობენ?

-უფრო მაღალ ეშელონებს, მათაც გააჩნიათ გონი და იციან როგორ იმოქმედონ.

-მაშინ, მათი გონიც ხომ რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება?

-მართალი ხარ, როგორც ყველა და ყველაფერი.

-მაშასადამე, არაობიექტური რეალობა საზღვრავს ობიექტურ სინამდვილეს. ერთიც და მეორეც ჩვენი ცნობიერების გარეშეა და ამავე დროს მათი ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებით ორივე მხარის სამიზნე ვხდებით, ანუ ორი ბატონის მსახურნი ვართ. თუ მე უცებ ხასიათი შემეცვალა, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზეზი მათ მხარეს უნდა ვეძებოთ. არა? უცნაურია.

-რა არის უცნაური?

-რასაც ვერ ხედავ, ვერ გრძნობ, ის რაღაც გიცვლის ხასიათს ან სამოქმედო დიაპაზონს.

-რომც არაფერმა შეგიშალოს ხელი, ერთი და იმავე პოზაში შეჩერება შინაგანი თუ გარეგანი მიზეზების გამო შეუძლებელია.

-იქნებ მსურს სულ კარგ განწყობაზე ვიყო.

-ეგ მხოლოდ შენი გრძნობის სურვილია. მარტივად რომ ვთქვა ნივთიერებათა ცვლას შენი სურვილი სრულიად არ აწყობს.

-ვითომ რატომ?

-კარგად იცი,როცა მხიარულ გუნებაზე ხარ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, ერთი და იგივე ჰორმონებს გამოყოფს. ორგანიზმს კი სხვადასხვა პროცესებისთვის შენი ცუდი ხასიათის მიერ გამომუშავებული ჰორმონებიც სჭირდება, რომ ბიოქიმიური სინთეზი შედგეს.

-ხელოვნურად რომ გამოვიწვიოთ?-დაუშვა შესაძლებელი ალბათობა.

-შეიძლება, თუმცა დროის განმავლობაში ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციურ მდგომარეობას შეაფერხებს.

-გასაგებია, ერთი კითხვა დამებადა.

-თქვი.

-შენ ხომ შეგიძლია დაამზადო ისეთი ხელსაწყო, რომელსაც შეეძლება სივრცის სიღმე დაგვათვალიერებინოს.

-რისი ცოდნა გადაწყვიტე.

-გავიგო შენს მიერ დასახელებული არსებების სტუმრობის მოტივი დამოუკიდებლები არიან თავიანთ განზრახვაში თუ ჰყავთ, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ მენეჯერი.

-ხელმძღვანელი მეც,შენც და ყველას გვყავს, რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ ვემორჩილებით.

-ვის თვლი ჩვენს ხელმძღვანელად, იქნებ გამაცნო მეც.

-კეთილი, როცა გშია, გწყურია, ან გცივა რას იწყებ?

-ვიკვებები, წყურვილს ვიკლავ, ვთბები.

-ესეიგი გრძნობის მოთხოვნებს ემორჩილები, არა?

-ასე ჩანს.

-მერე რა გაგიკვირდა, ხომ ხედავ, ამასობაში ჩვენი უფროსებიც გაგაცანი, კიდევ რა გაინტერესებს.

-ცოტა უცნაურია, მაგრამ სურვილი მაქვს გავიგოთ რა დროს ან როგორ ხდება, ასტრალის კანონიკურობა მატერიის კანონების თანდასწრებით და კიდევ ერთი თხოვნა, მინდა დავაკვირდე უხილავ ველის არსებებს თუ შენც თანახმა იქნები.

-ასე მარტივად არ არის ააწყო ხელსაწყო და დაინახო, ის რაც შენ გსურს. ჯერ გარკვეულ ცოდნას უნდა ფლობდე მათ შესახებ. იქნებ არ სურთ შენი უადგილო კირკიტი თუ ჩაძიება, ამიტომ ნებართვა უნდა ითხოვო სანამ პორტალს შეაღებდე, მანამდე წინასწარ უნდა ვიცოდეთ ველის რომელ ზონაში მოგვიწევს სტუმრობა.

-ეგ როგორ გავიგო?

-როგორც ჩვენი აურაა შრეებად დაყოფილი. მასაც დაახლოებით ამგვარი ფორმატი გააჩნია, თუ ასტრალში გვინდა მოგზაურობა მათი პირობითი ნიშნების ცოდნა მოგვიწევს, თუ

ეთერში, ეთერისას და ასე შემდეგ. თავდაპირველად მოცემული პოზიციიდან დავაკვირდეთ, თუ მოგვეწონება, მერე ვიმოგზაურ-როთ. მანამდე წინასწარ მოსამზადებელ სამუშაოებთან ერთად აპარატურის შექმნას დავიწყებ. შენ რა არ მისმენ?- ვეკითხები ფიქრებში გადასულს.

-გისმენ, ყურადღებით გისმენ.

-გეტყობა ხასიათი შეგეცვალა.

-არა, ისევ ფორმაში ვარ გააგრძელე კარგად საუბრობდი.

-იქნებ შენ გაქვს რაიმე სათქმელი?

-აბა რა გითხრა, თუმცა აღნიშნული თემის ირგვლივ სათქმელი უამრავია. ამჯერად მოდი მიმოხილვა სხეულის შიგნით გადავიტანოთ.

-შეგიძლია, მე გულისყურით მოგისმენ.

პირდაპირ ქრომოსომებიდან დავიწყებ, შესავლის გარეშე, შენც იცი, რომ ისინი არიან უჯრედის ორგანოიდები. რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ორგანიზმის ძირითად მემკვიდრულ თვისებებს, სწორედ მათგან გადმომეცა მშობლების ნიშანთვისე-ბები. მათში აგრეთვე დაშიფრულია ინდივიდის პროგრამაც და მეც უნებლიედ მივყვები ამ პროგრამის შესრულებას, ესეიგი, ვიმართები როგორც ორგანიზმის შიგნიდან, ისე გარედან. ვსვამ კითხვას, მაშ მე ვინ ვარ, გამტარი თუ სილიციუმი ადამიანის ფორმაში, ინფორმაციის შემნახველი და გადამცემი, მიპასუხე.

-ჯერ მითხარი, ადრე გრძნობდი რაიმეს, ან ვისამე ზეგავლენას?

-მხოლოდ ქვეცნობიერად. შეიძლება ეს იყო თანდაყოლილი ინსტიქტი ან მორალიზმი. ხდებოდა, როცა მოქმედება გრძნობის საპირისპიროდ მიწევდა, ანუ თავს ვიზღუდავდი გარეგანი ფაქტო-რების გამო, მიღებული არასასიამოვნო განცდის გაქარწყლებას კი მექანიკური საშუალებით ვცდილობდი. მინდოდა ვყოფილიყავი ლიბერალი, მაგრამ რაღაც მბოჭავდა.

-კეთილი, ახლა წარმოიდგინე, თავი და სხვები შეზღუდვის გარეშე რა მოჰყვებოდა მას როცა ყველა ლიდერობას, უკეთესის მიკუთვნებას მოისურვებდა, რა თქმა უნდა ტაციაობის, ამორალო-

ბის, ერთი სიტყვით ქაოსი, თუ საზოგადოებას არ ექნა სპეციალი-ზებული სისტემა, განუკითხაობა დიდ ცოდვაში ჩააგდებს.

მე არ მილაპარაკნია ზღვარს გადაცილებულ ქმედებებზე.

-შენ ისე ამბობ თითქოს იცოდე სად გადის მისი ზღვარი, აგერ ავიღოთ უბრალო მაგალითი, ახლა ჩვენ სუფრას ვუსხედვართ, საკვებს მანამდე ვღებულობდით სანამ არ დავნაყრდით. თუმცა ქეიფს მაინც ვაგრძელებთ. ეს ნორმაა თუ მასზე მეტი.

-თავისთავად ცხადია.

-მაშინ, თუ გადავაჭარბეთ რატომ ვაგრძელებთ.

-იმიტომ, რომ გვსიამოვნებს.

-ესეიგი ვინაიდამ ამ შემთხვევაში ხელს არავინ გვიშლის ჩვენ სურვილისამებრ ვიქცევით. მეთანხმები?

-კი.

-ასე გაგრძელდება მანამ, სანამ რაიმე არ შეგაწუხებს და იძულებულს არ გაგხდის დიეტას მიაკითხო. არ სჯობია დასაწყისშივე საგანგებოდ შეიმუშავო კვების რეჟიმი?

-სჯობს. - უყოყმანოდ დამეთანხმა.

-რაკი მეთანხმები მაშინ ეს ყოფილა ნორმა და არა ძღომა, მოთხოვნილების უზღვაროდ დაკმაყოფილება, არის თუ არა მათი კონტროლი ჩვენზე დამოკიდებული.

-არის.

-მაშასადამე ჩვენც ვუწესებთ ვინმეს კონტროლს, ამ შემთხვევაში გრძნობათა პრეტენზიას.

-შენ იმის თქმა გსურს რომ არა მხოლოდ ვიმართებით არამედ ჩვენც ხელთ გვაქვს რისამე სამართავი სადავეები.

-ოღონდ მათი მართვა ნების ურყეობასა და სიმტკიცეზეა დამოკიდებული.

-თუ უხილავ სამყაროს ბინადრებს წინ, ძლიერი ნება დახვდათ, მაშინ?

-უბრალოდ გააძლიერებენ შენს წადილს, ამიტომ გიჯობს ნებისმიერი ფიქრი პოზიტიური იყოს, რომ შენმა საწადელმა უფრო მეტი ძალა შეიძინოს.

-გასაგებია, მაგრამ მათი წარმოშობის მიზეზი, ფუნქცია და რაც მთავარია ვიზიტის მიზანი?

-როგორ წარმოიქმნენ ბაქტერიები ან ერთუჯრედიანები მატერიალურ სივრცეში, უკვე ნაცნობი, დასაბამისეული ნაწილაკების მეშვეობით არა? დაახლოებით მსგავსი წარმომავლობა გააჩნია ასტრალის ბინადრებსაც. მათ მრავლად ნახავ ისეთ ადამიანთა აურაში, რომლებსაც სწადიათ იმოქმედონ რისამე მისაღწევად პირადი წარჩინების მიზნით, როგორიც არის კარიერიზმი. ადამიანთა კატეგორია, რომლებიც პირად წარმატებას საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს, პოლიტიკის გზას საკუთარი სარგებლობისთვის მისდევს.

-სხვა საზოგადოებრივ ფენებში?

-მცირე რაოდენობით.

-ჩვენც გვსტუმრობენ?

-მეეჭვება, და თუ არიან კარგი ვიზიტორები ყოფილან, დააკვირდი საკუთარ ქცევებს და ადვილად მიხვალ დასკვნამდე.

-მოგზაურობისას რა უნდა გავითვალისწინოთ?

-კარგი შეკითხვაა. პირველ რიგში, თავდაცვითი საშუალებების გამოძებნა მოგვიწევს, რომ ბიოველი არ დავაზიანოთ.

-თუ სახიფათოა ნუღა გავაწვალებთ თავს, რაც იცი ის მიამბე.

-მხოლოდ წარმოდგენა მაქვს, არც მიფიქრია მოგზაურობა, მე როგორც ვიცი, ისინი სფეროსებრ არსებებს წარმოადგენენ. გააჩნიათ საცეცები, ერთგვარი გამტართა სისტემა, რომლის საშუალებითაც ადვილად შეუძლიათ შინაგანი ორგანოების სიხშირის შეცვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანოს დააკარგვინონ ბუნებრივი რიტმულობა.

-მაშინ არ ყოფილა მათი სტუმრობა სასარგებლო.-წაიჩივლა ჩემი პასუხით შენაღონებმა.

-ამის გამო, ხანდახან ექიმებსაც უჭირთ ამა თუ იმ დიაგნოზის დასმა.

-ჩვენთან რატომ არ ჩნდებიან?-აღეძრა ცნობის წადილი, თავი შეატრიალა და ჩამუგუზალებულ შეშას გახედა.

-ჩვენ დილა-საღამოს ისეთ ლოცვებს აღვავლენთ, რომ მათ არ შეუძლიათ ამ ლოცვების მიერ გამოწვეულ ვიბრირებას გაუძლონ.

-მე ვიცი მტრისა და ბოროტი ძალების წინააღმდეგ, რომელი ფსალმუნები წავიკითხო, შენ იცი?

-რასაკვირველია, 50-ე და 90-ე. ხმამაღლა უნდა წაიკითხო, რომ ბგერითი ჟღერით წარმოქმნილმა რხევითმა სიხშირემ მათზე იმოქმედოს.

-საიდან იცი?

-რომ ვიცი იმიტომ ვლაპარაკობ. რა მაგის პასუხია, ისე გავერთეთ საუბარში კერძებიც გაგვიცივდა და აღარც სადღეგრძელო გვითქვამს.

სავარძლიდან წამოვიწიე, ღვინით შევსილ ფიალას დავსწვდი და მეუღლეს გულისყური ვთხოვე.

-ხანდახან, ძვირფასო, უნებლიეთ ფიქრი მომეძალება ხოლმე, რა არ გამახსენდება, ახლობლები, საძმო-სამეგობრო, კარ-მიდამო, ეზოში ჩამოკრეფილი ხილის გემო, მარანი და ღვინით სავსე ქვევრები, ყოველი წვრილმანი, მნიშვნელობა არ აქვს, რა იქნება, მშობლიურია და ყველას სიამოვნებით ვიგონებ. მშობლიურობა ყოველთვის საჭირო გრძნობაა და მეც ეს განსაკუთრებული გრძნობა მინდა დავლოცო, ოღონდ ნოსტალგიის გარეშე, აბა გამომეხმაურე, მერე სულ მალე კონცერტი დაიწყება და მას ვუცქიროთ, ცოტა სიმღერების მოსმენით გავერთოთ, შემდეგ ისევ კომედიურ ჟანრს დავუბრუნდეთ. -გავაცანი სადღეისოთ გასართობი პროგრამა.

... ახალი წლის პირველი დღე ისე დავასრულეთ, ერთი მოწყენილი წუთიც არ დაგვიშვია. ბედობის დღეს, უფრო მონდომებული ვიყავით, ვცდილობდით ურთიერთშორის განწყობა იმ დოზით დაგვემუხტა, რომ მისგან წარმოშობილი სიხარული ლაიტმოტივით გაჰყოლოდა მთელ წელიწადს... მონდომებამ გაგვიმართლა.

...ერთი კვირის თავზე კვლავ განვაახლეთ ჩვენი უმაღლესი დანიშნულების, საპასუხისმგებლო როლის შესრულება. თავდა-პირველად, შევაჯამეთ ყოველკვირეული ინფორმაციული მონაცე-

მები. ციფრულ მაჩვენებლებმა ცხადად დაგვანახა შედეგის ავკარგიანობა, თუ ადრე პროცენტულად გამოხატულიყო კარგი 25%, ნეიტრალური 35% და ცუდი 40%, ამჯერად თანაფარდობა შეცვლილი დაგვხვდა, 28-35-37-ზე, კარგი ინფორმაცია სამი ერთეულით გაიზარდა. ცუდის შემცირების ხარჯზე, ნეიტრალური კი იგივე მაჩვენებელით დარჩა.რადგან წინსვლა იგრძნობოდა მიღებული შედეგი დამაკმაყოფილებლად ჩავთვალეთ.

მკვეთრი მატება ნამდვილად არ შეესაბამებოდა ევოლუციის გარდაქმნას. დოზის მომატებაც შეიძლებოდა, მაგრამ ვფრთხილობდით, რადგან შემგრძნებელ სისტემისთვის ზიანი არ მიგვეყენებინა მის რეგულირებას მაშინ დავიწყებდით, თუ კვლევის შედეგები ამას გვიკარნახებდა, ხოლო რაც შეეხება საიდუმლოდ მოცულ ორგანიზებულ ჯგუფის საქმიანობას,ვიდეოკადრების გადასინჯვისას გაირკვა, რომ მათ უკვე უცდიათ პარაფსიქოლოგიური ხელსაწყოს ინკოგნიტოდ გამოცდა, მაგრამ წარმატების გარეშე.ამჟამად ცდილობენ სხვა მეცნიერ-მუშაკთა დაქირავებას, როგორმე სასწრაფოდ შეძლონ მისი ამოქმედება და დროულად დაიმკვიდრონ ძველ თუ ახლად წამოწყებულ ბიზნეს სფეროში ლიდერობა.მათი მცდელობა უჩვენოდ ვერას გახდებოდა,ჩვენ კი მისი ამოქმედება არ გვინდოდა.

მომდევნო დღეს წყნარ ოკეანეს ვესტუმრეთ, დანაპირების ასასრულებლად, ჯერ ბაზებისკენ გავემართეთ, გვინდოდა შეგვემოწმებინა რაიმე ცვლილებები ხომ არ იყო შეტანილი ამ ხნის განმავლობაში. დათვალიერებას დიდხანს არ მოვნდომებივართ, როგორ პირობებშიც დავტოვეთ ბაზები ისევ იმ მდგომარეობაში დაგვხვდა.მერე მათ წყალქვეშა გემთან მივცურდით. გარედან ვიზუალურად შევავლე თვალი და შიგ შესვლის ნებართვა ვითხოვე. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია.

ხომალდში შევედი და პროფესორს წარვუდექი.მიუხედავად იმ გარემოებისა,რომ მე ყველაფერი ვიცოდი, იქ არსებული ვითარება მაინც გამოვიკითხე.დადებით პასუხი რომ მივიღე პირობა გავუმეორე.

-მე ძრავას ავამუშავებ,თუ პირობა დაირღვევა და თქვენ იგივე საქმიანობას დაუბრუნდით მაშინ ოკეანის მუდმივი ბინადრები გახდებით.

-როგორც შევთანხმდით.-მომცა დასტური.

როდესაც მათი წყალქვეშა გემი დავტოვე, თანაშემწეს გადავეცი სასწრაფოდ შეენიღბა ხომალდი თავდაცვით რეჟიმზე გადასულიყო და ახლოს მოეცურა.

გამორიცხული არ იყო ძრავის აღდგენის შემდეგ თავდასხმა არ მოეწყოთ. ამ შემთხვევაშიც მზად უნდა ვყოფილიყავით. ჩემს წყალქვეშა ხომალდს დავუბრუნდი, სანამ დაბლოკილ ძრავას კოდს მოვუხსნიდი, ჩვენი უსაფრთხოების ზონის პარამეტრები გადავამოწმე, როცა დავრწმუნდი, ირგვლივ სუფთა იყო, ბლოკი მოვხსენი, ოციოდე მეტრ სიმაღლეზე ავედით და გავჩერდით.

„ლურჯი ვეშაპი“ აამუშავეს თუ არა,სამი წუთის შემდეგ მის გარშემო ხუთი სწრაფმავალი სამხედრო ტიპის კომეტა მოცურდა, ერთი ადგილზე დარჩა, დანარჩენი სხვადასხვა მხარეს, ჩვენს საძებრად გამოვიდნენ.

-აი,კარგი მაგალითი, -მივმართე ჩემს თანაშემწეს-ჩვენ ვენდეთ მათ,მათ კი ხედავ სპეცრაზმი გამოგვიგზავნეს.

-ვხედავ, სიტუაცია დაგვეძაბა.

-ჩვენ არა მათ.

-მათ რატომ?

-ჯერ მიპასუხე,რა მოჰყვება მას თუ მშვიდობიანად დავცილდებით.

-შენ რას ფიქრობ?

-მე ვფიქრობ, რომ ისინი არალეგალურ საქმიანობას ისევ გააგრძელებენ.

-რას გეგმავ?

-უწინარესად მას დაველაპარაკები ვინც პირობა მომცა, მერე ვიმოქმედებ. დამაკავშირე თან მოძრავი თვალი შეამოწმე.

-დავალება მივიღე. ვასრულებ, მაგრამ კავშირზე არ გამოდის.

-შეხედე, დერეფანში როგორ ნერვიულად გადი-გამოდის. მე შევეხმიანები, შენ გარეთ დააკვირდი რა ხდება. პროფესორო! -

მივმართ ლაზ-თვალიდან, -მიდი-მოდი შეწყვიტეთ და კავშირზე გამოდით.

ის უმალ შეჩერდა.მიიხედ-მოიხედა.ცდილობდა გაეგო, უჩინარი ადამიანის ხმა საიდან ესმოდა. ამ დროს თანამშრომელი მიუახლოვდა და რაღაც ანიშნა, ამის შემდეგ ინება ჩემთვის პასუხი გაეცა.

-რაღაც გაუგებრობა მოხდა, მე თვითონ არა ვარ საქმის კურსში.

-მომისმინეთ პროფესორო, მე რომ ახლა უკან დავბრუნდე, ჩამოგშორდეთ, თქვენ და ბაზებიც ხელმეორედ ამოქმედდება და არალეგალურ საქმიანობას თავიდან გააგრძელებთ.

-შეფს დაელაპარაკეთ, ის ყველაფერში გაგარკვევთ.

-გმადლობთ, მე უკვე გავერკვიე.მისი მიზანი გასაგებია. ასე რომ თქვენ ისევ დაუბრუნდებით უძრავ მდგომარეობას. იქნებით ფსკერზე სანამ არ მოინანიებთ.

-რას ბრძანებ არ ქნათ, გთხოვ-აუწია ხმის ტონს პროფე-სორმა.

-მე თქვენკენ ვიყავი,მაგრამ იგივე,რომ არ განმეორდეს, ამიტომ ასე სჯობს, გააგრძელებთ სტაციონალური მკურნალობა, მხოლოდ ოკეთერაპია.

დავემშვიდობე მას და ოპერაციის შესრულება დავიწყეთ. პირველ რიგში კვლავ დავბლოკეთ „ლურჯი ვეშაპის“ ძრავა. შემდეგ კი სამხედრო ტიპის კომეტა, რომელიც მასთან მიცურდა დასაზღვევლად.

-დანარჩენებს დაველოდოთ. -მივმართე თანაშემწეს. -ჩვენს ძებნაში ისინი ბოლოს ამ ადგილს მოაკითხავენ.

-როდის დაბრუნდებიან?

-სულ მალე. გინდა გაჩვენო რა განზრახვა აქვს მათ?

-როგორ?

-აგერ,მათ გვერდით გამოვსახავ ჩვენი ხომალდის ბუტა-ფორიულ გამოსახულებას, როცა მოგვიახლოვებიან, შენ თვითონ დაინახავ მათ რეაქციას.

-სცადე,ისე რას არ მოიფიქრებ.

ყველაფერი რამდენიმე წუთში მზად მქონდა.უწინდელ ადგილს დავუბრუნდით და მათ გამოჩენას დაველოდეთ.

ოთხი წუთის შემდეგ, მხოლოდ ერთი მცურავი კომეტა გამოჩნდა,შეამჩნია თუ არა ფსკერზე ჩაძირული ხომალდები და მათ თავზე უცხო წყალქვეშა ნავი,შორიახლოს შეჩერდა და დაზვერვა დაიწყო.

-რას გადაწყვიტავს?

-ტორპედირებას.

-ეგ საშიში არ არის?

-რა თქმა უნდა.თუ თვითმოძრავი ჭურვი გაუშვეს, ბუტაფორიას თავისუფლად გაივლის და სვლას გააგრძელებს. შეიძლება შემთხვევით გამვლელ გემს მოხვდეს და ააფეთქოს.

-ეგ კი უდავოდ ცუდია, მსხვერპლი ნამდვილად არ გვინდა,რაღაც უნდა იღონო.

-უკვე გავითვალისწინე.

-მაინც რა.

-ჭურვი,რომ გაივლის წარმოსახვით ბუტაფორიას, მაშინვე გავუთიშავ თვითმოძრავ მექანიზმს,ის ნელ-ნელა ფსკერზე დაეშვება, ცრუ გამოსახულებას კი გავაქროზ.

-კარგი აზრია რაღას ელოდებიან?

-ალბათ ბრძანებას, თორემ ტორპედოისტი უკვე მზად არის გასაშვებად. ხედავ, მესამე და მეოთხეც მასთან მიცურდა.

-ერთი დარჩა მოსასვლელი.

-ისიც მალე გამოჩნდება, აგერ მეხუთეც მათ რიგებს შეუერთდა,თვითონაც საომარ მდგომარეობაში გადავიდა.

-აყოვნებენ, რაღაც ხდება.

-გინდა გაიგო რატომ აგვიანებენ?

-აბა გახსენი ფრჩხილები.

-პირველ ყოვლისა ისინი ფიქრობენ, რომ აფეთქებას სკანდალი მოჰყვება. მეორე-მათი ძრავის ამუშავება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია,მესამე-დასაშვებია მის მანევრს ელოდებიან.

-ვის მანევრს, ბუტაფორიის?

-კი,ისინი ზვერავენ მას, ამასთანავე გადაწყვეტილებას ელიან.-გავაცანი მათი სავარაუდო ჩანაფიქრი.

-იცი რა, ასე მგონია ზედმეტად ვიძაბავთ თავს.ჩვენს ოპერაციას გაუთვალისწინებელი შემთხვევა რომ არ მოყვეს არ აჯობებს, მათ ძრავებს ბლოკირება გავუკეთოთ და ამით ავცდეთ ზედმეტ დავიდარაბებს.

-კარგი, რახან შენ დამატებითი სადარდებელის გაჩენას ერიდები,ერთი წუთიც და დავიწყებ.

-ერთ წუთში რა უნდა მოხდეს?

-შეიძლება ზავი შემოგვთავაზონ.

-ზავის პირობა,რომ არ წარგვადგება?

-გააჩნია რას შემოგვთავაზებენ, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომც დავთანხმდეთ, ისინი ძველ საქმიანობას მაინც გააგრძელებენ, ამიტომ სჯობს ვიმოქმედოთ. -დავეთანხმე მის შემოთავაზებულ წინადადებას. მათ თანმიმდევრობით ძრავა გავუთიშეთ და უკან გამოვბრუნდით.

-კურსი კაპიტანო.

-ახლა მათი დომიცილიუმი დავათვალიეროთ.

-რომელი, საცხოვრებელი ადგილის თუ ფირმის?

-ორივე,ჯერ ფირმის.

-მივიღე. ათამდე დათვლაც არ დაგვჭირდება, რომ იქ ვიქნებით. მეთვალყურე ლაზ-თვალს არ ენდობი კაპიტანო?

-როგორ არა,არის ვითარება, სადაც ცოცხალი თვალია საჭირო.

-უკვე მოვედით.

-კეთილი. აი, ხედავ ავტოსადგომზე ორ შავ ლიმუზინს?

-ვხედავ, რას გვეუბნება.

-სიმპოზიუმს, საერთაშორისო დონეზე.

-სად ტარდება ახლავე მოვძებნი.

-ზემოთ იქნებიან, იქ აქვთ კონფერენც დარბაზი, შენც აიყვანე თვალი ბოლო სართულზე.

-დავალება მიღებულია.

-თან დათვალე რამდენი არიან.

-სულ შვიდი სული.

-ჩანს რომ ვიწრო წრის სამეცნიერო კონფერენციას ატარებენ. ხმას აუწიე და ჩაწერე.

-არის ჩაწერა. როგორც მესმის საკითხები არასამედიცინოა, საუბარი მიმდინარეობს ჩვენთვის ნაცნობ მოწყობილობის ირგვლივ.

-მესმის და ვხედავ, მოწყობილობაც თან აქვთ. ოღონდ შიგთავსი გამოღებულია, სწორედ,რომ მის დეტალებზეა საუბარი. მოვისმინოთ რას კამათობენ.

-როცა ცდის პირს, -ეკითხება მასპინძელი მოწვეულ სპეციალისტს ტექნიკის დარგში-გადავცემ აზრს შემოავლე წრე,ის იწყებს მისთვის სასურველ ფიგურის ხატვას, ან მოაწერე ხელი საბუთებს, სუბიექტი ცდილობს მის გადაკითხვას.

-გასაგებია, -პასუხობს სპეც-ტექნიკოსი და თან უხსნის მიზეზს. სიგნალი შედის ელექტრონულ გამომთვლელი მანქანის მიმღებში, მაგრამ, მაგალითად, როგორც პრიზმაში შეღწეული სხივი გადატყდება და იშლება, თითქოს მის მსგავსად ხდება შენ მიერ გაგზავნილი სიგნალის გარდაქმნა. ასეთი შემთხვევა მე პრაქტიკაში არ მქონია, გადასცე საგანგებო ინფორმაცია გამომთვლელ მანქანას,მან კი სუბიექტს მიაწოდოს მისთვის სასურველი სიგნალი. მითხარით, თქვენითვის საეჭვო პირს ხომ არ მიუწვდებოდა ხელი მასზედ?

-არა, რატომ მკითხეთ?

-შეიძლება ვინმემ დააპროგრამა მიმღებში არსებული მიკრო სქემა, არ არის გამორიცხული თვით სილიციუმის სტრუქტურაც კი.

-თქვენ შეძლებთ მის შეცვლას?

-ვეცდები.

-ოღონდ თქვენ ეგ გამიმართეთ და გასამრჯელოზე გულს არ დაგწყვეტთ. -დაპირებით მან,უფრო საიმედო პოზიციაში იგრძნო თავი.

საუბარი ამით დაამთავრეს და დარბაზიდან გამოვიდნენ.ჩვენ კი ქალაქგარე რეზიდენციის დასაზვერად გავემართეთ.

-წარმოგიდგენია, როგორ ძლიერ სურთ მისი აწყობა?

-კი,სურვილი გააჩნიათ, მაგრამ საკითხავია თუ მოახერხებენ მის რეალიზებას.

-მე ვფიქრობ რომ მათ სხვა განზრახვა უდევთ გეგმაში, ან შეიძლება უკვე აქვთ. -გამოთქვა საკუთარი სავარაუდო აზრი.

-ეჭვის დონეზე ხარ, თუ შენიშნე რაიმე დეტალი?

-უნებური აზრი მაფიქრებს.

-ბუნებაში რომ უნებური არაფერი ხდება, რასაც შენ უნებურს უწოდებ,ის არაცნობიერის იმპულსია.რაც იმ წუთას არ გინდოდა გეფიქრა, მან წინ გადმოგიწია.

-შეიძლება ასეც იყოს, ამ დროს ჩვენ უკვე მოვედით, დაცვა ადგილზეა, როგორც გარეთ ისე შიგნით, ეზოში ორი დიდრონი დოგის ჯიშის ძაღლი დარბის.

-კეთილი, ეკრანზე ერთდროულად ყველა თვალი ამოიყვანე და ხმოვანება გაზარდე.

-ვასრულებ.

-გესმის რა თემაზეა საუბარი?

-მესმის,ჩვენი მიკვლევა სურთ.

-ეტყობა ჯერ ახალი ამბები არ მისვლიათ, მასაც რომ გაიგებენ უსათუოდ ჩვენზე ნადირობას გამოაცხადებენ.-ვუპასუხე მათ განზრახვაში დარწმუნებულმა.

-მე ვფიქრობ,რომ საეთერო კავშირს არ ენდობიან და პირადად მომხსენებელს ელიან. ოპერაციის ჩაშლის ცნობა, რომ მიუვათ, ალბათ დაცვას გააორმაგებენ.

-დაცვას მაშინ განამტკიცებენ, როცა რომელიმე მათგანი ჩვენს ლიკვიდაციაზე სიტყვას წამოაყენებს, თან მათ მოვუსმინოთ.

-რაც შეიძლება სწრაფად-ხმამაღლა საუბარს განაგრძობს შეფი. -დროის უმოკლეს ვადაში,ცენტრალური ბირჟა ხელთ უნდა ჩავიგდოთ,რომ აქციების კონტროლი მხოლოდ ჩვენ უნდა გვე-კუთვნოდეს.

-ამისთვის, -ჩაერთო მის გვერდზე მჯდომი-პარაფსიქოლო-გიური იარაღია საჭირო,რაც აქამდე ვერა და ვერ შევძელით შეგვექმნა.

-უახლოეს მომავალში აუცილებლად გვექნება,მერე ვნახოთ ვინ,ვის-უპასუხა უშუალოდ ამ საქმით ერთ-ერთმა დაკავებულმა პირმა.

-მე მაქვს შენიშვნა-განაცხადა შედარებით ახალგაზრდა წევრმა.

-თქვი-მისცა ნებართვა შეფმა.

-იარაღის გაყიდვა ძალიან შეგვიმცირდა,-დაიწყო ყოველგვარი შესავალის გარეშე-მისი რეალიზაცია თითქმის ნულამდე დავიდა, ხელახლა არის შესასწავლი ყიდვა-გაყიდვის მართვის სისტემა, მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალის-წინება, მის მიხედვით კი ჩვენთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.ამიტომაა სასწრაფოდ დასაგეგმი ახალი გზები,რომ როგორმე უზრუნველყოთ გაუყიდავი საქონლის რეალიზაცია.

-რას გვთავაზობ?

-ჩემი აზრით,კარგი იქნება პირველ რიგში თუ გავეცნობით ახალ ბარტერულ სისტემას, მის ფუნქციონალურ ხასიათს, მეორე, როგორმე ვეცადოთ გავაფართოვოთ საქონლის გასაღების არეალი და მესამე, გავიგოთ უპიროვნო ეკონომიკური ძალები ვის მხარეზეა,ამას კი თვით იქ შექმნილი ვითარება გვიკარნახებს.

-აზრი კარგია, -ჩაერთო მის პირდაპირ მჯდომი წვეროსანი-მართებულია, თავდაპირველად გავაკონტროლოთ რა ხდება. ვინი-ცობაა ვერაფერი მოხერხდა, ბოლო საშუალება, ეგრეთწოდებული ამბოხების იმიტაციის მოწყობა გახდება, მერე კი იძულებულები იქნებიან იარაღის მოთხოვნა შეგვიკვეთონ.

მას სათქმელი არ ჰქონდა დამთვარებული, რომ ამ დროს მეზღვაურის ფორმაში გამოწყობილი მაღალი რანგის წარმომად-გენელი შემოვიდა,მიესალმა მათ და პატაკის ჩაბარება ითხოვა. დამსწრეები წინასწარვე მიხვდნენ, მოხსენებაში, რომ კარგი ცნობები არ ექნებოდა,მაგრამ მაინც მოუსმინეს მის მოკლე ინფორმაციას.

ყველა განცვიფრებული მისჩერებოდა,დუმდნენ.სიტყვის თქმას ჯერ ვერავინ ახერხებდა, ბოლოს შეკრების ორგანიზტორმა ვერ დამალა ემოციები.

-ეგ არის თქვენი სპეც-დანიშულების ნაწილი? როგორ უნდა შეძლოთ ამის შემდეგ დამარცხებული სახელის აღდგენა? გამოცდილ მეომრებს ასეთი იაღლიში არ უნდა მოსვლოდა, იყავით ახლა მიძინებული ოკეანის ფსკერზე, ხომ არ გგონიათ ძრავა აამუშაოთ. გამეცი პასუხი?!

-ავამოქმედებთ, მე მაქვს ამის იმედი-უპასუხა მტკიცედ და ომახიანად.

-შენ კი, მაგრამ მე არა მაქვს,ასეთი მაგალითი წარსულში გვქონდა ჩვენ. იქ იყავით მანამდე სანამ ყველა წყალქვეშა გემს არ აამუშავებთ. ის თვითონ სად გაქრა?

-ჯერ არ ვიცით, დამატებითი კომეტები გამოვიძახეთ მის საძებნელად.

-ჰმ,-ჩაეცინა შეფს-ალბათ ის ისეთი მოუხერხებელი გგონია როგორც შენი თანამშრომლები. სასაცილოა, მთელი ბრიგადა რომ დაადევნო თვალსა და ხელს შუა გაგიქრებათ.

-მე გაძლევთ სიტყვას, რომ ასეთი შეცდომა აღარ მოგვივა.

-დრო მითხარი, რამდენ ხანში აღადგენ და აამუშავებ წყალქვეშა ხომალდებს.

-მაქსიმუმ ერთ კვირაში.

-გელოდები, ახლა თავისუფალი ხარ.

როცა მან აპარტამენტი დატოვა, შეფი მიუბრუნდა თავის კოლეგებს.

-შეიძლება ჩვენ ბლოკადაში მოვხვდეთ, თუ რაიმე არ ვიღონეთ, ბევრი არალეგალური და ლეგალური წარმოებაც კი საერთოდ დაიხუროს. კონტრაბანდაზე ლაპარაკი ზედმეტია.

-მისი კოორდინატები გავიგოთ-ჩაერთო ლაპარაკში წვეროსანი-და პირდაპირ დაველაპარაკოთ.

-შენ მართალი ხარ, ჩვენიდან ერთ-ერთი მათგანი პროფესორთან ერთად უნდა შეხვედროდა და დალაპარაკებოდა.

-ჩვენ კი მისი შეპყრობა გადავწყვიტეთ, რამაც მეტ ხიფათში ჩაგვაგდო. -აღნიშნა ისევ წვეროსანმა.

-კარგი, ეს წარსულია,ახლა რა ვიღონოთ,სად ვეძებოთ მისი არც სახელი ვიცით და არც გვარი, ის იქ აღარ დაბრუნდება,ვერც ჩვენ განვაახლებთ წყალქვეშა ბიზნესს.

-მაშინ საგანგებოდ უნდა ვეძიოთ საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურებში. შენიშნა იარაღის საკითხით დაკავებულმა პირმა.

-გამოვძებნოთ, სანდო პიროვნება და მივაგზავნოთ ზედმეტი ხმაურის გარეშე, რაც შეიძლება სწრაფად, ამ ეტაპზე კი მივხედოთ მხოლოდ ლეგალიზებულ საქმიანობას. ამით დავამთავროთ დღევანდელი თათბირი, თუ ვინმეს დამატება ან შეკითხვა არ სურს.

-მე მაქვს ერთი განცხადება. -განაცხადა მის გვერდით მჯდომმა.

-გისმენთ.

-მე მყავს ახლობელი, მეტად სანდობიანი პირი.გახსოვთ ორი წლის წინ ერთი პიროვნების მოძებნა, რომ დაგვჭირდა დასახმარებლად მას მივმართეთ, დავუკავშირდები და გავარკვევ.

-ერთ თავ კარგ საქმეს გააკეთებ. ახლა დავემშვიდობოთ ერთმანეთს. შეკრების დრო და თარიღი უცვლელია. თუ ამ ხნის განმავლობაში რაიმე ინციდენტს ექნება ადგილი, დამიკავშირდით. წასვლამდე ვისაც გნებავთ შეგიძლიათ სიგარა და ვისკი მიირთვათ-შესთავაზა შეფმა და მარჯვენა ხელის დიდბეჭდიანი თითი ბარისკენ გაიშვირა.

შინ წამოსვლამდე თითოეულ მათ ავტომანქანას ლაზ. თვალი დავუსვით და უკან გამოვბრუნდით.

-ინტერპოლში გიკითხავენ, -მეუბნება გზაში თანაშემწე.

-ეგ ჩვენთვის კარგია, მათთვის ცუდი.

-შენ იმის თქმა გინდა, რომ ისინი მათ საქმის კურსში ჩააყენებენ?

-სწორად შენიშნე.მიღებული ინფორმაციით დაინტერესდებიან და უსათუოდ შეამოწმებენ.

-მერე რა მოხდება, როცა ფსკერზე დაზიანებულ წყალქვეშა გემებს შენიშნავენ?

-მათ მიმართვაში ეჭვი შეეპარებათ და გამოძიებასაც დაიწყებენ. ნელ-ნელა ამოტივტივდება მძევლების, კონტრაბანდის და სხვა მათი არაჰუმანური საქმიანობები. ამით ავიცილებთ ბევრ განუკითხაობებსაც.

-ნეტავ მოგვეხერხებინა და უფრო განშტოებულად გვეზრუნა და დაგვეცვა დედაბუნების უსაფრთხოება.

-რისგან ადიუტანტო?

-რაც ბუნებაში მკვეთრ,ეკოლოგიურ პრობლემებს იწვევს და რაც სიცოცხლისთვის საფრთხეს წარმოადგენს ანუ ეკოლოგიური კრიზისისგან.

-ხომ გვაქვს წამოწყებული.

-მე მინდა უფრო ჩქარ ტემპში.

-როდესაც მხეცი მოგსდევს,მაშინ არის კარგი სისწრაფე,როცა ნაჩქარევად სადილობ მაშინ ცუდი, გულზე რომ არ დაგადგეს, დინჯად უნდა მიირთვა.

-ცოტა რომ მოვუმატოთ, ან სხვა უფრო სწრაფმოქმედი საშუალება გამოვძებნოთ.

-კარგი, მაშ ასე ხვალიდან ვიწყებთ სამრეწველო ზონის დათვალიერებას რომელ საწარმოსაც არ ექნება სანიტარული ნორმები დაცული, გავუგზავნით ოფიციალურ მიმართვას. თავდაპირველად ვთხოვთ მის დარეგულირებას, არ შესრულების შემთხვევაში დანადგარებს დავუბლოკავთ. მისაღებია.

-მივიღე.

-ასე დავიცავთ გარემოს და მოსახლეობას ტრაგიკული შედეგებისგან.

-იდეა მომწონს. ახლა დავისვენოთ.

-გამორჩეული ვახშამი, ხომ გვეკუთვნის?

-უკომენტაროდ. რას მიირთმევ?

-რაც შენ გესიამოვნება,ის მეც.

-მაინც?

-ჩაქაფულს ავირჩევდი.

-მე ელარჯს დავაგემოვნებდი.

-კეთილი. დასვი ბაქანზე ჩვენი ლაინერი და დანარჩენები შინ გავაგრძელოთ.

კერძების სამზადისში თან ახალ ამბებს ვისმენდით.ასევე ვიხსენებდით დღევანდელი დღის საამებელ და უსიამოვნო სიუჟეტებს და ჩვენი ცხრილის შესაფერის გრაფებში პირობით ნიშნებით ვღნიშნავდით.

სამზადისსაც მალე მოვრჩით, სუფრა იჩქითად გავშალეთ. მიუხედავად სიმშილის შემაწუხებელი გრძნობისა მაგიდას მაინც კარგ ხასიათზე მივუსხედით.

-ისეთი მაცდუნებელი გემო აქვს სულ გინდა რომ ჭამო.

-გაამოს გენაცვალე, გაამოს, ხელი და უნარი სჭირდება ყოველ საქმეს.

-ასეა, სრულყოფილად რომ გქონდეს ინგრედიენტები და გვერდზე მისი დამზადების წესი, თუ გემოს რეცეფტორები სათანადოთ არ გრძნობიარობს კერძიც არაარომატულია. სხვაგან და სხვაშიც იგივე პრინციპია.

-მართალს ამბობ,იცი რა მინდა გითხრა? სურსათ სანოვაგეზე გამახსენდა, სუპერ-მარკეტებში გასაყიდად ისეთი გამოაქვთ, განცვიფრდები.

-რა გაქვს მხედველობაში?

-დამზადებულ პროდუქტთა უმრავლესობა, რამდენადაც მე ვიცი ზოგიერთი საკვები დანამატებითაა წარმოებული, მაგალი-თად თეთრ ფქვილს რუხი პურის მისაღებად სპეციალურ საღებავ ნივთიერებებს უმატებენ, რომ პური ორგანოლეპტიკურად მიმ-სგავსებული იყოს რუხ პურთან. მომხარებლები კი თავისთავად შეცდომაში შედის.

-სწორია, თუ ავადმყოფ ადამიანს დიეტა აქვს დანიშნული, მან უნდა მოიხმაროს რუხი პური თეთრის ნაცვლად, სინამდვილეში ხდება პირიქით, მკურნალობა შესაბამისად არასაიმედოა, ბუნებრივია ირღვევა მისი უფლებები, ადვილი შესაძლებელია საღებავით შეღებილმა პროდუქტმა შეუქმნას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც.

-მარტო პურზე ხომ არ არის გენაცვალე ეს პრობლემა, ფალსიფიკაცია ხდება ასევე რძის პროდუქტებსა და ძეხვეულში, ფარშებსა და საერთოდ ნახევარფაბრიკატებში. ავიღოთ რძის პროდუქტი, მასში რძის ცხოველური ცხიმის მაგივრად, გამოყენებული აქვთ მცენარეული ცხიმი.

-ამიტომ, ძვირფასო თითოეულ სახელმწიფოში უნდა იყოს კარგად შემუშავებული სურსათის უვნებლობის კოდექსი, რათა უზრუნველყოს, როგორც მომხმარებლის, ისე მეწარმის უფლებები.

-რადგან გამოვაცხადეთ მონიტორინგი, მადლს მადლი დავუმატოთ და გამოშვებულ პროდუქციის ხარისხზეც ვიზრუნოთ.

-რას მთავაზობ?

-შევამოწმოთ ყველა საწარმოს გამოშვებული პროდუქცია და თუ რომელიმე ნაწარმი ნორმალურ მაჩვენებლებს არ დაექვემდებარა, გავაფრთხილოთ, ვთხოვოთ, განმეორების შემთხვევაში დანადგარების ფუნქცია შევუჩეროთ.

-საიდან დავიწყოთ?

-ჩვენი ქვეყნიდან.

-მაშინ ჩვენ იქ შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ, არა მხოლოდ ნაწარმის ხარისხი, არამედ ქვეყნის ბაზარზე შემოტანილი, ამა თუ იმ საქონლის ავკარგიანობაც. ეს ეხება გენმოდიფიცირებული ჯიშების პროდუქტებისა და ნედლეულის შემოტანას, მათი სისტემატური მოხმარება გენეტიკურად რა შედეგს გამოიღებს მომავალ თაობებში ამის ცოდნაა საჭირო, ამიტომ ერისა და შთამომავლობის სიჯანსაღისთვის გარკვეული ღონისძიებების გატარება დაგვჭირდება.

-რას უნდა დაველოდოთ, არ აჯობებს, რომ ახლავე დავიწყოთ, ამის საშუალება, მეთოდი და სათანადო უპირატესობა გვაქვს.

-უპირატესობაში რას გულისხმობ?

-არავის ზეწოლის ქვეშ არ მოვექცევით.

-გასაგებია. -სანამ საუბარს გავაგრძელებდი, ფიალიდან ცოტაოდენი მოვსვი და დაწყებული აზრის განახლება დავიწყე.- სახელდახელო გეგმა შევიმუშავოთ, ხვალ კი დილიდან შევუდ-

გეთ, ერთ დღეში რაც შეიძლება მეტი რაოდენობის საწარმოს ინსპექტირება მოვახდინოთ და სათავო ოფისს იქვე გავუგზავნოთ.

-ვისი სახელით?

-რასაკვირველია, საერთაშორისო ორგანიზაციის, კერძოდ სურსათის უვნებლობის სააგენტოს სახელით.განთიადისას მიკრო-მინიატურულ აპარატს, სპეც-პროგრამის სახით ახალი სამოქმედო გეგმა ექნება მისაწოდებელი. ამიტომ სჯობს ახლა დავისვენოთ, დილით რომ ადრიანად შევძლოთ ადგომა.-გამოვაცხადე ძილად მისვლის საათი.

სუფრა ხელდახელ ავალაგეთ და გავედით.

განთიადისას მეუღლის ამბორმა წამომაფხიზლა.

-დილა მშვიდობისა პრინცო.

-გმადლობ ჩემო პრინცესავ.

-როგორ მოისვენა, აღმატებულებამ?

-უწყვეტად და ტკბილად, თავად?

-უგრძნობ ნეტარებით.

-გავაგრძელოთ ნებივრობა თუ ვიმოქმედოთ?

-ერთიც კარგია და მეორეც, აირჩიე.

-მესამე ოფცია დამალე?

-აბა რომელი, თუ ხუმრობს ჩემი პრინცი?

-არა, ნამდვილად ვამბობ, ეს გახლავს ის რაც ამ წუთში ნამდვილად არის მიზანშეწონილი.

-მერე თქვი, რა არის ასეთი?

-მასთან დაკავშირებით ერთ ანდაზას გავიხსენებ, თუკი ზიხარ იჯექი, თუკი დგახარ იდექი, მთავარია არ იცანცარო , მაგრამ ჩვენ ვწევართ, ამიტომ უნდა ვიწვეთ.

-თუ მიზანშეწონილად ჩათვლი კი.

-მე შეიძლება ჩავთვალო, მაგრამ ბიოლოგიური რიტმები არ იძლევა ამის საშუალებას, შენი პროფესიიდან გამომდინარე, რას დაამატებდი.

-მე გავიხსენებდი აღმოსავლურ მედიცინის თვალსაზრისს, ძველებური მედიცინა ამტკიცებდა, რომ თორმეტი მერიდიან-თაგან თითოეულს დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება ჰქონდეთ,

როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური ფუნქციური გამოხატულება, ხოლო რაც შეეხება შენს ინტერესს ბუნების ძირითადი რიტმის წარმოშობის შესახებ, ის წარმოიშობა დედამიწის ბრუნვის გავლენით: მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მიმართ. სწორედ ამ რიტმების ცვლათა მიხედვით, გვეცვლება ფუნქციურ სისტემათა აქტივობაც. ამიტომ არის რეკომენდირებული დღის რიტმების დაცვა, რათა დღე ბიოლოგიური რიტმების შესაბამისად დავგეგმოთ.

-ძალიან კარგი, მე ვიცი რომ, რვიდან ცხრა საათამდე სიყვარულის საათია. იქნებ ვცდები?

-მართალი ხარ, ორგანიზმი ამ პერიოდში ყველაზე მეტ ჰორმონს გამოიმუშავებს, ხოლო მომდევნო საათში თავის ტვინი, ყველაზე საღად და ნათლად მუშაობს.შემოქმედებისთვის საუკეთესო დრო. შემდეგ, კი კერძოდ ცამეტ საათამდე ფიზიკური და ემოციური დატვირთვის პერიოდი მოდის და ასე შემდეგ.

-რაკი სიყვარულის საათი გვიახლოვდება მოვესიყვარულოთ ერთმანეთს და მერე შემოქმედებით დავკავდეთ. -მივაწოდე ხალასი იდეა.

ცოტა ხნით კიდევ გავაგრძელეთ მოგონებასა და სიყვარულის გარშემო საამო ჭუკჭუკი, ფეხზე კარგ ხასიათზე ავდექით, ასევე ბრწყინვალედ ჩავატარეთ საყოველდღიურო პროცედურებიც. საუზმის დასასრულს საკვლევ განყოფილებაში გავედი. მიკრომინიატურულ ელექტრონულ მოწყობილებას სპეც-პროგრამა მივაწოდე. დამუშავებული გეგმა მფრინავ აპარატში გადავაპროგრამე და გასასვლელად მოვემზადეთ.

ათ წუთში ჰაერში ასულები, კურსი მშობლიური დედაქალაქისკენ გვქონდა აღებული.არ გასულა ორი წუთი, რომ უკვე მის თავზე დავფრინავდით. მაშინვე დავიწყეთ გეგმის მიხედვით გათვალისწინებული საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის გადასინჯვა, შეესაბამებოდა თუ არა მისი ვარგისიანობა დადგენილ ნორმებს.

აპარატიდან ინფო-სხივი სიის თავში მოხვედრილ საწარმოს კონვეიერის ბოლოში გამზადებულ ნაწარმს მივმართე. ერთი ამოსუნთქვა და ანალიზის პასუხი უკვე მონიტორზე ეწერა.

-ასე სწრაფად, ეგ როგორ-მეკითხება თანაშემწე ახლა უფრო ინტერესის მიზნით და არა ცნობისმოყვარეობის გამო.

-სრულიად მარტივად, აპარატიდან გამოსხივებული, საგანგებო ინფორმაციით ჩატვირთული ლაზ-სხივი ფიქსირდება მინიშნებულ ნაწარმში და იწყებს შემოწმებას მიკრობიოლოგიის დონეზე. იქვე საზღვრავს ნაწარმის ავკარგიანობის ნორმას და გადააქვს მიღებული ანალიზის დასკვნა, ჯერ ტექსტურ უჯრედში გასაშიფრად, მერე კი აკოდირებს მონიტორზე. აი მოკლედ ეს ოპერაცია.

-შესანიშნავია, პასუხად რა მივიღეთ?

-სამწუხაროდ არადამაკმაყოფილებელი.

-მიმართვას როდის ვაგზავნით?

-ახლავე. ტექსტი მზად არის. ერთი თითის დადება და საჭირო მიმართვა სათავო ოფისში აღმოჩნდება.

-რაღას ელოდები.

-შენ, ახლა თავად გააგრძელე.

-არის. დავალება მიღებულია.

-როცა დაასრულებ, კვლავ რიგის მიხედვით განაგრძე. იმოქმედე დამოუკიდებლად.

-არის კაპიტანო.

შემოწმდა მეორე, მესამე და ასე თანმიმდევრულად.აღებული ყველა საწარმოს სინჯი და დიაგნოზი მეწარმეებს გავუგზავნეთ.

შემოწმებულიდან მხოლოდ 1/3 აღმოაჩნდა წარმოებული პროდუქციის დამაკმაყოფილებელი ნიშან-თვისების ხარისხი. მათგან უმრავლესობას, როგორც ველოდით დამწყები მეწარმის სტატუსი ჰქონდათ. მიმართვები გავუგზავნეთ მხოლოდ მათ, ვინც ვერ აკმაყოფილებდა დადგენილ ნორმებს, პროდუქციის გაჯანსაღების მიზნით.

საწარმოთა მფლობელებს არსებული პირობების დარეგულირება, როგორც მიმართვის დასკვნით ნაწილში გვქონდა მითითე-

ბული, ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოეწესრიგებინათ. ეს დრო სრულიად საკმარისი პერიოდი იყო იმისთვის, რომ მეწარმეს მიზანმიმართულად ემოქმედა და აეწია წარმოებული პროდუქციის ხარისხი.

-ჯანსაღი კვება, ჯანმრთელი ერისა და შთამომავლობისთვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, ჩვენც მოვალენი ვართ გარკვეული წვლილი შევიტანოთ მათი ჯანდაცვის დასაცავად.

-მართალი ხარ, გახსოვს მოარული ნათქვამი, ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულიაო.

-ისიც მახსოვს, რომ შენი ბედნიერება, სხვის უბედურებაზე არ უნდა ააგო.

-კი, დიდი ცოდვაა.

-ამ პრობლემის პარალელურად მათ სულიერ აღზრდაზეც უნდა ვიზრუნოთ.

-თავისთავად ცხადია, სანამ დრო გვაქვს.

-დროს რატომ უჩივი?

-მხედველობაში მაქვს ბავშვის მოვლინება, მერე ხომ ძირითად ყურადღებას ბავშვისკენ გადავიტანთ.

-ეგ მართალია, მაგრამ საშუალებას მაინც გამოვნახავთ.

-საერთო საქმისთვის ადამიანმა ყოველთვის უნდა მოიცალოს.

ჩვენი საუბარი თანდათან ზოგადსაკაცობრიო პრობლემის მოგვარებას დაუკავშირდა, იყო ისეთი საკითხები, რომლებიც შეგვეძლო მოგვეწესრიგებინა. იყო ისეთებიც, მხოლოდ ასტრონომიული პერიოდი თუ მოაგვარებდა. ცდით, უსათუოდ უნდა გვეცადა, იქნებ ჩვენი ტექნოლოგიის უშუალო დახმარებით, ცოტა მაინც სასიკეთო ცვლილებები შეგვეტანა. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული გვქონდა. აქ ჩვენთვის მნიშვნელობა ეძლეოდა დასაწყისის შედეგიანობას, რათა მის კარგ შედეგს სტიმულირება და იმედი მოეცა.

მეორე დღეს სხვაგან აღარ გავმგზავრებულვართ, ინსპექტირება ადგილზე, ქვეყნის შიგნით ჩავატარეთ. მომდევნო დღეებში ევროპის ქვეყნებს ვესტუმრეთ. როგორც აღმოჩნდა, ამ გეოგრა-

ფიულ ზონას სოციალური პირობები მნიშვნელოვანწილად მოწესრიგებული ჰქონდათ. აქედან გამომდინარე წარმოებაში პასუხისმგებლობის კოეფიციენტი, შესაბამისად მაღალი იყო, თუმცა აქაც აღმოვაჩინეთ თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევები.

რაც შეეხება მოცემულ რეგიონში გენმოდიფიცირებულ პრობლემას, თითქმის ყველა სახელმწიფოს პარლამენტმა მიიღო გაეროს დოკუმენტი, რომელიც ქვეყანას აძლევს საშუალებას, შეზღუდოს ან აკრძალოს გენმოდიფიცირებული პროდუქტებისა და ნედლეულის შემოტანა.

როდესაც დასავლეთ რეგიონის ერთ-ერთ ქვეყნიდან შინ ვბრუბდებოდით, ჩემს თანაშემწეს გეგმის მიხედვით გათვალისწინებული გრაფიკი შევახსენე.

-ხვალ ერთი კვირის თავი სრულდება, რაც ჩვენი რევიზია დავიწყეთ. უკვე დროა მეორე ეტაპის დაწყებისა.

-გადავსინჯოთ, საინტერესოა როგორი რეაგირება მოჰყვა ჩვენს მითითებებს.

-შენი აზრით, რამდენი პროცენტი იქნება გამოსწორებული?

-მე, დაახლოებით ოთხმოც პროცენტს ვფიქრობ.

-ეგ ხომ კარგი შედეგია, ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალის გადასინჯვა.

შინ დაბრუნებულებმა, მხოლოდ საღამოს აუცილებელი პროცედურები შევასრულეთ და დავისვენეთ.

დილით საჭირო ინვენტარი ავიღეთ და მშობლიური ქვეყნისკენ გავემგზავრეთ. შედგენილი სიის მიხედვით, თანმიმდევრულად დავიწყეთ სინჯების ხელმეორედ აღება .გვიხაროდა როცა დადებით პასუხს ვღებულობდით. სამწუხაროდ იყო გამონაკლისები, რომლებთანაც ვითარება საერთოდ არ შეცვლილა. შენაჯამმა აჩვენა რომ ინსპექტირებულ საწარმოთა 1/4 -მა, ჩვენი თხოვნით მიმართვა უგულებელყო. საჭირო ხდებოდა დამატებითი ზომების მიღება.

-რა სანქციის დაწესებაზე ფიქრობ?-კვლავ ნაცნობი პასუხის გაგონება სურდა თანაშემწეს.

-რაც გვქონდა გათვალისწინებული.

-დანადგარების ბლოკირება მკაცრი ზომა ხომ არ იქნება ამ ეტაპზე?

-რეაგირების გარეშე დატოვება არ შეიძლება, მითუმეტეს ეს იყო საერთაშორისო ხაზით ჩატარებული რევიზია. არათუ იგივე ხაზით გააგრძელებენ წარმოებას, არამედ უფრო გააუარესებენ პროდუქციის ვარგისიანობას, ამიტომ რაღაც უნდა ვიღონოთ, კიდევ თხოვნით მიმართვა გამორიცხულია.

-ბავშვთა ფონდში რომ დავარიცხინოთ გარკვეული თანხა?

-მეწარმე, რომელივ სურსათის უვნებლობაზე არ ზრუნავს, არა მგონია რაიმე თანხის გადარიცხვა ითავოს.

-წავუყენოთ ულტიმატუმი, ან გადარიცხვა ,ან ბლოკირება.

-მე მაქვს კიდევ ერთი იდეა. თუმცა ეს შემდგომად. ახლა შენი დაჟინებული თხოვნით გადავუწიოთ ორი დღე. თუ დროის ამ მონაკვეთში არ მიიღეს ზომები, მაშინ ვიმოქმედოთ.

-კარგი, გავუგზავნი მიმართვას და ბავშვთა ფონდის ანგარიშს, თან გავუმეორებ თხოვნას, თანახმა ხარ?

-შეასრულე!

-არის შესრულება.

...მომდევნო დღეებში ევროპის რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე საწარმოს ხელახლა გაკონტროლება დავიწყეთ. შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო. რამდენიმეს გარდა, თითქმის ყველა საწარმო გამოსწორებული დაგვხვდა. მათმა ბოდიში მოიხადეს მივლინებაში ყოფნის გამო და დაგვპირდნენ უმოკლეს ვადაში ტექნოლოგიის გამოსწორებას. ჩვენც ვენდეთ მათ სიტყვას, სტუმრობას კი მომავალ კვირაში შევპირდით.

მშობლიურ მხარეს დაპირებისამებრ ორი დღის შემდეგ მივაკითხეთ. ვითარებაც შეცვლილი დაგვხვდა. მხოლოდ ერთ მეწარმეს ჰქონდა გადარიცხული, ორი ისევ ძველ პრინციპზე იდგა. დანარჩენმა კი გამოსწორება არჩიეს.

-ახლა შეგიძლია დაბლოკო-მეუბნება მათი საქციელით შეწუხებული თანაშემწე.

-დაბლოკვა ადვილია, სულ მცირე მანიპულაციაა და გაითიშება. აქ მნიშვნელობას იძენს მათი გამოსწორება, ანუ ძნელი უფრო ადვილი გახადო.

-ბოლო ლოგარითმი ამიხსენი.

-რა არის გაურკვეველი, საწარმო, რომ ერთი ადამიანის გამო გავაჩერო, უამრავ ადამიანს უმუშევარს დავტოვებ, ის ერთი უნდა გარდავქმნათ რომ სხვებმა არ იზარალონ.

-როგორც გჩვევია, რაღაც ახალს მოიგონებდი.

-სრულიად უბრალოდ, მეთოდი შთაგონებითია.

-დამდე პატივი და გამაცნე მოქმედების გეგმა.

-გაგანდობ, თუ მომისმენ.

-გულისყურით, რაც ჩემს ყურთასმენას შეუძლია-გამცა პასუხი და თვალებში შემომხედა.

-მათ უნდა შთავაგონოთ, რომ საწარმომ იგივე ფალსიფიცირებით არ უნდა გააგრძელოს პროდუქციის გამოშვება და რომ მათ პროდუქტებში აღმოჩენილ პათოგენურ ბაქტერიებს ადვილად შეუძლიათ გამოიწვიონ სხვადასხვა დაავადება, მითუმეტეს, როცა ეცოდინება სავაჭრო ქსელში გაშვებულ ამგვარ სურსათს სავალალო შედეგი მოჰყვება, უსათუოდ დაფიქრდებიან, ანალიზს გააკეთებენ და დაასკვნიან, რომ გამოსწორება აუცილებელი და გარდაუვალია.

-მაშასადამე მათ შთავაგონებთ პრობლემის მოგვარებას.

-ასეც იქნება, ამასთანავე ჩავუნერგავთ პოზიტიური განზრახვის გამოწვევის სურვილს.

-გასაგებია, მაშინ ისიც თქვი როგორ?

-მარტივად, პიროვნებას ვაჩვენებთ მონიტორზე და ინფოსხივის საშუალებით დავიწყებთ მასზე ზეგავლენის მოხდენას, ტექსტი კი უკვე იცი.

-იმ დავიდარაბას, ასე სჯობია, ვცადოთ.-მოიწონა ახალი გეგმა.

-კეთილი.გააგზავნე მის კაბინეტში ენ-ინფო-სხივი.

-ვასრულებ დავალებას, ენ-ინფო-სხივი გაგზავნილია. ობიექტი ადგილზე არ იმყოფება.

-გაჰყევი მის ბიოველის ნაკვალევს.

-არის. მივყვები მის ბიოკვალს.

-მისი მიმართულება.

-ახლავე, ის იმყოფება მრეწველობის სამინისტროს მეორე სართულზე, მოადგილის კაბინეტში, სამნი არიან.

-ვიზიტი ალბათ გასაგებია შენთვის.

-თავისთვად ცხადია, რომ ჩვენი კოორდინატების გაგება სწადიათ.

-ნამდვილად, თუ საერთაშორისო სააგენტოს დაუკავშირდებიან ეს ჩვენთვის უკეთესია. დარეგულირების პროცესს დააჩქარებენ.

-როგორ მოვიქცეთ?

-ჩვენ ჩვენი მისია შევასრულოთ.

-კაპიტანო, მისი პერსონა ეკრანზეა.

-ჩართე ტელეშთაგონებითი აპარატი.

-არის, აპარატი ჩართულია.

-ოდნავ გააძლიერე.

-ვასრულებ. კმარა ერთი სეანსი?

-უდაოდ, გადაცემული ინფორმაცია მანამდე იტრიალებს მის ირგვლივ, სანამ არ შეასრულებს მასში ჩატვირთულ პროგრამას.

-მაშინ შედეგს მალე მივიღებთ.

-გეთანხმები, ასეთივე სეანსი ჩავატაროთ ყველა იმ პირთან ვინც ჩვენი თხოვნა არ შეასრულა, მერე ფაბრიკა-ქარხნები დავათვალიეროთ, გავიგოთ, რომელი მათგანი აბინძურებს ატმოსფეროს ტოქსიკური გამონაბოლქვებით. ჯერ მეორე საწარმოს მენეჯერი მოვძებნოთ და მას გავუგზავნოთ ჩვენი პროგრამა.

-ვასრულებ მითითებას.

-გელოდები.

-მეორე ობიექტს შთაგონებითი ინფორმაცია გაეგზავნა.

-კეთილი, ახლა შევამოწმოთ გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობა, კურსი ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

-ჩრდილო-აღმოსავლეთის კურსი აღებულია.

-მოამზადე შემოწმების მექანიზმი.

-აირების შემოწმების მექანიზმი მზად არის.

-დავიწყოთ.

-ვასრულებ.

-რას აჩვენებს?

-შხამიანი ნივთიერებების სიჭარბის გამო, ანალიზის მაჩვენებელი შკალა უარყოფითს გვიჩვენებს.

-ცუდი ცნობაა. გადვინაცვლოთ შემდეგზე.

-არის შემდეგი მიმდინარეობს შემოწმება. სამწუხაროდ აქაც იგივე ვითარებაა.

მორიგმაც ცუდი ანალიზი გვიჩვენა, საბოლოოდ რეიდის ბოლოს ხელთ სავალალო მდგომარეობა შეგვრჩა.

უმალ ყველას გავუგზავნეთ თხოვნით მიმართვები. მხოლოდ ერთი კვირის გამოსწორების ვადით. დედაქალაქისა და მისი გარეუბნების ოპერირებას რომ მოვრჩით, მომდევნო დღეებში რაიონების საწარმოების ინსპექტირება ჩავატარეთ. არც იქ დაგვხვდა სახარბიელო მდგომარეობა. რა გაეწყობოდა, ჩვენც გრაფიკული წესის დაცვით მივყევით გეგმის შესრულებას.

მთელი ნახევარი თვე მოვანდომეთ რეგიონის მიხედვით საწარმოთა დათვალიერებასა და ვითარების შეცვლას. როგორც მშობლიურ, ისე ევროპულ მხარეს.

როცა გეგმით პირველი ნაწილი დასრულდა, აზიასა და სხვა კონტინენტზე გადასვლამდე, რამდენიმე დღე დასვენება გამოვაცხადეთ.

-სანამ ვისვენებთ, არ აჯობებს განსამუხტად მოგზაურობა მოვაწყოთ?-აზრი მომაწოდა მეუღლემ.

-სად გსურს ძვირფასო?

-გახსოვს, ერთხელ რომ შემპირდი მეზობელი გალაქტიკების დათვალიერებას?

-მახსოვს.

-თუ გაგახსენდა მაშინ შეასრულე დაპირება.

-საიდან დავიწყოთ?

-სადაც ცივილიზაციის ნიშნებს შევხვდებით.

-ჰმ,ჰმ- ჩამეცინა ირონიულად.

-რატომ იცინი?

-იცი რა, თანამედროვე ტელესკოპით დღესდღეობით ორას მილიარდზე მეტი გალაქტიკა დააფიქსირეს. ჩვენ მათი დათვალიერება რომ დავიწყოთ და გავიგოთ, სად არსებობს ცივილური პლანეტა, ხომ წარმოგიდგენია, რა უზარმაზარი დრო იქნება საჭირო, თუმცა შესაძლებელია პირველივე გალაქტიკაში აღმოჩნდეს საინტერესო პლანეტა.

-ჩვენ ვცადოთ, იქნებ გაამართლოს.

კი გენაცვალე, წინააღმდეგი არა ვარ. განვეწყოთ ვოიაჟისთვის და ხვალ დილით გავიდეთ.

-ნამდვილად გამეხარდა, კარგი ბიჭი ხარ, იცი კიდევ რა მაინტერესებს?

-უცნაური თუ საცნაური?

-დავსვამ საკითხს და მერე გავარკვიოთ.

-ოღონდ მღელვარების გარეშე.

-შენ, ერთხელ აღნიშნე, რომ მეცნიერებისთვის და უკვე ჩვენთვისაც კარგად ცნობილი გახდა, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია ინდივიდუალური პირობითი ნიშნების სისტემა. რომლის წყალობითაც გვცნობს მთელი სამყარო.

-კი, მაგრამ, როგორ ვრცელდება ამ ნიშანთა ერთობლივობა ესეც თქვი, ესაა მთავარი, რომ გავიგოთ საიდან, რის საშუალებით გვცნობს სრულიად სამყარო.

-გამოცდაზე ხომ არა ვარ, დაწვრილებით, რომ მეკითხები-შეეცვალა კილო.

-საჭირო რომ არ ყოფილიყო, არც შეგეკითხებოდი, შეგიძლია გააგრძელო.

-რაკი აუცილებელია ვიტყვი. ეს არის უკვე ცნობილი ველი, რომელიც განუსაზღვრელი სიჩქარის გამო სივრცეში ერთდროულად ვრცელდება. ინდივიდის სისტემატიკასთან ერთად.ახლა,მე რისი თქმა მინდოდა.ჩემი აზრით, ადამიანის ბიოგენეტიკას გააჩნია ისეთი ენერგო მექანიზმი, რომელიც აკავებს მის თავისუფალ მოქმედებას, აზრით მაინც რომ გავიდეს სივრცეში, უკიდურეს

წერტილამდეც კი. აი, ეს რაღაც არის მისაგნები, რათა მოხსნა და შეზღუდვის გარეშე შეძლო გასვლა ნებისმიერ ადგილზე.

-და ასე გსურს კიდით-კიდამდე შემოირბინო უსაზღვრო სამყარო?

-სადღაც ხომ ექნება ზღუდე.

-ეგ არავინ იცის.

-კარგი, პრინციპში არის თუ არა შესაძლებელი. -გაუჩნდა გაგების სურვილი.

-შეიძლება. მიუღწეველი არაფერია თუ მოინდომებ.

-შენ გეტყობა რაღაც უნდა იცოდე და მიმალავ.

-საიდან უნდა ვიცოდე ძვირფასო, ხომ ხედავ სულ ერთად ვართ. სამეცნიერო ინფორმაციას თუ ვისმენთ ერთად ვისმენთ. ასეთ სასწაულს ვინ მეტყოდა.

-ვინ და მიგნების ალღო, რომელიც კარგად გაქვს განვითარებული და მეორე, პირველ დღეს აქ რომ ჩამოვვარდით, სხეულის გარეშე გარეთ რომ გახვედი, ის მართალი იყო, ფიქტიური თუ თავი მომაწონე.

-შენ რომელს აირჩევდი.

-ჩემი არჩევანი, გაჩენილ ინტერესს არ დააკმაყოფილებს. კარგი იქნება შენ თუ ახსნი.

-კეთილი, როგორმე შევეცდები ლაბირინთის გასასვლელი მოვძებნო.

-რაც შემეძლება მეც დაგეხმარები.

-შეგიძლია. საიდან დავიწყოთ. დავიწყოთ ისევ შენი წამოწყებული საკითხიდან. ბლოკ-აპარატი რომ არა, რომელიც აბრკოლებს ველის გავრცელების უნარს, მოვახერხებდით თავისუ-ფალ გაქროლვას ნებისმიერ მხარეს,ასეა არა?

-უთუოდ.

-და თუ ჩვენ ამ ბლოკს მოვხსნით,მაშინ პირად მეს მარწუხებისაგან გავათავსუფლებთ და მატერიასაც დაბრკოლებად აღარ აღვიქვამთ.ახლა აქ დავსვათ კითხვა,არის თუ არა ჩვენი მე ტვინის ნაყოფი.

-დავუშვათ არ არის,მაშინ როგორ ვიაზროვნებთ, თუ ტვინთან არ აქვს კავშირი.

-მაგ კითხვის პასუხსაც საუკუნეები ეძებენ.

-შენ როგორ ფიქრობ.

-შეიძლება ბუნებაში მარტივი მეთოდი არსებობს მის ამოსახსნელად, ჩვენ კი არცოდნის გამო რთულ გზას უნდა დავადგეთ, რომ აშკარა გავხადოთ ჯერ კიდევ ამოუხსნელი რეალობა.

-შევეცადოთ განვიხილოთ რამდენიმე მოსაზრება,იქნებ რაიმეს მიგნებამ სწორი მიმართულება გვიჩვენოს.ჩემი პროფესიული თვალსაზრისიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ნერვული უჯრედებისა და ბიოქიმიური პროცესების ნაყოფი, მეორე მხრივ დასაშვებია იყოს უხილავი, არამატერიალური, ან სრულიად მათი სინთეზი.

-გასაგებია. ახლა ჩვენ დავაკონკრეტოთ. განხილვიდან დროებით მოვხსნათ ცნობიერი. რა დარჩა. ორგანიზმის თანდაყოლილი მიდრეკილებები. როგორია ეს მიდრეკილებანი, მარტივი მაგალითი მოვიყვანოთ. თუ მოგწყურდა წყლის ძებნას დაიწყებ თუ შეგცივდა თბილ ადგილსამყოფელს, ე.ი მოქმედებები მიზანშეწონილია, მაგრამ არაცნობიერი რომლებსაც გააჩნიათ რეფლექსურ-ინსტიქტური საფუძველი, ეს არის ქცევის ის კატეგორია,რომელიც გენეტიკურადაა დაპროგრამებული და ასერიგად გადაეცემა თაობებს.

-ძალიან კარგი.ცნობიერის მიდრეკილება თუ გადაეცემა თაობებს.

-ორიგინალური შეკითხვაა. მაშ ასე, მემკვიდრეობით გადაცემული ნიშან-თვისებები ანპირობებს თუ არა მის ქცევას, თუ ანპირობებს, მაშინ მისი მოქმედების გამოხატვა ერთ-ერთი აზრობრივი ელემენტია.

-დანარჩენი ელემენტები,რომლის წიაღშია მოსაძებნი.

-ადამიანის ბიოველში. ძირითადათ იმ სექტორში, სადაც ორი ნახევარსფეროა მოთავსებული,და არსებითად ყველა საგნისა და მოვლენის საფუძველში.

-ოი, ეს ნამდვილად რთული ფორმულაა.

-გავამარტივოთ. ამ ეტაპზე ჩავრთოთ ციური სხეულები, რაკი ისინი ჩვენზე ზეგავლენას ახდენენ, მაშასადამე მათ განლაგების ადგილმდებარეობას ადვილად შეუძლია განსაზღვროს ჩვენი ბედ-იღბალიც.ასეა ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით. იღბალი ყველას არ წყალობს, ზოგს ხშირად უღიმის, ზოგს კი პირიქით. შეიძლება ითქვას,რომ ციური სხეულების ენერგო-ინფორმაცია ადამიანის ბიოველში დაბადებიდანვე კოდირდება და განაგებს მის პირად ცხოვრებას. ეს მეორე ელემენტი, მესამეზე შენ იფიქრე.მეოთხეზე მე შემოგეშველები.

-არა, შენ კარგად მიჰყვები.

-კარგი.მომდევნოს მე ვიტყვი, შემდეგ კი შენ აღმოაჩინე.

-ვნახოთ.

-ახლა გადავიდეთ ასტრალში, კითხვა ვის შეუძლია მართოს ადამიანის ცნობიერი, ვინ კალათდება მის აურაში.

-მივხვდი რისი თქმაც გსურს.

-გახსოვს არა, ეს აზრონების მესამე ელემენტი.ახლა შენ გისმენ.

-კარგი რაა. -მითხრა და პატარა ბავშვის გულსადაგი თვალებით შემომხედა. -მე დიდხანს მოვუნდები მის აღმოჩენას შენ კი უცბად მიაგნებ.

-არ სჯობს დავისვენოთ და მერე განვაახლოთ.

-ერთიც თქვი და შემდეგ.

-რადგან არ იშლი, გავაგრძელოთ. მაშ ასე, არსებობს უმაღ-ლესი გონი,რომლის უმაღლესობით შეიქმნა სრულიად სამყარო, მის მიერ ყველა ხილულსა თუ უხილავში, წვრილმანშიც კი ჩადებულია მამოძრავებელი ძალის კოდი შესაბამისი კანონზომი-ერებით. თითოეულს ასე ვთქვათ საკუთარი ორბიტა გააჩნია ასერიგად, რომ არ იყოს,რა იქნებოდა, ქაოსი, სრული უწესრიგობა, მეთანხმები არა?

-უთუოდ.

-რაკი ასეა, ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ ამ კანონზომიერე-ბის შეწევნით ხდება, ჯეროვნად ყველა ცლკეული რგოლის თანამოქმედების მოწესრიგება. პირადად მე არ გამოვრიცხავ მის

მონაწილეობას რეალობის ასახვისა და შემეცნების პროცესების აღქმაში.ესეც მეოთხე და საკვანძო ელემენტი, შემდეგში თუ სხვა არგუმენტებს მოვაკვლევთ, მასაც გავითვალისწინებთ.ახლა ზემო-აღნიშნულიდან გამომდინარე მოვახდინოთ მათი სინთეზი.სად ფორმირდება კერა აზროვნებისა. როგორც ხვდებით არა თავად ტვინის ნახევარსფეროებში არამედ ტვინთან არსებულ ბიოველში, რომელიც ყოველთვის სპეციფიურ რეჟიმშია. აქ არის ცნობიერების განსაკუთრებული ზონა. ეს ზონა იკვებება თავის წინა ნაწილებში განლაგებულ ჩაკრების მიერ გამოყოფილი ენერგიით. აი ჩემი მოკლედ გადმოცემული ფილოსოფიური სენტენცია. მგონია გასაგებად ვთქვი, აქვე ერთს დავამატებდი, შედარებით გასაგები რომ იყოს ვფიქრობ აღნიშნული ზონის მეშვეობით ხერხდება მერიდიანულ სისტემაში არსებული არხებიდან კოდირებული სიგნალების როგორც გაცემა უხილავ ველში, ასევე მიღება.

-შენი ახსნიდან ირკვევა, რომ ნამდვილად ამ ზონაში უნდა არსებობდეს ის, რისთვისაც ეს საუბარი წამოვიწყეთ.

-ეს აქსიომა არ არის, საჭიროა მეტი დამამტკიცებელი ფაქტები, რათა ჭეშმარიტებას მივაგნოთ. რთულია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. ეხლა რაც შეეხება ბლოკის მოხსნას, პირველ ყოვლისა საჭიროა გავაღრმავოთ, ჩვენი ტრენირების სისტემა. კერძოდ: გარსისგან განთავისუფლება, ჭვრეტა და ბრუნი საათის ისრის მიმართულებით,ენერგიის გააქტიურების მიზნით, კვირაში ერთჯერადად გამოვაცხადოთ შიმშილობის დღე, შენ როგორც ფეხმძიმე მსუბუქი დანაყრებით.

-იცი რისი თქმა მინდოდა.იქნებ შორი გზიდან ვუვლით. არადა შეიძლება მისი გასაღები აქვე ახლოს იყოს ჩამოკიდებული.

-ადვილია მაშინ, როცა იცი ბნელ სარდაფში როგორ მიაგნო იდუმლად ქცეულ სკივრის გასაღებს-შევესიტყვე მის ლოგიკას.

-რატომ ბრაზობ?

-არა,არ ვბრაზობ უბრალოდ ჩვენ არა გვაქვს, რაიმე ხელჩასაჭიდი ფაქტები, რომ მათი დედააზრი გამოვიყენოთ მის მისაკვლევათ, ვნახოთ მომავალი რას გვეტყვის, გაქვს კიდევ შესაკითხი?

-მაქვს, მსურდა მეკითხა, სხეულიდან გასვლისას ეფირულ სხეულს მგრძნობელობა თუ მიჰყვებოდა. აი ეს მაინტერესებდა.

-კი,ოღონდ წარმოდგენითი ტონალობით.

-შენ გეტყობა დაიღალე. მე კი არა. მიყვარს განყენებულ თემებზე საუბარი.-მოინდომა აღნიშნულ საკითხებზე კამათის გაგრძელება.

-ჰო, მოსასმენად საამოა, სალაპარაკოთ განტოლების ამოხსნის ექვივალენტი.

-რატომ, როცა რაიმეს განიხილავ, თუნდაც რეალურ სინამდვილიდან დაშორებულს,მაინც გვეინტერესება. მის სიღრმეში გინდა შეხვიდე და არიადრეს ძაფს დასწვდე.

-დღეს რას მიაგენი,ის მითხარი.

-ისეთ თეზისს, რომლის ჭეშმარიტი შესაძლებლობა, ვფიქრობ დასაშვებია, ჯერ სწორი აზრია ჩამოსაყალიბებელი.

-რა მოიფქირე. -დამაინტერესა მისმა ახალმა ვარაუდმა.

-შენ ამბობ, რომ ორივე სპეციფიურ რეჟიმშია, ანუ მათ შორის წარმოქმნილ ველში ხორციელდება აზრობრივი ნიშან-თვისებათა განწესრიგება ასეა არა?

-დაახლოებით.

-რატომ დაახლოებით?

-იმიტომ,რომ ამ წესრიგს და არა მარტო მას ჰყავს მომწესრიგებელი, უმაღლესი გონი, ვიმეორებ რომლის კანონზომიერებით წესრიგდება ყველა საგნისა და მოვლენებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება. ახლა შენ გააგრძელე.

-მე იმის თქმა მინდა, რომ დროებით დავუბრუნდეთ პირველ ელემენტს, გენეტიკურ თვალსაზრისს. თუ არსებობს ახალგაზრდობის და დაბერების კოდი ხომ შეიძლება არსებობდეს შეიძლება ითქვას კოდი, რომელიც აზროვნებისთვის აგებს პასუხს.

-დასაშვებია.

-მაშინ იქს ფაქტორს ადვილად მივაგნებთ.

-მივაგნებთ თუ ნამდვილად არსებობს.

-ჩვენ პირობებში მის დამტკიცებას როგორ მოვახდენთ?

-ეგ შენ უნდა იცოდე, ამისთვის გჭირდება ლაბორატორია ცდები რომ ჩაატარო,მე კი შენი თანაშემწე ვიქნები.

-ბანზე რატომ მიგდებ სიტყვას.

-არა,გენაცვალე, მე გითხარი შენს გვერდით ვარ მეთქი. მითხარი რაც გსურს და დაგეხმარები.

-უკვე გითხარი, მე მინდა დავათვალიერო რამდენიმე ლოკუსი. ლოკუსი არის ქრომოსომის უბანი, რომელშიც ლოკალიზებურია რომელიმე კონკრეტული გენი, ამისთვის ჩვენ გვჭირდება მექანიკური მოწყობილობა, რომ დავაკვირდეთ ქრომოსომაში სტრუქტურული გენების ლოკალიზაციის სქემას. მათი წყობის, აგებულობის და თავისებურებების შესასწავლად. დავშიფროთ თითოეულის ბიოლოგიური კოდი და სხვა კუთხით შევისწავლოთ რიბონუკლეინის მჟავა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენეტიკური ინფორმაციის რეალიზაციაში, პარალელურად უნდა მოვახერხოთ ყოველი გენის ფუნქციის მნიშვნელობის განსაზღვრა.

-ოო, შენ აღარ ხუმრობ,დაუშვათ მივაგენით. მერე რას აპირებ.

-ამით გავიგებთ: აზრი, ფიქრი, სურვილი, განზრახვა, მიდრეკილება, რას ემყარებიან, ინსტიქტების ქვეცნობიერ გავლენას თუ ჭეშმარიტ ცნობიერს.

-აი, რაც უფრო გააღრმავე საკითხი მით უფრო შორს წახვედი.საკვლევად საკმარისი დრო ნამდვილად გაქვს. ბოდიში რომ შეგაწყვეტინე.

-მე მინდა მასში გამოვყო ფუნქციური ერთეული ანუ აზრი,არა როგორც ბიოსინთეზი არამედ ბიოველის საინფორმაციო კომპონენტი.

-შენ თუ მას შეძლებ, ძვირფასო მაშინ მოგეცემა შესაძლებლობა ფსიქიკური ძალის საშუალებით, თავისუფლად გადაადგილდე სივრცეში.

-მაშასადამე შესაძლებელი არის.

-რა თქმა უნდა, ასევე შეგეძლება უშორესი მანძილიდან აზრის აღქმა და მოვლენების წინასწარი განჭვრეტა.

-მერე, დროს რატომ ვაცდენთ, ვიმოქმედოთ. -უეცრად აღეძრა ძიების სურვილი.

-კეთილი, მანამდე კიდევ ერთ ვერსიას შემოგთავაზებ.

-ერთი წუთით, სანამ დაიწყებდე წყალს დავისხავ, თორემ პირი გამიშრა.

-მეც დამისხი, რაღაც მაწუხებდა და ვერ გამეგო, თურმე მწყუროდა.

-გამომართვი.

-ჯერ შენ დალიე.

-ეს შენთვის ავავსე, ჩემთვის უკვე დავისხვი, -მითხრა და წყლით სავსე კათხა წინ დამიდგა.წყლის დალევით გული რომ ვიჯერეთ თხრობა მე უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ ვინაიდან ძალიან გვიან იყო დასასვენებლად წასვლა ვამჯობინეთ. ხოლო საუბარი ჩვენს მიერ ამოჩემებულ თემაზე მომდევნო დღეს,დილის პროცედურების შემდეგ გავაგრძელეთ...

-აბა, ჩემო კარგო, ჩაისთან ერთად გუშინდელი საკითხი წამოვწიოთ წინ. წუხელ რაღაც გინდოდა გეთქვა.

-მინდოდა. ახლა მუზა ჯერ არ მომსვლია.

-კვლავ ოხუნჯობას იწყებ? ზარმაცობა ნამდვილად არ შეგფერის. -მომცა გულახდილი შენიშვნა.

-რას ამბობ მე და ზარმაცი? ზარმაცი არის პანდა, კარგი, საიდან გსურს, რომ დავიწყოთ, შემახსენე.

-აზრის მარწუხისგან განთავისუფლების ხერხზე გინდოდა გეთქვა.

-ასეთი რამ ძალუძს ჩვენ მეგობარ პლანეტიორებს.

-რაღას ელოდები თხოვე, იქნებ გვასწავლონ საინტერესო მეთოდი.

-სხვათაშორის მათ შეუძლიათ ჩაგჭიდონ ხელი და შემოგატანონ მთელი მზის სისტემა, ასეთი ინფორმაციაც მაქვს ამოკითხული.

-იქნებ გამოგვადგეს მათი ცოდნა ამ საკითხში,ან გზას გვიჩვენებენ.

-ჯერ ჩვენ ვცადოთ, ექსპერიმენტის პროცესში მას თუ არა,იქნებ სხვა იდუმალ მხარეს მივაგნოთ,ძიება და დაკვირვება მაინც საჭიროა.

-გეთანხმები, საიდან დავიწყოთ. -აისწრაფა საკვლევი ცდის ჩატარება.

-სტარტი ავიღოთ, იმ საკვლევი საკითხიდან რომლითაც დაინტერესდი

-კი მაგრამ დათვალიერებას გენური ინჟინერიის დონე დასჭირდება. უჯრედიდან გენების გამოყოფა იქნება საჭირო და მათზე გარკვეული მანიპულაციების შესრულება. არაა გამორიცხული გენური მასალის შეცვლაც მოგვიწიოს, ეგრედწოდებული მუტაცია ექსპერიმენტის პირობებში. იქნებ შენ გაქვს უფრო მარტივი შერჩევითი აზრი.

-არც ეს არის მარტივი რასაც მე ვფიქრობ.

-თქვი,რომელსაც უფრო ხელსაყრელს ჩავთვლით იქიდან დავიწყოთ.

-გეტყვი, უკვე ვიცით რომ მთელი სამყარო ინდივიდუალური კოდის საშუალებით გვცნობს და რომ ეს კოდი ვრცელდება ჩვენიდან გამოსხივებული ველის საშუალებით, მოკლედ თუ მის აქტივობას შევზღუდავთ ანუ ჩვენი დიაპაზონით შემოვფარგლავთ, ან გამსვლელ არხის პორტალს დავხურავთ, იმ მიზნით რომ მის ნაცვლათ ალტერნატიულ არხს ჩავანაცვლებთ და აზრს გარკვეულ ფორმას შევძენთ,ადვილად შეგვეძლება სივრცეში გადაადგილება.

-ეგეც რთული არჩევანია, სად და როგორ ვეძიოთ.

-ორგანიზმის ელექტრულ ველებში.

-ასეთ საკითხს ბიოფიზიკის დარგი სწავლობს.

-ჩვენც შევისწავლით თუ მოვინდომებთ,ვფიქრობ ბიოველიდან გადის სწორედ ის სიგნალი, რომელსაც თან მიჰყვება პირობითი შემოკლებების ნაკრები.

-მაშინ ამ ნიშნების წარმოქმნის წყაროა მისაკვლევი. იქნებ ინფორმაციული გენეტიკური აპარატიდან დაგვეწყო.-შემომთავაზა ახალი საკვლევი იდეა.

-შეიძლება, თუმცა მე ვფიქრობ აღნიშნული პირობითი ნიშნები სრულიად სხეულის ენერგეტიკული ცენტრებიდან

გამოედინებიან, შემდეგ ჯგუფდებიან და ქმნიან ერთსახელიან კოდს. -გავაცანი ჩემი მოსაზრებაც.

-თვისებრივად ორივე მიმართულება, საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანს, ჩემი აზრით.

-თეორიული არგუმენტებით შორს ვერ წავალთ, დროა ვიმოქმედოთ.

-მე არა ვარ წინააღმდეგი. პირველყოვლისა, გვჭირდება მოწყობილობა ისეთი მექანიზმით, რომელიც დაგვეხმარება არჩეული მოქმედებების ჩასატარებლად, ასევე სხვადასხვა სპეციფიკური ხელსაწუყოებიც. ისინი შენ უკეთ იცი. -შემახსენა, ჯერ დაუდგენელი ტექნიკური იარაღების დამზადება.

-გავიდეთ ლაბორატორიაში და საუბარი იქ გავაგრძელოთ, თანვე დავიწყებ ისეთი სისტემის შექმნას, რომელმაც შეძლოს კომბინირებული მოქმედებების შესრულება, რომ მიცემული ამოცანა რაციონალურად გადაგვიწყვიტოს. მასში იქნება ინტეგრალური სქემა და ინტეგრატორი, წარმოგვიდგება, როგორც მექანიკურად გამოსათვლელი ხელსაწყო. ეს არის სისტემა სისტემაში.- ვურჩიე ცალკეული ხელსაწყოების დამზადების სანაცვლოდ.

-ეგ ხომ მეგატექნოლოგიის რანგია. კერძოდ რას გამოგვითვლის?

-ნებისმიერ მიცემულ დავალებას, თავისი დიაგნოზით.

-რაღაც დაუჯერებელს ამბობ. -ეჭვმა გადაძალა მისი დამაჯერებლობა.

-დაუჯერებელი იქნება მანამდე სანამ არ იხილავ. რაც შენ ექსპერიმენტით გინდა ჩაატარო მას აუარებელი დრო დასჭირდება. ამ ტექნოლოგიას კი რამდენიმე წამი.

-მე ჩამოწერას ვაპირებდი რა და რა დასჭირდებოდა. შენ კი თითქმის მზად გქონია პროექტი. მაგ საოცრებას მაშინ ვირწმუნებ როდესაც შექმნი.

-შენ მხოლოდ თვალი ადევნე.

-მომისმინე.

-გისმენ.

-ენერგეტიკული ცენტრების გამოსაკვლევად თუ წაგვად-გებოდა.

-კი. ოღონდ პროგრამის ჩამატება დასჭირდება, დანარჩენ ოპერაციას თავად შეასრულებს.

-ძალიან კარგი. -გაეხარდა -სხვა რა არის გასათვალისწი-ნებელი?

-წვრილმანი დეტალები კვლევის პროცესში გამოჩნდება. რაღას ველოდო, მე დავიწყებ, შენ მანდ იყავი და დატკბი ყურებით.

კომპას-აპარატი მოვიმარჯვე. სათანადოდ შემუშავებულო პროგრამა მივაწოდე და სანამ შესრულების ნიშანს მივცემდი, კიდევ ერთხელ გადავამოწმე მიცემული დავალება და აპარატი მუშაობის რეჟიმში მოვიყვანე.

ათი წუთის განმავლობაში თვალს ვადევნებდით როგორ მუშავდებოდა მომავალი უნივერსალური ხელსაწყოს ტექნიკური ნაწილები. ვისხედით და ვაკვირდებოდით ყოველ მცირე ციკლის დასასრულსა და უკვე შექმნილი ცალკეული დეტალების ერთმანეთთან დაკავშირებას.

წარმოების ციკლის დამთავრებისას ხელსაწყო ჰორიზონტა-ლურად მაღლა ამოიწია და შეჩერდა.

-ხელსაწყო მზად არის, შეგვიძლია გამოვიყენოთ. -ვთქვი და მეუღლეს გადავხედე.

ის ჩაფიქრებული, უძრავად იჯდა და დუმილით ცნობისმოყვარეობას აწუხებდა.აღარც მე მითქვამს სიტყვა. თავი სავარძლის ზურგს უკან გადავწიე და ნახევრად დახურული თვალები ნათურას გავუსწორე. სინათლის მოციმციმე ტალღების თვალთვალში, არა მისმა ჩვეულებრივმა ციმციმმა მიიქცია ყურადღება, არამედ მისმა სიღრმისეულმა იდუმალებამ. უცებ აზრი გაჩნდა, რა საშუალებით იყო შესაძლებელი სიბრტყიდან სიღრმეში გადანაცვლებისთვის. ამ ფიქრში ვიყავი როცა მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი.

-სად წახვედი, დაუბრუნდი დისლოკაციის ადგილს-ჩამომძახა მეუღლემ ღრმა ფიქრებში წასულს.

-შენ სად იყავი, რომ გელაპარაკებოდი და ხმას არ მცემდი?- გამოვექომაგე მეშენიშვნეს.

-მე ხელთუქმნელ ხელსაწყოს ვაკვირდებოდი.

-რატომ არ გამაგონე, რამ გაგარინდა?

-ეიფორიულმა მდგომარეობამ გასაქანი არ მომცა, რომ პასუხი გამეცა.

-ახლა თავს კარგად გრძნობ?

-საუცხოოდ.

-მაშინ გავაგრძელოთ ჩვენი ექსპერიმენტი. ცდის პირი მე ვიქნები, შენ დამკვირვებელი. თანახმა ხარ?

-კი, თუმცა მის წასამართად, სახელმძღვანელო მითითებები დამჭირდება.

-მართალი ხარ, ინსტრუქციას ახლავე გაგაცნობ, ყურადღებით მისმინე. დააკვირდი, ამ ღილაკით შევდივართ ცნობარის განყოფილებაში.აქ კი ჩამოწერილია რას ვიკვლევთ. პირველი სომატური, მეორე ფსიქიკური, მესამე ენერგეტიკული, შემდეგ კონკრეტულად რომელი პუნქტი გაინტერესებს მიანიშნებ, ვთქვათ სომატური, შედიხარ მასში და აქვეა საგნობრივად განსაზღვრული ქვე-პუნქტები, აირჩევ რომელიც გაინტერესებს, რა მიზნით, დააფიქსირებ და დაელოდები. პასუხს ეკრანზე გიჩვენებს. არის რაიმე გაურკვეველი?

-ყველაფერი გავიგე, მხოლოდ ერთი შეკითხვა, დრო დიაგნოზისთვის განსაზღვრულია?

-დროის პერიოდს თვითონ საზღვრავს. საშუალოდ სამი წამიდან ოც წამამდე.

-ასე მცირე? საინტერესოა, კარგი, შეგვიძლია დავიწყოთ.

მე მოხერხებულად მოვთავსდი მოწყობილობის წინ განკუთვნილ ადგილზე, ხერხემლით მისთვის გამოყოფილ საზურგის ვერტიკალურ ჭრილს შევეხე და მოქმედების დაწყება ვანიშნე. მიუხედავად იმისა, რომ მოკვლევა გულდასმით დაიწყო პროცედურების შესრულება მაინც უძნელდებოდა. მის დაძაბულობას გაიშვიათებული სუნთქვა მაგრძნობინებდა. ჯერ კიდევ ეძებდა მისთვის საჭირო სექტორს.

მე მაშინ მივხვდი მის მიგნებას, როცა ღრმად ამოისუნთქა. ჩართო და გადმომხედა.

-როგორ გრძნობ თავს, -მეკითხება. არა მხოლოდ იმისთვის რომ მალოდინა, არამედ ძიება რომ გაუგრძელდა.

-ექსპერიმენტის პირობების მიხედვით, თუ ვიმსჯელებ, ცდის ობიექტს როგორც შეეფერება.

-ცოტაც მოითმინე და პასუხს წაგაკითხებ.

-სხვა რა ძალა მაქვს. -მივუგე მშვიდად.

-აგერ ინფორმაციებმა ამოტივტივება დაიწყებს. მალე სქემატურად ყველა მონაცემი სახეზე გვექნება. აი უკვე გამოიტანა, მოდი და ერთად დავათვალიეროთ.

ეკრანზე ჩანდა შესანიშნავად გამოტანილი სქემა, და ორი სპირალი, სქემაში ცალკეა ნაჩვენები მისი სპეციალიზებული სისტემები, თავისი განსაზღვრული ფუნქციებით, უფრო ქვემოთ გენების მოქმედების პრინციპი, ინდივიდის განვითარების პროცესში რა როლის შემსრულებლის მქონეა. თითოეული გენის მემკვიდრულ-ინფორმაციულ სტრუქტურაში ვკითხულობთ არა მარტო გადმოცემულ ნიშან-თვისებებს, არამედ მის კონკრეტულ ფუნქციას და რაც მთავარია, ჩვენ მივაგენით გენს, რომლის სტრუქტურულ ერთეულში ჩადებულია ფარული შესაძლებლობა და რომლის უნარის გააქტიურება პარარელურად გამოიწვევს აზრობრივი პოტენციალის ამაღლებას.

-ძვირფასო ჯერჯერობით კარგად მივყვებით. ახლა მეორე ეტაპისთვის უნდა ვიზრუნოთ.

-რა გაქვს მხედველობაში.

-ჩვენ მივაგენით ერთ უცნობს, ამჯერად მეორეა მოსაძებნი.

-რას გულისხმობ?

-მიტოქონდრიები ხომ წარმოადგენენ უჯრედის სუნთქვის ენერგეტიკულ სისტემას?

-კი, აგრეთვე ცენტრსაც.

-იქნებ მსგავსი ფუნქცია გააჩნია ენერგეტიკულ ცენტრებს. შეიძლება ისინი არიან სრულიად მკვებავი და ცნობიერების მოწყობის ორგანიზაციის ერთგვარი ფორმა.

-არც მე გამოვრიცხავ შენს ვარაუდს. -მიპასუხა მცირე დაყოვნების შემდეგ.

-თუ დაემთხვა ჩემი ვარაუდი, მაშასადამე, ისინი გარკვეულ პრინციპს ეფუძნებიან რაც იდუმალებასთან ურთიერთკავშირზე მიგვითითებს, ეს კი ახალი კარიბჭის აღმოჩენაა.

-მისი აღმოჩენა სად მიგვიყვანს? - კითხვა ისეთი ინტერესით დასვა, რომ პასუხის მოლოდინში თვალს არ მაშორებდა.

-იქ სადაც თავიდანვე ფიქრი დაგებადა.

-რას ამბობ, მერე რას უყურებ? -მეკითხება გაკვირვებული.

-შენ ძვირფასო.გელოდები, მე ცდის პირი ვარ.

-მერე დაიკავე შენი ადგილი.-მიმითითა ხელის წინ გაშვერით.

-ჩემი მოვალეობის შესრულება ძნელი არ არის, შენი მითხარი, თუ გახსოვს ოპერაციისთვის როგორ უნდა იმოქმედო.

-რასაკვირველია მახსოვს.

-მაშინ შეგიძლია სტარტი აიღო.

მე ჩემი ადგილი წესისამებრ დავიკავე, მღვიმის ჰაერი ღრმად შევისუნთქე და განვეწყვე. ლაბორატორიაში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ რიტმული სუნთქვის ხმა მესმოდა. ეტყობოდა პროცესის დასაწყისში უემოციოდ ადევნებდა თვალს ეკრანს. როცა ოპერაცია დასასრულს მიუახლოვდა, ჯერ ჩუმი, შემდეგ კი მისი აღფრთოვანებული შეძახილი შემომესმა.

-ეს რა მივიღეთ, დაუჯერებელია.

-არ იტყვი რა მიიღე?

-შენი დახმარება მჭირდება.

-როგორ დაგეხმარო, მე ხომ ცდის პირი ვარ, შენ კი მეცნიერ-მუშაკი.

-ხუმრობის დრო არ არის. ადექი და მოდი.

-კეთილი, ვნახოთ რა გამოიკვლიე,-ფეხზე წამოვდექი, შემოვბრუნდი და ეკრანს გადავხედე.

-მოდი შეხედე, -მითითებს მიკვლეული მონაცემისკენ. მოკვლეული არის აბსოლიტურად ყველა ენერგეტიკული ცენტრი, ანუ ჩაკრები, მათ შორის შვიდი ძირითადი ცენტრი და მათი

გავრცელების ზონები. ისინი განთავსებული არიან ენერგეტიკულ ველში. დაშიფრულია აგრეთვე თითოეულის დანიშნულება, რომ ჩაკრები წარმოადგენენ ერთგვარ გამტართა სისტემას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ჩვენთვის აუცილებელი ენერგიის მიღება და ასევე გაცემა. ყოველი მათგანი ხასიათდება, საკუთარი ფერით, პირობითი ნიშნებით და ფუნქციებით, ახლა დააკვირდი მეორე სქემას, მათი განლაგების ადგილის გასწვრივ მდებარეობს ნერვული წნულები, ეს ის სიმპატიკური ნერვული სისტემებია, რომლის დახმარებითაც ხდება მთელი რიგი ორგანოების და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აგზნება და სტიმულირება. გაანალიზებულია ასევე უჯრედებსა და ქსოვილებში მიმდინარე ელექტრული მოვლენებთან ერთად ნივთიერებებისა და ენერგიის ცვლათა კომპოზიცია. უფრო ქვემოთ ვკითხულობთ, ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპონენტების რამდენიმე კომბინაციას, მათ შორის არის ფარული შესაძლებლობის კოდიდან ნერვულ სისტემის ცენტრალურ ორგანოში გადაცემული სიგნალების გარდაქმნა ინფოსაზრის წყობად რომლის გარდამავლობას, შემეცნების პროცესად, ანუ ამ პროცესის მოდულირებას უზრუნველყოფს თავის ტვინთან არსებული შუბლის ინდიგოს ფერისა და თხემის იისფერის ენერგეტიკული ცენტრების მიერ გარე სამყაროდან გამუდმებით შემომდინარე ექსტრა ტალღების აქტივობა.

-სად ფოკუსდება იქნებ ესეც არის მინიშნებული.

-არის, ეს ხდება ენერგეტიკულ ცენტრებსა და ნერვულ სისტემის ცენტრალური ორგანოს შორის წარმოქმნილ ველში, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს გარე სამყაროსთან.

-კეთილი, მოდი ასე დავსვათ კითხვა, ემოციები, განცდები, საერთოდ ფსიქიკური ფუნქციები, გასაგებია ჩემთვის, მაგრამ თვით შემეცნების თანმიმდევრულობა, აზროვნების კატეგორიაში, როგორ? მოკვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ბიოქიმიური და ელექტრული ენერგიების სინთეზი და მისი ნაყოფი. თავდაპირველად ველში თავმოყრილი კომპონენტების კომბინაცია წარმოშობს მცდარ კომპლექსს, რომელიც შემდგომ

მეყსეულად განიცდის გარდაქმნას და მეტამორფორზირდება ცნობიერად.

-აქვე ისიც თქვი მოცემულობები რარიგად უნდა დაამტკიცო.

-მაგალითისთვის მოვიყვანოთ ტელეპატი, ადამიანი რომელსაც შეუძლია შორი მანძილიდან გადასცეს ინფორმაცია მეორე პირს. გრძნობათა ორგანოების მონაწილეობის გარეშე.

-იქნებ ფსიქიკური მდგომარეობაა ასეთი?

-მეცნიერულად აქამდე ჯერ აუხსნელი მოვლენაა, შენ თუ ფიქრობ, მასში ნერვულ-ფსიქიკურ სისტემა იღებს მონაწილეობას, მაშინ მითხარი, როგორ გადასცემს ინფორმაციას ნებისმიერი სიშორიდან ფუტკარი ან ჭიანჭველა თავისიანებს, საკვების ადგილს ან მანძილს.

-ვერ გეტყვი.

-დაუფიქრებლად ნუ მპასუხობ.

-რა გიპასუხო, შეიძლება ეს იყოს საორიენტაციო სახის, რეფლექსურ-ინსტიქტური მდგომარეობა.

-კეთილი, ახლა ის მითხარი რა საშუალებას იყენებენ ამისთვის.

-შესაძლოა ბიოადაპტერს, ან სრულიად უპირობო რეფლექ-სიდან წარმოქმილ ინფობგერით რხევებს გადასცემს მიმღებში არსებულ ბიომექანიზმს, ასე ვთქვათ პარაბოლისებრ ანტენას, მიმღები კი რეაგირებს მიღებული ინფორმაციის მიხედვით.

-კარგი ვერსიაა, მაშინ ისიც თქვი, ღამურა როგორ ორიენტირებს ფრენისას.

-ეგ ხომ ვიცით, გამოცემული ბგერითი ტალღების საშუალე-ბით. ამით რა გინდა, რომ მიმანიშნო?

-ახლა გადავიდეთ ადამიანზე, მითხარი, როგორ აიძულებს ექსტრასენსი, ტერიტორიულად შორს მდებარე დარბაზში მსხდომ ცალკეულ ადამიანს შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

-შთაგონებით.

-მართალი ხარ. რა საშუალებით, დაფიქრდი და მიპასუხე.

-რა გიპასუხო ასეთ ფენომენებს ახლაც იკვლევენ. ყოველი პიროვნება მეტ-ნაკლებად თანდაყოლილი ნიჭით გამოირჩევა. ფი-

ზიკის, მათემატიკის, ფილოსოფიის, არიან იშვიათი ინდივიდე-ბიც, რომლებზეც მეცნიერებს დამაკმაყოფილებელი პასუხი ჯერ არ გააჩნიათ.

-შენ თუ გაქვს მიახლოებით მაინც?-კვლავ ვაგრძელებ ჩაძიებას.

-მე ერთი რამ შემიძლია ვთქვა.

-რაიმეს აღმოჩენასთან, შესაძლებელია ეგეც საკმარისი იყოს, გისმენ.

-მხედველობაში მაქვს, როგორც რედგენის სხივებს შეუძლია დაბრკოლების თავისუფალი გადალახვა, ასევე ამ ფენომენებსაც შეუძლიათ წინააღმდეგობის გარეშე გავიდნენ პორტალიდან, იქ კი ისეთი კომუნიკაციის სისტემაა, ადვილად შესაძლებელია ინფორმაციის გადაცემა.

-პასუხს უახლოვდები.

-შენ თუ იცი, მე რას მაწვალებ.

-მე საიდან, უბრალოდ გაგულიანებ, იქნებ რაიმე საინტე-რესო წამოგცდეს.

-მერე, რა დაიჯერე.

-ისეთი საჭირო აზრი საიდანაც შეიძლება რაღაც დააშენო.

-როდის გამიმხელ დასაშენებელ მასალას?

-როცა საფუძვლის ჩაყრას დაასრულებ.

-იქნებ, ამჯერად შენი აზრი მომასმენინო.

-კარგი. საიდან დავიწყო, რაც გაინტერესებს თუ რაც მოსაძებნია ამოსახსნელად.

-გვაღირსეთ ჩემო ბრწყინვალებავ თქვენი შეხედულება.-შემომთხოვა დელიკატურად მეუღლემ.

-ახლავე გენაცვალე, შენ თითქმის ყველა კითხვას უპასუხე, მე მხოლოდ შენს წამოწყებულ თეორიულ ვერსიას ერთ გარემოებას დავამატებ, რომ ყოველი ინდივიდის იდუმალ შესაძლებლობათა ფსკერზე, საგანგებოდ თვლემენ სხვადასხვა უჩვეულო ნიშან-თვისებები. ზოგი დაბადების დღიდანვე იწყებს ამ უჩვეულო უნარიანობას, ზოგს გვიან ევლინებათ ესა თუ ის ფარული

თვისებები. არიან ისეთებიც რომლებიც სპეციალური ტრენინგებით აღვივებენ მიმქრალ პოტენციალს.

-ერთი წუთით, ჩვენ როდის გავაღვიძებთ ამ იდუმალებას?

-სულ მალე, ოთხ-ხუთი თვის შემდეგ.

-მე რომ უკვე ბავშვიანი ვიქნები?

-სწორედაც რომ ამას აქვს მნიშვნელობა ჩვენს პატარას თანვე დაჰყვება ზეგარდმო ნიჭი და განსაკუთრებული მგრძნობელობა გარე სამყაროს მიმართ.

-რას ნიშნავს?

-ნუ დავასწრებთ ჩემო დედოფალავ მოვლენებს, თავის დროზე ყველაფერს შევიტყობთ.

-კარგი, მაშინ დაასრულე ზემოთ დაწყებული შენი მოსაზრება.

-ჩვენ ვსაუბრობდით უნარზე, რომელიც არსებობს ფარული სახით და მისი შესაძლო გამოვლენა შესაფერის პირობებში. დავიწყოთ გარედან, ჯერ ჩვენ საჭიროა თავიდანვე ვიცოდეთ, რომ ხილულ და უხილავ სამყაროში ყოველივე ვიბრირებს, ცხადია სხვადასხვა სიხშირით. ამ ვიბრირების მეშვეობით ყველა ნაწილაკი თუ საგანი ერთმანეთს ეკანონზომიერება. ურთიერთ დამაკავშირე-ბელი საშუალება კი ენერგო ქსელია, ჩვენ თავისთავად ამ ქსელთან ვართ კავშირში.ნებისმიერი წარმოთქმული სიტყვა თუნდაც ფიქრი მისი მეშვეობით გადაეცემა კიდით კიდეს, ხოლო ადამიანი ფენომენი, თავისი განვითარებული სენსორული აპარატისა და აღნიშნული ქსელის უშუალო ხელშეწყობით ახერხებს აღიქვას ენერგეტიკულ ცენტრებსა და ნერვული სისტემის ცენტრალური ორგანოს შორის არსებულ ველში უკვე შემოსული ინფორმაცია.

-ასე ჩემო კარგო, -ჩამერია საუბარში. -ძალზე შორს წავალთ-მერე რაღაც თქმა დააპირა მაგრამ უმალ გადაიფიქრა და მოკვლეულ მასალების შედეგებზე მთხოვა რამდენიმე სიტყვა მეთქვა.

-შენ გაინტერესებს აზრი მისი ეფირული ფორმა და გადაადგილება შეზღუდვის გარეშე, არა?

-კი, ხომ ვთქვით რომ თუ ჩავკეტავთ გამსვლელ კოდს, განვთავისუფლდებით გარსისგან და წარმოვიდგენთ თავს შორეულ პოლუსზე, აზრი შეიძენს ეფირული ველის ფორმას.

-ვთქვათ, კოდი ხომ უნდა ვიცოდეთ.

-აუცილებლად. მაშინ მისი ცოდნისთვის ისევ გამოკვლევა გვჭირდება.

-უსათუოდ, მოვემზადოთ და დავიწყოთ.

-ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ და კვლევა განვაახლეთ.

ერთი წუთი ველოდე მის შემდგომი მოქმედებების შესრულებასა და დასრულებას, მაგრამ ამაოდ. თვითონ არაფერს მეუბნებოდა. არადა მე ვგრძნობდი რომ ამ ეტაპზე უჭირდა გამოთვლითი პროცედურების რეგულირება. ჯერ არ მინდოდა ხელი შემეშალა, მაგრამ როცა დრო გაუგრძელდა ვეკითხები.

-რატომ დახმარებას არ ითხოვ?

-თავად მინდა გავართვა თავი.

-არც მე არსად მეჩქარება. ვიჯდები და დაგელოდები,- ერთხელ კიდევ ღრმად შევისუნთქე და მღვიმის დაუფარავ კედლის ნაწილს გავხედე.

კიდევ ერთი წუთის გასვლის შემდეგ, როცა იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა უკვე ინება და მეუბნება.

-ისეთ ქვეპუნქტში მოვხვდი ეკრანის შუაგულში, მხოლოდ წრიული ისრის ფორმა ჩანს, მივანიშნე მაგრამ რეაგირების გარეშე.

-ქვემოთ მარჯვენა კუთხეში ინდიგოს ფერი, რომ აინთება, მინიშნება გაიმეორე.

-აინთო, შევედი. თორმეტი ჩამონათვალი სამი განყოფილე-ბისგან შედგება.

-რომელიც გაინტერესებს ის აირჩიე.

-არჩეულმა განყოფილებამ ოთხი დასახელება მომაწოდა, ოთხივე საჭირო პროცედურაა. მის ქვემოთ გრაფა საერთო მოქმედებას მიჩვენებს. მეც ეს ავირჩიე და პასუხს ველოდები.

-დაელოდე სანამ მოვალ პასუხიც უკვე იქნება.

-პასუხი მართლაც უცნაური მივიღე, ლიტერებითა და ნიშნებით აღნიშნული საიდუმლო ტექსტი.

-ნუ განიცდი ჩემო მკვლევარო, აგერ ჩემს კომპას-აპარატს, მის გასაშიფრად ცალკე პროგრამას მივაწვდი და რამდენიმე წამში მზად იქნება.

ერთიოდე წუთის გავლის შემდეგ ახლად შემუშავებულმა პროგრამამ კოდი წინა პლანზე გამოგვიტანა. ეს იყო ბგერების წარმოთქმა სპეციფიკური ხმოვანებით.

-ეს რა გამოცანები მოგვაწოდა?! -თქვა გაკვირვებულმა.

-როგორმე უნდა ამოვხსნათ.

-მაშინ ამოხსნის ცოდნაა საჭირო.

-ძიების განყოფილებას დავათვალიერებ, აგერ ისიც, შევიდეთ სადაც გვითითებს და აი შესრულების ხერხიც,

-როგორ მარტივად არის წარმოდგენილი.

-გეთანხმები ყველაფერი ნათელი გახდა.

-აბა, შენებურად ახსენი მათი მნიშვნელობა.

-პირველი ორი ბგერა შენს კოდს ასაიდუმლოებს, ანუ ის რჩება მხოლოდ შენს განკარგულების ქვეშ. მეორე წყვილი ბგერითი ჟღერადობა უერთდება სამყაროს მოგუგუნე ხმის რხევით სიხშირეს. მესამე წყვილი იქს-იგრეკი, ეს უკვე შენს სურვილს გულისხმობს.

-ასე უბრალოდ.

-აქ კიდევ სვლების გათვალისწინება მოგვიწევს.

-მითითებული რომ არ არის.

-არის, თუ დაუკავშირდები. გვერდზე ორი სხვადასხვა ფერის თავშექცევით მიმართული ისრებია მინიშნებული.

-ამით რას ვითვალისწინებთ?

-ჯერ მეორე წყვილ ბგერას წარმოთქვამ მუსიკალურად, სადაც უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ბგერით ვიბრაციას და მის ენერგეტიკას, ეს გაძლევს საშუალებას, რომ გზა გაიხსნა სივრცეში, მერე მეორე წყვილ ბგერას წაიდუდუნებ შემდეგ კი, იქს-იგრეკის მაგივრად ჩასვამ შენ განზრახვას და ინავარდებ მიწოდებული სურვილის მიხედვით.

-როდის ვცადოთ?

-ჯერხანად წავარჯიშება მოგიწევს, მხოლოდ მეორე წყვილი ბგერის მუსიკალურ წარმოთქმაში.

-რამდენჯერ?

-დღეში სამჯერ, ყურადღება მიაქციე ბგერათა ვიბრირებას, ხოლო რაც შეეხება პირველ ორ ბგერას ის ჩემი პირადი კოდია, შენ კი მოგიწევს დაადგინო შენი ინდივიდუალური, ამისთვის გამოკვლევაა აუცილებელი თუ არ დაიღალე ახლავე შეგვიძლია განვაახლოთ მოკვლევები.

-ნუ გადავდებთ

-მაშინ დაიკავე ჩემი ადგილი.

-მე იქ რა მევალება?

-იჯდები დაუძაბავად. საზურგეს მიეყრდნობი და ისუნთქებ თავისუფლად.

-კარგი-მომცა თანხმობა, ჩამოჯდა და შემომხედა. -გელოდები, მე მზად ვარ კვლევის ჩასატარებლად.

... მისი პირადი კოდის დადგენა, რომ დავასრულე იქვე შევამოწმე, მისი ორგანიზმის მემკვიდრეობითი საფუძველი, ყველა შინაგანი და გარეგანი ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, ასევე რაც ჩემთვის მთავარი იყო მისი ჩანასახის დაკვირვებით გაცნობა, თუმცა, არა ჩანასახის უკვე ნაყოფში გადასული, ეკრანზე რომ ტყუპები დავინახე ლამის შევყვირე, მაგრამ თავი შევიკავე, იმ მიზნით რომ მისთვის შესაფერისი დრო მომენახა და მიმეხარებინა. საშვილოსნოში მათი განვითარება ნორმალურად მიმდინარებდა. გასტრულის ექტოდერმის სტადიას ამთავრებდნენ. ჯერ კიდევ ორი სტადიის საკმაო დრო ჰქონდათ გასავლელი. ძიებაში ისე გავერთე, დრო აღარ გამითვალისწინებია.

-რაღაც დიდხანს გაგიგრძელდა მოკვლევა.- შემომჩივლა მოლოდინით შეწუხებულმა. -რა ხდება, რამე პრობლემაა?

-არა, ძვირფასო, ყველაფერი აჟურშია. თავდაპირველად შენი ფენოტიპი მოვიკვლიე, მერე კი პირადი კოდი, შეგიძლია მოხვიდე და ნახო.

გამომთვლელ ხელსაწყოდან ყველა მონაცემი ამოვწერე და ავანზალში გავედით, თან ფიქრი არ მასვენებდა, როდის შემერჩია

სანუკვარი წუთი, რომ მისთვის გამემჟღავნებინა, ასე გადიოდა საათები. ბოლოს გადავწყვიტე ქალაქში გასვლის დღე დამემთხვია, თანვე კონკურსში მოგებულ ბინასაც დავლოცავდით.

...წინა დღით გავაფრთხილე, რომ ამ საღამოს მოვმზადებულიყავით და ნასაუზმარს კურსი ქალაქისკენ აგვეღო. რასაკვირველია გაეხარდა. გადამეხვია, გადამკოცნა და თბილ სამოსელს გამალებით დაუწყო ძებნა. მთელი საღამო შფოთავდა.

დამშვიდდა დილით, როცა საფრენ-აპარატში შევიდა.

ცენტრალურ გამზირთან ახლოს ჩამოვედით. მოპირდაპირე მხარეს გადასულებმა გამზირს ქვემოთ დავუყევით. სწორედ ამ მხარეს იყო ისეთი საფირმო მაღაზიები, სადაც სარიალიზაციოდ უმაღლესი ხარისხის სამოსელი ჰქონდათ გამოტანილი.

-ჯერ ვიშოპინგოთ თუ რამეს მიირთმევ, -ვეკითხები მომღიმარ მეუღლეს.

-თავიდან ის გაამხილე, რა გაქვს მოფიქრებული. -დასძლია ცნობისმოყვარეობამ.

-შენთვის მინდა კარგი ტყავკაბა ავარჩიო.

-რაა, რამ მოგაფიქრა ეს არჩევანი, ტანსაცმელი შენი წყალობით საკმაოდ გამაჩნია, ნაწილი იქიდან არც კი ჩამიცვამს.

-მივიდეთ, იქნებ უკეთესი რამ ვნახოთ, თუნდაც ზამთრის ჩექმები, არჩევანი მრავალფეროვანი გვექნება.

-რაკი არ იშლი, შევარჩიოთ.

-სათითაოდ მაღაზიებში შესვლას, ცოტა ქვემოთ უზარმაზარი სავაჭრო ცენტრია, პირდაპირ მისკენ გავწიოთ, გზადაგზა მოიფიქრე კიდევ თუ რამე გსურს, რომ შეიძინო.

-თუ ოჯახისთვის საჭირო რამ შევნიშნეთ, შევიძინოთ, სხვა მე არაფერი მინდა.

-თავს როგორ გრძნობ.

-მშვენივრად.

-თუ სასმელ-საჭმელი მოგსურდა არ მოგერიდოს, თავისუფლად იგრძენი თავი, არ დაიმორცხვო. -წავეოხუნჯე მეუღლეს.

-კარგი, როგორმე გადავლახავ სიმორცხვის ბარიერს.-არც თვითონ დაიხია უკან.

-აგერ კიდევაც მოვედით.

იმ სართულზე ავედით სადაც მხოლოდ ქალებისთვის იყო განკუთვნილი. ფეხსაცმელების განყოფილებაში არჩევანი ბევრი არ გვქონდა, რაც ვნახეთ იქიდან მხოლოდ ერთი მოგვეწონა, უმალ შესაფერისი ფერის შევიძინეთ და მეორე განყოფილებას მივაკითხეთ. ის რაც მინდოდა პირდაპირ თვალში მომხვდა. მოლარის დამხმარეს მისი ზომა ჩექმა მოვაძებნინე, ღიმილით გადმოგვცა და სანამ სალაროსთან მივიდოდით მეუღლეს ვთხოვე, ამ წუთს გული რასაც კარნახობდა ის შეეძინა. კიდევ ოცი წუთი ვათვალიერებდით ფეხსაცმლის განყოფილებას, რაც მოეწონა ავიღეთ და სალაროებს მივაკითხეთ. ყველგან ხალხმრავლობა დაგვხვდა. რიგში დგომა მისთვის დამქანცველი იქნებოდა, ამიტომ იმ სალაროს მივუახლოვდით თხოვნით, სადაც შედარებით ახალგაზრდები იდგნენ. იქნებ ფეხმძიმე ქალბატონისთვის შეღავათი გაეწიათ. თხოვნა უპრობლემოდ მიიღეს, ყველას მადლობა გადავუხადეთ და ჩვენც აჩქარებით დავტოვეთ სალაროები.

ზემო სართულზე ჩემთვის სანადიროდ, თოვლში სასიარულო ფეხსაცმელები შევიძინე და მოძრავ კიბეებზე შევდექით.

-ნამდვილად, რომ კარგი სადილი გვეკუთვნის,-გადავუკარი სიტყვა მხიარულ გუნებაზე მყოფ მეუღლეს.

-არ გაგემტყუნება, - მეც მხარს დავუჭერ შენს ინიციატივას.

-პირველ სართულზე საუკეთესო რესტორანია, ნახევრად ღია კუპეებიც გააჩნიათ, იქ ჩვენ ნაყიდ ნივთებს თავისუფლად მოვათავსებთ.

-არ არის დასაწუნი იდეა.

-ჩავყვეთ მოძრავ კიბეებს, მის დასასრულს, რესტორნის შესასვლელიც იქვე არის, ერთი სართულიც და იქ ვართ. მანამდე მოიფიქრე რომელ კერძს ისურვებდი.

რესტორნის კარი რომ გავაღეთ, მაშინვე მიმპატიჟებელი ღიმილით შეგვეგება, მაგრამ სავალალოდ ისეთ მაგიდისკენ მიგვითითა, რომელიც ჩვენ არ გვაწყობდა. მერე დარბაზის სამხრეთ მხარეს გაგვიყვანა და მიგვანიშნა რიგით მეოთხე ბამბუკის კედლებიან ნახევრად ღია კუპისკენ. მადლობა გადავუხადეთ და

მითითებულ მიმართულებით წავედით. მოხერხებულად მოვთავსდით და მენიუს კითხვას შევუდექით.

-აბა ძვირფასო, აირჩიე ის, რაც სულით და გულით გწადია.

-მე რომელიც მინდა ძალზე ძვირია.

-გიმეორებ, რაც გსურს ის შეუკვეთე, როგორც შენთვის ისე ჩემთვის. დაიწყე სასმელებიდან.

-ავირჩევდი ორმაგ ნატურალურ ანანასის წვენს, ალკოჰოლური სასმელი შენ აირჩიე.

-მე მინდა, რომ შენს გემოზე აირჩეს,გელოდები.

-შამპანურის მრავალი არჩევანია, რომელია აქედან საუკეთესო, შენ მითხარი.

-რომელიც ყველაზე ძვირფასია.

-წარმოგიდგენია, ერთი ფუჯერი, რომ ამდენს ფასობს, მაშინ ერთ ბოთლზე ლაპარაკი ზედმეტია.

-ჰოდა, წასაღებად ჩვენც მთლიანი ბოთლი შევუკვეთოთ, აქ კი თითო-ოროლა ფუჯერი მივირთვათ.

-ვერ გავიგე, სად უნდა წავიღოთ?

-ბინა ხომ უნდა დავლოცოთ.

-აა,მართალი ხარ, უცებ გადამვარდა, უკაცრავად- მომიბოდიშა და თავისთვის ჩაიცინა.

-თუ მზად ვართ დროა შეკვეთის.-დასტური მეუღლემ თავის დაკვრით მანიშნა.

მომსახურე პერსონალს ვანიშნე, რომ ჩვენ მზად ვიყავით შესაკვეთად, მის მიერ შერჩეული კერძები და სასმელები დავუკვეთე და კუპის კუთხეებს თვალი შევავლე.

ჩვენს, ნახევრად კუპის ბამბუკისგან გაკეთებულ კედლებს, რომლებსაც ახლა მივაქციე ყურადღება, ალაგ-ალაგ ლამაზად ჩამოკიდებული ნაირფერადი დეკორატიული ყვავილები ამშვენებდა. მის ერთ კუთხეს ქოთნის კალანჰოე ალამაზებდა. მოპირდაპირე მხარეს ოქროსფერი თევზებით მოცურავე აკვარიუმი, მასზე მოლივლივე უკვე გაშლილი ლოტოსის ყვავილით. საინტერესო უფრო ის გახდა, რომ დარბაზში აჟღერებული კლასიკური მუსიკის სასიამოვნო ჰანგების მელოდიურობა როგორ ცდილობდა თავისი

ტონალობა, როგორმე მაგიდის შუაგულში ანთებული სანთლის ციმციმისთვის შეეწყო.

შეკვეთა მალე მოგვიტანეს,მიმტანმა კერძები მაგიდაზე დაგვილაგა და კარგი მადა გვისურვა.

-აბა, ძვირფასო, დავაგემოვნოთ როგორი ოსტატობითაა გამზადებული.

მეუღლემ პირველი ნაჭერი ნება-ნება დააგურმანა და შე-მომხედა.

-პირველივე ლუკმაში ჩანს მისი უზადო უებრობა.

-რაკი შენ მოიწონე, აშკარად კარგი ყოფილა,გაამოს.

-გმადლობ, შენც ჩემო კარგო.

-ახლა შამპანური გავსინჯოთ. -ვთქვი და შამპანურის სავსე ფუჯერი ავიღე.-ტრადიციისამებრ მოვილოცე და ცოტა მოვსვი.

-ჰოი,აი ორგანულ ნივთიერებათა ფართო სპექტრი, შენც გაიღე ლოცვა და იგრძენი მისი მაცდუნებელი გემო.

-დღეგრძლობა ნუ მოგვაკლოს უფალმა. -დამლოცა და სანამ მოსვამდა ჯერ მისი ნერსურნელება შეამოწმა, მერე სასმელს ჭაშნიკი აუღო და შეაფასა. -ჯეროვანად მიმზიდველი სასმელია, რაც მის მაღალ ხარისხზეც მიუთითებს. აბა ახლა დაიწყება ჩვენში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემოდინება.

-ამას მაშინ გაიგებ, როცა შენი განწყობა ამაღლებას დაიწყებს.

-პირველი ნაკადის შემოსვლა თავიდანვე ვიგრძენი, ამჯერად უფრო მეტს ველოდები. შენი ხასიათი?

-ჩემი უბადლოა გენაცვალე. -შევიფასე საკუთარი განწყობა.

-ოჰო, აფერუმ.

-ვიმედოვნებ შენც გაგიორკეცდება. ერთიც დავილოცოთ და ბიო-აქტივობასაც დაგიჩქარებს. იქნებ შენ გაქვს სათქმელი.

-მე შემდგომ.

-კეთილი, მიდოდა მეთქვა და ვიტყვი, ეს სასმისი ეკუთვნის მას,რამაც ერთმანეთი დაგვაკავშირა, ეს იქნება უზენაესი, ბედი თუ იღბალი, მისი უდიდებულესობის სადღეგრძელო მინდა შემოგთა-ვაზო. შენ კარგად იცი, რომ ნებისმიერი თავგადასავალი შემთხვე-ვით არ ხდება. ყველა გათვლილი შემთხვევითობაა, რა თქმა უნდა,

უცნაურად გეჩვენება რასაც არ ელოდები და რაც თავს გადაგხდება. ჩვენი შეუღლებაც ამ კატეგორიას მიეკუთვნება. რამაც ურთიერთ შეთანხმებას მისცა დასაბამი; ხოლო ჩვენი თანხმობა ბედნიერების გარანტად მოგვევლინა, რაშიც ორივემ ვიბედითედ. დავლოცოთ ჩვენ-ჩვენი ბედის თანშეწყობა და მისი სიყვარული.

-შენ მართალი ხარ,ყველაფერი უცნაურად მოხდა, მაინც როგორ,დღესაც ეჭვის ქვეშ ვიყენებ იმ თავგადასავალს,რამაც ერთმანეთი მღვიმეში მოგვაქცია. ასეთი ორგანიზებული ოპერაციის ჩატარებას ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა. სწორედ ეს აზრი მაძლევს დასკვნის შესაძლებლობას,რომ შენი ინიციატივა მის მოწყობაში გამოვრიცხო, თუ არ გამოვრიცხავ მაშინ შენ ყოფილხარ ფენომენი.ერთი სიტყვით დროებით გრიფი აქვს დადებული,რაც შეეხება ჩემს ბედს,კარგის მეტს სხვას ვერაფერს ვიტყვი, ეს კი შენი დამსახურებაა, მიუხედავად იმისა, რომ უჩვეულო ყოფით გვიწევს ცხოვრება, შენი მრავალმხრივი უნარის გამო, უაღრესად ბედნიერად ვგრძნობ თავს.ბედნიერება ადვილი განსაცდელია თუ ობიექტურ ჭეშმარიტებას ისე მიიღებ, როგორც ხვედრს და მის ნაწილადებს სჯერდები. დავლოცოთ ჩვენი ბედის შემაკავშირებელი უზენაესი ძალა და მოთაოსნე.

-გმადლობ ძვირფასო საინტერესო სადღეგრძელოს თქმისთვის.

-არაფრის გენაცვალე.

-ერთი შეკითხვა მაქვს. ვთქვათ იმ სინამდვილეში ხარ დაქმარშვილებული, შეგიძლია წარმოდგენით ახსნა შენი ცხოვრების პირობები?

-ნაწილობრივ, მსგავსი რამ,რომ არ იქნებოდა, ეს შენც კარგად იცი, გარჯა მეტი და არც ისეთი სახარბიელო თვითმყოფადობა როგორიც აქ.

-საკმარისია, მტკივნეულ საკითხებს ნუღარ შევეხებით. სამხიარულო თემა შევარჩიოთ. ახლა შენ ის მოიფიქრე დესერტად რა მოვატანინოთ. მე მაგალითად აი ამ სახეობის ტორტს ავირჩევდი. -თითით ვანიშნე მენიუს მეორე გვერდზე.

-თანახმა ვარ, შევუკვეთოთ.

მიმტანს მოახლოება ვანიშნე. მეუღლემ მენიუ გადუშალა და მიუთითა რაც მსურდა მე კი ჩემი მხრივ ავუხსენი თავიანთ ენაზე მეუღლეს, რომ არ გაეგო, მოეტანა მთლიანი ტორტი შუაში პატარა ბავშვებით. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და გაბრუნდა.

-მთლიანი ხომ არ შეუკვეთე. -ეჭვით შემომკითხა მომღიმარ-მა მეუღლემ.

-როცა მოიტანს მეც შევხედავ და შენც.

-ვნახოთ. ამ ოთხიოდე წუთის წინ რაღაც თქმას აპირებდი.

-კი,მინდოდა,ვიტყვი ჯერ შენ მითხარი, რაიმე განსაკუთ-რებული ხომ არ გსურს,რომ მოვატანინო.

-არა, როცა მუზა მომივა გეტყვი.

-კეთილი, მაშინ მე მომისმინე.

-როდის იყო არ გისმენდი.

-ახლა გასაკუთრებით.

-რა ხდება.

-კარგი განწყობის შესანარჩუნებლად მსურდა მეთქვა მორი-გი სადღეგრძელო.

-მეც გიერთდები.

-გახსოვს მოარული თქმულება.

-რომელი.

-აზრებს კიდევ ვერ კითხულობ?

-ჯერჯერობით მაგ დონეზე არ მივსულვარ.

-კეთილი მაშინ შეგეკითები. ვისკენ მიდის პარადოქსების გზა.

-უდავოდ ჭეშმარიტებისაკენ.

-ნათელია. სიყვარულს თუ შეუძლია ჭეშმარიტი გზით გატაროს.

-ცხადია.

-შენ ხედავ ძვირფასო, რომ მე ამ სიყვარულს როგორც ველოლიავები, ვასათუთებ, ხან ვალაღებ, ხანაც ვახალისებ, რომ არ მოიწყინოს. არა მარტო მას, არამედ მის ნაყოფებსაც.

-ნაყოფი ჩემო კარგო -შემისწორა მეუღლემ -და არა ნაყოფები.

-მე რომ მრავლობითში ვამბობ,ესეიგი ორია.

-ჩემთვის სასიამოვნოა შენი ხუმრობა.

-რით დაგაჯერო, რომ ეს ხუმრობა მართალია.

ახსნა დავაპირე თუ არა, ამ დროს მაგიდის მომსახურე პერსონალი მოგვიახლოვდა. ლანგარზე მოკაზმული ტორტი მშობლიური დროშით და ორი ხელჩაკიდებული ბავშვით სუფრის შუაგულში ჩაგვიდგა.

-დამატება თუ რისამეს გნებავთ, თქვენს სამსახურში მიგულეთ. -გვითხრა და უკან გაბრუნდა.

მე მეუღლის რეაქციას ვადევნებდი თვალს.შინაგანი ღელვა მის სახის ელფერს წაეკიდა, დუმდა და თან განცდით მისჩერებოდა ტორტზე დასმულ პატარა ბავშვებს. არც მე არაფერს ვამბობდი.დრო გადიოდა, ბოლოს დუმილი მან დაარღვია.

-საიდან ასკვი, რომ ტყუპია, ახლა მაინც მითხარი.

-ჯერ დაგლოცავ შენს ნაყოფებთან ერთად, მერე უტყუარ ფაქტებს გაჩვენებ.

-მე მეჩქარება, დამარწმუნე, რომ ხუმრობაში არ ჩაგითვალო.

-ისე ჩანს,რომ არ მენდობი, რა გაეწყობა.

-შენს გასაბრაზებლად არ მითქვამს უბრალოდ გთხოვ, თუ გიყვარვარ-გამიმეორა თხოვნა.

-არც მე მინდა შენ გაწყენინო, აგერ შეხედე-მივუგე და კომპას -აპარატი ამოვიღე. მოვძებნე ვიდეო ჩანაწერი, რომელიც მოკვლევის პროცესში გადმოვწერე და მის წინ გავაშუქე.

თვალმოუწყვეტლად ადევნებდა თვალს კადრებში ასახულ თითოეულ ფრაგმენტს.ღიმილით ათვალიერებდა უკვე დაჯერე-ბულ ორ ნაყოფს.მერე მუცელზე დაიხედა,მეორე ხელი ზედ დაიდვა და მოეფერა.

უეცრად ემოციურმა ბიძგმა გონება დაუძაბა. მისი უეცარი ცვლილება რაღა თქმა უნდა მე არ გამომპარვია, მაშინვე ხელი მოვხვიე და გულში ჩავიკარი.

-ისინი თავს კარგად გრძნობენ-ვამშვიდებ მეუღლეს. -ჩანასახის ადრეული პერიოდი ორივემ საუცხოოდ გაიარეს. შენი მაჩვენებლებიც ნორმაშია.ახლა ხომ დაიჯერე,რომ ტყუპებია.

-მჯერა ჩემო კარგო, მიხარია, რომ ბედმა ყურადღებიანი მეუღლე მარგუნა, რატომ ადრე არ მითხარი.

-განსაკუთრებულ ვითარებაში ვაპირებდი თქმას, მეც ეს გარემოება შევარჩიე, სიხარულს, სიხარული დავამატე, დაილოცე ჩემო ძვირფასო შენს ნაყოფებთან ერთად. ფუჯერი მის ფუჯერს გავუჭახუნე და ბოლომდე დავცალე.

-გმადლობ საკვირველი სიურპრიზის მოწყობისთვის. სასმელიდან ცოტა მოსვა და გამიღიმა.

-ტორტის ნაჭერს გადმოგიღებ და ჩააყოლე. ისეთივე შესანიშნავი გემოს იქნება, როგორი შეხედულება აქვს.

უცებ კლასიკურ მუსიკას მრავალჟამიერი ჩაენაცვლა,მისმა საამურმა ჰანგებმა დარბაზში ხმაურის მიერ გამოწვეული ზუზუნი უმალ ჩააჩუმა.

-ჰმ, ეს რაღაა, ასე მოულოდნელად,შუაგულ ევროპის რესტორანში ეს სიმღერა საიდან მოგვევლინა-ამოთქვა გაკვირ-ვებულმა და თვალებში ჩამხედა,თითქოს რაღაცის ამოკითხვას ლამობდა.

-ჩვენც მოვუსმინოთ, ხასიათის მაამებლად ამაზე უკეთესი ხმების ჟღერადობის ერთსულოვნებას სად მოისმენ.

-ეს სიმღერა რესტორნის ადმინისტრაციას შემთხვევით რომ არ აურჩევია ამის გამოცნობას რა ცოდნა სჭირდება.

-რატომ უცნაურობებიც ხომ ხდება.

-აკი უმიზეზოდ არაფერი ხდებაო. ვინ ამბობდა?

-მავანნი,მე კი არ გამოვრიცხავ ფარდობითობას, ადგილობ-რივ შემთხვევებში.

-შენს ორაზროვან განმარტებას მერე გავცემ პასუხს. ახლა კი მითხარი როდის მოახერხე შეკვეთა.

-მაშინ როცა ტორტს ვუკვეთავდი.

-ჩემთვისაც, რომ გეთქვა რა მოხდებოდა.

-მე მხოლოდ სიურპრიზად მინდოდა. კარგი, თუ წინასწარ გინდოდა გცოდნოდა,ახლა გამოიცან მომდევნო სიმღერა.

-შენ თქვი მე ნუღარ მამკითხავებ.

-სიმღერას, რომელსაც მთელი კოსმოსი უსმენს.

-აი ყოჩაღ, კარგად მოგიფიქრებია.

სანამ სიმღერებს ვუსმენდით, მანამდე კიდევ ორი სადღეგრძელო შევსვით, ერთი წასულების, მეორე ჩვენი ახლობლების, ყოველ დღეს, რომ ელიან ჩვენს გამოჩენას.

სუფრის დასასრულს მაგიდის მიმტანმა თან წასაღები საგზალი გამოგვიტანა. გასასვლელ კარამდე მიგვაცილა,მადლობა გადაგვიხადა და დაგვემშვიდობა.

გარეთ, გამოძახებული ტაქსი გველოდა, ჩავსხედით და ბინის მიმართულებით გავემგზავრეთ. თორმეტ წუთში უკვე იქ ვიყავთ.

ბინის ფართო შესასვლელიდან პირდაპირ მისაღები იწყებოდა, იქვე სამზარეულო, თითქმის გაერთიანებული. ორი საძინებელი, ერთი სამუშაო ოთახი. აბაზანა და საპირფარეშო ცალ-ცალკე, აღმოსავლეთ მხარეს აივანი.

მისაღებში ჟურნალების მაგიდა იდგა, დივანით და ორი სავარძლით. სამზარეულო კი სრული კომპლექტით გაეწყოთ. დანარჩენი ოთახების შევსებისთვის ჩვენ უნდა გვეზრუნა.

-როგორ მოგწონს, -ვეკითხები გულმარიხიან გუნებაზე მყოფ მეუღლეს, -თუ ჯერ ყველა კუთხე-კუნჭულის დათვალიერება გსურს?

-რა აქვს ჩემი დასაწუნი. ავეჯით გაიწყობა და უკეთესად გამოჩნდება.

-მთავარია ჩემს დედოფალას მოეწონოს.

-შენ რას უწუნებ.

-მე რომ მდომოდა ბინაში ცხოვრება, ახლაც იქ ვიცხოვრებდი.

-მღვიმე ჯობია არა? -გადმომიკრა სიტყვა.

-ეჭვი არ შეგეპაროს.მითხარი სად მოგისმენია ბინით მკურნალობა. შენი პროფესიის ადამიანმა კარგად უნდა იცოდეს,რა არის სპელეოთერაპია,არადა რამდენი დაავადების განკურნება შეუძლია მას, მხოლოდ ასთმა და ჰიპერტონიის განკურნების მაგალითის მოყვანა კმარა. ბინა კი პათოგენური ზონების წყალობით, აქეთ გვაჯილდოებს ამა თუ იმ სენით. კომფორტს ეწირება ჯანმრთელობა.

-აუ, როგორ არ მაწყობდა შენი გაბრაზება, მაპატიე რა იქნება.

-არა, არ გავბრაზებულვარ, უბრალოდ ავღელდი.

-არც ეგ არის კარგი. პირველად ვართ ბინაში და რა არასახარბიელოდ დავიწყეთ.

-ბრალი ჩვენ კი არ მიგვიძღვის, არამედ ამ გარემოს სადაც ვიმყოფებით. მოჩვენებითმა კეთილმოწყობამ, ზოგადად ვამბობ, დაგვაცილა ბუნებას და ბუნებრივობას, ხოლო მისი გავლენით არსებულ ხალას სინამდვილის ნაცვლად, პრაქტიკულად სასარგებლოს ვამჯობინებთ.

-კარგი ნუღა განიცდი,მოდი დავსხდეთ და დავილოცოთ.

-უკეთესი იქნებოდა, როცა შემოვედით მაშინვე გვეთქვა.არც ახლაა გვიან აგერ ჟურნალების მაგიდაზე ამოვალაგებ რაც საჭიროა, შენ ფეხზე ნუ დგახარ, ჩამოჯექი და ისე მიყურე. გეტყობა დაიღალე. ჩემს გამო ხასიათიც შეგეცვალა.

-ყველაფერი რიგზეა და არც დავღლილვარ.

-ხომ არ გწყურია?

-არა, არაფერი მინდა, ახლახანს არ ვისადილეთ?

-კეთილი,მაშინ შევავსებ სასმისებს და ჩვენი დალოცვით ვაკურთხოთ ბინა. უპირველეს ყოვლისა ჩამოვსხდეთ, მოვშინაურდეთ. ლუკმა გავტეხოთ და დავიწყოთ.

პირველად ახალი ბინა დავლოცეთ, მორიგში, მოსახლეობის დასაწყისი შესანიშნავი გაგრძელებით, მერე მეზობლები შემოვიპატიჟეთ. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ ახალმოსახლეობა მოგვილოცეს, რომ გაიგეს ბინა,მე,როგორც კონკურსში გამარჯვებულს მერგო, ძალიან გაუხარდათ. ორმაგად დაგვლოცეს და მრავალშვილიანობა გვისურვეს.ჩვენი მხრივ ჯერ მადლობა გადავუხადეთ, მერე კი სრულიად სამეზობლოს სადღეგრძელო შევსვით. ამის შემდეგ სტუმრები დიდხანს აღარ გაჩერებულან. მოგვიბოდიშეს, მადლიერება გამოხატეს და გავიდნენ.

ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვისხედით, საუბარი პატარების მოვლინებასა და მათ აღზრდის მეთოდებზე გადვიტანეთ. არ გვიკამათნია. მეუღლე მსჯელობდა მე კი ვუსმენდი. საუბრის დასასრულს წითელი სურნელოვანი სანთელი ავანთე,ფანჯრები

დავხურე და ანთებული სანთლით ხელში ოთახები შემოვიარე. რიტუალის დასრულებისას სანთელი მაგიდაზე დავდგი,აპარატში მხიარული მელოდია მოვძებნე და ავამღერე. არა მარტო იმ მიზნით, რომ სიხარული შეგვენარჩუნება, არამედ მისი ჰანგებით გაჟღენთილიყო ბინის ყოველი კუთხე და ნივთი.

საღამო ჟამს სუფრის ალაგება მე ვითავე, მეუღლეს დასვენების ნება მივეცი. დასასრულს შეკრული ბარგი აივანზე გავიტანე და კომპას-აპარატით ჩვენი ელფრენი გამოვიძახე, სტარტი და ნახევარ წუთში ბაქანზე ვიდექით.

მომდევნო დღიდან განვაახლეთ ჩვენი გენერალური გეგმის შესრულების შემდგომი ეტაპი.გადავამოწმეთ აზიის ქვეყნების მიერ წარმოებული ყველა საწარმოოს მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხი. ასევე ფაბრიკა-ქარხნების უსაფრთხოებისა და მათი სანიტარული ნორმების დაცვის მაჩვენებლები. ნაკლის მქონე მრეწველებს იქვე გავუგზავნეთ მიმართვები. გამოსას-წორებელი ნაკლისთვის ხუთი დღის ვადით.

ევროპის სახელმწიფოების 92%-მა, გამოშვებული ნაწარმის ხარისხი დადგენილ ნორმებს შეუსაბამა. საწყის ეტაპზე საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

-თუ სხვა კონტინენტებმა-ვეუბნები მეუღლეს,რეიდიდან დაბრუნებისას-მათ მიბაძეს. ადამიანებსა და გარემოს შორის საგულდაგულო ურთიერთდამოკიდებულება უსათუოდ იხსნის დედამიწას ეკოლოგიური კატასტროფისგან.

-ერთი შეკითხვა დამებადა.

-გისმენ.

-ვთქვათ ყველგან ყველაფერი მოწესრიგდა. განვითარების ამგვარი ფორმა,ხელს ხომ არ შეუშლის საზოგადოების ან თვით ბუნების შეუქცევად პროცესებს.

-როგორც შეკითხვიდან ჩანს, შენ გულისხმობ თვისებრივ ცვლილებების შეფერხებას,არა?

-მე ვგულისხმობ ევოლუციას.

-გასაგებია,შენ გეშინია,რაიმე ნეგატიური პროცესი არ გამოიწვიოს ჩვენმა ჰუმანურმა ნაბიჯმა, კეთილი, აბა მოიყვანე მაგალითი და განვიხილოთ.

-მაგალითისთვის ავიღოთ ძეხვეულის მწარმოებელი საწარმო, რომლის ნაწარმში შემავალი ყველა ინგრედიენტი დაცულია, ხარისხი კარგი, შესაბამისად ფასი მაღალი.იგივე ვითარებაა სხვა მწარმოებლებთანაც. სიძვირის გამო, თავდაპირველად ცხადია საქონლის რეალიზაცია შენელებულია, თუ საცალო ღირებულების ფასს დააკლებენ,მაშინ არასახარბიელო ეკონომიკური შედეგები სახეზე ექნებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე თუ ამ გზით წავლენ თანდათან წარმოების, ასე ვთქვათ მონოტორულ ფაზაში შევლენ და მისი გავლენით წინსვლას შეაფერხებენ.იმ შემთხვევაში თუ მეწარმე ძეხვეულის წარმოებაში ხორცის შემცვლელობას ორი პროცენტით შეამცირებს და სხვა დანამატს გაზრდის, ამისდა კვალად ხარისხის მაჩვენებელი და ფასიც დაიკლებს, რეალიზატორი კი მოემატება. მომდევნო საკითხი, ცის კაბადონზე ჩვენს მიერ გადაჭიმული ენ-ინფო-ბადის გავლენით მიღებული შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ ნეიტრალურმა და კარგმა ინფორმაციებმა იმატეს,ცუდმა საკმაოდ იკლო.შენ კარგად იცი,რომ ევოლუციური ცვლილებებისთვის საჭიროა როგორც ნეგატიური აგრეთვე პოზიტიური პროცესები, თუ მესამე მკაფიოდ შემცირდა,პროგრესის დეფიციტი აშკარად მოიმატებს.შენ როგორ ფიქრობ.

-ჩვენი შერჩეული დოზით ეგოცენტრულ აქტივობას ვამცირებთ, ანუ ეგოიზმს, ძალადობას, ბოროტებას, შურს და ასე შემდეგ, მათ აგრესიას ვზღუდავთ, თუ დოზას გავზრდით მაშინ დასაშვები იყო მომხდარიყო ევოლუციური კატასტროფა.შენ გსურს რომ გავაუქმო?

-არა,რას ამბობ,მე განსჯისთვის დავსვი კითხვა.

-გასაგებია, რაც შეეხება პირველ საკითხს. კარგად გეუწყება, რომ ჩვენ ვაკონტროლებთ საკვების ავკარგიანობას და ვზრუნავთ, დედ-მამამ, და-ძმამ და სრულიად მოსახლეობამ მიიღონ თვისობრივად უზადოდ წარმოებული პროდუქტი და არა კონტროლს

კონკურენციისას, პირიქით, ამ თვალსაზრისით შეიქმნება ჯანსაღი მეტოქეობის ატმოსფერო მწარმოებელთა შორის, პროდუქციის წარმოებისა და გასაღების ხელსაყრელი პირობებისთვის, თუ მეწარმეები ერთმანეთის კონკურენციას არ ეცდებიან, მაშინ ისინი ყოველთვის იფიქრებენ შემოვლით გზებზე, წარმოებაში დანერ-გონ ისეთი მეთოდი, რომ მეტი მოგება მიიღონ. ეცდებიან დაბალხარისხიანი ან სრულიად სხვა ინგრედიენტები ჩაანაცვლონ მეტი მოგების მიზნით. ხოლო ჩვენს შემთხვევაში უკიდურესობაში ვარდებიან იმის გამო, რომ ვაი თუ სურსათის უვნებლობის ინსპექციამ გაუკონტროლოს წარმოებული პროდუქტი და უხარისხო საქონლისთვის საკადრისი პასუხი არ მოსთხოვონ,ეს ის წინააღმდეგობაა, მეწარმეს, ხშირად, რომ აფიქრეს პირად ნებასა და კანონს შორის წარმოშობილ ურთიერთდაპირისპირების შედეგებ-ზე. ასე რომ ძვირფასო ეს წინასწარ გათვლილი ანგარიშია.

-მე ჩემი ვარაუდი გამოვთქვი.

-რომელი ვარაუდი.

-დამაბოლოებინე,თუ შეიძლება.

-გისმენ.

-მინდოდა მეთქვა,რომ ჩვენი მეთოდი, ხელს ხომ არ შეუშლიდა ადამიანისა და ბუნების თანაკავშირს.

-დაასრულე?

-კი.

-ახლა,როგორც მედიცინის სწავლულმა, გამეცი კითხვაზე პასუხი.რას შეუძლია, წამალი და საწამლავი ერთიმეორისგან განასხვაოს.

-რაც შენ იცი, იმას რატომ მეკითხები.

-მე მინდა, რომ შენიდან მოვისმინო.

-მხოლოდ დოზას. დაკმაყოფილდი?

-სწორედ,ეს სიდიდეა დაცული, ამ მეთოდში, რომლის რეჟიმი ბუნებრივ რიტმებთან თანხმობაშია მოყვანილი.

-რატომ თავიდან არ მითხარი.

-მე გაგაცანი მისი მნიშვნელობა, დანიშნულება და სპეციფიური მოქმედება, რაც იმ დროს იყო გადმოსაცემი, ამჟამად თუ რაიმეს გარკვევა გსურს მასაც აგიხსნი.

-კარგი, ამ ეტაპზე რაა შესაძლებელი,რისი მოწესრიგება შეგვიძლია.~

-ეს მექანიზმი ძვირფასო აბსოლიტურ პრობლემასაც დაარეგულირებს,ოღონდ დროში გაიწელება. თანმიმდევრობითი კანონის დაცვის გათვალისწინებით.

-უმოქმედოდ რომ არ ვიყოთ, ჩვენც ავირჩიოთ ერთი სფერო, ისეთი, რომელიც სასწრაფოდ თხოულობს გამოსწორებას.

-მას, რომ დავასრულებთ,რაზეც ხელი გვიკიდია,მერე ავირჩიოთ,თუნდაც სამედიცინო სფერო, შენ მისი პრობლემები კარგად იცი ახლა კი გადავხედოთ ოკეანის სიღრმეს, აბა გენაცვალე,გააშუქე ეკრანზე გავიგოთ რა ხდებოდა ამ ხნის განმავლობაში.

-ახლავე, თან შეხედე ეკრანს, ხედავ, სკაფანდრში მაშველი რაზმი თავს როგორ დასტრიალებს წყალქვეშა ნავებს გასარემონ-ტებლად.

-ლურჯი ვეშაპის შიგნით რა ხდება ის გავიგოთ.

-ვხედავ პაციენტებს წყლით სავსვე აბაზანებში, უთუოდ ოკეანის წყალმცენარეებით მკურნალობენ.

-ძალიან კარგი.

-აპარტამენტში ვიღაც სტუმრები ჰყავთ.

-ისინი ჩვენი ნაცნობი ხალხია. პროფესორი უხსნის მათ,რომ თავდასხმა ჩვენზე დიდი შეცდომა იყო.მოვუსმინოთ ხმასაც აუწიე.

-არაერთხელ გთხოვეთ, -ეუბნება პროფესორი შეფს.-ძალა-დობა გამოგერიცხათ. მე მას დაველაპარაკე ძრავის ამუშავების თაობაზე,რომ ის ძრავას აამუშავებდა და ჩვენ სანაცვლოდ კანონზომიერად გავაგრძელებდით სამკურნალო პროცედურებს.

-მესმის თქვენი პროფესორო,მაგრამ ჩვენ ხომ არ გვაწყობდა ასეთი პირობა.

-ახლა რატომ გვაწყობს სერ.

-გაუთვალისწინებელს ვერ გავექცევით.ერთი სიტყვით კვლავ თხოვნა მოგვიწევს, კიდევ ერთხელ რომ ხელი მოგ-ვიმართოს.

-სერ, მისი ხელმეორედ გამოჩენა ეჭვქვეშაა.

-მიზეზი.

-რაკი ერთხელ თავს დავესხით, მეორედ მისი გამოჩენა, ნაკლებად სავარაუდოა. სამწუხაროდ არც მისი კოორდინატები ვიცით.ეგებ ინტერპოლში მოგვეძია.

-ვიკითხეთ.

-პასუხი.

-უფრო გავართულეთ.

-რა მოხდა სერ?

-იქ ვერ მივაკვლიეთ, შესაძლოა მალავენ.

-არა მგონია ასე იყოს. -ჩაერია საუბარში თანმხლები პირი.-იმ პიროვნებას ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამდებობა უკავია. თვითონ საქმის კურსში არ იყო. თავის ხელქვეითებს რომ შეე-კითხა, არც ისინი ფლობდნენ სათანადო ინფორმაციებს, ამიტომ შექმნეს ჯგუფი შესამოწმებლად. ნახეს რა აქ უმოქმედოთ მდგომი წყალქვეშა ნავები,ისიც სამხედრო იარლიყით შენიღბულნი, ეჭვი გაუმძაფრდათ.

-ჩვენ,-ჩაუჭრა სიტყვა შეფმა-აუცილებლად გვჭირდება ის პიროვნება, სადაც გინდათ მოძებნეთ მისი ხელი როგორც მე ვფიქრობ, არა მარტო აქ არამედ იქ, –ასწია ბეჭდიანი ხელი მაღლა, – ზემოთაც ფიგურირებს.

-რატომ ფიქრობთ ასე სერ.

-იმიტომ რომ ვერაფრით გავმართეთ ჩვენი პარაფსიქოლო-გიური მოწყობილება, უკვე აწყობილი,უეცრად მწყობრიდან გამოვიდა.ვინ არ მოვიყვანეთ, მის ხელმეორედ ასამოქმედებლად, მაგრამ ამაოდ,ვერავინ შეძლო.

-მაშ,თუ ასეა ჩვენ მოუხელთებელ, ვინმე პარანორმარულ არსებასთან გვქონია საქმე.

-გაურკვეველია, ან ისინი ასაიდუმლოებენ ან ის კერძო დეტექტივის როლს ითავსებს, არა და აუცილებელი ხდება მისი მოხელთება-განაცხადა შეფმა.

-როგორ სერ,ერთი შესაძლებლობა გვქონდა.ისიც ხელიდან გავუშვით.

-კარგი, -ჩაერთო მათ მსჯელობაში პროფესორი, -დავუშვათ მოხდა სასწაული და გამოჩნდა. რა ვიღონოთ. თუ იგივეს დავაპირებთ, სამუდამოდ განწირულები ვიქნებით.

-რასაკვირველია, იგივე გამორიცხულია, შეიძლება,ამით სრულიად კორპორაციას და ჩვენს გენერალურ მიზნებს შევუქმნით პრობლემებს, უნდა მოველაპარაკოთ.

-რა განზრახვა გაქვთ სერ. -დაინტერესდა პროფესორი.

-გარკვეული თანხის გადახდას შევპირდებით.

-არა მგონია, რომ დაგვთანხმდეს.

-რატომ?

-მას, რომ ნდომებოდა, თავიდანვე დაგველაპრაკებოდა. ამიტომ მე გამოვრიცხავ.

-პროფესორო, -მიუბრუნდა კითხვით შეფი. -რას იტყვი? იქნებ გაქვს სათქმელად რაიმე ვერსია.

-რომც გამოჩნდეს, მე ის აღარ მენდობა. ვიცრუე მასთან და ამით იმედი გავიქარწყლე.გამოსავალს კი ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

-გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს პროფესორო.

-თქვით სერ რა იდეა გაგაჩნიათ.

-ჩვენთან თანამშრომლობა, რომ შევთავაზოთ რას იტყვით?

-ურიგო არ იქნება თუ დათანხმდა.

-ასე რატომ სჯით. რას ითვალისწინებთ.

-როგორც ჩანს სერ, ვალუტა მას არ აინტერესებს, სხვა რა სამსახური უნდა შესთავაზოთ რომ ინტერესში ჩააგდოთ.

-უნდა ვცადოთ, იქნებ გაამართლოს.

-კარგი სერ, თუ ვინიცობაა არ გამოჩნდა რა ვიღონოთ, უკვე საკმარისი დროა გასული ჩვენი საქმე წინ არ მიდის.

-შეცდომა უნდა გამოვასწოროთ.

-კი მაგრამ,როგორ, სუბიექტი თავად აქ არ არის.

-უკაცრავად, –კარებიდან მათ თეთრხალათიანმა ქალბატონმა მოუბოდიშა, მიესალმა, მაგიდას მიუახლდა. თითოეულ მათგანს თანმიმდევრულად ვისკი,თეფშით ლიმონი და ვისკისთვის სპეციალურად დამზადებული ბუტერბროდი დაუწყო. -გაამოთ. დამატებით თუ რაიმეს ინებებთ მთხოვეთ.

-გმადლობთ ქალბატონო საკმარისია,-მიუგო შეფმა.

როცა მან კარი მიიხურა, ისევ გაჭიანურებულ საკითხს დაუბრუნდნენ.

-ერთ ვერსიას გაგაცნობთ, -დაიწყო თანმხლებმა პირმა-შეიძლება წაგვადგეს.

-თქვი, მოგისმენთ.

-ხომ არ აჯობებდა, კერძო სამძებრო აგენტი დაგვექირავებინა,

-პროფესორო,რას იტყვით? მოგწონთ ეს იდეა? -მიმართა შეფმა.

-ცუდი არ არის, მაგრამ მე თავს შევიკავებდი.

-რატომ?

-ის, ისე ოსტატურად მანევრირებს, ჩანს, რომ გარკვეული ძალისა და შეძლების მქონეა, ამიტომ, დასაშვებია მასთან ურთიერთობა უფრო გაგვირთულდეს.

-როგორც ჩანს კვლავ ჩიხში ვრჩებით.

-მე გავიმეორებ, რაც მას სურს, -განაგრძო პროფესორმა.-მერე გავაკეთოთ საერთო დასკვნა. მისი სურვილია ჩვენ ვიყოთ ლეგალიზებური და კანონზომიერად მოქმედი კორპორაცია და რაც მთავარი მოთხოვნაა დავიცვათ ბიოლოგიური გარემო.

-მისი რომელიმე მოთხოვნა, რომ დავიცვათ, სოლიდურ მოგებაზეც უარი უნდა ვთქვათ. მოკლედ, რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს უცნაური პიროვნება,სასწრაფოდ მისაკვლევია. მანამდე კი ჩვეულებრივად, ახალი რეჟიმით გავაგრძელოთ ყოველი საქმიანობა.ჩვენ წავედით.

ისინი „ლურჯი ვეშაპიდან“ გამოვიდნენ და ნაცნობი გზით საკუთარი რეზიდენციისკენ გაემგზავრნენ.

-ახლა მათი სამედიცინო დაწესებულების საიდუმლო განყოფილება მოვინახულოთ.

-აუცილებლად, ხედავ, როგორ გულით და სულით დაგეძებენ,ამავ დროს გელიან.

-დიდხანს მოუწევთ ლოდინი. პატივი ვეცით, ხომალდი ავუმუშავეთ, მათ კი თავდასხმა მოგვიწყვეს, თადარიგი რომ არ დაგვეჭირა ახლა კატაკომბებში ვიქნებოდით, მანდ რა ხდება.

-აქაც სიახლეა.

-მეც ვუმზერ, ორი ტექნიკოსი თუ როგორ გულმოდგინეთ ჩაკირკიტებს დაშლილ მოწყობილობას. სპეციალური დეტექტო-რიც შეუძენიათ, სიხშირის რხევების გარდასაქმნელად და გამოსხივების გამოსავლინებლად.

-დაველოდოთ რა შედეგს მიიღებენ.

-საბოლოოდ მსგავს ხელსაწყოს სხვა სქემის მიხედვით ააწყობენ.ამოქმედების პრინციპი კი იგივე ექნება.

-კოდი ხომ არ მოგიხსნია.

-არა.შემდეგი დღეები გადასინჯე. ცდამდე ხომ არ მისულან.

-მოწყობილობა თითქმის აწყობილია ერთი ძირითადი ნაწილის გარდა. სწორედ მას უტრიალებენ. შემდეგი კადრებიდან ჩანს, რომ ნახევარი კვირა აღარ გამოჩენილან. უფრო მოგვიანებით შენც უცქერ სრულიად ახალი მოიტანეს და შეცვალეს ეს მოხდა გუშინ.ამჟამად შეფს ელოდებიან,შესაძლოა ცდის ჩასატარებლად.

-ჩვენც დაველოდოთ.

-ახალი კოდირება როდის გადავწყვიტოთ.

-დავაცადოთ,რომ ცდები წარმატებულად ჩაატარონ, მერმედ კი ვიმოქმედოთ.

-ეტყობათ,რომ წინასწარი შემოწმების შედეგებით კმაყო-ფილნი არიან. სხდომის დარბაზში შედიან.ჩვენ რა ვიღონოთ?

-რა მნიშვნელობით.

-საჩქაროა ჩვენი წასვლა?

-მათი მოწყობილობის დეკოდირებას გარეთ გაუსვლელა-დაც მოვახერხებთ.

-ლაზერ-თვალის საშუალებით?

-რა თქმა უნდა. თვალშივეა მიმღები და გადამცემიც, მხოლოდ შესაფერისი ინფორმაციაა მისაწოდებელი.ახლა ცოტა ხანს შევისვენოთ,ბაღჩაში ჩავიდეთ და რაც დღეს ბოსტნეული დაგვჭირდება დავკრიფოდ, მდინარიდან ხელს ცხრაფეხა და თევზი გამოვაყოლოთ.

ქვემოთ დიდხანს არ გავჩერებულვართ დღეისთვის რაც საჭირო იყო მოკრეფილი მწვანილი და ბოსტნეული კალათში ჩავაწყვეთ,ცოტაც წავითევზავეთ და შინ დავბრუნდით.

ნაუცბათევათ დამზადებული სადილი კერასთან გავიტანეთ და გავქეიფდით.

ტრაპეზის დასასრულს კვლავ განვაახლეთ პირდაპირი ჩართვა სამედიცინო დაწესებულების გასაიდუმლოებულ ლაბო-რატორიიდან. ცდის ერთი პირი სხდომის დარბაზში იმყოფებოდა, მეორე - ქალაქგარეთ. შეფი და მისი თანმხლები პირები მოწყობი-ლობის წინ ისხდნენ.ცდის პირებს თავად შეფი გადასცემდა თუ რა დავალება უნდა შეესრულებინა თითოეულ მათგანს.

...ცდა წარმატებით ჩაატარეს, შედეგი შესანიშნავი. შეფმა მათ ხელმოწერილი საბანკო ქვითარი გაუწოდა და გაისტუმრა.

-ახლა ჩვენ საშუალება მოგვეცა ყველა სფეროში პირველები გავხდეთ. დავსხდეთ და დავგეგმოთ საიდან დავიწყოთ.

-მთავარია, -ამბობს თანმხლები პირი, -კონკურენტები დავასუსტოდ, რომ ჩვენი გავლენა საერთაშორისო ბაზარზე გამოვკვეთოთ.

-ჩემი აზრით, -ჩაერთო დიალოგში წვეროსანი. -სადღეისოდ უფრო მნიშვნელოვანი არის ბირჟაზე მყარად დგომა. განსა-კუთრებით ყურადღება მივაქციოთ ძვირფასი ლითონების,ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის ყიდვა-გაყიდვას,კარგი იქნება თუ პოზიციებს გავიმაგრებთ სასაქონლო ბირჟაზე,ხოლო რაც შეეხება არალეგალურ საქმიანობას,დაუფიქრებლად მის განახლებას მე გამოვრიცხავ.

-მოვა დრო, ვისთვისაც არალეგალურია, მისთვის ლეგა-ლურს გავხდით.ამ დავალების შესრულებაში ჩვენი ჯეირანი

დაგვეხმარება-ამაყად წარმოთქვა და ახლად შექმნილ მოწყობილობას ზედ ბეჭდიანი ხელი დაჰკრა.

-სერ.

-გისმენ მეგობარო-მისკენ შებრუნდა და გაუმეორა.- ყურადღებით გისმენ მეგობარო,

-თუ ჩვენ მისი პიროვნება ვერ დავადგინეთ, ვერც მის დამორჩილებაში დაგვეხმარება მისი ყოვლისშემძლეობა.

-სულ მალე დავადგენთ, მთელ სამძებრო სისტემას ჩავრთავთ, რომ ე.წ. პატრიოტი აღმოგვაჩენინონ. ამ ამოცანის ამოხსნაში სწორედ ეს დაგვეხმარება. სრულიად მალე მეგობარო ჩემპიონის ტიტულს კვლავ დავიბრუნებთ. ხვალ დილიდან ვიწყებთ მოქმედებას.

-რას გეგმავთ სერ.

-იარაღის არსენალი გაგვაქვს და მორფინი შემოგვაქვს.

- ჩვენდა ვაგლახად სერ საზღვარზე დაბრკოლება ამჟამადაც გვაქვს.

-პატარა წინააღმდეგობაა. ხვალვე მოვაგვარებთ, მანამდე საქონელი მოამზადეთ სათანადო დოკუმენტაციით. ერთგულ ბიჭებს დაუკავშირდით და დაიწყეთ,მერე კი საბაჟოს შევეხმიანოთ. ვახშამზე გეპატიჟებით დღევანდელი მიღწევა ჩვენს ტრადიციულ გარემოში ავღნიშნოთ.დროებით საღამომდე.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და ლაბორატორიიდან გავიდნენ.

-ხედავდი, -მეკითხება მეუღლე. -მათ მხიარულ, დამაჯერებელ და იმედით ანთებულ თვალებს.- დააყოვნა, თითქოსდა გაგრძელება უნდოდა.- გეკითხები, შენ კი არ მცემ პასუხს.

-მე მეგონა კიდევ რაიმეს დაამატებდი, და თუ არა, მაშინ გიპასუხებ, რომ მათი ენთუზიაზმი არც თუ დიდხანს გაატანს.

-მაინც რამდენს ითვლის ეს დრო.

-თვით ვითარება გვიკარნახებს. აქვე მოგვიწევს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

-რასთან დაკავშირებით.

-ამ ეტაპზე არ დავბლოკავთ.

-რა მიზნით.

-ასე გავიგებთ მათი მოქმედების დიაპაზონს. უპირველესად სატვირთო ავტომანქანის თავზე დავაფოკუსიროთ ლაზ-თვალი, რომ გავიგოთ კოორდინატები, ქვეყნის შიგნით და გარეთ. ვფიქრობ ამავე ავტომანქანით შემოიტანენ მორფინსაც.

-შესაძლებელია.

-მაშინ ჩვენ კიდევ ერთი თავი საქმე დაგვემატება.

-ნამდვილად.იარაღი როგორც მე გავიგე სჭირდებათ განგებ გამოწვეული ამბოხის გამო შექმნილი საომარი სიტუაციისთვის, დაპირისპირებულ რომელიმე მხარეს, რომ მიჰყიდონ. მორფინი კი გასასაღებლად და არასამედიცინო თვალსაზრისით.

-უტყუარი ვარაუდია და ამგვარი გზით ცდილობენ ჩაწოლილი იარაღის გასაღებას, ამასთანავე გაყიდონ მაღალი ფასებით.

-როდის დავსვათ ლაზ-თვალი.

-ხვალ დილით, გასვლისას.

-ხომ არ გავყოლოდით.

-ჩვენ იარაღის გადაცემის პროცესს დავესწრებით. გარემოს შევათვალიერებთ და მოთვალთვალე ობიექტს დავსვამთ, კარგი ახლა დროებით ეს თემა შევაჩეროთ.

-რა ხდება.

-ამჯერად გადავათვალიეროთ და გავიგოთ თუ რა შედეგები მოჰყვა, ჩვენს მიერ გადაგზავნილ მიმართვებს.-გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება და თან დავიწყე მოკვლევითი სამუშაოების ჩატარება.

რამდენიმე წუთში, საინფორმაციო გვერდზე მზად გვქონდა, საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქციის ქრონოლოგიურად აღწერილი ნუსხა, რომელიც გვატყობინებდა წარსულთან შედარებით, შესრულებული სამუშაოთა ხარისხის მაღალ მაჩვენებელს. ნუსხით ბოლოში იყვნენ ისეთები, რომლებმაც საერთოდ რეაგირების გარეშე დატოვეს ჩვენი მიმართვები. ასეთებს ხელახლა გავუგზავნეთ თხოვნა მინაწერით: საღ-სალამათი საკვების წარმოებით, თქვენ უზრუნველყოფთ, მომავალი თაობის ჯანსაღ კვებას.

ასევე გადავათვალიერეთ მრეწველობის დარგები, თუ როგორ ასრულებდნენ უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმატივებს.

ხელახალმა მოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საწარმოთა უმრავლესობა კანონმდებლობით დადგენილ წესით ხელმძღვანელობდა. ნაწილი ისევ ნორმების დარღვევით განაგრძობდა წარმოებას. სამწუხაროდ არიან ისეთებიც საერთოდ რომ არ იყენებენ გამონაბოლქვი აირების გასაფილტრ საშუალებას.

მოკლე დასკვნის შემდეგ არანორმირებულად მოქმედ ფაბრიკა-ქარხნებს ხელმეორედ გადავუგზავნეთ მიმართვები და თხოვნა, ასევე მინაწერით: აცხოვრეთ შთამომავლობა ეკოლოგიურად სუფთა გარემოში.

მეორე დღეს ადრიან დილით ჩვენი თანამგზავრიდან, რომელიც ნახევარი თვის წინ გავუშვით, მიღებული სიგნალი ობიექტების ადგილზე მისვლას გვატყობინებდა. მაშინვე გადავამოწმეთ შემოსული სიგნალის შეტყობინება. მინაღები ინფორმაცია უტყუარი აღმოჩნდა. ნათლად ვხედავდით, თუ როგორ გამალებით იტვირთებოდა ორი მაღალგაბარიტიანი ავტომანქანა. მეორე სართულზე კი ტვირთის გამცილებლებს სამარშრუტო ხაზს და სახელმძღვანელო მითითებებს აცნობდნენ.

ისინი რომ გამოისტუმრეს, საბაჟო კონტროლის ხელმძღვანელს დაუკავშირდნენ, აუწყეს თავიანთი განზრახვა და საბაჟო პროცედურების უზრუნველყოფა. ხელმძღვანელმა, უმალ თავი შეიკავა დახმარების გაწევისთვის და განუცხადა:

-ახალი დადგენილებით, სამხედრო არსენალიდან ნებისმიერი იარაღის გატანა დროებით აკრძალულია.

-ჩვენც ვიცით, ამიტომ დოკუმენტაციაში სხვა საქონელი შევიტანეთ, შენც სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის გამოწერისას იგივე ტვირთი მიუთითე, რაც შეეხება თანხას პირადად ჩემი სანდო პირი გადმოგცემს.

-იმ ინციდენტის შემდეგ ჯერჯერობით გვეკრძალება ამგვარი ტრანზიტის გატარება. -გასცა კვლავ უარყოფითი პასუხი.

-რაღაც უნდა მოგვიხერხო ტვირთი უკვე გზაშია.

-წინასწარ რატომ გამოგზავნეთ. ეს უკვე პრობლემაა.

-არის და აღარ უნდა იყოს. შენ ამის მოხერხება არ გაგიჭირდება.- ამხნევებს აღელვებული მოადგილე.

ამავ დროს კაბინეტში შეფი შემოვიდა. ტელეფონით მოლაპარაკე გაფითრებული მოადგილე რომ შენიშნა, უმალ იგრძნო, რაღაც რომ ვერ იყო კარგად.

-დაბრკოლება გვაქვს? -ჩაეკითხა თავის ქვეშევრდომს.

-დიახ, სერ.

-ბოლო სიტყვა უთხარი და დაემშვიდობე.

-კარგი.

მან ერთხელ კიდევ სთხოვა და ამით დაამთავრა მასთან საუბარი. მერე შეფს მიუბრუნდა.

-ძალიან კერკეტი კაკალი გახდა.

-შეიძლება ზემოდან წნეხავენ.-აზრი გამოთქვა თანმხლებმა პირმა.

-იქნებ თანხის რაოდენობა ეცოტავება?-ვარაუდი წამოაყენა მოადგილემ.

-არც ერთია გამორიცხული და არც მეორე, -აღნიშნა შეფმა. -ჩვენი მოწყობილობის საშუალებით ორივე წინაღობას გადავლა-ხავთ, დროა ვიმოქმედოთ. მანამდე მძღოლები გავაფრთხილოთ არსად, არცერთი ზედმეტი სიტყვა. ახლა ლაბორატორიაში ჩავიდეთ და იქ გავაგრძელოთ ჩვენი საქმიანობა.

საიდუმლო ლაბორატორიაში ჩასულებმა, ყოველ შემთ-ხვევისთვის ინსტრუქციას თვალი გადაავლეს და დანადგარი დენის წყაროს შეუერთეს.

შეფი სავარძელში მოთავსდა, სათვალეები შეისწორა და პირველი ოპერაციის ჩატარების მსვლელობას გულისყურით ადევნებდა თვალს.

შვიდი წუთის შემდეგ, როცა ყველა საკონტროლო შემოწმება დასრულდა, თანმხლებმა პირმა წინადადება წამოაყენა.

-იქნებ ერთხელ გაგვემეორებინა.

-რატომ?

-თავი რომ დავიზღვიოთ სერ.

-შენ რას იტყვი მეცნიერ მუშაკო,- მიმართა შეფმა თავის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.

-მე საკმარისად მიმაჩნია, თავის დაზღვევისთვის, მაინც გავიმეოროთ, ოღონდ ცოტა მოგვიანებით.

-კარგი, ერთ საათში წინმავალ ავტომანქანის მძღოლს დაუკავშირდით, გავიგოთ სად იქნებიან. თუ საზღვართან ახლოს; მაშინ დავაჩქაროთ.მანამდე ზემოთ ავალ.

გასაიდუმლოებული კარი გამოაღო და გაუჩინარდა.

...როდესაც შეფი დაბრუნდა მოადგილემ მაშინვე მობილური მოიმარჯვა და წინმავალ მძღოლს დაუკავშირდა.

-ხდება რამე?-მისალმება არ აცადა მძღოლმა.

-ჯერ გვითხარი როგორ მგზავრობთ.

-გზაში რაიმე ინციდენტი არ გვქონია, თუ არ ჩავთვლით ჩვენს წინ მომხდარ ავარიას, რამაც ცოტახანს დაგვაყოვნა, საბაჟომდე ხუთი კილომეტრი დაგვრჩა. ესაა სულ.

-მებაჟესთან შეკამათებას მოერიდეთ, თუ რაიმე გაუგებ-რობას ექნება ადგილი სასწრაფოდ დაგვიკავშირდი.

-გავიგე. მიმღებს შეატყობინეთ, რომ უკვე შუა გზაში ვართ.

-ჯერ საბაჟო გაიარეთ მშვიდობიანად, მათი გაფრთხილება პრობლემა არ არის. აბა თქვენ იცით, შენს სიგნალს ველოდებით.

სატელეფონო საუბარი დაასრულა და ფეხზე წამოდგა.

-თექვსმეტ წუთში იქ იქნებიან სერ. სანამ მოვემზადებით, ჯერ სიგარა და ცოტაოდენი ვისკი მივირთვათ და მერე განვაახლოთ.

მოადგილემ ჩამოსხმულ ვისკში ყინულები ჩაამატა და მათ გაუწოდა. ყველამ ერთად ვისკიანი სასმისები მაღლა ასწიეს და ოპერაციას მშვიდობიანი დასრულება უსურვეს.

-ერთად ვისკი და სიგარა მე ნამდვილად მომწონს.-აღნიშნა თანმხლებმა პირმა.

-მეც გეთანხმები, დაეთანხმა მეცნიერ მუშაკი.

-რასაკვირველია, -თქვა შეფმა, -ერთგვარი მტკბარი წყვილია. თან საქმე მეგობრებო, დრო არ მოგვეპაროს.

-შეგვიძლია დავიწყოთ სერ. - მიმართა მეცნიერ მუშაკმა, ფეხზე წამოდგა და დასაწყებად მოემზადა.

თავდაპირველად შეამოწმეს ორივე ტრანსპორტის ადგილ-სამყოფელი. ნამდვილად რომ დარწმუნდნენ უკვე საზღვარზე, კონტროლის მოლოდინში იმყოფებოდნენ, სიანსი მაშინ დაიწყეს, როცა მათი საბუთების შემოწმების ჯერი დადგა. დაძაბულობა ეტყობოდა ყველას. საქონელი რომ პირმწმინდად შეემოწმებინათ ვითარება საგანგაშო გახდებოდა, ამის გამო გახდა მათი შფოთვა მოუსვენარი, ყველა ფეხზე იდგა და დუმილით შედეგს ელო-დებოდნენ. ჩქამიც კი არ ისმოდა ირგვლივ. ამასობაში მდუმარებამ დრო იხელთა და გამეფდა, მხოლოდ ნაჩუმათევად მიმოდიოდა იდუმალი მოლოდინი. უცებ სასიგნალო ნიშანი და მისი ესოდენ გამოუცნობი პასუხის მიმცელი.

-უპასუხე,-მიმართა მოადგილეს ჯერ კიდევ ამოუსუნთქავმა შეფმა.

მოადგილემ ტელეფონის აპარატი მაღალ ხმაზე გადართო და საკონტაქტო ნიშანს მიანიშნა.

-ყველაფერი რიგზეა,-მოკლედ პასუხობს პირველი მძღოლი. -გზას ვაგრძელებთ.

-ყოჩაღ, ბიჭებო, სამახარებლო გარანტირებული გაქვთ.- აღტაცებით წარმოსთქვა შეფმა. -აბა სადაა მორიგი ვისკით სავსე სასმისები.

-ახლავე სერ.

ხელახლა შევსილი სასმისებით პირველად არა ტვირთის მშვიდობიანი გადასვლა დალოცეს, არამედ ჯადოსნური და-ნადგარი.

-სულ მალე ჩვენ ვიზეიმებთ დიდ წარმატებას,- აღნიშავს შეფი.- არჩევნებშიც გავიმარჯვებთ და სათავეშიც მოვექცევით.

-აქედანვე მზადება მოგვიწევს, რომ ბრძოლა გავიიოლოთ. -შენიშნა მოადგილემ.

-რაც მთავარია ჯეირანი იყოს ფორმაში, ჩვენ მისი შეწევნით ყველა საკითხს მოვაგვარებთ, მართალს ვამბობ?

-რასაკვირველია,-უნებურად ერთად წარმოთქვა ყველამ.

-საკვანძო საკითხად, -დაიწყო თანმხლებმა პირმა-მოქა-ლაქეთა მობილიზება რჩება, ხოლო წარმომადგენლობით ორგანოებსა და საარჩევნო პუნქტებში ჩასასმელად საიმედო თანამშრომლების გამოძებნა მოგვიწევს.

-არასანდო ადამიანს სანდოდ გადავაქცევთ, ამ პრობლემასაც აი ის მოგვიგვარებს, -თქვა მტკიცედ. ბეჭდიანი ხელი გაიშვირა, სადაც მოწყობილობა იდგა, სიგარის ფერფლი საფერფლეში ჩააფერფლა და განაგრძო. -ჩვენთვის საიმედო დასაყრდენი ორგანიზაციული მხარეა. ეს რომ შევძლოთ მიზანმიმართული ფიქრის უნარი უნდა გამოვიმუშავოთ, თუ ამას მოვახერხებთ მაშინ ადვილია გამარჯვების მიღწევა.

-ჩვენ უსათუოდ შევძლებთ სერ, ამის უამრავი მაგალითები გვაქვს.

-მეც მაგის იმედი მაქვს, რაც შეეხება ხვალის გეგმას, ბირჟაზე გავალთ და იქ ვიმოქმედებთ.

-იცით რისი თქმა მინდოდა? -განაგრძო ისევ თანმხლებმა პირმა. -ჩვენს მძიმე მრეწველობის საწარმოს ორჯერ გამოუგზავნეს მიმართვა, საწარმოო ნარჩენებისა და გამონაბოლქვი აირების თაობაზე. მის მართველს ჯერჯერობით რეაგირება არ მოუხდენია. მესამედ, როგორც ისინი იტყობინებიან შესაბამის ზომებს მიმართავენ.

-რა არის საჭირო?

-სპეციფიური ფილტრების დაყენება და ქიმიური ნარჩე-ნების ლიკვიდირება ან მისი ხელმეორედ გადამუშავება.

-თვით მმართველი რას ფიქრობს?

-დიდ ხარჯებთან დაკავშირების გამო არიდებს თავს.

-შემმოწმებლები ვინ იყვნენ?

-გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია.

-როდის აქვთ ბოლო ვადა?

-კვირის დასასრულს. დაველოდოთ მის სანქციას თუ მოვძებნოთ გამოსავალი?

-ნებისმიერი სანქცია ჩვენთვის საზიანოა, ან შევასრულოთ, რაც მათ სურთ, ან მოვძებნოთ ავტორი.-დაასკვნა შეფმა.

-მისი მოძებნა რას მოგვიტანს?

-რაიმე ღონისძიების მიღებამდე ცოტა ხანს გვადროვებს.

-მაჩვენებელი ხომ იგივე დარჩება სერ?

-სამაგიეროდ ვიდროვებთ.

-რა ხელს მოგვცემს მოგებული დრო?-ჩაეკითხა თანმხლები პირი.

-ამ ხნის განმავლობაში მმართველს გამოსავალი უნდა მოვაძებნინოთ. უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოვისყიდოთ შემმოწმებელი.

-რომ უფრო გართულდეს?

-ჩვენი ტექნიკა ეცდება მოგვარებას , მეგობარო.

-სამწუხაროდ სერ, მეზობელ ქვეყნებში მომუშავე ფილია-ლების ნაწილსაც ანალოგიური პრობლემა აწუხებთ.

-ერთი და იგივე სენს, ასევე, იგივე წამლით უნდა ვუმკურნალოთ.

-გასაგებია სერ.

-ხვალ, დილის საათებში, -ჩაერთო საუბარში მეცნიერ მუშაკი, -ჩვენი ავტომანქანები მორფინით დატვირთულები წამოვლენ. გაუთვალისწინებელი შემთხვევა რომ არ მოხდეს, ხვალაც პროცედურის გამეორება მოგვიწევს.

-კარგია რომ აღნიშნე, დილიდანვე გავაფრთხილოთ, რომ კავშირზე იყვნენ. ახლა ჩემს კაბინეტს მივაკითხავ, ისინი ტვირთის დაცლას რომ დაამთავრებენ, ბარონს დაუკავშირდით საქონელი მზად ქონდეს, ჩასატვირთად. აბა თქვენ იცით, დანადგარი ლითონის ცეცხლგამძლე კარადაში ჩაკეტეთ, საიდუმლო ნომერი თქვენს გარდა არავინ იცოდეს,- გააფრთხილა და ლაბორატო-რიიდან გავიდა.

მეუღლეს მივუბრუნდი, მის გაფართოებულ თვალებს წავაწყდი.აშკარად ეტყობოდა, რომ ნანახს მასზე უცნაური შთაბეჭდილება მოეხდინა.

-მოუსმინე ძვირფასო? შენ რომ ფიქრობდი მხოლოდ ორიოდე საქმით იქნებოდნენ შემოფარგლულნი, აღმოჩნდა, რომ მათი ქსელი საკმაოდ ვრცელი ყოფილა.

-არ მეგონა, როგორც ჩანს სხვადასხვა ქვეყნებში სერიოზული წარმომადგენლობა გააჩნიათ.

- კი არ ჩანს, ნამდვილად ასეა. გავყვეთ მათ ახალ ნაკვალევს, სადაც არასახარბიელო მდგომარეობას ვნახავთ დავამუხრუჭოთ მათი განზრახვა, თუ ვინცობაა კარგ საქმეს თაოსნობენ, მაშინ ჩვენც დავეხმაროთ.

-ნაკლებ სავარაუდო კი არის, ასეთი იდეოლოგიის ადამიანები, რაიმე კარგს ფიქრობდნენ.-გამოთქვა თავისი საეჭვო აზრი.

-გეთანხმები, თუმცა გამორიცხული არ არის.

-მართალი ხარ, შესაძლებლობა არ უნდა ვუარყოთ.

-ჩვენ აგრეთვე გვაინტერესებს რეალიზატორის ბაზაც, ამიტომ გავალთ მაშინ, როცა დატვირთვას დაიწყებენ, ეს შეიძლება მოხდეს ადრიან დილით.

ვარაუდმა გაამართლა. მამლის პირველ ყივილზე დაიწყეს პატარ-პატარა ყუთების დატვირთვა, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მორფინი და ოპიუმი. იქ იყო ქიმიური რეაქციის გამომწვევი და ამაჩქარებელი სპეციალური ნივთიერებები. აგრეთვე ძლიერ რადიაქტიული მინერალი ნასტურანი, ერთ-ერთი მადანი ურანის მისაღებად. ასევე ხელის მოკლე ლაზერის სასროლი იარაღები.

ბაზის ზემოთ დავსვით მოძრავი თვალი, მიმდებარე ტერიტორიას გადავხედეთ და უკან დავბრუნდით.

-რა ვიღონოთ? -მეკითხება შუა გზაზე თანაშემწე. -ჩამოვატანინოთ საქონელი?

-ეხლა მინდა გავიგო რა ხაზზე გაგვიყვანს, განსაკუთრებით რადიაქტიული მინერალი.

-ალბათ გაყიდიან.

-მიახლოებითი მსჯელობა და მასზე დაყრდნობა არ გვაწყობს.

-ის ერთგვარ საფრთხეს შექმნის იქ, სადაც მიიტანენ.

-ამიტომაა ჰერმეტიულ ყუთებში მოთავსებული, ოთხმოცდაათი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მისი გაყიდვა ქვეყნის გარეთ სურთ.-გავაცანი ჩემი მოსაზრება.

-შენს აზრს მეც ვეთანხმები.

-კარგი, საქონლის დაბინავებას როცა დაამთავრებენ მასზედაც ილაპარაკებენ, სად და როგორ უნდა გაანაწილონ. მანამდე მის წინ წამოწყებულ საქმეს მივხედოთ. მზად ხარ?

-მე ყოველთვის მზად ვარ.-დასადასტურებლად მარჯვენა ხელი მაღლა ასწია.

-მაშინ მომისმინე, ისეთ საწარმოთა მეპატრონეებს, რომლებმაც დღემდე ვერ დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა, შთაგონებითი მეთოდი გამოვიყენოთ, ხოლო მძიმე მრეწველობის საწარმო, რომელიც ქალაქის ზღურბლზე მდებარეობს ერთი აგრეგატი გავუთიშოთ.

-ეს ის არის, მათ რომ ეკუთვნით?

-ეგ არის. ამით გაიგებენ ერთი და იგივე ხელწერას.

-მიღებულია დავალება.

-როდემდე ვიყოთ ბაქანზე, შინ შევიდეთ.ახალ ამბებს მოვუსმინოთ. თან ცოტა წავიხემსოთ, მერე ცეცხლი ავაგუზგუზოთ და ბუნებრივად გავთბეთ.

-რაც შენ ძალიან გიყვარს.

-შენ შორიდან უყურებ არა? კაციშვილი ვერ მოგწყვიტავს მის გვერდიდან.

-მერე ვისი დამსახურებაა?

-თქვი, ვისზე გაქვს ეჭვი.

-შენ არ შემაყვარე მის სიახლოვეს ყოფნა? შენ არ ამბობდი ცეცხლი არისო ბიოველის ყველაზე კარგი განმწმენდი საშუალებაო.

-არ ვუარყოფ, როგორ გრძნობ ხოლმე თავს მის სიახლოვეს?

-ისე კარგად, თითქოს შენს გვერდით ვარ.

-ერთი წუთით, გესმის რას აცხადებენ?

-მითხარი.

-დედამიწის მიმართულებით მოძრავ ასტეროიდზეა საუბარი. მოსალოდნელია მისი ატმოსფეროშიც შემოსვლა.

-რას ამბობ, გახსოვს უწინ ასტეროიდის ჩამოვარდნამ, რა ზიანი და ზარალი გამოიწვია? -გამახსენა წარსულში ჩამოვარდნილი ასტეროიდი.

-მახსოვს, ეს სხვაა, ეს ისე მოეშურება, თითქოს უნდა ჩაგვეხუტოს, ხუმრობა იქით იყოს, მცირე ზარალს არ გვაკმარებს.

მაშ რა უნდა იღონონ?

-ისინი ფიქრობენ, თუ უსაფრთხოების ზონას გადმოკვეთს, ააფეთქონ.

-მაგრამ მისი ნამსხვრევები?

-მისი მცირე ნაწილები, არც თუ ისე საშიშია.

-ზარალი ხომ მაინც მოჰყვება?

-გამორიცხული არ არის, მაგრამ სახიფათო აქ უფრო ისაა, რა სახის ბაქტერიების შემომტანი იქნება კოსმოსიდან. სამწუხაროდ იყო შემთხვევები, ვინც კი ჩამოვარდნილ ნამსხვრევებს მიუახლოვდა, აბსოლუტურად ყველა დაინფიცირდა.

-მეც მსმენია, მის შესახებ, დიდხანს იყო გაურკვეველი, კონკრეტულად თუ რომელი ინფექციური აგენტი იყო შემოჭრილი. ბოლოს გამოყვანილი იქნა ცილის კომპლექსი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევდა ანტისხეულების წარმოქმნას, სწორედ ამ დაავადების წინააღმდეგ.

-ეს არ უნდა მოხდეს, თუ შემოიჭრა, მაშინ მედიცინის მუშაკებს სასწრაფოდ მოუწევს შესაბამისი ანტიგენის გამოგონება.

-ჩვენ შეგვიძლია რაიმე მოვიფიქროთ?

-შესანიშნავი შეკითხვაა, თავისთავად ცხადია ძვირფასო. შენ რა იდეა გაქვს?

-ჯერ არ ვიცი, ვფიქრობ.

-როდის გეცოდინება, როცა უკვე ატმოსფეროში შემოიჭრება?

-კარგი, ხუმრობის დრო არ არის. უნდა იღონო ისეთი რამ, რაც საერთოდ ფათერაკს ააცდენს დედამიწას, ოღონდ სწრაფად.- შემომთხოვა ხელდახელ ფათერაკის აცილება.

-ნაჩქარევად თუ გსურს, აგერ შუბლზე საჩვენებელი თითი მიმადე და უფრო მალე იქნება.

-შენ შენსას არ იშლი?

-გახსოვს ფილმში, მე სამჭკუაშვილი არა ვარო. მეც მჭირდება დაფიქრება. ორი ვარიანტიდან რომელი აჯობებს. წინ ორი

დღე გვაქვს. მან თუ ტრაექტორია არ შეცვალა, ხვალ უკვე სტარტზე უნდა ვიყოთ.

-გეტყობა შენ რაღაც მოიგონე.- შემავლო ცნობისმოყვარე მზერა.

არ მომასვენე და მეც იჩქითად მოვიფიქრე.

-მერე, არ იტყვი რა არის ასეთი სახელდახელო იდეა?

-აუცილებლად ძვირფასო, როდის გსურს რომ გაგიმხილო?- დავუყოვნე პასუხის გაცემა.

-ოხუნჯობას მაინც არ ეშვები, ახლა შენ მე მაბრაზებ.- შეეგზარა ხასიათი.

რადგან მაინც და მაინც გინდა რომ გითხრა, მაშინ ორიდან ერთ ხერხს გაგიმხელ. ეს არის მისი ძალიან წვრილ ნაწილაკებად დაშლა.

-არ არის ცუდი აზრი. იქნებ კიდევ დამდო პატივი და მეორეც გამიმხილო.

-როდის გენაცვალე?-ისევ გავჯიუტდი.

-ნუ მაწვალებ, გელოდები.

-გეტყვი, მხოლოდ შენი გულისთვის. მეორე ხერხით ვფიქ-რობ ასტეროიდს სივრცეში შევუცვალო მოძრაობის მიმართულება, რომ საერთოდ აცდეს ჩვენს პლანეტას.

-ოო, ეგ უკეთესი ვარიანტი გქონია და მაგას მიმალავდი, არა?! მაშინ ისიც მითხარი, რა საშუალებით?

-რა დროს გსურს?

-აბა, ისევ ნუ დაიწყებ ცუღლუტობას, გთხოვ.

-ჰო, და მეც გპასუხობ. დავიწყებ პირველიდან, ლაზერს დავმუხტავ პროგრამა კატალიზით,გავგზავნი მის შუაგულში, რომელიც გამოიწვევს ქიმიურ რეაქციას, აჩქარებული რეაქციის პროცესი კი აფეთქებას. აი მისი მოკლე განმარტება.

-არაა ცუდი ვერსია, შემდეგი ხერხი?

-მეორე ხერხის დროს, ასტეროიდის წინა მასის ნივთიერე-ბებში არსებული ქიმიური ელემენტების აქტივობას გარდავქმნი ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რომლის

მოქმედების გეგმა დაპროგრამებული იქნება, მისი კურსის რადიკალურად შეცვლით.

-აი ეს უფრო მომწონს, ყოჩაღ. -შემაქო გულღიად.

-რაკი შენ მოგეწონა, უკვე არაფერი გაგვიჭირდება. ისე, სივრცეში საფრთხობელა რომ ჩამოვუკიდოთ, ნეტავ მხარს არ შეიცვლის?

-დღეს ნამეტანი ოხუნჯი ხარ.-მომიჩლიქა ენა პატარა ბავშვივით.

-შენ კი მოლაღე ცნობისმოყვარე.

-ამჯერად, ხუმრობის გარეშე შეიძლება?

-უსათუოდ გენაცვალე.

-იცი, რა მინდოდა მეთქვა.მისმენ?

-გულისყურით.

-ეკრანს ისე ყურადღებით მისჩერებიხარ, ლამის შიგნით შეხვიდე. მინდოდა მეთხოვა თუ მოახერხებდი.

-რა არის ისეთი, რასაც ჩვენ ვერ მოვახერხებთ,-გავუღიმე. თვალებში ჩავხედე და გონებით, მისი სიღრმის სათავე მოვათვალიერე.

-თუ რომელიმე სახელმწიფომ ან საერთაშორისო ორგანიზაციამ აიღო თავის თავზე ამ ხიფათის მოწესრიგება, არ სჯობია ჩვენ დავასწროთ?

-შეგეკითხო?

-თქვი, მხოლოდ სერიოზულად.

-რატომ მაინც და მაინც ჩვენ?

-მე დარწმუნებული ვარ, მათ აფეთქების სურვილი გაუჩნდებათ, რამაც შესაძლოა ცუდი შედეგი გამოიწვიოს.

-უეჭველად გავითვალისწინებ შენს წინადადებას.

-სერიოზულად. შემპირდი, რომ მოახერხებ.

-რაღა თქმა უნდა, ყველაფერს მოვაწესრიგებ, შენი სურვილისამებრ ძვირფასო.

-კარგი ბიჭი ხარ.-გაუხარდა დაპირება- პროგრამირებას როდის შეუდგები?

-დილით. ამავე დროს უნდა ვეცადოთ ჩვენი სტუმრის შემოწმება.

-რისთვის?

-გავიგოთ, საათში რა სიჩქარეს ანვითარებს, მისი სიმკვრივე, შედგენილობა და მანძილი, ყოველივეს გაცნობის შემდეგ ვიმოქ-მედოთ.

-მე წინააღმდეგი არა ვარ, ხომ ხედავ ადამიანები შიშმა მოიცვა. ყველა ქვეყანაში თავზარდაცემული ხალხი მთავრობი-საგან შველას თხოულობს. ზოგი შიშის გამო გარეთ აღარ გამოდის. ბევრი მიწისქვეშა თავშესაფარს თხოულობს. მძიმე და ტრაგიკული შედეგები სანამ არ მოჰყოლია, უნდა ვიჩქაროთ.-მიპასუხა სხაპასხუპით და აღელვებით.

-მე გთხოვ ნუ აყვები პანიკას. პანიკური ძრწოლა გადამდებია, დამშვიდდი და დაწყნარებულად მესაუბრე.

-მართალი ხარ, ჩემი აღელვება არაა კარგი. არც მე მიმიძღვის ბრალი, თვით გარემოებამ მაიძულა გრძნობებს ავყოლოდი.

-გაქვს თავშეკავების უნარი?

-რატომ არ უნდა მქონდეს? -შეიკვირვა და ირიბად შემომხედა.

-გეკითხები. თუ გაქვს, საჭიროებისას აუცილებლად უნდა გამოიყენო.

-გავითვალისწინებ, ოღონდ ნუ გამიბრაზდები.

-მე არ ვბრაზობ, უბრალოდ რეკომენდაციას ვიძლევი.

-ხომ არ მოგშივდა? მეკითხება და პასუხის მოლოდინში თვალს არ მაშორებს.

-ვიცი რატომ მეკითხები.

-მითხარი.

-მე თუ ვიღრინები, ესეიგი მშიერი ვარ. ამის თქმა გინდოდა არა?

-უტყუარი პასუხია. უჭმელი ადამიანი ხასიათს იცვლის.

-იქნებ შენ ხარ დამშეული, მე კი ირიბად მეუბნები.

-ორივე შემთხვევაში ავდგეთ და გავიდეთ სამზარეულოში.

სამზარეულოში გასულებმა არც იქ შეგვიწყვეტია ხასიათის თვისებებსა და მისი წყობის თავისებურებებზე საუბარი, აღვნიშნეთ ისიც, რომ ხშირად თანდაყოლილი მიდრეკილებები განაპირობებენ ქცევის გარკვეულ სახესაც.

-ძვირფასო, -ვეკითხები როცა საკითხი რეფლექსებს შეეხო. -როდესაც ორგანიზმს საკვები ნივთიერებები მოაკლდება, შიმშილის გრძნობის შეგრძნებამდე, ვინ წარმოქმნის ამ იმპულსს? ცხადია საკვებს მოკლებული უჯრედები. ასეა, თუ არა, მიპასუხე.

-გააგრძელე, კარგი დასაწყისი გაქვს.

-რა მოხდება შენ რომ გააგრძელო, უფრო ჩახედული ხარ ამ საკითხში.

-რაკი დაიწყე, თავად დააბოლოვე, მე შეცდომებს გაგის-წორებ, ან მიგანიშნებ.-აარიდა თავი კამათის გაგრძელებას.

-კარგი, ახლა ის გავარკვიოთ, ვინ აღიქვამს თვით უჯრედში აღგზნებას და მის გავრცელებას, თუ არ ვცდები მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებები, ანუ რეცეპტორები; მაშ ასე, აღქმულ გაღიზიანებას ღებულობს ნეირონი, რომელიც ატარებს ნერვულ იმპულსს. ბუნდოვნად ხომ არ ვლაპარაკობ?

-ჩემთვის არა.

-კეთილი, მოკლედ, სიგნალის, ანუ გამღიზიანებლის აღქმის უზრუნველყოფას კი გემოვნების სენსორული ორგანო ითვისებს. იცი აქ რა გახდა საინტერესო? დავიწყე შიმშილის შეგრძნებაზე საუბარი და დამებადა სხვა იდეის ძიების სურვილი.

-რა იდეამ შეგაწუხა? ძირითად თემას კი გადავუხვიეთ, მაგრამ არა უშავს, მეც მაინტერესებს.

-ამრიგად, ვაგრძელებ. მაშასადამე ყველა სახის გამღი-ზიანებლის მიერ გამოწვეულ სიგნალს საკუთარი აღსაქმელი სენსორული ორგანო გააჩნიათ, თუმცა არიან ისეთებიც,რომელთა დამფიქსირებლები იქს-იგრეკივით არიან, მხოლოდ ნიშნების სახით გვევლინებიან. აი რის გამოცნობით დავინტერესდი.

-შენ, როგორც მე გავიგე, სურვილი გაგიჩნდა, მიაგნო, ასე ვთქვათ არაფუნქციონალურ ორგანოს და გსურს აამოქმედო.

-უსათუოდ, შენი დახმარებაც დამჭირდება.

-მე მზად ვარ, მოკვლევა შეგვიძლია ახლავე დავიწყოთ.

-ჯერ დავადგინოთ ისეთი, ორგანოები, რომლებსაც დაკარგული აქვთ პირვანდელი მნიშვნელობა.

-შენ გაინტერესებს რუდიმენტული ორგანო, რომელიც სრულად არ ვითარდება, თუ ისეთებიც, რომლებიც ნახევრად ასრულებენ თავდაპირველ მოვალეობას?

-სწორედაც, მაგრამ, აქ ნაკლებ საინტერესო იქნება ისეთი რუდიმენტი, როგორიც არის მაგალითად ბრმა ნაწლავის დანამატი.ჩვენ ისეთი უნდა მოვძებნოთ, რომელსაც ორმხრივი დამაკავშირებელი ფუნქცია ახასიათებდა.

-ორმხრივი რატომ?-დაინტერესდა მათი როლით და დანიშნულებით.

-ეგებ ჩვენ რომ გვგონია მინიშნება შინაგანი არის, იქნებ გარედან შემოსული სიგნალია და თუ ამ ორგანოს მგრძნობელობითი თვისება დაქვეითებული აქვს, თავისთავად რეაგირების გარეშე ვრჩებით.

-ერთი წუთით, იმიტომ შეგაჩერე, ჩემი აზრი მინდა აქვე ჩავამატო. იცი რა არის, ადვილი შესაძლებელია ეს არ იყოს რაიმე გამოკვეთილი ორგანო და იყოს, დავუშვათ ინფორმაციის მიღების სენსორი, ე.წ. ინფო-ცენტრი.

-ორგანიზმს რომ ეს მექანიზმი გააჩნია, ცხადია. იქნებ არა ორგანოს სახით, როგორც გემოვნებით, სმენის, მხედველობის ორგანოები არიან. არსებობს ინდივიდები, რომლებსაც ეს იდუმალი ინფო-ცენტრი კარგად განვითარებული აქვთ.

-მე ის ვიცი, რომ ადამიანს ასეთი მისტიკური ადგილი კეფის მიდამოში, ტვინის ზედა დანამატთანაა განთავსებული. რამდენად ექვემდებარება სიმართლეს, გასარკვევია.

-მის გარდა არის კიდევ ერთი ცენტრი.

-რომელი გაქვს მხედველობაში?

-მესამე თვალი წარბებს შუა ადგილი. -მივანიშნე საჩვენებელი თითით.

-არც მე გამოვრიცხავ, ცდები ჩავატაროთ და ყველაფერსაც გავიგებთ.-კვლავ ცდის ჩატარება დააყენა დღის წესრიგში.

-ვთქვათ, მივაკვლიეთ რომელია აღნიშნული ორგანო, მერე?

-შემდგომ წინასწარ გვეცოდინება საბედნიერო და სახიფათო დღეები.

-ერთი მხრივ კარგი იქნება.

-რატომ იქნება მეორე მხრივ ცუდი?

-იმიტომ რომ წინასწარი დაძაბულობები არ მოგვაკლდება, ხოლო კარგის მოლოდინში, შენი ემოციის რეზერვუარი იმ დღემდე დაიშრიტება.

-არა მგონია პირწმინდად ეგრე იყოს. -არ დაეთანხმა ჩემს განმარტებას.

-თუ არ გგონია, მაშინ გამეცი კითხვაზე პასუხი, სიხარული როდის იძენს მნიშვნელობას?

-როცა ის მოულოდნელია. -მომიგო თავის თავში დარწმუნებულმა.

-მართალი ხარ და არა მაშინ, როცა იცი, რომ უნდა მოხდეს.

-დადებითი მხარეც ხომ აქვს?

-როგორ არა, წინასწარ შემოსული გზავნილი გაგაფრთხილებს, რა უნდა მოხდეს, ამით აიცდენ, მოსალოდნელ დავიდარაბას.

-მომწონს. ამ საიდუმლო ორგანოს მიკვლევა შენს ტექნიკას არ უნდა გაუჭირდეს. რას მეტყვი?

-მხოლოდ ერთი პირობით.

-რა პირობას მთავაზობ?

-არაა ძნელი, მაგრამ ცდებს მაშინ დავიწყებთ, როცა შენთვის დანიშნულ კურსს დაასრულებ.

-რაში შემიშლის ხელს?

-მის ასამოქმედებლად ცალკე პროცედურების ჩატარება დამჭირდება, ერთმანეთს ხელი რომ არ შეუშალონ, ამიტომ სჯობს ერთი დავასრულოთ, მერე კი მას მივხედოთ. წინააღმდეგი ხომ არ ხარ?

-თუ ასე აჯობებს რა გაეწყობა, დაგიჯერებ. -ახალი მოთხოვნა მყისვე მიიღო.

-ამასობაში ზოგიერთ საქმეს დავაწესრიგებთ. - ვურჩიე და ცოტაოდენი წყალი მოვსვი.

კამათი ზემოთქმულ საკითხზე აღარ გაგვიგრძელებია. ცოტა ხანს დუმილი ვამჯობინეთ. დუმილმა კი შეთანხმების პირობა შეინარჩუნა.

მომდევნო დღეს, ადრიანად დავიწყეთ პროგრამის შედგენა. შევიმუშავეთ მოქმედების შესაფერისი გეგმა. დავადგინეთ ასტეროიდის მოძრაობის კოორდინატები, დღევანდელი ცნობით, მარსის ორბიტას კვირაზე მეტია რაც გამოცდა და მოძრაობას განაგრძობს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში.

-რამდენია მისი სიჩქარე, იქნებ ესეც მითხრა.

-ახლავე გენაცვალე, უჰაერო სივრცეში არც თუ მაღალი სისწრაფით იწონებს თავს, მაგრამ ატმოსფეროში დაახლოებით 65000 კმ. საათში განავითარებს.

-მასა რამდენს იწონის?

-თერთმეტი ათას ტონას. სხვა რა შეკითხვა აინტერესებს შენს ცნობისმოყვარეობას?

-მინდოდა მცოდნოდა ამ სიჩქარით რამდენ დღეში შემოვიდოდა ატმოსფეროში.

-ჩვენ საკმაოდ საკმარისი დრო გაგვაჩნია იმისთვის, რომ დინჯად ვიმოქმედოთ.-დავამშვიდე მეუღლე.

-თავი რომ დავიზღვიოთ, ამასთანავე იმედიანად ვიყოთ, არ აჯობებს ახლავე ვიმოქმედოთ, ვიდრე დაველოდოთ მის გამოჩენას?

-ოღონდ, ძვირფასო შენ ნუ განიცდი, ამ წუთში მოვემზადები და გეგმის მიხედვით ვიმოქმედებ.

-მეც წამოვალ, თუ ნებას დამრთავ.

-უეჭველად, უადიუტანტოდ, როგორ შეიძლება, კოსმოსური წარმოშობის ქვის სხეულთან საერთო ენის გამონახვა?

-მე სერიოზულად გეუბნები.

-არ ვხუმრობ, რომ დარწმუნდე, ავდგეთ და გავემგზავროთ თუ მზად ხარ.

-ამ წუთში მზად ვიქნები.

-ან რა სპეციალური მომზადება გინდა, მთელი დღით ხომ არ მივდივართ.

-ქალი ვარ და მჭირდება. -მაინც მოდრიკა ქალურმა თანდაყოლილმა სწრაფვამ საკეკლუცოდ.

-კარგი. მე ამასობაში ხილის წვენს გამოვწურავ. -დავივალე საგზაო სასმელის მომზადება.

...ციტრუსების გამოწურული წვენი თერმოსში ჩავასხი, ზურგჩანთაში მასთან ერთად სამგზავრო სასმისი და რამდენიმე ცალი შოკოლადი ჩავაწყვე. მისაღებში რომ გამოვედი მეუღლეც მზად დამხვდა.

სტარტამდე ფართო ეკრანზე ჩვენი გალაქტიკის რუკა გავაშუქე. ტალღურ ვექტორს ჩრდილო-დასავლეთი მიმართულება მივანიშნე და სტარტი ავიღეთ.

მიუხედავად ასტეროიდის ტრაექტორიის გადახრისა, მის მოსაძებნად, დიდი დრო არ დაგვჭირვებია.

-ხედავ არა? -მეკითხება თანაშემწე- რა მოცულობის არის, მისი ჩამოვადნა აპოკალიფს თუ არ გამოიწვევს, მისი ეკვივალენტი მაინც იქნება.- შეშფოთებით გამოცრა ნანახით აღელვებულმა ბოლო სიტყვები.

-მართალი ხარ, მისი იქ ჩავარდნა ხიროსიმაში ჩამოვარ-დნილ ჭურვზე ორიათასჯერ მეტი მძლავრი იქნება.

-რას ვაპირებთ, ხომ გვაქს საშუალება აქედანვე რომ შევუცვალოთ მიმართულება, გესმის ჩემი?

-ჰო, მესმის, ნუ დამაჯინე ცეცხლზე. მას დღეები დასჭირდება ატმოსფეროში რომ შევიდეს.

-თავი რომ დავიზღვიოთ, ამიტომ ვიმეორებ, გთხოვ.

-კეთილი, ვიწყებთ, მოემზადე.

-მზად ვარ.

-მაშ ასე, ოპერაციის საწყისი ეტაპი. მიუახლოვდი ასტეროიდს და საფრენი აპარატი გადართე იმ სიჩქარეზე რა სიჩქარესაც თვითონ ანვითარებს.

-დავალება მიღებულია.

-ნუ ჩქარობ ძალიან ახლოს ნუ მიხვალ.-ვაფრთხილებ თანაშემწეს.

-სამოცდაათი მეტრი საკმარისი არის?

-კი. შეინარჩუნე და მოემზადე მომდევნო ოპერაციისთვის.

-გისმენ.

-ჩართე ოპერატიული რეჟიმი.

-რეჟიმი მზად არის.

-მოძებნე გადაცემის ბ-ე პუნქტი.

-ბ-ე პუნქტი მოძებნილია.

-მიაწოდე ჩემს მიერ შემუშავებული პროგრამა.

-ვასრულებ დავალებას.

-მის დასასრულს მწვანე შუქის ანთებას დაველოთ.მანამდე ლაზერის გასაშვები მილი მიმართე ასტეროიდის ცენტრსა და თავს შუა. გამოიყენე დიოპტრის მოწყობილობა.

-შუქმა მწვანე ფერი მიიღო.

-შეამცირე მანძილი კიდევ 30 მეტრით.

-არის.

-ჩართე წინასწარი საკონტროლო პუნქტი.

-პუნქტი ჩართულია.

-რა ხდება.

-ხარვეზების გარეშე.

-გადადი გამშვებ სექტორზე.

-გამშვები მზად არის, ველოდები ნებართვას.

-შეასრულე.

-გამშვები მექანიზმი ჩართულია.

-მისი საწყისი ეტაპი.

-სანიმუშო.

-ობიექტი ღებულობს ლაზ-კოდს?

-დაბრკოლების გარეშე.

-დაველოდოთ მის რეაგირებას.

-ობიექტმა ტრაექტორია ათი გრადუსით შეცვალა.

-არასაკმარისია.

-ჯერ ხომ დასაწყისია. ჩვენს შორის მანძილი დიდდება.

-კიდევ მიუახლოვდი და დაიცავი თანაფარდობა.

-თანაფარდობა დაცულია. ოპერაცია დასასრულს უახლოვ-დება, კიდევ 11 გრადუსი დაემატა.

-მინიმუმ 30 გრადუსი გვჭირდება.

-მხოლოდ ოცი წამი დარჩა.

-შედეგი ხელმეორედ გააკონტროლე.

-არის. მიმდინარეობს მიღწეული მაჩვენებლის შემოწმება.

-ველოდები პასუხს.

-საბოლოოდ გადახრის კუთხემ 38 გრადუსი შეადგინა.

-შესანიშნავია, გმადლობ დახმარებისთვის.

-მეც მადლობელი ვარ რომ ოპერაცია სანიმუშოდ დაასრულე.

- არაფრის. დღეის შემდეგ ვისაც მისი აფეთქება სურდა ყველა გაიხარებს.

-ჭეშმარიტად, იფიქრებენ ასტეროიდმა მხარი იცვალაო.

-კაპიტანო, როგორი უჩვეულოც არ უნდა გეჩვენოთ, მაინც მინდა გითხრა.

-გისმენ.

-რაკი კოსმოსში ვიმყოფებით უკან დაბრუნებამდე, ხომ შეიძლება მეზობელ გალაქტიკას მცირე ხნით ვესტუმროთ.

-ჰაი,-გაგეხსნა მადა არა?

-გთხოვ, რა მოხდება, თუნდაც ერთი საათი მაინც.

-მოინდომე არა ქვეყნიერების დათვალიერება.

-კარგი რა ,შენთვის ხომ ძნელი არ არის.

-ფეხმძიმე ქალის მიზეზებია, არა? თან როგორი მიზეზები. შემთხვევით ხომ არ მოგშივდა.

-არა, არ მშია.

-იქნებ ხილის წვენი გესიამოვნოს.

-იქ რომ გავალთ მაშინ დავლევ, მითხარი რომელი მიმართულება ავიღო.

-შეხედე ეკრანს.დაგაკვირვებ, აი ეს ჩვენი მზის სისტემაა. რასაც მის გარშემო ხედავ მეზობელი გალაქტიკებია. აარჩიე რომელიც გნებავს და მისკენ მიმართე ვექტორი.

-მე ავარჩევდი, ჩემიდან მარჯვენა მხარეს, პლანეტები ერთმანეთთან თანაზომიერად რომ არიან დაცილებულნი.

-გავიგე. შემოუარე იუპიტერს დასავლეთიდან, ორ პარალელ ვარსკვლავს შორის გაიარე. მერე ჯუჯა ვარსკვლავების არეალში შედი. იქ ნაკლები კოსმოსური წარმოშობის სხეულებია, ჩვენი ლაინერი უფრო თავისუფლად შეძლებს მანევრირებას. არ დაივიწყო სპეციალური რეჟიმის ჩართვაც.

-რომელი კატეგორიის.

-პირველი, აბე სისტემით.

-აბე სისტემა ჩართულია.

-მექანიზმი მაშინ გახადე ავტომატური, როცა კორპუსის მგრძნობელობას გადართავ ულტრამაღალ სიხშირეზე, რომ თვითონ რეაგირებდეს მოსალოდნელ წინააღმდეგობებს.

-ვასრულებ მითითებებს.

-დასრულების შემდეგ პელენგატორი მოიყვანე სრულ მოქმედებაში.

-გამახსენე მისი ფუნქცია.

-ამა თუ იმ ობიექტის ადგილსამყოფელის დასადგენად.

-არის. პელენგირებისთვის ხელსაწყო ჩართულია. შემდეგი.

-სიჩქარე თანდათან გაზარდე.

-მივიღე, ვასრულებ სიჩქარის თანმიმდევრულ გაზრდას.

ნახევარ საათში ჩვენი მზის სისტემის საზღვარს გავცდით, კიდევ რამდენიმე წუთი დაგვჭირდა მეზობელი გალაქტიკის ციურ სხეულთან მიახლოებას, როგორც ჩანს ეს მისი ბოლო პლანეტა იყო. იქ საინტერესო ვერაფერი ვნახეთ და ფრენა ცენტრისკენ გავაგრძელეთ. არც მომდევნო პლანეტებს ჰქონდათ მიმზიდველი გარემო, მხოლოდ მეოთხე პლანეტის თავზე შევჩერდით. უფრო მისმა ლანდშაფტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ზემო ხედიდან ბუნების ნარინჯისფერი ფეროვნება ზედმიწევნით მიმზიდველი ჩანდა.როცა ქვემოთ დავეშვით, ისეთი რელიეფი გადაგვეშალა, თანაშემწემ აღტაცება ვერ დამალა.

-ავ თვალს არ დაენახება, ამგვარი საოცარი პეიზაჟები მე ჯერ არ მინახავს. არ შეიძლება, ახლოდან რომ დავათვალიეროთ?

-ჯერ შენიღბე საფრენი აპარატი და შემდეგ ჩაინაცვლე,არ დაივიწყო უსაფრთხოების ზომების დაცვა.

-ვასრულებ მორიგ დავალებას.ზონა დაცულია.

-აამოქმედე მეორე ვიდეო თვალი.

-არის მეორე თვალი.

-ეხლა ეკრანს შეხედე და დატკბი.კარგად დააკვირდი მცენარეთა სახეობებს,მის ფერთა გამას.ჩვენთან თუ ქლოროფილი აძლევს მწვანე ფერს,აქ როგორც აქედან ჩანს მათში შემავალი საღებავი ნივთიერება ნარინჯისფეროვანი წარმონაქმნია.

-რატომ,ხომ შეიძლება სახელდობრ მზის სხივების ნაკლებობა ფოტო-სინთეზის დაბალ ხარისხს განაპირობებდეს, შედეგად კი, მათი პიგმენტულობა სწორედ ნარინჯისფერს ღებულობდეს?

-დასაშვებია. აი იქით გარდამავალი ფერებიც გვხვდება. დააკვირდი.

-მართლაც ხალასი სილამაზეა. საინტერესოა ისიც, რომ წყალი ან წყლის შემცველი სითხე ჯერ არ შემიმჩნევია.

-გადავინაცვლოთ ნელ-ნელა წინ,თან ყურადღებით ვიყოთ, იქნებ რაიმე არსებებს მოვკრათ თვალი.

-არაა გამორიცხული. ვხედავ ცოტა შორს რაღაც ლიცლი-ცებს.

-მიუახლოვდეთ ვნახოთ რა არი.

-ტბაა უფერული.

-როგორც ეტყობა სითხე ძლიერ ხისტია.

-არადა მის სანაპიროზე რა მშვენიერი ყვავილოვანი მცენარეები ხარობენ. ერთ თაიგულს მარჯვე ადამიანი სიამოვნებით შეკრავდა.

-ოო, შენ უკვე სანაპიროზე გასეირნებაც მოინდომე. მადა უფრო და უფრო გეხსნება, რუჯის მიღებაც ხომ არ გსურს.

-რა მოხდება, გთხოვ.

-არაფერიც არ მოხდება, ამჯერად ქვემოთ არავინ ჩანს.უცებ, რომ გამოჩნდნენ სად გარბიხარ.

-აგერ ეს მოსასხამები მოვიცვათ და ვერავინ ვერ დაგვინახავს.

-ისევ ფეხმძიმე ქალის მოულოდნელად გაჩენილი სურვილებია არა? კეთილი, რა გაეწყობა,ავიღოთ ჩვენ ჩვენი მოსასხამები და ჩავიდეთ.

-რა კარგი ხარ, თუ იცი-მითხრა და სიხარულით ხელი ხელს შემოჰკრა.

-ტემპერატურა შეამოწმე.

-ცხრამეტი გრადუსია.

-კომბინიზონის შიგნით სპორტულები ჩავიცვათ და ჩავეშვათ.

ქვემოთ რომ ჩავედით, ისეთი ფაფუკი ბალახის საფარველი დაგვხვდა,თითქოს ვიღაცას სპეციალურად დაეფინა ჩვენთან შესახვედრად. ისე გვესიამოვნა ბალახოვან საფარველზე სიარული, უკან აღარ მოგვიხედია.ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ტბიდან დაახლოებით ორასი მეტრის მოშორებით კლდოვანი მასივი შევნიშნეთ, უმალ ჭოგრიტი მოვიმარჯვეთ და მიმდებარე ტე-რიტორიის დათვალიერებას შევუდექით. უცებ თვალი მოვკარით კლდეში ხელოვნურად გამოკვეთილ გამოქვაბულებს და მის ქვემოთ მძლავრი პროპორციული კიდურებით მოსაქმე ადამიანის თანამსგავს არსებებს. როგორც ეტყობათ, წინარე კლასობრივი წყობილების გარკვეულ სტადიაზე იმყოფებიან. ერთი ტერი-ტორია და საერთო ინტერესები, ერთმანეთის გვერდით შრომა და ნადირობა.თემური წყობილებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს მოგვაგონებდა.

-ახლოს მისვლა ახალს არაფერს შეგვმატებს-ვეუბნები თანაშემწეს-სჯობს აქ დავრჩეთ და ეს ადგილები დავათვალიე-როთ.

ტბის სანაპიროსაკენ ვამჯობინეთ გასეირნება.თან ირგვლივ მშვენიერ ხედებს ვათვალიერებდით. მოულოდნელად რაღაც ძალამ შემაჩერა. მივიხედ-მოვიხედე, მერე უკან შემოვბრუნდი და კლდოვან მასივს ჭოგრიტით გავხედე. ოთხ ტანმაღალ ძეხორ-ციელს გრძელი ხის ღრუიანი მორი მხარზე გადაედვა და ტბისკენ მოჰქონდათ. აშკარა იყო წყლის წასაღებად მოიწევდნენ.

-ხდება რამე?

-კი, ჩვენს გასაცნობად მოისწრაფიან.

-ვინ?

-დამხვდურები.

-მერე რა გადაწყვიტე?

-გავიცნო მინდა ამ პლანეტაზეც ხომ უნდა გვყავდეს მეგობრები?

-როგორ შეგვამჩნევენ, ჩვენ ხომ უჩინრად ვმოძრაობთ.

-არაა აუცილებელი, რომ დაგვინახონ, აზრით ტელეპათიური საუბარი გავუმართოთ.

-შენ კი,მაგრამ ისინი როგორ მოახერხებენ შენთან კონტაქტს,თუ შენი მორიგი მაღვალაკური ჩართვაა შორეული გალაქტიკის ერთ-ერთ ლამაზ პლანეტაზე?

-კარგი, თუ არ გსურს, აგერ ყვავილებით მშვენიერ ბუკეტს შევკრავ და გზა გავაგრძელოთ. -იქვე შევტრიალდი და კრეფას შევუდექი.

ჩემს გარშემო დაკრეფილი ლამაზ-ლამაზი ყვავილებისგან თაიგული შევკარი, ჩემს თანაშემწეს მივართვი და საფრენი აპარატი გამოვიძახე.

გადავწყვიტეთ, ამავე პლანეტაზე სხვა კონტინენტი დაგვეთვალიერებინა, უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით ვარჩიეთ გადასვლა, სადაც სრულიად განსხვავებულ მხარეს წავაწყდით.

ჩვენ ვხედავდით უჩვეულო ნაგებობეს, მრავალსართულიან დეკორატიულ შენობებს, განსაკუთრებული კონსტრუქციის მიხედვით შექმნილ გადაადგილებების საშუალებებს, ესთეთიკურად მოწყობილ გარემოს.ნანახი ნამდვილად მეტყველებდა ტექნიკური პროგრესის და მატერიალური კულტურის განვითარების დონეს, რაც ნათლად ადასტურებდა მათ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციის მაღალ საფეხურს.

უეცრად ზემოდან სიგარის ფორმის მფრინავმა ხომალდმა გადაგვიფინა. შეიძლება ჩვენი შენიღბული მფრინავი ლაინერი მაინც იგრძნეს, მაგრამ ეტყობათ რომ ჩვენი სტატიკური კოორდინატი ვერ აღრიცხეს. ყოველ შემთხვევისთვის მფრინავ აპარატს საგანგებო სტატუსი მივეცით და ჩრდილოეთ მხარეს

გადავედით იქ კი ცივილიზაციის ნაკვალევი საერთოდ არ ემჩნეოდა.უზარმაზარი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ყინულის საფარქვეშ იყო მოქცეული. საინტერესოც კი არაფერი ჩანდა.

-მგზავრობით ხომ არ დაღლილხარ?-ვეკითხები თანაშემწეს.

-ცოტა, რატომ შემეკითხე.

-შემდეგი პლანეტისკენ ავიღოთ კურსი,თუ ტაიმ-აუტი ავიღოთ?

-შესვენება სჯობს,სხვების დასათვალიერებლად სხვა დრო ავარჩიოთ.

-კეთილი, დავბრუნდეთ უკან, გეძლევა საშუალება მოციმ-ციმე ვარსკვლავების ხეივნით კვლავ დატკბე.

-მართლაც,რა საოცარი სანახავი იყო.

-და იქნება,არ გამოგეპაროს.

-დაახლოებით რამდენ წუთში მივალთ იმ მონაკვეთამდე.

-ჩვიდმეტ წუთში, თან ჩართე ტაიმერი. გზა მშიდობისა ადიუტანტო.

-შენც კაპიტანო.-გაიღიმა და ცისკროვანს გახედა.

ჩვენს საყვარელ სივრცეს რომ მივუახლოვდით უეცრად ისეთი შთაბეჭდილება გაგვიჩნდა,თითქოს ვინმეს საგანგებოდ გაეწყო ცის კაბადონზე მოციმციმე ვარსკვლავთა ხეივანი.ჩვენ ვხედავდით უმშვენიერეს მის უდიდებულესობას, მნათობთა მოკამკამე სხივმფენ ღადღადს. უშორესი ვარსკვლავთა ქარავანიც კი გვაწვდიდა დამშვიდობების ანკარა სხივებს,ხოლო ხეივნის დასასრულს, ჩვენს თავს ზემოთ,ფოიერვერკის დარად დაჰ-ქოროდნენ ნათელ ზოლიანი კომეტების ფერად-ფერადი მოელ-ვარე ბრწყინვალება...

-საზეიმო განწყობის მისაღებად ნადვილად ღირდა ციური ვოიაჟი.-მეუბნება აღტაცებისაგან განეტარებული თანაშემწე.

-გაამოს გენაცვალე, თუ მიღებულმა განცდამ შენი მიზეზობა დააკმაყოფილა.

-გმადლობ, შენ რას იტყვი,იყო შთამბეჭდავი.

-თუ შენ დაკმაყოფილდი,მეც თავისთავად კმაყოფილი ვარ.

-შინ რომ მივალთ ავღნიშნოთ ალღუმი.

-არ ვარ წინააღმდეგი,შეამოწმე რას ვუახლოვდებით.

-ესესაა მარსს ჩაუარეთ.

-აბა მივსულვართ და ეგ არის. ყურადღებით იყავი, ავტომატური რეჟიმის დასრულებისას ტაიმერი სიგნალს მოგცემს.ეს იმას ნიშნავს,რომ ჩვენი მთის არეალში ვიმყოფებით.

-დავალება მიღებულია.

-აბა ყოჩაღად, შეხედე მონიტორს უკვე ატმოსფეროში შევედით, ჯერ გაიარე ღრუბლების ქვეშ, სადაც ძლიერ წვიმს, შემდეგ ბაქანზე ეცადე ჩემს დამოუკიდებლად დასვა რაც შეიძლება რბილად და უჩინრად.-მივანდე მართვის სადავეების დამოუკიდებელი მართვა-გამგებლობა.

შინ მშვიდობით დავბრუნდით. დაღლილები ვიყავით, მაგრამ ამავე დროს ნასიამოვნები.

ოცი წუთი დავისვენეთ. შემდეგ შხაპმიღებულებმა ვახშმის მზადებას შევუდექით.

-არ აჯობებს, -მეკითხება მეუღლე-მოგზაურობის აღსანიშ-ნად რაღაც განსაკუთრებული კერძი რომ მოვამზადოთ.

-მაინც რა?

-ისეთი, რაც ჯერ არ დაგვიმზადებია.

-თუ გაქვს მოფიქრებული?

-ვფიქრობ.

-მე მაქვს ერთი აზრი.

-მითხარი იქნებ მართლაც კარგია.

-მაშ ასე, მომზადებულ პიურეში ავზილავთ ყველს, შემდეგ წვრილად დაჭრილს ყველს ავთქვიფავთ კვერცხთან ერთად, შემდგომ გახურებულ კეცის გარშემო დავასხავთ პიურეს, შუაგულში კი ათქვეფილ კვერცხს, ზემოდან დავახურავთ ცხელ კეცსა და ზემოდან მუგუზლებს დავაწყობთ.კერძი ხუთ წუთში მზად იქნება.

-იდეალური არჩევანია.დავიწყოთ.

-ძალიან კარგი. შენ კარტოფილი მოხარშე, მე გავალ და ცეცხლს მივხედავ. ადგილზევე დავტრიალდი და კერიას მივაშურე.

ორმოცდაათ წუთში კერძი მზად გვქონდა.სუფრა როგორც ყოველთვის ბუხრის წინ გავშალეთ,მივუსხედით და მადიანად შევექეცით.

-ამ ბოლო დროს, -დაიწყო მშვიდად-რაღაც მინდოდა მეთქვა,მაგრამ ვერ ვახერხებდი.

-ახლა რა გიშლის ხელს?

-თუ მომისმენ გეტყვი.

-შენზე უკეთესს ვის მოვუსმენ, ძვირფასო.

-სერიოზულად მინდა გკითხო.

-გისმენ გენაცვალე.

-მშობიარობაზე მინდოდა მეკითხა, სად მომიწევს, აქ თუ სამშობიაროში.

-ადგილზეც შეიძლება, თუმცა შენთვის შერჩეული მაქვს საუკეთესო სამშობიარო სახლი.

-შენ როგორც გადაწყვიტავ, მეც ისე მოვიქცევი.იქნებ ისიც მითხრა,ადრე კი არის ამის თქმა, მაგრამ მინდა წინასწარ ვიცოდე, ცნობისმოყვარეობა მძალავს.

-გისმენ, რა გინდა, რომ იცოდე.

-ბავშვები რამდენ წლამდე უნდა ავღზარდოთ შინ.

-ოთხ წლამდე ძვირფასო. ამასობაში მოწესრიგდება გამო-მუშავებული პროდუქციის, ატმოსფეროს გაწმენდისა და მასებში ეგოცენტრის გარდაქმნის პროცესი, შემდეგ საბავშვო ბაღში, მერე კი ბავშვთა და მოზარდთა სასკოლო აკადემიაში, ამავე პერიოდში ვითარებაც გვიჩვენებს რა გვექნება გასათვალისწინებელი.

-მე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი და ვერც დავამატებ.

-დაველოდოთ ძვირფასო მოვლენების განვითარებას. მანამდე რეალური სინამდვილით ვიხელმძღვანელოთ. ახლა კი გადავათვალიეროთ ყველა ობიექტი და ახალი ამბების კვირის საბოლოო შედეგი, თუ ისევ სადმე დარღვევა აღმოჩნდა, სანქციით დავასაჩუქროთ, ბავშვთა ფონდის საერთაშორისო ბანკის ანგარიშზე ჩარიცხვით.მეორე, ხვალ დაგეგმილი მაქვს სატელეფო-ნო საუბარი,გაჩერებული აგრეგატის თაობაზე, გავიგოთ რა გადაწყვიტეს.

-არ აჯობებს მოკვლევები ხვალისთვის გადაგვედო, დღეს ორმაგად დაღლილები ვართ.

-კეთილი, მაშინ დავისვენოთ, ალიონზე კი განვაახლოთ. -უყოყმანოდ მივეცი დასტური.

...დილით ადრე მოვიძიეთ ვის რა ხარვეზები გააჩნდა, ვინც პირველად მოხვდნენ შენიშვნების სიაში, მათ თხოვნითი მიმართვა გავუგზავნეთ, ხოლო ვინც ერთხელ იყო შემჩნეული და კვლავ მტკნარ სიცრუეს განაგრძობდა, ზემოქმედების ზომას მივმართეთ, შემდეგ დავუკავშირდი აგრეგატბლოკირებულ საწარმოს ხელმძღვანელს, რომელმაც დღემდე ვერ შეძლო პრობლემის მოგვარება.

-გამარჯობა. -მივესალმე მას და პირდაპირ აღნიშნულ საკითხზე გადავედი-მე თქვენ ორჯერ მოგმართეთ თხოვნით, უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, თუმცა უშედეგოდ.

-რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი მელაპარაკება.

-კითხვებს ჯერ მე ვიძლევი, მიპასუხეთ რა გიშლით ხელს,ტექნიკური ნორმატივები რომ სისრულეში მოიყვანოთ და თუ გიშლით მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

-გასაგებია, ხელს არაფერი გვიშლის, მხოლოდ ერთის გარდა,აგრეგატი ვერ ავამუშავეთ.

-მე გავმართავ მას, ერთი პირობის შესრულების შემდეგ.

-რა არის თქვენი პირობა?

-უბრალო,რაც ყველა მეწარმემ უნდა გაითვალისწინოს.

-კერძოდ?

-წესდებით გათვასიწინებული მოვალეობის შესრულება და რაც უმთავრესია გარემოს ისეთი დაცვა,რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის მომავალ თაობას.

-მერე და ხომ ვასრულებთ?-კვლავ უსამართლო განცხადება.

-ჩვენ შემოწმების სინჯები გამოგიგზავნეთ,მასში აღწერილი იყო სად რა დარღვევები ჰქონდა საწარმოს, თუ გაასწორებთ მე დღესვე შემიძია დაგეხმაროთ.

-გპირდებით. -აღმითქვა ნაკლოვანებების გამოსწორება.

-კარგი,კავშირზე ვიქნები.პირობას მაშინ შევასრულებ,როცა ყველა ხარვეზს გაასწორებთ. ნახვამდის.

დავასრულე თუ არა მასთან საუბარი,მან სასწრაფოდ აღადგინა შეფთან კავშირი და დეტალურად მოახსენა ჩემს მიერ ნათქვამი შენიშვნები.

-მე რომ გითხარი მისი ვინაობის დადგება, რატომ არ ეცადე.

-ვცდილობდი, მაგრამ მას არ სურდა ეთქვა, კონკრეტულად ვინ იყო.

-რას აპირებ?

-მითითებებს ველოდები სერ.

-მაშინ,ჯერ ნუ შეასრულებ პირობებს, ის უსათუოდ გამოვა კონტაქტზე და როგორმე ეცადე დამაკავშირო.

-წარმოება როდემდე გავაჩეროთ? მომსახურეები უკვე სხვა სამსახურს ეძებენ. ზარალი კი იზრდება. -წუხდა საწარმოს ხელმძღვანელი.

-ცოტა მოვითმინოთ. ამასობაში იქნებ მოახერხო მთავარი მექანიზმის შეკეთება.

-დღესაც აგრძელებენ შეკეთებას, მაგრამ უშედეგოდ.

-დაველოდოთ კიდევ ორი დღე და აუცილებლად თხოვე ჩემთან შეხვედრა.

-კარგი სერ. -დაეთანხმა შეფის წინადადებას.

როდესაც კვირის დასაწყისში, პირობების შესრულების გამო,კვლავ დავუკავშირდი მას, მომიბოდიშა და მთხოვა მის შეფს დავლაპარაკებოდი, არც მე მითქვამს უარი.

-როგორ მოგმართოთ-მეკითხება შეფი.

-ჩემი სახელი ჰერცოგი გახლავთ.

-სასიამოვნოა, იქნებ ჰერცოგ სადმე შევხვდეთ სადილად და იქ ვილაპარაკოთ.

-გმადლობთ სერ. სამაგისო დრო ნამდვილად არ მაქვს. ბრძანეთ რისი თქმაც გსურთ. მე ყურადღებით გისმენთ.

-მესმის,რომ ზოგიერთ წვრილმან წარმოებასთან დაკავშირე-ბულ ვალდებულებებს ვერ ვასრულებთ,რაღაც მიზეზის გამო.

-თქვენთვის წვრილმანია სერ, უკაცრავად რომ გაწყვეტი-ნებთ, მაგრამ მოსახლეობისთვის დიდი პრობლემაა.

-გასაგებია, საწარმოსთან დაკავშირებულ ხარვეზებს, სიტყვას გაძლევთ ჰერცოგ რომ გამოსწორდება, მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება, კარგი იქნება თუ ურთიერთთანამშრომლობაზე უარს არ მეტყვით, რა თქმა უნდა სოლიდური ხელფასისს ჩათვლით.

-სერ, თუ ჩვენ-ჩვენ მოვალეობებს წესდების გათვალისწინე-ბით შევასრულებთ უფრო უკეთესი თანამშრომლობა გვექნება.

-არც მე გაძლევთ ურიგო წინადადებას, ან შეგიძლიათ მითხრათ სად არის შესაძლებელი თქვენი ნახვა.-ცდილობდა როგორმე დაედგინა ჩემი ვინაობა.

-თუ სავალდებულო გახდება, მე თვითონ გინახულებთ და ბოლოს ერთი თხოვნა მექნება, წინასწარ გთხოვთ უარი არ მითხრათ.

-ბრძანე ჰერცოგ, რაც ჩემი პრეროგატივა იქნება, ნამდვილად უარს არ გეტყვით.

-თხოვნა ეხება თქვენს მიერ ახლახანს შექმნილ დანადგარს,ალბათ მიმიხვდით.

-რომელს? -შემეკითხა და პაუზა გააკეთა. არც მის ხმაში შეპარული ბზარი გამომპარვია,მერე მძიმედ ამოისუნთქა და გააგრძელა. -ჩვენ უამრავი ახალი დანადგარი შევიძინეთ ჰერცოგ.

-მე მხედველობაში მაქვს პარაფსიქოლოგიური, რომელიც ეს ესაა შექმენით.

-ასეთი რამ ჩვენს არსენალში არ მოიძებნება. გაუძნელდა სიმართლის თქმა.

-მე სერ გამოძიებას არ დავიწყებ, მხოლოდ გთხოვთ ბოროტად ნუ გამოიყენებთ, აი ეს მინდოდა მეთქვა.

-რას ამბობ ჰერცოგ, ასეთი მოწყობილობა რომ მქონდეს ახლა პრეზიდენტი ვიქნებოდი.

-ეგ კამპანია უკვე დაწყებული გაქვთ, არჩევნებისთვის თქვენთვის გამოსაყენებელი ხალხი ყველა დანაწილებული გყავთ. საკმარისია, თუ გავაგრძელო? კარგი, ერთს დავამატებ და ამით

დავასრულოთ. საზღვარზე ის უკვე გამოცადეთ და ახლა არჩევნებთან დაკავშირებით გსურთ გამოიყენოთ თუ ჩემს თხოვნას გაითვაისწინებ დიდი მადლობელი დავრჩები.

-ერთი წუთით არ გამითიშოთ, ასეთი რა თანამდებობა გიკავიათ,ყველაფერი რომ დეტალურად არის თქვენთვის ცნობილი?

-რომც არაფერი მეკავოს ობიექტურ ჭეშმარიტებაზე გელაპარაკებით. ოკეანეში ისინი კიდევ დიდხანს იქნებიან,სანამ ამ ჭეშმარიტებას არ გაითვალისწინებთ.

-ოკეანეც თქვენი ხელწერაა, ასეც ვიცოდი, და ისიც ...მომდევნო სიტყვა სათქმელად აღარ ჩათვალა. -კეთილი ჰერცოგ, დღეის შემდეგ მხოლოდ მასზე ვიზრუნებ,რაც კანონზომერებას წაადგება.

-გმადლობთ სერ.

საუბარი მასთან აღარ გამიგრძელებია. დავემშვიდობე და მეუღლეს მივუბრუნდი.

-როგორ ფიქრობ, გაასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

-წარსულ თავგადასავლებს თუ გაითვალისწინებენ, უთუოდ გამოასწორებენ.

-რასაკვირველია, მათ წინაღობები აღარ აწყობთ, არჩევნების მზადებისთვის ხელს არ შეიშლიან.

-თუ ზემოდხსენებულ იარაღს გამოიყენებენ, მაშინ?

-მე მას ვთხოვე ადამიანურად, რომ დანადგარი ბოროტულად არ გამოიყენონ და თუ მოხდა მსგავსი რამ, უკვე იცი რა უნდა ვიმოქმედოთ.

-გამორიცხული არ არის.

-არც მე გამოვრიცხავ. ეს დამოკიდებულია მისი მოწინააღმდეგის რეიტინგზე. აამოქმედებს მაშინ, როცა დასჭირდება.

-მე ბუნებრივი პაექრობის მომხრე ვარ.

-სწორი შენიშვნაა. ასეც იქნება. ახლა კი დროა ტრენირების განსაახლებლად სასპორტო დარბაზში გადავიდეთ. მინდა კვლავ გამოგცადო, თან გავიგო რომელ საფეხურზე ახვედი.

-მე,თავად გეტყვი, ჯერ აზრი ფორმად ვერ გადავაქციე, რაც შეეხება სხეულის ფლობას, ცოტა კარგი შედეგი მაქვს.

-ვნახოთ რას მიაღწიე.

დარბაზში შესვლისთანავე თავი ოდნავ წინ დახარა და ხალიჩის ცენტრისკენ გაემართა. თავდაპირველად, წინასწარი მოსამზადებელი სავარჯიშოები შეასრულა. მისი ბოლო ნაწილი მსუბუქი სუნთქვითი ვარჯიშთა კომპლექსით დაასრულა და დაიწყო.

ვუყურებდი მას და მიხაროდა, რომ ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ კარგ შედეგს მიუღწევია. ზურგზე მწოლარემ იატაკიდან საკუთარი სხეული თვითშთაგონებით ხალიჩიდან ოცი სანტიმეტრით მაღლა აიყვანა. ცოტა ხანს ჰაერში ალივლივა, შემდეგ კი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა.

-ცოტაც და შენ შეგეძლება-ვეუბნები შედეგით ნასიამოვნები-ეფირული სხეულით იმოძრაო, ახლაც არის შესაძლებელი, მხოლოდ სპეციალური სითხის მიღების შემდეგ.

-ეგ რა არის?

-ეს არის ბალახების ექსტრატი. სირჩის მესამედს შესვავ და იმოგზაურებ.

-ვერ დავიჯერებ, ან რატომ აქამდე არა თქვი?

-მოვიდა დრო და გაგიმჟღავნე. სიმართლეში რომ დარწმუნდე, ახლა მე მას გამოვიტან, შევსვამ სამზარეულოში საკოვზედან ჩაის კოვზს ამოვიღებ და მაგიდის კუთხეში დიაგონალურად დავდებ. უკან რომ დავბრუნდები, მერე შენ გახვალ და შეამოწმებ, ამოვიღე თუ არა. თანახმა ხარ?

-თავისთავად.

...როცა რიტუალის შესრულება დავასრულე, ის უმალ გავიდა შესამოწმებლად. დაბრუნებისას გაკვირვებული მეუბნება.

-იქნებ წინასწარ მომზადებული გქონდა, მე კი მაჯერებ შენს ტრიუკში. მაშინ ახლა იგივე ნივთი უკან დააბრუნე, რომ შენს სიმართლეში დავრწმუნდე.

-კარგი გენაცვალე, მანდ ჩამოჯექი, მე კი რიტუალს შევუდგები.

მეორე სიანსის დასრულება არც კი მაცალა ბოლომდე, მკვირცხლად წამოდგა და მაგიდის სანახავად გაიქცა. უკან კი გაოცებული თვალებით დაბრუნდა, მხოლოდ ორი სიტყვა ამოთქვა.

-რა ხდება?

-განსაკუთრებული არაფერი, თუ სურვილი გაგიჩნდა შენც სცადე, ოღონდ წინასწარ საჭირო წესებს გასწავლი, რას იტყვი?

-თუ ძნელი ან საშიში არ არის, ვცდი.

-მომისმინე და გაიგებ.

სამი წუთის განმავლობაში, ვუხსნიდი აუცილებელ სახელმძღვანელო მითითებებს, მერე სირჩის მესამედი შევასმევინე და შედეგს დაველოდე. როცა სხეულში დაბრუნდა, სათნო თვალებით შემომხედა და მეუბნება.

-როგორი მსუბუქი და ნეტარი არის უსხეულობა, რატომ აქამდე არ მიმჟღავნებდი?

-მისთვის მზად არ იყავი. ის ეტაპები რაც გაიარე სწორედ ამისთვის იყო საჭირო, მერე და მერე უექსტრატოდ შეგეძლება განავარდება.

-მართალს ამბობ? -შემომკითხა ახალი გრძნობით გახარებულმა.

-ნუთუ აღარ გახსოვს, რაც ადრე აგიხსენი?

-მახსოვს, მაგრამ მაშინ ეჭვი შემეპარა მის რეალობაში.

-არაუშავს, ასეა უმრავლესობაც, მანამდე არ დაიჯერებენ, სანამ არ შეხედავენ ან თავად არ განიცდიან. ცოტა მოითმინე და შენც დარწმუნდები.

-სხვა არჩევანი როცა არ არის, რა გაეწყობა?

საუბარი რომ დავასრულეთ გარეთ გამოსულებმა პირდაპირ ბაღჩას მივაშურეთ. ორი საათის წამუშავების შემდეგ მდინარის პირას გავისეირნეთ, ჩვენს ნაკვალევს სათევზაო ადგილამდე ჩავყევით. გარემო შევათვალიერეთ და უკან დაბრუნებულებმა მომავალი გეგმის შედგენა დავიწყეთ.ეს ეხებოდა სამედიცინო სფეროს. თითოეულ საკითხს ისე დაწვრილებით ვიხილავდით, თითქმის ნახევარი თვე დასჭირდა მის პირველი პირის დასრულებას, ხოლო გადათეთრებისას, წინა თავმა ახალი მუხლის ჩამატება გვაიძულა, რომელიც სამკურნალო მეთოდის შესწორებას მოითხოვდა, კერძოდ სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში მკურნალობენ სიმპტომებს და არა მიზეზებს. მაგ. თავის ტკივილისას

უშუალოდ მკურნალობენ მას, არადა ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ხერხემლის ან სისხლძრღვებთან დაკავშირებულ დაავადებებთან და საჭიროებდეს კომპლექსურ მკურნალობას.

-რაც შეეხება მედიკამენტებს,-ვუხსნი ჩემს აზრს მეუღლეს-მათი წამლობა ორგანიზმს არა მარტო სენის დაძლევაში უნდა ეხმარებოდეს, არამედ პარალელურად აძლიერებდეს პაციენტის იმუნიტეტს. მეორე, გეკითხები, ანთების დროს საჭიროა დაენიშნოს მედიკამენტური მკურნალობა თუ არა.

-ზოგ შემთხვევაში აუცილებელია.

-კარგი, თუ ამ დროს მის ბიოლოგიურ მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, რომ ის ორგანიზმს დაავადების გამომწვევი აგენტების მოსპობაში ეხმარება დამატებით რატომ ვძაბავთ ან ვაწუხებთ მას.

-მართალი ხარ, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია რით არის გამოწვეული და რა სტადიისაა ანთება.

-თუკი ის ორგანიზმის დამცავი რეაქციაა, ესეიგი შეიძლება მისი დაცვაც.

-ასეც არის, თუმცა, ვიმეორებ, მაგალითად, დავუშვათ მექანიკური გზით დაზიანდა ქსოვილის სტრუქტურა. დაირღვა მისი ცხოველმოქმედების პროცესი, ორგანიზმს ვეღარ ძალუძს აღუდგეს გააქტიურებულ სენს, მაშინ რა უნდა ვიღონოთ, თავისთავად ცხადია, მკურნალობა მედიკამენტების საშუალებით.

-რატომ მაინც ქიმიური პრეპარატები,შევცვალოთ და ვუმკურნალოთ ფიტოთერაპიით, უფრო ბუნებრივი მეთოდით.

-შეიძლება,- დაეთანხმა ჩემს აზრს.

-იცი კიდევ რას უნდა მიექცეს ყურადღება?

-რას?

-შეიქმნას ისეთი პრეპარატები, რომლებიც მხოლოდ სენსმოკიდებულ ორგანოს უმკურნალებენ და არა ერთი ორგანოს გამოჯანმრთელებით სხვები დააზიანოს.

-იდეად ნამდვილად კარგი არის. გეტყობა, შენ გიფიქრია მათზე.

-არის რამოდენიმე ვარიანტი ან-ი, თუ დაავადება გენეტიკურია, ვმკურნალობთ მხოლოდ ამ დაავადების გამომწვევ გენს. შესაძლებელია მისი გადაპროგრამებაც, ბან-ი, დაზიანებული ორგანოს უჯრედის ბირთვის ცილიდან ვღებულობთ ინფორმაციას, ერთი მხრივ მისი რომელი ფუნქციაა დაზიანებული: დამცველობითი, ენერგეტიკული, ჰორმონული და ასე შემდეგ. რათა დავაზუსტოდ ცილის მოლეკულის ორგანიზაციიის წყობა. აგრეთვე მოვიკვლევთ, დაზიანებული ორგანოს ფიზიოლოგიურ ფუნქციის დარღვევის მიზეზებსაც, ეს იქნება-ქიმიური, ფიზიკური თუ ბიოლოგიური და მისთვის განკუთვნილ პრეპარატში ვახდენთ ამ ინფორმაციის ჩაწერას, რომ მასში შემავალმა ქიმიურმა ნივთიერებებმა იმოქმედონ მხოლოდ დაავადებული ორგანოს სამკურნალოდ, მაშასადამე დანიშნულებისამებრ. ჩემი აზრით ამავე დროს აუცილებელი გახდება ავადმყოფის ინდივიდუალური კოდის დადგენაც, რომ მისის გათვალისწინებით სენის ლიკვიდაციის მიზნით დამზადებული იქნას სამკურნალო საშუალებები.

-ოხ, უზადოდ კარგი აზრია.

-უფრო უკეთესი იქნება ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ნებისმიერ სენს თავიდან აგვარიდებს და დაიცავს ორგანიზმს ნაადრევი დაბერებისგან, ანუ წინასწარი ზომების მიღება დაავადების ასაცილებლად.- მივაწოდე ახლად-ახალი იდეა.

-რასაკვირველია, პროფილაქტიკა საუკეთესო ღონისძიებაა. ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა რომ კარგია ყველამ იცის, თუმცა ცოტას თუ მიუწვდება მასზე ხელი. შენ ხომ არა გაქვს სხვა ალტერნატივა?

-ჯანსაღი რეჟიმი ძვირფასო, ცხადია, არაჩვეულებრივი საშუალება არის, რაც შეეხება მეორე შესაძლებლობას, შენი პროფესიიდან გამომდინარე, ჯერ შენ უნდა მოგეფიქრებინა, მერე მე ვეცდებოდი ჩემი ვარაუდი შემომეთავაზებინა.

-იქნებ უკვე გაქვს რაიმე მონახაზი, მე დრო დამჭირდება, რომ რაღაც შემოგთავაზო, არ აჯობებს ორივემ ერთად ვეძიოთ და შევიმუშავოთ რისი შექმნაც გვინდა?

-მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნება თუ შევქმნით ბაქტერიებისა და სხვა მიკრობების წინააღმდეგ მებრძოლ ნივთიერებას, პრეპარატის სახით. პერიოდული მოხმარების მიზნით. ასევე შეგვეძლება პრეპარატი დავაკოდიროთ ნებისმიერ ბოსტნეულის სახეობაში და ამ გზით დავაზღვიოთ მოზარდისა და ნებისმიერი ასაკოვანის სასიცოცხლო ძალის პოტენციალი.

-მეც გამოვეხმაურები შენს შესანიშნავ იდეას და ჩემი მხრივ იცი რას დავამატებდი? იქნებ შეგვექმა ისეთი მსგავსი პრეპარატი, როგორიც ანტიგენია, რომ ორგანიზმმა სხვადასხვა მიკრობების მიმართ წარმოქმნას შესაბამისი ანტისხეულები.

-კეთილი, მაშინ მან ნებისმიერ დაუპატიჟებელ ბაქტერიაზე რეაგირება რომ მოახდინოს, სპეციალურად პროგრამის მიწოდება გახდება საჭირო.- რატომღაც საჭიროდ ვთვლიდი დამზადებული პრეპარატის პროგრამირებას.

-უკეთესი, ცილას ადვილად შეუძლია მიიღოს მიწოდებული ინფორმაცია და რაც მნიშვნელოვანია პრეპარატი დადებითად იმოქმედებს იმუნოლოგიურ სისტემის ფუნქციაზე. ამასთან ერთად შესაფერის ადგილს დაიკავებს იმუნოკომპეტენტური უჯრედების გვერდით. იქნებ აჯობებს ცდების ჩატარება, კერძოდ, ანტიგენის შექმნაზე რომ დაგვეწყო?

-სჯობს, მაგრამ სანამ დავიწყებდეთ წინასწარ უნდა ვიცოდეთ რომელ წყაროდან მოვიძიოთ არაქიმიური ნივთიერებები, ავარჩიოთ მცენარეული თუ ცხოველური. მე უპირატესობას მცენარეულს მივცემდი, შენ ძვირფასო?

-მეც შენსკენ ვარ, მე ვფიქრობ შეირჩეს ანტისეპტიკური და ორგანიზმის დამცავი ფუნქციის გამააქტიურებელი მცენარეები, სახელდობრ ისეთები, რომლებიც შეიცავენ კვარცეტინს, ლიკოპენს და ელაგოვის მჟავებს. მათგან ექსტრატი, ან აბი შევქმნათ, შემდეგ საგულდაგულოდ შევამოწმოთ მისი დამცავუნარიანობა. ექსპერიმენტმა თუ გაამართლა, მაშინ ეს გახდება უნივერსალური საშუალება ყველა დაავადების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას პროფილაქტიკური თერაპია.

-შესანიშნავი ფარმაკოლოგიური ნახაზია. შენ პრეპარატს დაამზადებ მე კი დავაპროგრამირებ.

- აი ყოჩაღ, გაანაწილე არა უკვე, მოვალეობები დამოუკიდებლად, მე როგორ შევძლებ ასეთი დონის მედიკამენტის შექმნას?- შეიცხადა მომავალმა ფარმაკოლოგმა.

-თავიდან შენ დაიწყე როგორც სამედიცინო განათლების მქონემ, გამოიკვლიე მათში შემავალი სამკურნალო ნივთიერებების თვისებები. განსაზღვრე მათ კომპონენტებისგან შენაერთების მიღების თავისებურებები და მერე შემოგიერთდები.

-ახლა შენ ჯიუტობ და თან მაბრაზებ. კარგი შევეშვათ დროებით ამ საკითხს და დავუბრუნდეთ ჩვენს გეგმას. კიდევ რა გვექნება გასათვალისწინებელი?

-საკადრო პროგრამა, ეს ერთხელ კი განვიხილეთ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პროფილაქტიკურ თერაპიას ორგანიზაციას გავუკეთებთ, მაშინ კადრების მომზადების სპეციალური სისტემა ხელახლა იქნება შესამუშავებელი და მასთან ერთად გიგანტური ფარმაკო ფაბრიკა ასაგები.

ჩვენ კიდევ დიდხანს გაგვიგრძელდა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, თუმცა აპრილის თვის ბოლოს უკვე მზად გვქონდა მისი გაახლებული მოდელი. ამავე პერიოდში შევქმენით პრეპარატის დასამზადებელი ხელსაწყოებიც. ვჩქარობდით, გვსურდა მშობიარობამდე როგორმე მოგვესწრო სასინჯი აბების დამზადება მაინც.

ოთხი დღის თავზე პრეპარატი უკვე გამზადებული გვქონდა. ექსპერიმენტისთვის ტყიდან ორი მოზრდილი კურდღელი ამოვიყვანე. პირველს დაავადების გამომწვევი ბაქტერიების მიღების წინ მივაღებინეთ, მეორეს შემდეგ. დაკვირვებებს ერთი კვირის განმავლობაში ვატარებდით.

პირველი ცდის ობიექტის დამცველ ძალებმა ადვილად შეძლეს ბაქტერიების განეიტრალება, ხოლო მეორის მიმართ კვლავ ვაგრძელებდით ექსპერიმენტს, რადგან ჯერ ისევ მიდიოდა ანტისხეულებს და ბაქტერიებს შორის ჭიდილი. ცდიდან გამომდინარე დამატებით პრეპარატის ნახევარი კიდევ მივაღებინეთ, რათა უფრო

გაგვეაქტიურებინა ანტისხეულების მოქმედება. ასეც მოხდა სამი დღის გამოკვლევის შემდეგ, მეორე ცდის ობიექტსაც სრულიად უვნებელი და ჯანმრთელი ორგანიზმი აღმოაჩნდა. როგორც მეორე შემთხვევა გვკარნახობდა, პრეპარატში შემავალი შენაერთები დოზის გაზრდას მოითხოვდა იმავე დროს, ახალი ინსტრუქციის მიხედვით დავიწყეთ განმეორებითი კვლევისთვის ახალი აბების დამზადება.

საკონტროლო ცდა შემდგომი კვირის დასაწყისში გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ მშობიარობის მოწეულმა დრომ ექსპერიმენტი მომავლისთვის გადაგვაწევინა.

სამზარეულოში ვისხედით, რომ უცებ წამოიყვირა.

-მომეშველე უკვე დაიწყო.

-აბა, ძვირფასო, ორი წუთი მოთმინება დაგჭირდება და ყველაფერი კარგად იქნება.-შევამხნევე მეუღლე და მაშინვე სამშობიარო სახლს დავუკავშირდი,მერე მხარში შევუდექი საფრენ აპარატში ჩავსვი და მომდევნო წუთზე სამშობიაროს თავზე ვლივ-ლივებდით. სასწრაფოდ ქვემოთ ჩავიყვანე, კარები შევაღე და ექ-თანს წარვუდექით. ექთანი შეცბუნებული გვიყურებდა, უკვირდა ასე მალე როგორ შევძელით იქ მისვლა, მაგრამ შეკითხვა ზედმეტად ჩათვალა და დიდის მოწიწებით მოგვმართა:

-განსაკუთრებული სამშობიარო ბლოკი თქვენს განკარგუ-ლებაშია. -ფრაზა დაასრულა თუ არა მეუღლე ფრთხილად სპეც-სავარძელში ჩასვა და გააქროლა.

სამშობიარო ბლოკი, გენოკოლოგი და მეანი ქალები სრულ მზადყოფნაში იყვნენ.

-მშობიარობა დაწყებულია-განმიცხადა შემოწმების შემდეგ ექიმ-გინეკოლოგმა.

-იმედი ნამდვილად მაქვს თქვენი, ამიტომ ვარჩიე აქ მოსვლა. ზედმეტი არ იქნება ექიმო თუ ვიტყოდი, რომ მე მჯერა თქვენი გამოცდილების, მშობიარობასაც რომ საგულდაგულოდ ჩაატარებთ, ამაშიც დარწმუნებული ვარ. ხელს აღარ შეგიშლით. თქვენი ნებართვით ახლა დაგტოვებთ.

მასთან სიტყვის დასასრულს მეუღლეს მარჯვენა ხელის აწევით გამხნევების ნიშანი მივეცი, გარეთ გამოვედი, იქვე კარებთან ჩამოვჯექი და ახალშობილთა „ტენორის“ გაგონებას დაველოდე.

ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია, მალე გაისმა ჯერ ერთის და მერე მეორის სიხარულისა და ახალი სიცოცხლის მაუწყებელი ხმათა ღაღადი,საოცარი აღტაცება და მამობის გრძნობის განცდა ვიგრძენი,საუცხოო ემოციამ უეცრად დამატრიალა და თავბრუ დამახვია,ყოველგვარ აზრგაფანტული ამიტაცა და სადღაც შორს გამანავარდა...

გონს მალე მოვეგე.

ტყუპების ყიჟინამ მთელი სამშობიარო მოიცვა. ყველა მოდიოდა და მილოცავდა.თან რომ გებულობდნენ ერთდროულად ბიჭი და გოგოს მამა გავხდი,ამ იშვიათ ბედნიერებას ყოველი მომლოცველი სიყვარულით თანამიგრძნობდა.

როცა მეუღლე სამშობიარო ბლოკიდან პალატაში გადაიყვანეს, ყვავილების თაიგულით მაშინვე კარები შევაღე, ჩავეხვიე და მივულოცე მშვიდობიანი მშობიარობისა და რაც მნიშვნელოვანი იყო ჯანსაღი ბავშვების მოვლინება.

იმ დღესვე ბავშვთა უნივერმაღს ვეწვიე, რაც იმ ჯერზე პატარებისთვის აუცილებელი იყო,უამრავი რამ შევიძინე. საჭირო ნაწილი მეუღლეს დავუტოვე. ნაწილი კი შინ წავიღე... ხოლო გამოყვანისას, ტყუპებისთვის განკუთვნილი საბავშვო ეტლი შევიძინე და სამშობიაროში ადრიანად გამოვცხადდი. ექიმს და მომსახურე პერსონალს უღრმესი მადლობა გადავუხადე, საჩუქრები დავურიგე და გარეთ ნამრავლით გამოვედი.

სამშობიარო სახლის ეზოში გამოსულებს, საგაზაფხულო დაფიონი დაფდაფებით შეგვეგება, მათ შეხმატკბილებას, მოღუღუნე მტრედებისა და ჩიორების ჟღურტულის არანჟირებული საამური ჰანგებიც უთანაწყობდა. ფიანდაზად ეფინებოდნენ ახლად აბიბინებულ ხასხასა მდელოს, აკოკრებულ ყვავილებსა და ახალთ-ახალ შეფურცვლილ ნორჩ სიმწვანეს, ასერიგად აჰანგებულ არეალში გახვეულ ჩემს პატარებს, ზედაც მთიდან მონაბერი

წიწოვანი სურნელება თავს დასტრიალებდა და სიამოვნებისგან გატრუნულებს თვალები ნეტარებით ელულებოდათ.

დიდი სიამოვნებით გამოგვაცილა ექიმთა კოლექტივმაც, გზა დაგვილოცეს და მომავალ გაზაფხულს კვლავ ტყუპებით შეხვედრა გვისურვეს.

პირველი წიგნის დასასრული

ვ. პაპიძე

ISBN 978-9941-498-15-2